



პაულო
კოელიო

ვერტონიკაშ

სიყვარული
გადასწყვიტა

* * *

1997 წლის თერთმეტ ნოემბერს ვერონიკამ საბოლოოდ გადაწყვიტა, სიცოცხლესთან ანგარიში გაესწორებინა. ქალთა მონასტერში დაქირავებული ოთახი გულდაგულ დააღაგა, კბილები გაიხეხა და ლოგინში ჩაწვა.

თავით დადგმული მაგიდიდან აბები აიღო - ოთხი კოლოფი ძილის წამალი, მაგრამ პირში მუჭით არ შეუყრია, გადაწყვიტა, სათითაოდ ჩაეყლაპა, რადგან იცოდა, დიდი სხვაობა იყო გადაწყვეტილებასა და მოქმედებას შორის, და თუკი შუა გზაზე გადაიფიქრებდა, სურდა, არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონოდა. ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ყოველ გადაყლაპულ აბთან ერთად სულ უფრო უმტკიცდებოდა სიკვდილის სურვილი და ხუთიოდე წუთში ოთხივე კოლოფი გამოცალა.

ვერონიკას წარმოდგენაც არ ჰქონდა, როდის დაკარგავდა გრძნობას, ამიტომ ჟურნალი აიღო - Homme-ის უკანასკნელი ნომერი, რომელიც თავისი სამსახურიდან, ბიბლიოთეკიდან ჰქონდა წამოღებული. კომპიუტერები არასოდეს აინტერესებდა, მაგრამ ჟურნალს რომ ფურცლავდა, ერთ სტატიას მოჰკრა თვალი - პაულო კოელიოს ახალი კომპიუტერული თამაშის შესახებ წერდნენ. ამ ბრაზილიელ მწერალს ვერონიკა ერთხელ შემთხვევით შეხვდა სასტუმრო „გრან-იუნიონის“ კაფეში გამართულ მკითხველთა კონფერენციაზე. სულ რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და მწერლის გამომცემელმა ვერონიკა სადილად მიიწვია. მაგრამ სადილზე ძალიან ბევრი ხალხი ირეოდა და გასაუბრება ვეღარ შეძლეს.

თავად იმ ფაქტმა, რომ იცნობდა მწერალს, რომლის შესახებაც, თითქოს ჯიბრზე, შემთხვევით თვალში მოხვედრილ სტატიაში იყო ლაპარაკი, აფიქრებინა, რომ ეს ადამიანი რაღაცნაირად იყო მის ბედთან დაკავშირებული. კითხვა დაიწყო, სხვა თუ არაფერი, დრო მაინც გავიდიოდა. მთელი მისი ცხოვრებაც ასე აეწყო - უმეტესად სირთულეებს გაურბოდა და იმას სჯერდებოდა, რაც ხელში მოხვდებოდა. ეს ჟურნალიც ასევე შემთხვევით წამოიღო ბიბლიოთეკიდან.

უცნაური იყო, მაგრამ სტატიის პირველივე წინადადებამ ჩვეული გულგრილი წონასწორობა დაურღვია (არა, წამალს ჯერ არ ემოქმედა, ვერონიკა ბუნებით იყო პასიური) და თავის სიცოცხლეში პირველად დააფიქრა იმ გამოთქმის ჭეშმარიტ მნიშვნელობაზე, ესოდენ პოპულარული რომ იყო მის მეგობრებში: „ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება“.

ნეტავ სწორედ ახლა რატომ წააწყდა ამ ფრაზას, როცა სულ რამდენიმე წუთის სიცოცხლეა ჰქონდა დარჩენილი? თუ დამთხვევა არ იყო, სხვაგვარად როგორ უნდა აეხსნა ცხოვრების ეს უკანასკნელი მინიშნება - ალბათ, მაინც უნდა ეფიქრა, რომ

სტატიაში რაღაც დაფარული ნიშანი იმალებოდა და შემთხვევითობა ნამდვილად არ არსებობდა.

კომპიუტერული თამაშის ილუსტრაციის ქვეშ დაბეჭდილი ტექსტი კითხვით იწყებოდა:

„სად მდებარეობს სლოვენია?“

„ღმერთო ჩემო, - გაიფიქრა ვერონიკამ, - სლოვენიის შესახებ არავინ არაფერი იცის, ისიც კი არ იციან, ტერიტორიულად სად მდებარეობს“.

და მაინც, სლოვენია ნამდვილად არსებობდა, ის იყო გარეთ, შიგნით, მთებად - ჰორიზონტზე, ქალაქის მოედნად - ფანჯრის მიღმა. სლოვენია ვერონიკას სამშობლო იყო, მისი ქვეყანა.

ვერონიკამ ჟურნალი გვერდზე გადადო: რა აზრი აქვს განრისხდე სამყაროზე, რომელმაც არაფერი იცის სლოვენიელების არსებობის შესახებ?! ერის პატივი და ღირსება მისთვის ახლა ცარიელ სიტყვებს წარმოადგენდა. ის დრო დადგა, თავისი თავით ეამაყა, მიხვედრილიყო, რისი უნარი შესწევდა - ბოლოს და ბოლოს, ეყო ძალა და ცხოვრებას გამოემშვიდობა. რა ბედნიერებაა! თან ეს ისე გააკეთა, როგორც ოცნებობდა - წამლით, წამალი კვალს არ ტოვებდა.

ამ აბებს თითქმის ნახევარ წელიწადს ეძებდა. იმის შიშით, რომ შეიძლებოდა, წამალი ვერც ეშოვა, დროდადრო თავის მოკვლის სხვა გზებზედაც ფიქრობდა - მაგალითად, ვენების გადაჭრაზე. რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუ მთელი ოთახი სისხლით მოირწყვებოდა, აურზაური ატყდებოდა და მონაზვნებსაც თავზარი დაეცემოდათ: თვითმკვლელობა ადამიანის პირადი საქმეა და ამ დროს სხვებზე არ ფიქრობ. ვერონიკას ძალიან არ უნდოდა, თავისი სიკვდილით სხვები შეეწუხებინა, მაგრამ თუ ვენების გადაჭრა ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა, რაღა უნდა ექნა? მონაზვნები, ალბათ, ოთახს მორეცხავდნენ, თვითმკვლელობის ყველა კვალს გააქრობდნენ და მალევე დაივიწყებდნენ, თუკი ეს ამბავი არ გახმაურდებოდა და მდგმურებს არ დაუფრთხობდა. რაც უნდა თქვან, მე-20 საუკუნის მიწურულშიც ადამიანებს მაინც ეშინიათ მოჩვენებებისა.

ცხადია, ისიც შეიძლებოდა, ლუბლიანის რომელიმე ყველაზე მაღალი სახლის სახურავიდან გადმოხტარიყო, მაგრამ მშობლები ებრალებოდა. უბედურებად ქალიშვილის თვითმკვლელობაც ეყოფოდათ და მისი დამახინჯებული გვამის ამოსაცნობად მორგში მისვლა კიდევ ერთი საშინელება იქნებოდა მათთვის. ერთი სიტყვით, სახლის სახურავიდან გადმოხტომა უფრო უარესი იქნებოდა, ვიდრე სისხლისაგან დაცლა: მისი მშობლები მხოლოდ შვილის ბედნიერებაზე ოცნებობდნენ და ასეთ მძიმე ტრავმას ვერ მიაყენებდა.

ცხადია, შვილის სიკვდილს, ბოლოს და ბოლოს, შეეგუებოდნენ, მაგრამ მისი დამახინჯებული სხეულის დავიწყებას ვერასოდეს შეძლებდნენ.

გამოსავალი არც ისე ბევრი იყო: ან იარაღით უნდა მოეკლა თავი, ან სახურავიდან გადმოშტარიყო, ან თავი ჩამოეხრჩო - მისი ქალური ნატურა სამივე გზას უარყოფდა. ქალები თვითმკვლელობის უფრო რომანტიკულ ფორმას ირჩევენ ხოლმე: წამლებს სვამენ ან ვენებს იჭრიან. ამის მრავალი მაგალითი არსებობდა: ჰოლივუდის მსახიობები, ხანში შესული ტოპ-მოდელები, ქმრების მიერ მიტოვებული დიდგვაროვნები.

ვერონიკამ იცოდა, რომ სიცოცხლე იმ წუთის მოლოდინია, როცა არჩევანი უნდა გააკეთო. ამჯერადაც ასე მოხდა: მეგობრებს რა ხანია შესჩიოდა უძილობას და ორმა მათგანმა კაბარეს მუსიკოსებისაგან ძლიერმოქმედი ძილის წამალი უშოვა - ორი კოლოფი. კვირაზე მეტხანს ეს კოლოფები ვერონიკას საწოლის თავით, მაგიდაზე ეწყო, რომ მოახლოებული სიკვდილის შეყვარება მოესწრო და ყოველგვარი სენტიმენტალობის გარეშე გამომშვიდობებოდა იმას, რასაც სიცოცხლე ერქვა.

და, აი, უკვე აქ იყო, უკვე კმაყოფილებას შეიგრძნობდა, რომ ბოლომდე მივიდა; უკვე ამოუცნობის პირისპირ იდგა მოწყენილი, რადგან აღარ იცოდა, რით შეეცოცხლოვებოდა, ცხოვრების ბოლო წუთები.

ისევ ცოტა ხნის წინ წაკითხული ფრაზის უაზრობაზე დაფიქრდა: განა შეიძლებოდა, სტატია ასეთი იდიოტური ფრაზით დაეწყოთ - „სად მდებარეობს სლოვენია?“

თუმცა, სხვა საქმე მაინც არ ჰქონდა, და ვერონიკამ გადაწყვიტა, ბოლომდე წაეკითხა. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული კომპიუტერული თამაში სლოვენიაში დამუშავდა და იქვე უშვებდნენ - იმ მიყრუებულ ქვეყანაში, რომლის შესახებაც, ადგილობრივი მცხოვრებლების გარდა, არავინ არაფერი იცოდა.

სინამდვილეში სლოვენია მთელი ევროპისათვის იაფი მუშახელის ქვეყანა იყო. ორიოდე თვის წინ ერთ-ერთმა ფრანგულმა საწარმომ, რომელმაც სლოვენიაში კომპაქტ-დისკების წარმოება დაიწყო, ბრწყინვალე პრეზენტაცია მოაწყო ქალაქ ბლედის ძველისძველ ციხესიმაგრეში.

ვერონიკამაც იცოდა ამ პრეზენტაციის ამბავი, რადგან ასეთი რამ პატარა ქალაქისათვის, ცხადია, დიდ მოვლენად იქცევა ხოლმე. იმ ენით აუწერელი კომპიუტერული თამაშისათვის შუა საუკუნეების ატმოსფერო რომ შეექმნათ, ციხესიმაგრეს საგულდაგულო რესტავრაცია ჩაუტარეს. პრეზენტაციაზე, რომელსაც პრესაში დიდი პოლემიკა მოჰყვა, უამრავი სტუმარი იყო მოწვეული - გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, იტალიელი, ესპანელი ჟურნალისტები და რა თქმა უნდა, არც ერთი - სლოვენიელი.

Homme-ის მიმომხილველი, რომელიც პირველად იყო სლოვენიაში (ცხადია, სრულად ანაზღაურებული მივლინებით), თავის კოლეგა ჟურნალისტებს, ალბათ, თავისი ჭკუით, სასაცილო ამბებით ართობდა, გემრიელადაც სვა და ჭამა და სტატიის დაწყება ამ ხუმრობით გადაწყვიტა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი ქვეყნის ტვინით გატენილ ინტელექტუალებს მოეწონებოდათ. ვინ იცის, იქნებ თავის მეგობრებს ათას სისულელესაც უყვებოდა ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და უგემოვნოდ ჩაცმული სლოვენიელი ქალების შესახებ.

თუმცა, ვერონიკას ეს საერთოდ არ ეხებოდა. ვერონიკა სადაცაა უნდა მომკვდარიყო და აჯობებდა, უფრო საინტერესო საკითხებზე ეფიქრა, თუნდაც იმაზე, იყო თუ არა სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ან რამდენ ხანში აღმოაჩენდნენ მის გვამს. და მაინც, ალბათ, იმიტომ, რომ მიღებული გადაწყვეტილება საოცრად მნიშვნელოვანი იყო მისთვის - სტატია აღიზიანებდა.

მან ფანჯრიდან გახედა ლუბლიანის პატარა მოედანს.

„თუ სლოვენიაზე არაფერი იციან, ლუბლიანა მათთვის მთლად მითი იქნება“, ისევე, როგორც ატლანტიდა, ლემურია ან სხვა გამქრალი კონტინენტები, რომლებიც გამუდმებით აშფოთებენ ადამიანთა წარმოსახვას. ცხადია, არც ერთი სერიოზული ჟურნალისტი სტატიას იმ კითხვით არ დაიწყებს, სად მდებარეობს ევერესტი, თუნდაც იქ ფეხი არასოდეს დაედგას, მაგრამ ევროპის ცენტრში გამოცემული ჟურნალის თანამშრომელს არ შერცხვენია, ამგვარი კითხვით დაეწყო სტატია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მისი ჟურნალის მკითხველთა უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ექნებოდა, სად მდებარეობდა სლოვენია და, მით უმეტეს - მისი დედაქალაქი ლუბლიანა.

და უცებ, გონება გაუნათდა, მიხვდა, რით შეევესო სიკვდილამდე დარჩენილი დრო - წამლის მიღებიდან ათი წუთი უკვე გასული იყო, მაგრამ ორგანიზმში ცვლილებებს ჯერ ვერ შეიგრძნობდა. ვერონიკამ გადაწყვიტა, სიცოცხლის ბოლო წუთებში წერილი მიეწერა იმ ჟურნალისტთვის და უვიცებისათვის აეხსნა, რომ სლოვენია ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შედეგად წარმოშობილი ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო.

გამოსამშვიდობებელი წერილის ნაცვლად, ამ თვალის ასახვევ წერილს დატოვებდა და თან ჩვეულებრივი, ადამიანური ცნობისმოყვარეობისაგან დაიცავდა თავისი თვითმკვლელობის ჭეშმარიტ მიზეზს.

მისი გვამის აღმოჩენის შემდეგ იძულებულნი გახდებოდნენ, იმ დასკვნამდე მისულიყვნენ, რომ გოგონამ თავი მხოლოდ იმიტომ მოიკლა, რომ ვიღაც ჟურნალისტმა არ იცოდა, სად მდებარეობდა მისი ქვეყანა. ვერონიკამ წარმოიდგინა კიდეც, რა პოლემიკა ატყდებოდა გაზეთებში, რა გამოხმაურება ექნებოდა ეროვნული იდეით დამძიმებულ თვითმკვლელობას, და გაეღიმა. თუმცა, იმანაც გააოცა, როგორ

შეეცვალა აზროვნება: სულ წუთის წინ დარწმუნებული იყო, რომ ეს პრობლემებით სავსე კაცობრიობა საერთოდ აღარ აინტერესებდა.

წერილი დაასრულა. წერილის წერამ ისე გაამხიარულა, ლამის სიკვდილიც კი გადაიფიქრა, მაგრამ აბეზი უკვე მიღებული ჰქონდა და დროს უკან ვეღარ მოაბრუნებდა.

ვერონიკას მხიარულება სულაც არ იყო უცნაური. საერთოდ, თავის მოკვლა მელანქოლიური ნატურის გამო კი არ გადაწყვიტა, იმ ადამიანთა მსგავსად, ვისაც ერთთავად დეპრესია აქვს და ლამის დაბადებიდან თვითმკვლელობისაკენ არის მიდრეკილი. ვერონიკას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა. ხანდახან დიდი სიამოვნებით დასეირნობდა ხოლმე ლუბლიანის ქუჩებში, ანდა თავისი ფანჯრიდან დიდხანს უცქეროდა მოხიბლული, როგორ ათოვდა პოეტის ქანდაკებიან პატარა მოედანს. ერთხელ ამავე მოედანზე ვიღაც უცნობმა კაცმა ყვავილი აჩუქა და ვერონიკა მთელ თვეს ფრთაშესხმული დაიარებოდა. საერთოდ, ყოველთვის ნორმალურ ადამიანად თვლიდა თავს, თვითმკვლელობა კი ორი ძალიან მარტივი მიზეზის გამო გადაწყვიტა. ვერონიკას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბევრი დაეთანხმებოდა მის მოსაზრებებს, თუკი მართლა დაწერდა გამოსათხოვარ წერილს და ამ მიზეზებზე ილაპარაკებდა.

მიზეზი პირველი: ცხოვრებას მისთვის ფერი დაეკარგა და ახლა, როცა მისი ახალგაზრდობის წლები ილეოდა, ყველაფერი თავქვე დაეშვებოდა. ალბათ, სულ მალე სახეზე დამჩნეული ულმოხელი ნიშნებით შეიგრძნობდა სიბერის მოახლოებას, ავადმყოფობა ხელს დარევდა და მეგობრებიც შემოაკლდებოდა. ბოლოს და ბოლოს, რას მოიგებდა, ცხოვრება რომ გაეხანგრძლივებინა, თუკი მისი სიცოცხლე ყოველდღიურად უფრო მტანჯველი და აუტანელი გახდებოდა.

მეორე მიზეზი უფრო ფილოსოფიური გახლდათ: ვერონიკა აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა - კითხულობდა გაზეთებს, უყურებდა ტელევიზორს და თვალს ადევნებდა მსოფლიოში მომხდარ ყველა მოვლენას. რაც კი ხდებოდა ამქვეყნად - ყველაფერი აუტანლად ეჩვენებოდა, მაგრამ არ იცოდა, როგორ შეიძლებოდა ამ ცხოვრების შეცვლა და უიმედობა იპყრობდა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამქვეყნად არავის სჭირდებოდა, ყველასათვის უცხო იყო და გამოუსადეგარი.

სულ მალე ის ჩასწვდებოდა თავისი ყოფის უკანასკნელ, უდიადეს საიდუმლოს - სიკვდილს. ამიტომაც, წერილი დაასრულა თუ არა, იმ წუთიდან აღარც გახსენებია. ახლა იმაზე დაფიქრდა, რაც შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი იყო: სიცოცხლესა და სიკვდილზე.

ძალიან მალე თავისი ცხოვრების უკანასკნელ, ყველაზე მიუწვდომელ და წარმოუდგენელ საიდუმლოს ამოხსნიდა - სიკვდილის საიდუმლოს. ამიტომაც სცადა, იმაზე ეფიქრა, რაც უფრო ესადაგებოდა მის მდგომარეობას.

სცადა, შეძლებისდაგვარად, თვალნათლივ წარმოედგინა საკუთარი სიკვდილი, მაგრამ ამაოდ.

ან კი რაში სჭირდებოდა? სულ რამდენიმე წუთში მაინც მიხვდებოდა, რა იყო იქ, სიკვდილს მიღმა.

სულ რამდენიმე წუთში - ნეტავ რამდენი იყო ეს რამდენიმე წუთი?

არავინ იცოდა. მაგრამ მოულოდნელად ენით აუწერელი აღტაცება დაეუფლა, რომ სადაცაა მიიღებდა პასუხს, რომელიც თავისი არსებობის დღიდან მოსვენებას არ აძლევდა კაცობრიობას - იყო თუ არა ღმერთი.

სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით, ვერონიკა ამ საკითხზე სერიოზულად არასოდეს დაფიქრებულა. ძველი, კომუნისტური წყობისდროინდელი ოფიციალური აღზრდა ამტკიცებდა, რომ სიცოცხლე სიკვდილთან ერთად მთავრდებოდა და მისთვისაც, ბოლოს და ბოლოს, ბუნებრივი გახდა ეს აზრი. მეორე მხრივ კი, მამები და პაპები ეკლესიაში დადიოდნენ, ღოცულობდნენ, მარხულობდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ღმერთს ესმოდა მათი.

ვერონიკამ თავის სიცოცხლეში ყველაფერი განიცადა და შეიგრძნო. 24 წელი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ამისთვის. თითქმის დარწმუნებულიც იყო, რომ სიკვდილთან ერთად მთავრდებოდა სიცოცხლეც და ამიტომ აირჩია თვითმკვლელობა - ყველაფრისაგან უნდოდა განთავისუფლება. მხოლოდ მარადიული უკუნი და მდუმარება.

თუმცა, გულის სიღრმეში ეჭვი ჭიატობდა: იქნებ მაინც არსებობდა ღმერთი? თვითმკვლელობას ცივილიზაციის ათასობით წელმა დაადო ტაბუ, მას ყველა რელიგია კრძალავდა: ადამიანი ბრძოლისათვის იყო გაჩენილი და არა სულმოკლეობისთვის; ადამიანთა მოდგმა უნდა გაგრძელებულიყო, ოჯახს, თუნდაც უსიყვარულოდ, ერთად ცხოვრების მიზეზი უნდა ჰქონდოდა; საზოგადოებას მუშახელი სჭირდებოდა, ქვეყანას - ჯარისკაცები, პოლიტიკოსები, მსახიობები და მხატვრები.

„თუ ღმერთი არსებობს, რისიც არა მჯერა, მან უნდა იცოდეს, რომ არსებობს ადამიანური ძალისხმევითა და ადამიანური აღქმის ზღვარი. განა მან არ შექმნა ეს სამყარო მთელი თავისი უიმედო არეულობით, ტყუილებით, მომხვეჭელობით, სილატაკით, გაუცხოებით, უსამართლობით, მარტოობით? უცილობელია, მას კეთილი ზრახვა ამოძრავებდა, მაგრამ შედეგი მაინც სავალალო აღმოჩნდა. მაშასადამე, თუკი ღმერთი არსებობს, მოწყალედ უნდა შეხედოს იმ თავის ქმნილებებსაც, რომელთაც დროზე ადრე ისურვეს, მიეტოვებინათ ეს დედამიწა, ანდა იქნებ, ბოდიშიც მოეხადა, ამ მიწაზე მოსვლა რომ აიძულა“.

ეშმაკსაც წაულია ყველა ტაბუ და ცრურწმენა. მორწმუნე დედამისი ამბობდა: ღმერთმა იცის წარსული, აწმყო და მომავალი. თუ ეს ასეა, როცა ამქვეყნად მოავლინა, ისიც წინასწარ ეცოდინებოდა, სიცოცხლეს თვითმკვლელობით რომ დაასრულებდა, და ამდენად, მისი საქციელი ღმერთს არც უნდა გაჰკვირვებოდა.

ვერონიკამ თავი შეუძლოდ იგრძნო და ეს შეგრძნება თანდათან უფრო გაუძლიერდა.

რამდენიმე წუთში ფანჯრიდან უკვე ძლივსღა ხედავდა მოედანს.

მან იცოდა - ზამთარი იყო, დღის ოთხი საათი, მალე მზეც ჩავიდოდა. იცოდა, რომ სხვა ადამიანები ისევ იცოცხლებდნენ... სწორედ ამ დროს მისი ფანჯრის წინ ახალგაზრდა კაცმა გაიარა და ვერონიკას შეხედა, ცხადია, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ გოგონა კვდებოდა.

ბოლივიელ მუსიკოსთა ჯგუფი (ნეტავ სად მდებარეობს ბოლივია, ამას რატომ არ კითხულობენ ჟურნალისტები?) მოედანზე, ფრანც პრემერნის ქანდაკებასთან უკრავდა, იმ დიდი სლოვენელი პოეტის ქანდაკებასთან, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თავისი ხალხის ცნობიერებაში.

ნეტავ თუ მოასწრებს მუსიკის ბოლომდე მოსმენას? ეს იქნებოდა ამ ცხოვრებისაგან მშვენიერი უკანასკნელი სახსოვარი: სადამო ხანი, ქვეყნიერების სულ სხვა მხარეზე ოცნების აღმძვრელი მელოდია, თბილი, მყუდრო ოთახი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ფანჯარას ჩაუარა, შეჩერდა და ვერონიკას უცქეროდა. ვერონიკა მიხვდა, რომ წამალმა უკვე დაიწყო მოქმედება, და ის ახალგაზრდა კაცი უკანასკნელი ადამიანი იყო, ვისაც თავის სიცოცხლეში დაინახავდა.

ყმაწვილმა გაუღიმა, ვერონიკამაც ღიმილითვე უპასუხა - ამას უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. მერე ყმაწვილმა ხელი დაუქნია, მაგრამ ვერონიკამ თვალი აარიდა, თავი ისე დაიჭირა, თითქოს სულ სხვა მხარეს იცქირებოდა - მან ისედაც ზედმეტის უფლება მისცა თავის თავს. ყმაწვილი დაიბნა და ცოტა ხანში გზა განაგრძო, ცხადია, მაშინვე დაივიწყებდა ფანჯარაში ნანახ სახეს.

ვერონიკას ესიამოვნა, რომ უკანასკნელ წუთებში სასურველად იგრძნო თავი. თუმცა სიყვარული არც არასოდეს მოჰკლებია, უსიყვარულობის გამო არ გადაუწყვეტია თვითმკვლელობა. არც იმიტომ, რომ ოჯახში არ უყვარდათ, არც ფინანსური გაჭირვებისა თუ უკუჩვენებელი სენის გამო.

რა კარგი იყო, რომ მის სიკვდილს ეს მშვენიერი სადამო დაემთხვა, როცა მოედანზე ბოლივიელი მუსიკოსები უკრავდნენ; როცა მის ფანჯარასთან უცხო ყმაწვილი მიაბიჯებდა. ვერონიკა კმაყოფილი იყო იმით, რასაც საბოლოოდ ხედავდა მისი თვალები და ესმოდა მის ყურებს, მაგრამ უფრო მეტად კმაყოფილი იმიტომ იყო, რომ მომდევნო ოცდაათ, ორმოც, ორმოცდაათ წელიწადში მსგავსს ვეღარაფერს დაინახავდა და მოისმენდა. ყველაზე საუკეთესო მოგონებაც ხომ, ადრე თუ გვიან,

მოსაწყენ, უსასრულო ტრაგიკულ ფარსად იქცევა ხოლმე, რასაც სიცოცხლე ჰქვია და სადაც ყოველდღიურად ერთი და იგივე მეორდება და ყოველი დღე გუშინდელს ჰგავს.

მუცელში რაღაც აუბუყბუყდა და თავბრუსხვევაც შეიგრძნო.

„მე კი მეგონა, რომ დიდი დოზა წამში გამოთიშავდა“, - გაიფიქრა მან.

ყურებმა უცნაური შხუილი დაუწყო, თავბრუ დაესხა და გულისრევა მოეძალა.

„თუ გული ამერევა, ვერ მოვკვდები“.

სპაზმებზე რომ არ ეფიქრა, სცადა, ისევ ამ სადამოზე, ბოლივიელებზე, დაკეტილ მაღაზიებსა და შინ მიმავალ გამვლელებზე ეფიქრა, მაგრამ ყურებში ხმაური უძლიერდებოდა და წამლის მიღებიდან პირველად, ვერონიკამ შიში იგრძნო - შემზარავი შიში გამოუცნობის წინაშე.

მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა - გრძნობა დაკარგა.

* * *

ვერონიკამ თვალი გაახილა და გაოცებულმა გაიფიქრა: „რაღაც, ზეცას არ ჰგავს“. საექვოა, სამოთხეში დღის ნათურებს იყენებდნენ; წუთის შემდეგ გაჩენილი ტკივილიც სრულიად მიწიერი ეჩვენა. ჰო, მიწიერი ტკივილი ხომ განუმეორებელია, ის არაფერში აგერევა.

ვერონიკა შეირხა, ტკივილი გაუძლიერდა, რამდენიმე მოციმციმე წერტილიც გაჩნდა თვალწინ, მაგრამ მან უკვე იცოდა, რომ ეს წერტილები სამოთხის ვარსკვლავები კი არა, აუტანელი ტკივილის შედეგი იყო.

- როგორც იქნა, გონს მოვიდა, - ჩაესმა ვიღაც ქალის ხმა, - გიხაროდეს, ძვირფასო, უკვე ჯოჯოხეთში ხარ, მშვიდად იწექი.

არა, ეს შეუძლებელი იყო, ხმა ატყუებდა. ჯოჯოხეთში ვერაფრით ვერ იქნებოდა, რადგან საშინლად სციოდა და ისიც შეამჩნია, რომ პირსა და ცხვირში რაღაც მიღები ჰქონდა ჩადგმული. ერთ-ერთი ასეთი მილი ყელიდან მუცელში ჩადიოდა და სულს უხუთავდა.

მას მილის ამოგლეჯა მოუწია, მაგრამ მიხვდა, რომ ხელები შეკრული ჰქონდა.

- ნუ გეშინია, გეხუმრე. ცხადია, ჯოჯოხეთში არა ხარ, - უთხრა იმავე ხმამ, - აქაურობა იქნებ ჯოჯოხეთზე უარესიცაა, თუმცა, პირადად მე იქ არასოდეს ყოფილვარ. ეს ვილეთაა.

ტკივილისა და სულის ხუთვის მიუხედავად, ვერონიკამ წამიერად გააცნობიერა, რაც შეემთხვა. მას სიკვდილი სურდა, მაგრამ ვილაცამ მოასწრო მისი გადარჩენა - რომელიმე მონაზონმა ან შემთხვევით მოსულმა მეგობარმა გოგონამ, ანდა, ვინ იცის, იქნებ ძველი, მივიწყებული ვალის დასაბრუნებლად მოვიდა ვინმე.

უმთავრესი ის იყო, რომ ცოცხალი გადარჩა და ახლა ვილეტეში იმყოფებოდა.

საკმაოდ ცუდი რეპუტაციის მქონე ვილეტე - სულით ავადმყოფთა თავშესაფარი - 1991 წელს დაარსდა, იმ დროს, როცა სლოვენიაში დამოუკიდებლობა მოიპოვა. მაშინ, იმის იმედით, რომ იუგოსლავიის გაყოფა მშვიდობიანად მოხდებოდა (ბოლოს და ბოლოს, თვით სლოვენიაში ომი სულ თერთმეტ დღეს გაგრძელდა), ევროპელი მეწარმეების ერთმა ჯგუფმა ნებართვა მიიღო, ძვირადღირებული სარემონტო სამუშაოების გამო მიტოვებულ ყაზარმებში ფსიქიატრიული საავადმყოფო გაეხსნათ.

თუმცა, სულ მალე დაიწყო პოლიტიკური არეულობა, რაც შემდეგ ნამდვილ ომში გადაიზარდა - ჯერ ხორვატიაში, შემდეგ - ბოსნიაში. ვილეტეს ფონდის დამფუძნებლები შეშფოთდნენ: თანხები შემოდიოდა მთელ მსოფლიოში მიმოზნეული მეწილეებისაგან, რომელთა სახელებიც კი არ იცოდნენ, და თუნდაც ბოდიშის მოსახდელად მათი თავმოყრა სრულიად შეუძლებელი იყო. ამიტომ, პრობლემის გადასაჭრელად, იმ გზას დაადგნენ, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ოფიციალურ მედიცინასთან. ამგვარად, „განვითარებული სოციალიზმიდან“ ახლად თავდაღწეულ ახალგაზრდა სახელმწიფოში ვილეტე გახდა იმ საშინელების სიმბოლო, რაც თან სდევს კაპიტალიზმს: კლინიკაში დასაწოლად საკმარისი იყო, ფული გადაგებადა.

თუკი ვინმეს ოჯახის წევრის მოშორება სჭირდებოდა მემკვიდრეობის მისაღებად (ან, თუნდაც, ოჯახის სახელის შესანარჩუნებლად). მზად იყვნენ, უზარმაზარი თანხა გადაეხადათ ოფიციალური სამედიცინო დასკვნისათვის, ოღონდ კი ოჯახის მაკომპრომეტირებელი შვილები ან ნათესავები თავშესაფარში მოეთავსებინათ.

ზოგიერთები კრედიტორებისაგან თავის დასაღწევად ან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედების გასამართლებლად აფარებდნენ თავს საავადმყოფოს კედლებს, გარკვეული დროის შემდეგ კი თავისუფალ ადამიანებად უბრუნდებოდნენ საზოგადოებას და ვეღარც კრედიტორები და სასამართლო აღმასრულებლები ედავებოდნენ.

ვილეტე ის ადგილი იყო, საიდანაც არავის არასდროს უცდია გაქცევა. აქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სასამართლოს გადაწყვეტილებით საავადმყოფოში მოთავსებული ან სხვა ფსიქიატრიული კლინიკებიდან გადმოყვანილი სულით ავადმყოფები და ისინიც, ვისაც ავადმყოფად აცხადებდნენ ან თვითონ იბრალებდნენ გიჟობას. საავადმყოფოში სრული ქაოსი სწორედ ამან გამოიწვია. გაზეთები ხშირად იუწყებოდნენ კლინიკაში ჩადენილ რაღაც ბოროტმოქმედებებზე, იმაზე, რომ ავადმყოფებს სასტიკად ექცეოდნენ, მაგრამ ვერც ერთი ჟურნალისტი ვერ ახერხებდა,

ვილეტეში შესვლის ნებართვა მიეღო და თავისი თვალთ ენახა, სინამდვილეში რა ხდებოდა ამ კლინიკაში. დაუსრულებლად იქმნებოდა სამთავრობო კომისიები, დაუსრულებლად მიმდინარეობდა ძიება, მაგრამ უშედეგოდ - ჭორები არ დასტურდებოდა. აქციონერები, თავის მხრივ, იმუქრებოდნენ, მთელი მსოფლიოსთვის ეცნობებინათ, რომ სლოვენიაში უცხოური ინვესტიციის ჩადება სახიფათო იყო... თავშესაფარი კი ყვაოდა.

- რამდენიმე თვის წინ დეიდაჩემმაც მოიკლა თავი, - განაგრძობდა ქალის ხმა, - მანამდე კი, დაახლოებით, რვა წელიწადს არ გამოდიოდა თავისი ოთახიდან, შეუჩერებლად ჭამდა, სიგარეტს ეწეოდა, სუქდებოდა, ტრანკვილიზატორებს ყლაპავდა და ეძინა. წარმოიდგინე, ორი ქალიშვილი და ერთგული, მოყვარული ქმარი ჰყავდა.

ვერონიკამ თავის შებრუნება სცადა, უნდოდა, დაენახა, ვინ ელაპარაკებოდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

- მხოლოდ ერთხელ გამოცოცხლდა. მაშინ, როცა შეიტყო, რომ მისმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა. დეიდა ლამის ჭკუიდან შეიშალა, ჭურჭელი მილეწ-მოლეწა, თვალდათვალ გახდა და მეზობლებს მოსვენებას აღარ აძლევდა კივილით. შეიძლება, აბსურდულად გეჩვენოს, მაგრამ მაინც მგონია, რომ მხოლოდ იმ დღეებში იყო ბედნიერი: რაღაცისათვის იბრძოდა, თავს ცოცხალ ადამიანად შეიგრძნობდა, რომელსაც უნარი ჰქონდა, ბედისწერას გამკლავებოდა.

„მერე, მე რა შუაში ვარ? - გაიფიქრა ვერონიკამ, მაგრამ სიტყვის წარმოთქმის საშუალება არ ჰქონდა, - მე არც დეიდაშენი ვარ და არც ქმარი მყავს!“

- ცოტა ხნის შემდეგ ქმარმა საყვარელი მიატოვა და შინ დაბრუნდა, - განაგრძო ქალის ხმამ, - დეიდაჩემი დამშვიდდა და ისევ აპათია მოეძალა. ერთხელ დამირეკა და შემატყობინა, რომ მოწევას თავი დაანება და გადაწყვიტა, ახლებურად ეცხოვრა. იმავე კვირას უამრავი დასაძინებელი წამალი დალია, მოწვევის სურვილი რომ ჩაეკლა, მერე ყველას დაურეკა და აცნობა, თავის მოკვლას ვაპირებო. ცხადია, არავინ დაუჯერა. ორიოდ დღის შემდეგ შუადღისას გავიღვიძე და ავტომობასუხიდან დეიდაჩემის გამოსამშვიდობებელი სიტყვები შემომესმა. გაზით მოიწამლა თავი. მას მერე ბევრჯერ მოვუსმინე იმ ჩანაწერს: ადრე არასოდეს ჰქონია ხმაში ამდენი სიმშვიდე და ბედის მორჩილება. სულ რამდენიმე სიტყვა იყო ჩაწერილი. მიხსნიდა, რომ ბედნიერებისა და უბედურების შეგრძნების უნარი დაკარგა და სიცოცხლეს აზრი აღარ ჰქონდა.

ვერონიკას ის ქალი შეეცოდა, ვინც ამ ამბავს უყვებოდა. ალბათ, გულწრფელად სურდა, დეიდის თვითმკვლელობის მიზეზებში გარკვეულიყო. როგორ შეიძლება, დაძრაო ადამიანი, ვისაც თვითმკვლელობა აქვს გადაწყვეტილი იმ სამყაროში, სადაც ყველა მხოლოდ თავისი თავის გადასარჩენად იბრძვის?

არც სხვისი განსჯის უფლება აქვს არავის. ყველა ადამიანი მხოლოდ თავისი ტანჯვის სიღრმეს სწვდება - იმ ტანჯვისა, როცა, ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლეს აზრი ეკარგება. ამის თქმა უნდოდა ვერონიკას, მაგრამ ყელში გაჩხერილმა მილმა კინაღამ დაახრჩო, ხველა აუტყდა და ისევ იმ ხმის პატრონი ქალი მიეშველა.

ექთანი დაიხარა ვერონიკას დაბინტული, მილებში გაბლანდული სხეულისაკენ, რომელსაც სწორედ ეს მილები იცავდნენ ამ სხეულის პატრონისა და მისი თვითმკვლელობის სურვილისაგან. ვერონიკამ თავის ქნევა დაიწყო, თვალებით ევედრებოდა, ამოეძრო ეს დაწყევლილი მილი, რომ, ბოლოს და ბოლოს, მშვიდად მაინც მომკვდარიყო.

- ნუ ნერვიულობთ, - უთხრა ქალმა, - არ ვიცი, ნანობთ თქვენს საქციელს თუ ისევ გინდათ სიკვდილი, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე მხოლოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ: პაციენტი თუ ნერვიულობას იწყებს, წესით, დამამშვიდებელი უნდა გავუკეთო.

ვერონიკამ ფართხალი შეწყვიტა, გაიტრუნა, მაგრამ ექთანი უკვე ვენაში უკეთებდა ნემსს. სულ მალე ისევ იმ უცნაურ, უსიზმრო სამყაროში ჩაიძირა და უკანასკნელი, რასაც უხსოვრობაში ჩავარდნის წინ ხედავდა, მისკენ დახრილი ექთნის სახე იყო: მუქი თვალები, წაბლისფერი თმა და გულგრილი მზერა ადამიანისა, რომელიც თავის საქმეს აკეთებს, აკეთებს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეა საჭირო, ასე მოითხოვს წესი და, მამასადამე, უაზრობაა, დაუსვა კითხვა - რატომ.

* * *

ვერონიკას ამბავი პაულო კოელიომ სამი თვის შემდეგ შეიტყო პარიზის ერთ-ერთ ალჟირულ რესტორანში ვახშმობისას, ნაცნობი სლოვენელი ქალიშვილისგან, რომელიც ვერონიკას სეხნიაც იყო და ვილეტეს მთავარი ექიმის შვილიც.

მოგვიანებით კი, როცა ამ წიგნის ჩანაფიქრი მომწიფდა, მის ავტორს მთავარი მოქმედი გმირის სახელის შეცვლა სურდა, რათა მკითხველისათვის თავგზა არ აეზნია. დიდხანს ფიქრობდა, ბლანკა, ედვინა, მარიცა ან რომელიმე სხვა სლოვენიური სახელი ხომ არ დაერქმია იმ ვერონიკასათვის, რომელმაც სიკვდილი გადაწყვიტა, მაგრამ ბოლოს ამჯობინა, ყველაფერი ისევე დაეტოვებინა, როგორც იყო, ესე იგი, გმირებისათვის ნამდვილი სახელები შეენარჩუნებინა. ამიტომაც, იმ პერსონაჟს, ვისთან ერთადაც რესტორანში ვახშმობდა, „ვერონიკა - ავტორის მეგობარი“ დაარქვა, ნაწარმოების გმირი ქალისთვის კი რაიმე დამაზუსტებელი განსაზღვრების მოძებნა აღარ დასჭირდებოდა. ის ისედაც მთავარი მოქმედი გმირი იყო და ავტორიცა და მკითხველიც აღარ დაიტანჯებოდნენ „გიჟი ვერონიკას“ ან „ვერონიკა, რომელმაც

სიკვდილი გადაწყვიტა“ -ს წერითა და კითხვით. მით უმეტეს, რომ თვით ავტორი და ავტორის მეგობარი ვერონიკა წიგნში მხოლოდ ერთხელ ჩნდებიან - ამ თავში.

ვახშმობისას ავტორის მეგობარი ვერონიკა ყვებოდა, როგორ აშინებდა ყველაფერი, რასაც მამამისი აკეთებდა - განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მამამისი იმ დაწესებულებას ხელმძღვანელობდა, რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა თავის სახელს და თანაც ვერონიკას მამა დისერტაციაზე მუშაობდა, რომელსაც მისთვის სამეცნიერო წრეებში აღიარება უნდა მოეტანა.

- საერთოდ, თუ იცით, საიდან გაჩნდა სიტყვა „თავშესაფარი?“ - ჰკითხა ვერონიკამ პაულო კოელიოს, - შუა საუკუნეებში ყველას ჰქონდა უფლება, ეკლესიისა თუ წმინდა ადგილისათვის შეეფარებინა თავი. ყველა ცივილიზებულმა ადამიანმა იცის, რა არის თავშესაფრის უფლება! როგორ მოხდა, რომ მამაჩემი იმ დაწესებულების დირექტორია, რომელსაც „თავშესაფარი“ ჰქვია და ასე ექცევა ადამიანებს?

პაულო კოელიო ძალიან დაინტერესდა ვერონიკას ამბით და სთხოვა, უფრო დაწვრილებით მოეთხრო ყველაფერი.

დაინტერესების მიზეზი კი შემდეგი იყო: დიდი ხნის წინ პაულო კოელიოც მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ანუ „თავშესაფარში“, როგორც ხშირად უწოდებენ ხოლმე ამგვარ საავადმყოფოებს. რიო-დე-ჟანეიროში ექიმ ეირასის კლინიკაში სამჯერ დააწვინეს - სამოცდახუთ, სამოცდაექვს და სამოცდაშვიდ წლებში.

თუმცა კი პაულო კოელიოს დღემდე ვერ გაერკვია საავადმყოფოში გამომწვევების მიზეზი: იქნებ მშობლებს მისი უცნაური, ხან ზედმეტად შებოჭილი და ხან ზედმეტად თავისუფალი ქცევა აშფოთებდათ და იძულებულნი გახდნენ, უკიდურესი ზომებისათვის მიემართათ. ან იქნებ ყველაფერი მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ კოელიოს დიდი სურვილი ჰქონდა, „თავისუფალი ხელოვანი“ გამხდარიყო. ეს კი, მშობლების წარმოდგენით, თითქმის იმასვე ნიშნავდა, მათ შვილს მაწანწალობა დაეწყო და სიცოცხლე სადმე ღობის ძირში დაესრულებინა.

თავისი ცხოვრების ამ საკმაოდ ნაღვლიანი პერიოდის გახსენებისას, რაც არცთუ ისე ხშირად ხდებოდა ხოლმე, პაულო კოელიო სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ შემოიღო სწორედ ექიმი იყო, რომელმაც სრულიად დაუფიქრებლად, სინდისის ქენჯნის გარეშე გამოკეტა იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (თუმცა არც მშობლების პოზიცია იყო გაუგებარი. ასეთ შემთხვევებში ნებისმიერი ოჯახი ცდილობს, ბრალი ვინმე სხვას დააკისროს, რომ ოჯახის სახელი და ავტორიტეტი არ შეილახოს. ცხადია, მისი მშობლებიც კეთილშობილური მიზნებით ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რას სჩადიოდნენ).

პაულოს გაეცინა, როცა შეიტყო, რომ ვერონიკა თავის გამოსათხოვარ წერილში მთელ მსოფლიოს ადანაშაულებდა, რომ ევროპის ცენტრში გამოცემული სოლიდური ჟურნალის თანამშრომლებმაც კი არ იცოდნენ, სად მდებარეობდა სლოვენია.

- ასეთი რამ პირველად მესმის, ვერც კი წარმომედგინა, ამ მიზეზით თუ შეიძლებოდა, ვინმეს თვითმკვლელობა გადაეწყვიტა.

- ამიტომაც მის წერილს არავინ გამოხმაურებია, - ნაღვლიანად უპასუხა მისმა მეგობარმა ვერონიკამ, - თუმცა, არც არის გასაკვირი. გუშინ, სასტუმროში რეგისტრაციას რომ გავდიოდი, ჩათვალეს, რომ სლოვენია გერმანიის ერთ-ერთი ქალაქი იყო.

პაულოსაც არაერთხელ განუცდია ასეთი რამ. ხშირად უცხოელები ბუენოს-აირესის სილამაზეზე უწყებდნენ ლაპარაკს, რომ მისთვის ესიამოვნებინათ, და რატომღაც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ეს არგენტინის ქალაქი ბრაზილიის დედაქალაქი იყო. ვერონიკასთან საერთო ჰქონდა ისიც, რაც ადრე ვახსენეთ და რის გამეორებაც კიდევ გვინდა: ოდესღაც თვითონაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ჩაამწყვდიეს, „საიდანაც არ უნდა გამოეშვათ“, როგორც უთხრა ერთხელ პირველმა ცოლმა.

მაგრამ გამოვიდა.

და როცა უკანასკნელად მოდიოდა ექიმ ეირასის კლინიკიდან, მტკიცედ გადაწყვიტა, აღარასოდეს დაბრუნებულიყო საავადმყოფოში და თავს ორი პირობა მისცა: ა) ოდესმე აუცილებლად დაეწერა ამის შესახებ; ბ) მაგრამ ვიდრე მისი მშობლები ცოცხლები იყვნენ, ამ მტკივნეულ თემას არ შეხებოდა, რადგან ისინი წლების მანძილზე სინდისის ქენჯნას განიცდიდნენ და აღარ უნდოდა, ზედმეტად გული ეტკინა მათთვის.

დედამისი 1993 წელს გარდაიცვალა, მამა კი, რომელიც 1997 წელს 84 წლისა შესრულდა, ჯერ კიდევ ნათელი გონებითა და კარგი ჯანმრთელობით გამოირჩეოდა, ფილტვის ემფიზემის მიუხედავად (თუმცა კი სიგარეტს არასოდეს ეწეოდა). იგი მუდმივად ნახევარფაბრიკატებით იკვებებოდა, რადგან ექსცენტრიკულობის გამო ვერც ერთი შინამოსამსახურე ვერ უძლებდა.

ამგვარად, რესტორანში მოსმენილმა ამბავმა თავისთავად მოხსნა ეს აკრძალვა: ახლა შეეძლო, ამის შესახებ დაეწერა და ამით ფიცს არ დაარღვევდა. და თუმცა თავად პაულოს არასოდეს უფიქრია თვითმკვლელობაზე, კარგად იცოდა, რა ხდებოდა სულით ავადმყოფთა კლინიკებში: აუცილებელი, უფრო კი - ძალადობრივი სამკურნალო პროცედურები, პაციენტების შეურაცხყოფა, გულგრილობა და იმათი ნაღველისა და მიუსაფრობის შეგრძნება, ვინც ხვდებოდა, სად იმყოფებოდა.

ახლა კი, მკითხველის ნებართვით, ვთხოვთ პაულო კოელიოსა და მის მეგობარ ვერონიკას, სამუდამოდ დატოვონ ეს წიგნი და თხრობა განვაგრძოთ.

ვერონიკამ არ იცოდა, რამდენ ხანს იყო უგონოდ, მხოლოდ ის ახსოვდა, წუთით გონს მოსულმა, პირსა და ცხვირში ხელოვნური სუნთქვის აპარატის გაყრილი მილები რომ შეიგრძნო და სწორედ იმწამს ვიღაცამ ჰკითხა:

- გინდა, მასტურბაცია გაგიკეთო?

ახლა ფართოდ გახელილი თვალებით იყურებოდა აქეთ-იქით და ვერ გაერკვია, სინამდვილეში უთხრეს თუ უბრალოდ მოეჩვენა. ამ სიტყვების გარდა, აღარაფერი ახსოვდა, საერთოდ არაფერი.

ამჯერად მილები უკვე აღარ ეკეთა, მაგრამ მთელ სხეულზე წვეთოვანის ნემსები ჰქონდა ჩარჭობილი, თავთან და მკერდთან ელექტრომაჩვენებლების მილები მიეერთებინათ, ხელები კი შეეკრათ. ტიტველი იწვა და მხოლოდ ზეწარი ეფარა. მისთვის გამოყოფილი ფარდებით შემოფარგლული ადგილი სავსე იყო ინტენსიური თერაპიის აპარატურით, მისი საწოლის გვერდით კი, თეთრად შეღებილ რკინის სკამზე, ექთანი იჯდა და ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა.

ექთანს შავი თვალები და წაბლისფერი თმა ჰქონდა, მაგრამ ვერონიკამ მაინც არ იცოდა დანამდვილებით, ისევ ის ქალი იყო თუ არა, რომელიც რამდენიმე საათის თუ რამდენიმე დღის წინ ელაპარაკებოდა.

- ხელებს ხომ ვერ გამიხსნით?

ექთანმა შეხედა, არაო, უთხრა და კვლავ კითხვა განაგრძო.

„ცოცხალი ვარ, - გაიფიქრა ვერონიკამ, - ისევ ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყო. აქ, ალბათ, გაურკვეველი დროით მომიწევს დარჩენა, სანამ არ დავარწმუნებ, რომ ჰკუდიდან არ შევშლილვარ. მერე გამწერენ და ამ კედლებს მიღმა ისევ ლუბლიანა დამხვდება, ცენტრალური მოედანი, იგივე ხიდები და მოსეირნე თუ თავიანთ საქმეებზე მიმავალი ადამიანები.“

ადამიანებს მოსწონთ, უფრო კარგებად მოგაჩვენონ თავი, ვიდრე სინამდვილეში არიან, ამიტომაც, მოჩვენებითი თანაგრძნობით დამრთავენ ნებას, ისევ ვიმუშაო ბიბლიოთეკაში. დრო გავა და ისევ ვივლი იმავე ბარებსა და ღამის კლუბებში, მეგობრებთანაც იმავე თემებზე ვისაუბრებ - ირგვლივ გამეფებულ უსამართლობასა და ამქვეყნიურ პრობლემებზე; ვივლი კინოში, ტბის ნაპირას ვისეირნებ.

წამალი, მართლაც, მშვენიერი არჩევანი გამოდგა - უკანდასახევი გზა დამრჩა - არ დავსახიჩრებულვარ. ისევ ახალგაზრდა ვარ, ლამაზი, ჰკვიანი და, მაშასადამე, ძველებურად, უპრობლემოდ შევძლებ საყვარლის პოვნას. ისევ მის სახლში ან ტყეში მივეცემით სიყვარულს და დავტკბებით ერთმანეთით, მაგრამ ორგაზმის მიღწევისთანავე ისევ სიცარიელის ნაცნობი შეგრძნება დამეუფლება, თანდათან ამოგვეწურება სალაპარაკო და ხელსაყრელი მიზეზის ძებნას დავიწყებთ - „უკვე

გვიანია“, „ხვალ ადრე ვარ ასადგომი“, მერე კი გადავწყვეტთ, „მეგობრებად დავრჩეთ“, და, შეძლებისდაგვარად, თავიდან ავიცილებთ დამღლეულ და არაფრისმაქნის სცენებს.

ისევ დავბრუნდები მონასტრის იმ ოთახში, რაღაცას წავიკითხავ, ერთსა და იმავე გადაცემებს ვუყურებ ტელევიზორში, მაღვიძარას ისარსაც იმავე ციფრზე დავაყენებ, დილაობით სამსახურში წავალ, ბიბლიოთეკაში მექანიკურად შევასრულებ შეკვეთას. შუადღისას თეატრის მოპირდაპირე სკვერში გავისეირნებ, იმავე სკამზე დავჯდები და ბუტერბროდს შევჭამ, სხვა ადამიანთა შორის, რომლებიც ასევე თავიანთ ამორჩეულ სკამებზე ისხდებიან, თავიანთ ბუტერბროდებს მიირთმევენ და არაფრისმთქმელი თვალებით შემომხედავენ.

სადილის შემდეგ ისევ სამსახურში დავბრუნდები, იქაც ერთსა და იმავე ჭორებს ჩვეული მოთმინებით მოვისმენ - ვინ ვის ხვდება, ვის რა ადარდებს, ვისი ქმარია ნაძირალა - და გულში სიხარულსაც კი შევიგრძნობ, რომ განსაკუთრებული ვარ, განუმეორებელი, ლამაზი, მაქვს სამსახური და საყვარლები არასოდეს მომკლებია. სადილის შემდეგ ისევ ბარში შევალ და ყველაფერი თავიდან დაიწყება.

დედაჩემი, რომელსაც, ალბათ, ჩემი თვითმკვლელობის მცდელობა დაზაფრავს, მალე გამოვა შოკიდან და ისევ თავიდან დაიწყებს შეგონებებს: რატომ მაქვს ამხელა წარმოდგენა საკუთარ თავზე, რატომ არ შეიძლება, სხვებს ვგავდე, ბოლოს და ბოლოს, პატარა ხომ აღარა ვარ, დროა, მომავალზე ვიფიქრო, ცხოვრება ავიწყო, არც ისე ცუდადაა ყველაფერი, როგორც მგონია. „მე შემომხედე, ამდენი წელია, მამაშენის ცოლი ვარ, და არ ვწუწუნებ. იმიტომ, რომ ჩემთვის ყველაზე მთავარი ყოველთვის შენ იყავი, ყველაფერს ვაკეთებდი, რათა საუკეთესოდ აღმეზარდე, საუკეთესო განათლება მომეცა შენთვის და ყოველთვის შემძლებოდა, შენით მეამაყა“.

„ერთ მშვენიერ დღეს დავიღლები ამ გაუთავებელი ნოტაციებით და დედას რომ ვასიამოვნო, ვიღაცას გავყვები ცოლად, თავსაც დავირწმუნებ, თითქოს სიყვარულით ვთხოვდები. თავდაპირველად ოცნების კოშკებს ავაგებთ, ვილაპარაკებთ საკუთარ აგარაკზე, მომავალ ბავშვებსა და იმაზე, რა ბრწყინვალე მომავალს შევუქმნით მათ. პირველ წელს ხშირად ვიწვევით ერთად, მეორე წელს - უფრო იშვიათად, მერე კი სექსზე მხოლოდ კვირაში ორჯერ თუ ვიფიქრებთ და თვეში ერთხელ განვახორციელებთ. უფრო მეტიც, სალაპარაკო აღარაფერი გვექნება და შეშფოთებით ჩავეკითხები საკუთარ თავს - იქნებ ყველაფერი ჩემი ბრალია, იქნებ მე მჭირს რაღაც? ერთადერთი, რაზედაც შევძლებთ ლაპარაკს - მისი მეგობრები იქნებიან, თითქოს მათ გარეშე შეუძლებელი იყოს არსებობა.“

მერე კი, როცა ჩვენი ქორწინება ბეწვზე დაეკიდება, მე დავფეხმძიმდები, ბავშვი შეგვეძინება, ცოტა ხნით ისევ დავუახლოვდებით ერთმანეთს, შემდეგ თანდათან კვლავ ადრინდელი გაუცხოება დაგვიბრუნდება.

კატასტროფულად დავიწყებ გასუქებას, როგორც ამ ექთნის დეიდა, გუშინ ვისზეც მიყვებოდა, თუ გუშინწინ, რა მნიშვნელობა აქვს. მომატებულ წონასთან საბრძოლველად დიეტას დავიცავ, ყოველდღიურად უფრო და უფრო დავითრგუნები, რადგან ამაო იქნება ყოველი ცდა. მერე დეპრესიისაგან თავის დასაღწევად ახალ, თითქმის ჯადოსნურ წამლებს დავლევ და რომელიმე, იშვიათი ღამეული სექსის შემდეგ, ისევ დავფეხმძიმდები, ისევ გავაჩენ ბავშვს, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმის მტკიცებას მოვყვები, რომ ბავშვებისათვის ვარსებობ და ისინი აძლევენ აზრს ჩემს ცხოვრებას. თუმცა, თუ დავუფიქრდებით, სულაც პირიქითაა: სწორედ ჩემი ცხოვრება იქნება მათი ცხოვრების აზრი და მათი არსებობის მიზეზი.

ირგვლივ ყველა ბედნიერ წყვილად ჩაგვთვლის და ვერც კი მიხვდებიან, რომ ჩვენს ოჯახშიც, როგორც ყველა სხვა ოჯახში, მოგონილი ბედნიერების მიღმა იგივე ნაღველი, მოწყენილობა და უსაშველო მარტოობა იქნება გამეფებული.

მერე ის დროც დადგება, როცა მეტყვიან, რომ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავს. ალბათ, იმ ექთნის დეიდასავით ავკივლდები, ანდა უბრალო გამოსავალზე დავფიქრდები - თვითმკვლელობაზე. თუმცა იმ დროისათვის ასაკში ვიქნები შესული, გასუქებული და მოფლამული, შიში დამრევს ხელს, რადგან ორი ან სამი შვილი მეყოლება მისახედი, მათ ჩემი დახმარება დასჭირდებათ: აღზრდა, განათლება და ამ მზისქვეშეთში ადგილის დამკვიდრება. ცხადია, ამას თავს ვერასოდეს დავაღწევ და თვითმკვლელობაზე ფიქრის გადადება მომიწევს. ამიტომაც ისევ განვაგრძობ სიცოცხლეს, ოჯახში იქნება დაუსრულებელი ჩხუბი, ყველაფერში ერთმანეთის დადანაშაულება, დამინება - ვეტყვი, ბავშვებთან ერთად მიგატოვებ-მეთქი. ქმარი, როგორც ხდება ხოლმე, უკან დაიხვეს, დამარწმუნებს, რომ მხოლოდ მე ვუყვარვარ და ასეთი რამ აღარასოდეს განმეორდება, იმას კი ვერ მიხვდება, რომ, სინამდვილეში, მე არ მექნება არსად წასასვლელი, ერთადერთი გზა მშობლებთან დაბრუნება იქნება, სადაც უკვე სამუდამოდ, სიცოცხლის ბოლომდე მომიწევს დილიდან საღამომდე ნოტაციებისა და ვიშვიშის მოსმენა: რომ მე თვითონ ვარ დამნაშავე, თვითონ დავანგრეე ბედნიერი ოჯახი; რომ ჩემი ქმარი, მიუხედავად ათასი ნაკლისა, მაინც კარგი ადამიანი იყო. ცხადია, ბავშვებიც ჩვენი გაყრით გამოუსწორებელ სულიერ ტრავმას მიიღებენ.

ამიტომაც ვერსადაც ვერ წავალ და შინ დავრჩები. ორი თუ სამი წლის შემდეგ ჩემს ქმარს ახალი საყვარელი გამოუჩნდება. ამას ან თვითონ მივხვდები, ან სასწრაფოდ მაცნობებს რომელიმე კეთილისმყოფელი. მე კი, ცხადია, უკვე თვალს დავხუჭავ - წინა საყვარელთან ბრძოლაში იმდენი ძალა მექნება დახარჯული, რომ ვამჯობინებ, ცხოვრება ისეთი მივიღო, როგორიც არის, და თავს დავირწმუნებ, რომ დედაჩემი მართალი იყო, რადგან ცხოვრება არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც მინდა.

ქმარი ისევ ნელთბილად მომექცევა, მე ისევ ბიბლიოთეკაში ვიმუშავე, შუადღისას თეატრისწინა მოედანზე შევჭამ ჩემს ბუტერბროდს, წიგნებს უინტერესოდ

წავიკითხავ და შუა კითხვაში მივატოვებ, ტელევიზორს ვუყურებ, სადაც ზუსტად ისეთივე გადაცემები იქნება ათი, ოცი ან თხუთმეტი წლის შემდეგაც.

ოღონდ ბუტერბროდს უკვე დანაშაულის უცილობელი შეგრძნებით შევჭამ - ყოველი ზედმეტი ლუკმა გამასუქებს. ველარც ბარებში ვივლი, რადგან მეყოლება ქმარი, შვილები, რომელთაც დედის სითბო, ზრუნვა და მსხვერპლად გაღებული მთელი ჩემი დარჩენილი სიცოცხლე დასჭირდებათ.

მერე კი ჩემი ცხოვრების აზრი იმ დროის მოლოდინში ჩაიწრიტება, როცა შვილები გაიზრდებიან და გონებაში მოუშორებლად გამოიჯდება ფიქრი თვითმკვლელობაზე, თუმცა ეს ფიქრი უკვე ოცნებად იქცევა. ერთ მშვენიერ დღეს კი იმ დასკვნამდეც მივალ, რომ, არსებითად, ასეთია ცხოვრება, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და არასოდეს არაფერი იცვლება.

და ყველაფერს შევეგუები“.

შინაგანი მონოლოგი ამოიწურა და ვერონიკამ თავს შეჰფიცა, ვილეთედან ცოცხალი არ გასულიყო. აჯობებდა, ყველაფერი აქვე დაემთავრებინა, ვიდრე ჯერ კიდევ შერჩენოდა ძალა და გადაწყვეტილება - თავი მოეკლა.

დროდადრო ისევ ღრმა ძილში იძირებოდა და ყოველი მომდევნო გამოფხიზლებისას ხედავდა, როგორ ქრებოდა საწოლის გარშემო შემოჯარული აპარატურა, როგორ უთბებოდა სხეული, როგორ ეცვლებოდათ გამომეტყველება ექთნებს, თუმცა თითო ექთანს მაინც ყოველთვის იჯდა მის გვერდით. ფარდებს მიღმიდან ვილაცეების ქვითინი და კვნესა ისმოდა, ვილაცეების ხმები მშვიდად და მეთოდურად ამბობდნენ რაღაცას. დროდადრო სადღაც რაღაც აპარატი აზუზუნდებოდა, დერეფნიდან სწრაფი ნაბიჯების ხმა გაისმოდა. ასეთ დროს ადამიანთა ხმები სიმშვიდესა და მეთოდურობას კარგავდა, იძაბებოდა და სასწრაფო ბრძანებას იძლეოდა.

ერთ-ერთი გამოფხიზლებისას საწოლთან მჯდომმა მორიგე ექთანმა ჰკითხა:

- რამე ხომ არ გინდათ მკითხოთ თქვენი მდგომარეობის შესახებ?
- რა აზრი აქვს? ჩემი მდგომარეობა უთქვენოდაც კარგად ვიცი, - უპასუხა ვერონიკამ,
- მე ჩემი სულის მდგომარეობაზე მოგახსენებთ. თუმცა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ, მაინც ვერ მიხვდებით, რა ხდება ჩემს სულში.

ექთანს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერონიკამ თავი მოიმძინარა.

როცა ვერონიკამ ისევ გაახილა თვალი, დაინახა, რომ ფარდებით გამოყოფილ ტახტზე კი აღარ იწვა, არამედ რომელიღაც დიდ ოთახში, ალბათ, საავადმყოფოს პალატაში. ვენაში ისევ ნემსი ჰქონდა გარჭობილი, მაგრამ რეანიმაციის დანარჩენი ატრიბუტები გამქრალიყო.

საწოლთან ექიმი იდგა - მაღალი კაცი იყო, ტრადიციული თეთრი ხალათი შავად შეღებილი ულვაშისა და თმის ფონზე უფრო თეთრად უქათქათებდა. მის ზურგს უკნიდან ახალგაზრდა სტაჟიორ-ასისტენტი იხედებოდა, ხელში გადაშლილი ბლოკნოტი ეჭირა.

- დიდი ხანია, აქა ვარ? - იკითხა ვერონიკამ, სიტყვებს ძლივს უყრიდა თავს, ნელ-ნელა, ლამის დამარცვლით წარმოთქვამდა.

- ამ პალატაში - ორი კვირაა, მანამდე, ხუთი დღე რეანიმაციაში იწექით, - უპასუხა ექიმმა, - ისე, ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ აქ წევხართ.

ახალგაზრდა კაცს სახეზე უცნაურმა ჩრდილმა გადაუარა. ვერონიკა ვერ მიხვდა, გაოცებისა იყო თუ უხერხულობის, მაგრამ მაშინვე დაიძაბა: კიდეც რა უნდა მომხდარიყო? რა სატანჯველი ჰქონდა კიდეც გადასატანი? ახლა უკვე დაჟინებული აკვირდებოდა ამ ორის მოძრაობას, ინტონაციის ყველა ცვლილებას, რადგან კარგად იცოდა - კითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა, ექიმი სრულ სიმართლეს მაინც არ ეტყოდა, ამიტომ ისღა რჩებოდა, თვითონ გაერკვია, რა სჭირდა სინამდვილეში.

- თუ შეიძლება, თქვენი სახელი და გვარი გვითხარით, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა, მისამართი და საქმიანობა, - უთხრა ექიმმა.

დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა და საქმიანობა, მით უმეტეს, საკუთარი სახელი და გვარი მაშინვე უთხრა, მაგრამ შეშინებულმა, უცებ აღმოაჩინა, რომ მეხსიერებას რაღაც დამართნოდა - მისამართი ვერაფრით ვერ გაიხსენა.

ექიმმა თვალეში ნათურა ჩაანათა და ასისტენტთან ერთად დიდხანს რაღაცას აკვირდებოდა. შემდეგ ერთმანეთს გადახედეს.

- ლამის მორიგე ექთანს თქვენ უთხარით, რომ იმას მაინც ვერ მივხვდებოდით, რა ხდებოდა თქვენს სულში? - ჰკითხა ასისტენტმა.

ვერონიკამ ვერაფრით გაიხსენა ეს ამბავი. იმის გაცნობიერებაც კი უჭირდა, რა შეემთხვა და რატომ იყო აქ.

- ჯერ ისევ დამამშვიდებლების ზემოქმედებას განიცდით. ეს წამლები რეანიმაციის აუცილებელ დანიშნულებებში შედის, ამას კი შეიძლება, თქვენს მეხსიერებაზედაც ემოქმედა. მაგრამ გთხოვთ, სცადოთ და, შეძლებისდაგვარად, ზუსტი პასუხი გაგვცეთ ყველა კითხვაზე.

რიგრიგობით ეკითხებოდნენ რაღაც სისულელეებს. მაგალითად, რა ერქვა ლუბლიანის დიდ გაზეთს; რომელი პოეტის ძეგლი იდგა ცენტრალურ მოედანზე (ეს კი არასოდეს დაავიწყდებოდა: ნებისმიერი სლოვენელი გულში პრემერნს დიდი ადგილი ეკავა), რა ფერის თმა ჰქონდა დედას, რა ერქვათ მის თანამშრომლებს, უმეტესად რომელი წიგნები გააქვთ ხოლმე მკითხველებს ბიბლიოთეკიდან.

თავიდან ვერონიკას საერთოდ არ უნდოდა პასუხის გაცემა, იმდენად იყო გაბრუებული, მაგრამ თანდათან მეხსიერება უნათდებოდა და კითხვებსაც სულ უფრო დალაგებულად პასუხობდა. რაღაც მომენტში ისიც კი გაიფიქრა, რომ თუ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა - და, ალბათ, მართლაც ასე იყო, - გიჟები ხომ სულაც არ იყვნენ ვალდებულნი, დალაგებულად ეაზროვნათ. იქნებ სწორედ ექიმების დასარწმუნებლად, რომ გიჟი არ იყო, და იმისთვისაც, რომ უფრო მეტი გაეგო, რა სჭირდა, ვერონიკამ სრულიად პატიოსნად სცადა პასუხის გაცემა, მეხსიერებას ძაბავდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, ესა თუ ის ფაქტი, სახელი და ინფორმაცია გაეხსენებინა. და იმის კვალად, მივიწყების ბურუსიდან ნელ-ნელა როგორ ჩნდებოდა მისი ცხოვრების მონაკვეთები; თანდათან გაცოცხლდა ვერონიკას პიროვნებაც და მისი ინდივიდუალობა, გემოვნება, მსოფლალქმა, ცხოვრებისეული ხედვა და თვითმკვლელობის მცდელობაც, სულ ცოტა ხნის წინ ტრანკვილიზატორების რამდენიმე ფენის ქვეშ თითქმის სამუდამოდ რომ იყო დასამარებული, ისევ ამოტივტივდა მეხსიერების ზედაპირზე.

- კარგი, დღეისათვის საკმარისია, - უთხრა ბოლოს ექიმმა.

- აქ რამდენ ხანს მომიწევს ყოფნა?

ახალგაზრდა ასისტენტმა თვალი აარიდა და ვერონიკამ ლამის კანით შეიგრძნო, ანაზღად როგორ დამძიმდა ჰაერი, თითქოს ამ კითხვაზე პასუხით ახალი ფურცელი გადაიშლებოდა და ამ ფურცელზე ხელახლა, თანაც უკანმიუბრუნებლად გადაიწერებოდა მთელი მისი ცხოვრება.

- უთხარი, ნუ გერიდება, - თქვა ასაკოვანმა, - საავადმყოფოში უკვე ჭორები დადის, ასე რომ, მალე თვითონაც გაიგებს. ამ დაწესებულებაში ხომ ვერაფერს დამალავს კაცი.

- როგორ გითხრათ, თქვენს თავს თვითონ გამოუტანეთ განაჩენი, - ამოიოხრა ახალგაზრდამ, ეტყობოდა, გულდაგულ წონიდა სიტყვებს, - ახლა დადგა დრო, შეიტყოთ, რაც ჩაიდინეთ. დასაძინებელი წამლის დიდმა დოზამ კომაში ჩაგაგდოთ, ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა კი გულის მოქმედებას უქმნის საფრთხეს. თქვენ გულის პარკუჭის ნეკროზი გაქვთ...

- რას მიედ-მოედები, - გაუბრაზდა ასაკოვანი, - პირდაპირ უთხარი.

- ერთი სიტყვით, თქვენი გული ვეღარ გაუძლებს. მაშასადამე... სულ მალე ცემას შეწყვეტს, გაჩერდება.

- ეგ რას ნიშნავს? - შიშით ჰკითხა ვერონიკამ.

- მხოლოდ ერთს: ფიზიკურ სიკვდილს. არ ვიცი, რომელ რელიგიურ მრწამსს მიეკუთვნებით...

- რამდენი ხნის სიცოცხლე დამრჩა? - სიტყვა გააწყვეტინა ვერონიკამ.

- ხუთი დღე ან ერთი კვირა.

ექიმის თავდაჭერილობისა და მოჩვენებითი პროფესიული თანაგრძნობის მიღმა დაუფარავი კმაყოფილებაც გამოსჰვიოდა, თითქოს ამ სიტყვებით განაჩენი გამოჰქონდა - სრულიად დამსახურებული განაჩენი, რომ სხვებისთვისაც სამაგალითო გამხდარიყო.

თავისი ცხოვრების მანძილზე ვერონიკას არაერთხელ ჰქონია შემთხვევა, დარწმუნებულიყო, რომ ადამიანთა უმრავლესობა სხვათა უბედურებაზე ისე ლაპარაკობს, თითქოს მთელი გულით სურს დახმარება, სინამდვილეში კი, სხვისი ტანჯვის ფონზე ბედნიერებასა და კმაყოფილებასაც შეიგრძნობს. ვერონიკა ასეთ ადამიანებს ვერ იტანდა, ამიტომ არც ახლა აპირებდა ამ ახალგაზრდა კაცისთვის მიენიჭებინა სიამოვნება და ნება მიეცა, მის ხარჯზე თვითდამკვიდრებულიყო.

ვერონიკამ უტეხი მზერა მიაპყრო და გაიღიმა:

- მამასადამე, საწადელს მივაღწიე.

- დიახ, - გაისმა პასუხი.

მაგრამ ექიმის ასისტენტის თვითკმაყოფილებისა და საკუთარი თავით ტკბობისაგან კვალიც აღარ დარჩა.

* * *

ღამით შემზარავი შიში ეწვია. ვერონიკა ხომ სწრაფ სიკვდილს აპირებდა, ახლა კი მთელი კვირა მოუწევდა ლოდინი, თან უკვე საშინლად იყო გაწამებული იმით, რაც გადაიტანა.

მთელი სიცოცხლე ერთთავად რაღაცას ელოდა: სამსახურიდან მამის დაბრუნებას, უიმედოდ - სასიყვარულო წერილებს, გამოსაშვებ გამოცდებს, მატარებელს, ავტობუსს, ტელეფონის ზარს, შვებულების დასაწყისს, შვებულების დასასრულს. ახლა კი სიკვდილს უნდა დალოდებოდა, რომელთან შეხვედრაც უკვე დათქმული ჰქონდა.

„ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლებოდა, მომსვლოდა. საერთოდ, ადამიანები სწორედ იმ დროს იხოცებიან, როცა სიკვდილზე არც კი ფიქრობენ“.

აქედან უნდა გაეღწია. ისევ უნდა ეშოვა საწამლავი და თუ ვერ იშოვიდა, ერთადერთი გზა რჩებოდა - სახურავიდან გადმომხტარიყო, ახლა აღარც ამაზე დაიხვედა უკან. მშობლებსა და მათ სულიერ ტანჯვაზე ფიქრის დრო აღარ ჰქონდა, არჩევანი უნდა გაეკეთებინა. ვერონიკამ ბალიშიდან თავი წამოსწია და მიმოიხედა. ყველა საწოლზე ვიღაცა იწვა და ეძინა, საიდანღაც ხმამაღალი ხვრინვა ისმოდა. ფანჯრებზე გისოსები იყო მიმაგრებული. პალატის ბოლოში, გასასვლელთან, ღამის ნათურა ენთო, მთელ პალატას იდუმალი ჩრდილებით ავსებდა და პაციენტებზე თვალებს უზრუნველყოფდა. ღამის ნათურასთან თეთრხალათიანი ქალი წიგნს კითხულობდა.

„რა კულტურული ექთნები ჰყავთ. ყველა წიგნს კითხულობს“.

ვერონიკას საწოლი ოთახის შორეულ კუთხეში იდგა, იქიდან კითხვაში გართულ ექთანმდე ოცი საწოლი მაინც იყო ჩამწკრივებული. ლოგინიდან წამოსადგომად უამრავი ძალა დასჭირდა - თუკი ექიმს დაუჯერებდა, უკვე სამი კვირა იყო, რაც გაუნძრევლად იწვა.

ექთანმა წიგნს თავი ანება, ოთახს გახედა და დაინახა, წვეთოვანით ხელში როგორ უახლოვდებოდა ცოტა ხნის წინ რეანიმაციიდან გადმოყვანილი ავადმყოფი.

- ტუალეტში მინდა გასვლა, - ჩურჩულით უთხრა ვერონიკამ, რომ პალატის სხვა ბინადარნი არ გაეღვიძებინა.

ექთანმა გასასვლელისკენ გადაიქნა თავი. ვერონიკა იქით წალასლასდა, თან დაძაბული ფიქრობდა, როგორ გამძვრალიყო აქედან, როგორ დაეღწია თავი საავადმყოფოს კედლებისათვის.

„სასწრაფოდ უნდა გავიქცე, სანამ დარწმუნებულები არიან, რომ ძალიან სუსტად ვარ და ხელის განძრევასაც ვერ მოვახერხებ“.

დაძაბულად გულისყურით მოათვალიერა ოთახი. ტუალეტი იქვე იყო - სრულიად ვიწრო, უკარო კაბინა. პალატიდან გასასვლელად ერთადერთი გზა რჩებოდა - ექთანს დასტაკებოდა, გასაღები წაერთმია და გაქცეულიყო, მაგრამ ამისათვის ვერონიკას ჯერ ძალ-ღონე არ ეყოფოდა.

- ციხეში ვარ? - ჰკითხა ექთანს.

ღამის ექთანმა წიგნი გვერდზე გადადო და ვერონიკას დააკვირდა.

- არა, სულით ავადმყოფთა კლინიკაში.

- მე გიჟი არა ვარ.

ქალმა გაიცინა.

- რა თქმა უნდა. აქ ყველა ასე ამბობს.

- კარგი, დავუშვათ, გიჟი ვარ. ეს რას ნიშნავს?

ექთანმა არ უპასუხა, მხოლოდ ის უთხრა, ჯერ წამოდგომის უფლება არ გაქვთო, და სთხოვა, ლოგინში ჩაწოლილიყო.

- სიგიჟე რას ნიშნავს? - არ ეშვებოდა ვერონიკა.

- ამის შესახებ ხვალ ექიმს ჰკითხეთ. ახლა კი დაიძინეთ, თორემ დამამშვიდებლის გაკეთება მომიწევს.

ვერონიკა იძულებული გახდა, ექთანს დამორჩილებოდა, და ისევ უკან წალასლასდა. უკვე თავის საწოლთან იყო მისული, როცა ვიღაცის ჩურჩული შემოესმა:

- თქვენ რა, მართლა არ იცით, რა არის სიგიჟე?

ჯერ დააპირა, თავი ისე დაეჭირა, თითქოს ვერაფერიც ვერ გაიგო: ისღა აკლდა, ახლა საგიჟეთში გაეცნო ხალხი, აქაც თანამზრახველები და თანამებრძოლნი მოედებნა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ვერონიკას მხოლოდ ერთი საფიქრალი ჰქონდა: სიკვდილი. თუკი გაქცევას ვერ შეძლებდა, აქვე უნდა მოეხერხებინა თავის მოკვლა. და რაც უფრო სწრაფად გააკეთებდა ამას, მით უკეთესი იქნებოდა.

მაგრამ ქალის ნათქვამმა მაინც დააინტერესა, სწორედ იმას ეკითხებოდა, რაც თვითონ ჰკითხა ექთანს.

- თქვენ მართლა არ იცით, რას ნიშნავს სიგიჟე? - კითხვა გაუმეორა ქალმა.

- ვინ ხართ?

- მე ზედკა მქვია. ჯობია, საწოლისკენ წახვიდეთ, მორიგე არ უნდა შეგვნიშნოს, ცოტა ხნის შემდეგ კი შეუმჩნევლად მომიახლოვდით.

ვერონიკა ლოგინში ჩაწვა და დაელოდა, კითხვას როდის დაიწყებდა მორიგე. ნეტავ, მართლა რას ნიშნავს სიგიჟე? ამაზე მას საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა, რადგან ამ სიტყვას ყველა თავისებურად იყენებდა: მაგალითად, სპორტსმენებზე ამბობდნენ, რომ უაზრო რეკორდებისთვის მხოლოდ გიჟებს შეეძლოთ თავის მოკვლა; მხატვრებზე - რომ მხოლოდ შემლილებს შეეძლოთ, ასეთი აწეწილი ცხოვრება ჰქონოდათ და არაფრად ჩაეგდოთ საზოგადოებრივი აზრი. ზამთარში ლუბლიანის ქუჩებში არაერთხელ უნახავს ხალვათად ჩაცმული ადამიანები, რომლებიც სამყაროს აღსასრულის მოახლოებაზე ლაპარაკობდნენ და მუყაოთი და მონძებით დატვირთულ ურიკებს დაათრევდნენ.

ვერონიკას არ ეძინებოდა. ექიმის მტკიცებით, კვირაზე მეტხანს ეძინა - ეს კი ძალიან ბევრი იყო იმ ადამიანისათვის, ვინც დასვენების მკაცრ გრაფიკს იყო მიჩვეული.

რა არის სიგიჟე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას, ალბათ, მხოლოდ სულით ავადმყოფი შეძლებდა.

ვერონიკა საწოლიდან იატაკზე ჩასრიალდა, ჩაიკუზა, ვენიდან ნემსი გამოიძრო და ზედკას საწოლისკენ გაჩოჩდა, თან გულისრევის შეგრძნებას ებრძოდა - ეს ან ნეკროზის შედეგი უნდა ყოფილიყო, ან იმ დამაბულობისა, ჩაცუცქული სიარულისას რომ სჭირდებოდა.

- მე მართლა არ ვიცი, რას ნიშნავს სიგიჟე, - ჩაიჩურჩულა ვერონიკამ, - გიჟი არა ვარ. უბრალოდ, თავის მოკვლა მინდოდა და არ გამომივიდა.

- შეშლილი ის არის, ვინც თავის განსაკუთრებულ სამყაროში ცხოვრობს, როგორც, მაგალითად, შიზოფრენიით დაავადებულები, ფსიქოპათები, მანიაკები. ესე იგი, ისინი, ვინც ნაღდად განსხვავდებიან სხვებისგან.

- როგორც, მაგალითად, თქვენ?

- ჰო, მართლა, - ზედკამ კითხვაზე არ უპასუხა და განაგრძო: - ალბათ, გსმენიათ აინშტაინზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ დრო და სივრცე არ არსებობს, არის მხოლოდ მათი ერთიანობა; ან კოლუმბზე, რომელმაც დაიჟინა, რომ ოკეანის მეორე მხარეს ქვესკნელი კი არა, კონტინენტი მდებარეობდა; ან ედმონდ ჰილარიზე, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ადამიანს ევერესტზე ასვლა შეეძლო; ან „ბითლზებზე“, სულ სხვა მუსიკა რომ შექმნეს და სხვა ეპოქის ადამიანებივით იცვამდნენ. ყველა ეს ადამიანი და ათასობით მათი მსგავსიც, განსაკუთრებულ, მხოლოდ მათთვის გასაგებ სამყაროში ცხოვრობდნენ.

„ეს გიჟი ჭკვიანურად ლაპარაკობს“, - გაიფიქრა ვერონიკამ და დედის მონათხრობი ამბები გაახსენდა წმინდანებზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ იესოს ან ღვთისმშობელს ელაპარაკებოდნენ. ისინიც ხომ სხვა სამყაროში ცხოვრობდნენ?

- ერთხელ, აქ, ლუბლიანაში, ვიღაც ქალი ვნახე. გაყინული თვალები ჰქონდა, ხუთ გრადუს ყინვაში დეკოლტეანი წითელი კაბა ეცვა. ჯერ მთვრალი მეგონა და მინდოდა, დავხმარებოდი, მაგრამ ქურთუკზე უარი მითხრა. ვინ იცის, იქნებ მის სამყაროში ზაფხული იდგა და საყვარელი ადამიანის ცეცხლით ჰქონდა გული სავსე. რა მოხდა მერე, თუ მისი საყვარელი კაცი მისივე წარმოსახვის ნაყოფი იყო მხოლოდ. განა იმ ქალს არ ჰქონდა უფლება, ისე ეცხოვრა და მომკვდარიყო, როგორც უნდოდა?

ვერონიკამ პასუხი ვერ მოძებნა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ეს გიჟი ქალი გონივრულად ლაპარაკობდა. ვინ იცის, იქნებ მისი თანამოსაუბრე იყო სწორედ ის ქალი, ნახევრად შიმველი რომ მიაბიჯებდა ლუბლიანის ქუჩაში?

- გინდათ, ერთ იგავს მოგიყვებით, - უთხრა ზედკამ, - ერთ ბოროტ ჯადოქარს სახელმწიფოს დაღუპვა ჰქონდა გადაწყვეტილი და ნაკადულში, საიდანაც მთელი ქალაქი წყალს სვამდა, ჯადოსნური ბაღახის ნახარში ჩაასხა. საკმარისი იყო, ვინმეს ერთი ყლუპი დაეღია, მაშინვე ჭკუიდან შეიშლებოდა.

დილით ყველამ დალია ეს წყალი და ყველა ერთიანად შეიშალა. მეფეს კი თავისი ოჯახისათვის საკუთარი ჭა ჰქონდა და ის ჭა ისეთ ადგილზე მდებარეობდა, სადაც ჯადოქარი ვერ მიაგნებდა. შემფოთებულმა მეფემ სცადა, წესრიგისაკენ მოეწოდებინა ქვეშევრდომთათვის, მთელი რიგი ბრძანებებიც გამოსცა, უშიშროებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მაგრამ პოლიციელებსა და ინსპექტორებსაც მოწამლული წყალი ჰქონდათ დალეული, ამიტომ მეფის ბრძანებები სულელურად ჩათვალეს და გადაწყვიტეს, არ შეესრულებინათ.

ქვეყნის მკვიდრნიც, როცა მეფის ბრძანებების შესახებ შეიტყვეს, სასახლესთან შეგროვდნენ და მეფის გადადგომა მოითხოვეს.

გამწარებულმა მეფემ გადადგომა დააპირა, მაგრამ დედოფალმა შეაჩერა და უთხრა: „მოდით, იმ ნაკადულთან მივიდეთ, ჩვენც ის წყალი დავლიოთ და ჩვენს ქვეშევრდომებს დავემსგავსოთ“.

ასეც მოიქცნენ. მეფე-დედოფალმა სიგიჟის ნაკადულიდან წყალი შესვა და ისინიც ჭკუიდან შეიშალნენ. ამის შემდეგ აღარც ქვეშევრდომები ითხოვდნენ მეფის გადადგომას, მათ ისევ ბრძენი მეფე ჰყავდათ და რატომღა უნდა გადაეყენებინათ?

ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა, მიუხედავად იმისა, რომ იმ ქვეყნის მოქალაქეები სულ სხვანაირად იქცეოდნენ, ვიდრე მათი მეზობლები. და მეფეც სიცოცხლის ბოლომდე მართავდა ქვეყანას.

ვერონიკას გაეცინა.

- სულაც არ ჰგავხართ შეშლილს, - უთხრა ზედკას.

- და მაინც გიჟი ვარ. თუმცა, ჩემი განკურნება შეიძლება. უბრალო დაავადება მაქვს - ჩემს ორგანიზმს ერთი ქიმიური ნივთიერება აკლია. საკმარისია, ის შემივსონ, და მოვრჩები. მაგრამ იმედი მაქვს, ეს ნივთიერება მხოლოდ ჩემი ქრონიკული დეპრესიის პრობლემას გადაჭრის. თქვენ წარმოიდგინეთ, სულაც არ მინდა განკურნება, მინდა, გიჟი ვიყო, ისე ვიცხოვრო, როგორც ვოცნებობ, და არა ისე, როგორც სხვებს უნდათ. იცით, რა არის იქ, ვილეთეს კედლებს მიღმა?

- იქ არიან ადამიანები, რომლებმაც ერთი ჭიდან დალიეს წყალი.

- მართალს ამბობთ, - უპასუხა ზედკამ, - მათ ჰგონიათ, რომ ნორმალურები არიან, რადგან ყველა ერთნაირად იქცევა. მეც ისე დავიჭერ თავს, თითქოს ის წყალი მაქვს დალეული.

- მთელი ჩემი უბედურებაც ის არის, რომ უკვე დიდი ხანია, მაგ წყალს ვსვამ. მე არასოდეს მქონია დეპრესია, დიდი სიხარული, ან ნაღველი, ჩვეულებრივად ვცხოვრობდი და ჩვეულებრივი პრობლემები მქონდა, როგორც სხვებს.

ზედკამ არაფერი უპასუხა, ერთხანს ჩუმად იყო.

- თქვენზე ამბობენ, მალე მოკვდებაო.

ვერონიკა წამით შეეყოყმანდა: ეს ქალი სულ ახლახან გაიცნო, შეეძლო კი, ნდობოდა? თუმცა, სხვა გზა მაინც არ ჰქონდა.

- ხუთი თუ ექვსი დღე დამრჩა. ახლა იმაზე ვფიქრობ, როგორ მოვახერხო თავის მოკვლა. ვინმე რომ დამხმარებოდა და წამლები ეშოვა ჩემთვის, დარწმუნებული ვარ, ამჯერად უკვე გული ვეღარ გაუძლებდა. გეხვეწებით, სცადეთ, გამიგოთ, რა საშინელებაა სიკვდილის მოლოდინი, და თუ შეგიძლიათ, დამეხმარეთ.

ზედკამ პასუხის გაცემა ვეღარ მოასწრო, უცებ ექთანი მიუახლოვდა შპრიცით ხელში.

- ნემსი მე გაგიკეთოთ თუ სანიტარს დავუძახო?

- ნუ შეეკამათებით, - ურჩია ზედკამ ვერონიკას, - ძალები დაზოგეთ, თუ იმის მიღება გინდათ, რაც მოხოვეთ.

ვერონიკა ფეხზე წამოდგა, საწოლში ჩაწვა და ექთანს მინებდა.

* * *

ეს მისი პირველი ნორმალური დღე იყო ვილეთეში, თავისებური პირველი გასვლა „მაღალ საზოგადოებაში“ - შეშლილებში. პალატიდან ვერონიკა ფართო სასადილოსკენ წავიდა, სადაც ორივე განყოფილების ავადმყოფები იყრიდნენ თავს: ქალები და კაცები. ყავა აიღო და მიმოიხედა. კინოში ნანახი ფსიქიატრიული საავადმყოფოებისაგან განსხვავებით, სადაც ჩხუბს, ყვირილს, ძლიერ ჟესტიკულაციასა და პაციენტების გამოხდომებს უჩვენებენ, აქ ყველაფერი სიჩუმისა და ყალბი სიმშვიდის ატმოსფეროში იყო ჩადირული. ყოველი ავადმყოფი საკუთარ თავში, საკუთარ შინაგან სამყაროში იყო ჩაკეტილი, სადაც სხვებისათვის შესვლა იკრძალებოდა.

საკმაოდ გემრიელი საუზმის შემდეგ (ვილეთეზე გავრცელებული ჭორების მიუხედავად, არასოდეს უთქვამთ, რომ იქ ცუდი კვება იყო), ავადმყოფებს „სუფთა ჰაერზე მზის აბაზანები“ უნდა მიეღოთ. დღეს მზე არ ჩანდა და საგრძნობლადაც ციოდა, მაგრამ სანიტრების ზედამხედველობით ავადმყოფები მაინც გავიდნენ დათოვლილ ეზოში.

- მე აქ სიცოცხლის შესანარჩუნებლად კი არა, სიცოცხლესთან გამოსათხოვებლად ვარ, - უთხრა ვერონიკამ ერთ-ერთ სანიტარს.

- მაინც ვალდებული ხართ, გარეთ გახვიდეთ და მზის აბაზანები მიიღოთ.

- ჩვენ შორის რომელია ახლა გიჟი? სად ხედავთ მზეს?!

- დღის სინათლეს კარგად მოქმედებს ავადმყოფებზე. სამწუხაროდ, ჩვენთან გრძელი ზამთარი იცის, ასე რომ არ იყოს, სამუშაოც ნაკლები გვექნებოდა.

კამათს აზრი არ ჰქონდა. ვერონიკა ეზოში გავიდა და კედელს გაუყვა, იქნებ იქ მაინც ეპოვა გასაძრომი. ბალი მაღალი, ყაზარმისათვის ჩვეული კედლით იყო გარშემორტყმული, ოღონდ კოშკურებზე მეთვალყურეები არ იდგნენ. ოდნავ მოშორებით, ძველი, სამხედრო წყობის შენობებიც მოჩანდა, სადაც ახლა მამაკაცთა და ქალთა პალატები, ადმინისტრაციული, საპროცედურო და საორდინატორო განყოფილებები იყო განლაგებული.

ერთი თვალის შევლებითაც შეიმჩნეოდა, რომ მხოლოდ ცენტრალურ შესასვლელს იცავდნენ. იქ ორი დარაჯი იდგა და ნებისმიერ გამვლელს საბუთებს უსინჯავდა.

ტრანკვილიზატორებით გაბრუებული გონება თანდათან ეწმინდებოდა. საკუთარი თავის შესამოწმებლად ათასგვარი წვრილმანის გახსენება დაიწყო: სად დატოვა თავისი ოთახის გასაღები, რომელი დისკი იყიდა ცოტა ხნის წინ, უკანასკნელად რომელი წიგნის შეკვეთა მიიღო ბიბლიოთეკაში.

- მე ზედკა ვარ, - უცებ მოესმა ხმა. წუხანდელი ლაპარაკის დროს ვერონიკა საწოლთან იყო ჩაცუცქული და თავს მაღლა ვერ სწევდა. ის, ვინც ზედკად გაეცნო, გარეგნულად ოცდათხუთმეტიოდე წლის სრულიად ნორმალურ ქალს ჰგავდა.

- იმედი მაქვს, ნემსმა ძალიან არ გაგაბრუათ. საერთოდ, დროთა განმავლობაში, ორგანიზმი ეჩვევა წამალს და დამამშვიდებელი აღარ მოქმედებს.

- ცუდად არა ვარ.

- გახსოვთ გუშინდელი საუბარი? გახსოვთ, რა მთხოვეთ?

- რა თქმა უნდა.

ზედკამ ხელი გაუყარა და მოტიტვლებულ ხეივანში სასეირნოდ გაიყოლა. მაღალი კედლის მიღმა ღრუბლებშემოჯარული მთები მოჩანდა.

- ცივა, მაგრამ მშვენიერი დილაა, - უთხრა ზედკამ, - უცნაურია, რომ სწორედ ასეთ მოქუფრულ, ცივ დღეებში არა მაქვს ხოლმე დეპრესიის შეტევები. ცუდი ამინდი თითქოს სულს მიმშვიდებს. მაგრამ როგორც კი მზე გამოანათებს, ქუჩაში ბავშვები დაიწყებენ თამაშს, ყველას ახარებს კარგი ამინდი, მაშინვე საშინლად ვგრძნობ თავს. აუტანელი უსამართლობაა: ირგვლივ ბუნება ზეიმობს, ჩემი ადგილი კი იქ არ არის.

ვერონიკამ ფრთხილად გაითავისუფლა ხელი. მას ყოველთვის აღიზიანებდა ფამილარობა და ინსტინქტურად გაურბოდა თავსმოხვეულ ფიზიკურ კონტაქტებს.

- მგონი, მთავარ საკითხს გადავუხვიეთ. ლაპარაკი იმით დავიწყეთ, რაც გუშინ გთხოვეთ.

- ჰო, მართლა. პანსიონატში პაციენტების ერთი განსაკუთრებული ჯგუფი არსებობს. ამ ადამიანებს რა ხანია, შეუძლიათ აქედან წასვლა და სახლებში დაბრუნება, მაგრამ აქ დარჩენას ამჯობინებენ. ისე, თუ დავფიქრდებით, ამას თავისი მიზეზიც აქვს. ვილეტე არც ისე ცუდი ადგილია, როგორც ამბობენ, თუმცა, ცხადია, არც სასტუმროს ლუქსია. სამაგიეროდ, აქ ყველას შეუძლია, ის ილაპარაკოს, რაც მოეპრიანება, და აკეთოს ის, რაც სურს, თან სხვების განაწყენებას ან კრიტიკასაც არავინ არაფრად დაგიდევს - ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ საგიჟეთია. მაგრამ როცა ინსპექტორები მოდიან ოფიციალურ შემოწმებებზე, ამ ჯგუფის წევრები მართლა სულით ავადმყოფებივით იქცევიან - მათ მკურნალობას ხომ სახელმწიფო აფინანსებს. ამ სიმულაციის შესახებ ექიმებმაც იციან, მაგრამ, ალბათ, მაინც ამ საავადმყოფოს მფლობელთა საიდუმლო ბრძანება არსებობს, რადგან მფლობელები იმით არიან დაინტერესებულნი, რომ მეტი პაციენტი ჰყავდეთ. მათი მიზანია, კლინიკა არ დაცარიელდეს - ყოველ პაციენტს შემოსავალი მოაქვს.

- იმათ შეუძლიათ, წამალი მიშოვონ?

- ეცადეთ, მათთან კონტაქტი დაამყაროთ, სხვათა შორის, თავის ჯგუფს ისინი „საძმოს“ უწოდებენ.

ზედკამ ერთ ქერათმიან ქალზე მიუთითა, რომელიც ვიღაც ახალგაზრდა ქალს მხიარულად ესაუბრებოდა.

- იმ ქალს მარი ჰქვია და საძმოს წევრია. იმას ჰკითხეთ.

ვერონიკამ ქალისკენ დააპირა წასვლა, მაგრამ ზედკამ შეაჩერა.

- ნუ ჩქარობთ. ახლა ერთობა და უცხო ადამიანის დასახმარებლად სიამოვნებას არ მოიკლებს. პირველი შეხვედრისთანავე თუ აგითვალწუნათ, მასთან მიახლოებას ვერ შეძლებთ. გიჟები პირველ შთაბეჭდილებას ენდობიან.

სიტყვა „გიჟები“ იმდენად უცნაური ინტონაციით იყო წარმოთქმული, რომ ვერონიკას გაეცინა, მაგრამ გაუცნობიერებელი შემფოთებაც იგრძნო - ზედმეტად ნორმალური, თითქმის სიცოცხლის მოყვარული გარემო იყო ირგვლივ. მისი ცხოვრება მრავალი წლის მანძილზე ერთი და იმავე მარშრუტით მიედინებოდა: სამსახურიდან ბარში, ბარიდან - საყვარლის ლოგინში, საყვარლისაგან - შინ, მონასტრის ოთახში, მონასტრიდან - მშობლების სახლში, დედის ფრთის ქვეშ. და ახლა, ანაზღადა, ისეთ რაღაცას შეეჯახა, კომმარულ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა. თავშესაფარი, ფსიქიატრების ზედამხედველობა, სანიტრები...

სადაც ადამიანებს არ რცხვენიათ, აღიარონ, რომ შეშლილები არიან.

სადაც სიამოვნებას არავინ იკლებს იმისათვის, რომ სხვას დაეხმაროს.

იმანაც დააეჭვა, ზედკა ხომ არ დამცინისო, თუმცა, ვინ იცის, იქნებ შეშლილთათვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო - საკუთარი თავი სხვებზე მაღლა დაეყენებინათ და ნებისმიერ სიტუაციაში ხაზი გაესვათ, რომ რჩეულნი იყვნენ, იმ სამყაროსთან წილნაყარი რჩეულნი, რომელშიც შეშლილთა თავისუფლება სუფევს. მეორე მხრივ კი, რა მნიშვნელობა ჰქონდა, დასცინოდნენ თუ არა? მას ხომ ყოვლად უცნაური და იშვიათი ხვედრი ერგო წილად. იქ აღმოჩნდა, სადაც ამჯობინებდნენ, გიჟად მოეჩვენებინათ თავი, ოღონდ კი ის ეკეთებინათ, რაც მოესურვებოდათ, და სრული თავისუფლება შეეგრძნოთ.

ამის გაფიქრებისთანავე გული თითქოს სადღაც მიელია. იმავე წამს გაახსენდა ექიმის სიტყვები და სულ ცოტა ხნის წინანდელმა აუტანელმა შიშმა გაუთანგა სხეული.

- უნდა გავისეირნო, - უთხრა ზედკას, - მარტო მინდა დარჩენა, - ბოლოს და ბოლოს, ვერონიკაც ხომ შეშლილი იყო და, მაშასადამე, შეეძლო, ანგარიში არ გაეწია სხვებისთვის.

ზედკამ ხმის ამოუღებლად დაუქნია თავი და გასცილდა, ვერონიკამ კი, თავისდა გასაოცრად, ვილეტეს კედელს მიღმა ღრუბლებით შემოზღურულ მთებს ვეღარ მოსწყვიტა თვალი. მოულოდნელად რაღაც გაურკვეველი, სიცოცხლის წყურვილისმაგვარი შეგრძნება დაეუფლა, მაგრამ მაშინვე მოიშორა ფიქრი.

„სასწრაფოდ უნდა ვიშოვო წამალი“.

სცადა, კიდევ ერთხელ გაეანალიზებინა ის სიტუაცია, რომელშიც აღმოჩნდა, მაგრამ დასამშვიდებელი ვერაფერი აღმოაჩინა. ნება რომც დაერთოთ, ყველაფერი ეკეთებინა, რაც გიჟებისთვის იყო დასაშვები, მაინც არ ეცოდინებოდა, საიდან დაეწყო.

დღემდე გიჟური არასოდეს არაფერი გაეკეთებინა.

სეირნობის შემდეგ ბაღიდან ყველა სასადილოში დაბრუნდა, სადილის შემდეგ კი, ისევ სანიტრების თანხლებით, მაგიდებით, სკამებითა და სავარძლებით სავსე უზარმაზარ ჰოლში გავიდნენ. აქ პიანინო და ტელევიზორიც იდგა. დარბაზის უზარმაზარ ფანჯრებს მიღმა ჩამოქუფრული, რუხი ღრუბლები მიცურავდა. ფანჯრები ბაღში გადიოდა, ამიტომაც გისოსები არ ჰქონდა. ბაღში გამავალი კარი დაკეტილი იყო. გარეთ ყინავდა, მაგრამ ისევ ეზოში სასეირნოდ გასასვლელად მხოლოდ სახელურის გადატრიალება იყო საკმარისი.

პაციენტების უმრავლესობა ტელევიზორს უყურებდა, ზოგი გაქვავებული მისჩერებოდა ერთ წერტილს; ზოგი თავის თავს ელაპარაკებოდა, მაგრამ ასეთი რამ ვის არ დამართნია, რა მოხდა მერე? ვერონიკამ შენიშნა, რომ ქალებს შორის ყველაზე

უფროსი, მარი, ახლა დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში დიდ ჯგუფთან ერთად იჯდა. იქვე, შორიახლოს, რამდენიმე პაციენტი დასეირნობდა და ვერონიკაც მათ შეუერთდა - ძალიან უნდოდა, გაეგო, რაზე ლაპარაკობდნენ.

სცადა, სახეზე გულგრილი გამომეტყველება აღებეჭდა, მაგრამ როგორც კი ჯგუფს მიუახლოვდა, მარის თანამოსაუბრეებმა საუბარი შეწყვიტეს და ყველა ერთდროულად ვერონიკას მიაჩერდა.

- რა გნებავთ? - ჰკითხა ერთმა ასაკოვანმა კაცმა, რომელიც, ალბათ, ამ სამშოს ლიდერი უნდა ყოფილიყო (თუკი ასეთი სამშო მართლა არსებობდა და ზედკა იმაზე შემოიღო არ იყო, ვიდრე ჩანდა).

- არა, არაფერი, უბრალოდ ვსეირნობ.

ყველამ ერთმანეთს გადახედა, უცნაურად დაიმანჭნენ და თავი ააქიცინეს. ვიღაცამ გამოაჯავრა კიდეც და დამცინავად გადაულაპარაკა მეორეს: „უბრალოდ სეირნობს!“ იმ მეორემ უფრო ხმამაღლა გაიმეორა და წუთის შემდეგ უკვე ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ისე გაჰყვიროდნენ: „უბრალოდ სეირნობს! უბრალოდ! უბრალოდ სეირნობს!“

გაოგნებული, შიშით გათანგული ვერონიკა ადგილზე გახევდა. ერთ-ერთი სანიტარი - დაკუნთული, პირქუში ახმახი, - მიუახლოვდა და სცადა, გაერკვია, რა ხდებოდა.

- არაფერი, - უპასუხა ერთ-ერთმა, - ეს ქალიშვილი, უბრალოდ, სეირნობს. ხედავთ, გახევებული დგას, სინამდვილეში კი - სეირნობს!

ყველა ერთხმად ახარხარდა. ვერონიკამ ცერად გაიღიმა, სცადა, დამოუკიდებელი გამომეტყველება მიეღო, შებრუნდა და ჯგუფს სწრაფად გასცილდა, რომ ვერავის დაენახა, როგორ აევსო თვალები ცრემლებით. ქურთუკი აღარც გახსენებია, პირდაპირ დათოვლილ ბაღში გავიდა. ვიღაც სანიტარი დაედევნა, სცადა, უკან მიებრუნებინა, მაგრამ დარბაზიდან მეორე სანიტარიც გამოჰყვა, პირველს რაღაც უჩურჩულა და ორივე შენობაში შებრუნდა, მარტო დატოვეს ყინვაში.

ან კი რა საჭირო იყო იმ ადამიანის ჯანმრთელობაზე ეზრუნათ, ვისაც რამდენიმე დღის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი?

ვერონიკა გრძნობდა, როგორ იყო საკუთარ თავზე განრისხებული და გაბოროტებული. ასეთ სულელურ მდგომარეობაში არასოდეს ყოფილა. მუდამ გაურბოდა პროვოკაციებს, ბავშვობიდან ისწავლა სიმშვიდის შენარჩუნება და აუღელვებლად ელოდა ხოლმე გარემოებათა შეცვლას. ამ ჭკუანაკლულებმა კი როგორღაც მოახერხეს, წონასწორობა დაეკარგვინებინათ, თავიანთ საზიზღარ თამაშში ჩაებათ და იმ მდგომარეობამდე მიყვანათ, რომ სირცხვილით, შიშითა და მრისხანებით ეცახცახა. მზად იყო, სათითაოდ შუაზე გაეგლიჯა, გაენადგურებინა და

ისეთი უწმაწური სიტყვები მიეხალა, რომელთა წარმოსათქმელადაც ენა ვერასოდეს მოუბრუნდებოდა.

ალბათ, მკურნალობამ და წამლებმა, რომლებსაც კომადან მის გამოსაყვანად იყენებდნენ, მთლიანად დაუჩლუნგა ნება და სუსტ არსებად აქცია, იმ არსებად, თავის დაცვის უნარი რომ აღარ შესწევს. ჯერ კიდევ ბავშვობაში უფრო მძიმე სიტუაციებიდან ღირსეულად დაუღწევია თავი, ახლა კი ცრემლების შეკავებაც ვეღარ შეძლო. როგორ დაიმცირა თავი. რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა მოეხერხებინა და თავის თავს დაჰბრუნებოდა, ძველებურად ირონიული დაცინვით გაენადგურებინა ნებისმიერი მოძალადე, საკუთარი ძალა შეეგრძნო და რწმენა დაებრუნებინა, რომ მათზე უკეთესი იყო და მათზე მაღლა იდგა. რომელს შეეძლო, გაეხედა იმდენი, რამდენიც მან გახედა და სიკვდილისთვის გამოწვევა ესროლა? რა უფლება ჰქონდათ, თავხედურად ესწავლებინათ მისთვის რამე, როცა თვითონ ფსიქიატრიულში იყვნენ გამომწყვდეულები? არა, ახლა სიკვდილი ერჩივნა ვინმესთვის დახმარების თხოვნას, ჯობდა, მთელი კვირა უდრტვინველად დალოდებოდა აღსასრულს.

ერთი დღე უკვე გავიდა. სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი დღე დარჩა.

ვერონიკა ბილიკს მიუყვებოდა, გრძნობდა, თანდათან როგორ აფხიზლებდა სიცივე, ძვალ-რბილში ატანდა, ძარღვებში ნელ-ნელა უწყნარდებოდა სისხლი და გულიც ისე ძალუმად აღარ უცემდა.

„რა სირცხვილია: აქ ვარ, ვილეტეში, საათები მაქვს დათვლილი, მე კი ვიღაც იდიოტების ნათქვამი მაღელვებს, რომლებიც დღეს პირველად ვნახე და სულ მალე ვეღარასოდეს ვნახავ. მაგრამ მაინც ვლიზიანდები, წონასწორობას ვკარგავ, იმის სურვილი მიჩნდება, მეც ვუპასუხო, შევებრძოლო, თავი დავიცვა. და უძვირფასეს დროს ვკარგავ ამ სისულელეებზე!“

მართლაც, განა ღირს, ბრძოლაში დახარჯო ძალა და ადგილი დაიმკვიდრო ამ უცხო, მტრულ გარემოში, სადაც თუკი სხვისი წესებით ცხოვრება არ გასურს, გაიძულებენ, წინააღმდეგობა გაუწიო?

„დაუჯერებელია. მე ხომ ასეთი არასოდეს ვყოფილვარ და არასოდეს დავხარჯულვარ სისულელეებზე“.

ვერონიკა უცებ გახევდა ერთ ადგილზე, ამ გაყინული ბადის შუაგულში. იქნებ იმიტომაც, რომ მთელი სიცოცხლე ყველაფერი წვრილმანებად ეჩვენებოდა, ბოლოს და ბოლოს, მოიმკო კიდევ ის ნაყოფი, რაც ამ დაწვრილმანებულმა ცხოვრებამ მოუტანა. სიყმაწვილეში ერთთავად ეჩვენებოდა, რომ არჩევანის გაკეთება მისთვის ჯერ ნაადრევი იყო. ახლა კი, ასაკის მომატებასთან ერთად, მიხვდა - ვეღარაფერს ვეღარ შეცვლიდა.

სინამდვილეში არც კი იცოდა, აქამდე რაში ხარჯავდა ძალას. მუდამ ცდილობდა, ყველაფერი ჩვეული რიტმით გაგრძელებულიყო. მრავალი სურვილი გაიღო მსხვერპლად, რომ მშობლებს ისე ჰყვარებოდათ, როგორც ბავშვობაში უყვარდათ, თუმცა კი იცოდა, რომ დროთა განმავლობაში ჭეშმარიტი სიყვარული იცვლებოდა, იზრდებოდა და თვითგამოვლენის ახალ გზებს აგნებდა. ერთხელ, როცა დედამ ქვითინით შესჩივლა, რომ ოჯახი ენგრეოდა, ვერონიკამ მამა მოძებნა - ტიროდა, ემუქრებოდა და ბოლოს შეიპირა, რომ სახლიდან არასოდეს წავიდოდა, თუმცა მამინ, ცხადია, ვერც კი ხვდებოდა, რის ფასად დაუჯდებოდათ მის მშობლებს ამ პირობის შესრულება.

სამუშაოს რომ ეძებდა, სლოვენის დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ლუბლიანაში დაარსებული კომპანიის მიმზიდველ წინადადებაზე თქვა უარი და საჯარო ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა, სადაც მცირე, მაგრამ გარანტირებული ხელფასი ექნებოდა. ყოველდღე ერთი და იმავე გრაფიკით მიდიოდა სამსახურში, უფროსობასთან მეგობრობდა და, შეძლებისდაგვარად, დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებდა. მას ასე ერჩივნა. ბრძოლა არც კი უცდია, არც კარიერაზე უოცნებია, ერთადერთი რამ სურდა: ყოველი თვის ბოლოს რეგულარულად მიეღო თავისი ხელფასი.

ოთახი მონასტერში იქირავა, რადგან მონაზვნები მდგმურებისაგან დადგენილ საათზე შინ დაბრუნებას ითხოვდნენ - შემდეგ კარი იკეტებოდა, დაგვიანებულებს შენობაში აღარ უშვებდნენ. ამდენად, ყოველთვის ჰქონდა თავის გასამართლებელი მიზეზი, როცა საყვარელთან ერთად სასტუმროში ან უცხო ლოგინში არ უნდოდა ღამის გათევა.

იშვიათად თუ დაფიქრდებოდა გათხოვებაზე და ოცნებით პატარა ვილას წარმოიდგენდა ლუბლიანის გარეუბანში, მშვიდ ცხოვრებას ვინმესთან ერთად, ვისაც, მამამისისაგან განსხვავებით, მაღალი ხელფასი ექნებოდა, ოჯახის რჩენას შეძლებდა და იმითაც კი იქნებოდა კმაყოფილი, თუ ანთებულ ბუხართან ერთად დასხდებოდნენ და დათოვლილი მთების ცქერით დატკბებოდნენ.

ვერონიკა მიეჩვია, მამაკაცებისათვის მკაცრად განსაზღვრული სიამოვნება მიენიჭებინა - არც მეტი არც ნაკლები, მხოლოდ ზუსტად იმდენი, რამდენიც საჭირო იყო. ის არავის უბრაზდებოდა, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რაღაც რეაქცია ჰქონოდა, იმათ შებრძოლებოდა, ვინც აწყენინა, მერე კი, ვინ იცის, შეიძლებოდა, შურისძიებისმაგვარ შედეგსაც გადაჰყროდა.

და როცა თავის ცხოვრებაში ყველაფერი გაამარტივა და თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად დააღაგა, უცებ მიხვდა, რომ ასეთ ცხოვრებას, სადაც ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავდა, უბრალოდ, აზრი აღარ ჰქონდა.

და ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა.

ვერონიკა დარბაზში შებრუნდა, კარი მიხურა და იმ ცალკე მსხდარი ჯგუფისაკენ გაემართა. ისინი ისევ მხიარულად საუბრობდნენ, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრეს, დამაბული სიჩუმე ჩამოწვა.

ვერონიკა მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა იმ ასაკოვან კაცს, ჯგუფის ლიდერად რომ ითვლებოდა, და სხვებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს, ისე გააწნა სახეში სილა.

- მოგეწონათ? - ხმამაღლა, ჰოლში მყოფთა გასაგონად ჰკითხა ვერონიკამ, - იქნებ, ხურდაც დამიბრუნოთ?

- არა, - კაცმა სახეზე ჩამოისვა ხელი და ცხვირიდან წვრილად ჩამოწანწკარებული სისხლი შეიწმინდა, - მაინც დიდი ხანი აღარ დაგრჩენიათ ჩვენს შესაწუხებლად.

ვერონიკა შებრუნდა და გამარჯვებულის იერით გაემართა პალატისაკენ. თავის სიცოცხლეში ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებია.

ამ ინციდენტიდან სამი დღე გავიდა. ვერონიკა ნანობდა, სილა რომ გააწნა იმ კაცს. იმიტომ კი არა, რომ მისგან სამაგიეროს გადახდას ელოდა, არამედ იმიტომ, რომ მისთვის უჩვეულო რაღაც ჩაიდინა. ასე თუ განაგრძობდა, იმ დასკვნამდეც შეძლებოდა მისვლა, რომ სიცოცხლე ღირდა, ეს კი ახალ, უაზრო ტკივილებს მოუტანდა, რადგან სულ მალე - უნდოდა ეს თუ არა, - მაინც მოუწევდა ამ ქვეყნის მიტოვება.

ახლა ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა - თავის თავში ჩაკეტილიყო და მთელ სამყაროს გარიდებოდა, რათა როგორმე მოეხერხებინა, შინაგანად ძველ ვერონიკად დარჩენილიყო, გარეგნულად კი ვილეთეს რეჟიმსა და განაწესს დამორჩილებოდა. ვერონიკა მალე შეეგუა სამკურნალო დაწესებულების ჩვეულ რიტმს: დილით ადრინად დგებოდა, საუზმობდა, ბაღში სეირნობდა, სადილობდა, ჰოლში უსაქმოდ დაეხეტებოდა, მერე ისევ სეირნობდა, ვახშმობდა, საათს ან საათ-ნახევარს ტელევიზორს უყურებდა და იძინებდა.

ძილის წინ ექთანს წამლები შემოჰქონდა. პალატაში ყველას აბებს ურიგებდნენ, ვერონიკას კი ნემსს უკეთებდნენ. ჩხვლეტას უდრტვინველად იტანდა, მხოლოდ ერთხელ იკითხა, რაში სჭირდებოდა ამდენი დამამშვიდებელი, თუკი ისედაც მშვენივრად იძინებდა. და მაშინ გაარკვია, რომ დასამშვიდებელს კი არა, გულის მოქმედების გასაუმჯობესებელ წამალს უკეთებდნენ.

ერთი სიტყვით, ვერონიკა საავადმყოფოს ყოველდღიურობამ ჩაითრია, როცა დღეები ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს. და რაკი ჰგავს, სწრაფადაც გადის: სულ ორი თუ სამი დღე რჩებოდა და კბილების ხეხვა და თმის ვარცხნა აღარ დასჭირდებოდა. თანდათან ხვდებოდა, რომ მართლაც ვერ იყო კარგად: სულ უფრო ხშირად ეწყებოდა ქოშინი, გულის ტკივილსაც გრძნობდა, მადა დაეკარგა, ოდნავი გადაღლისთანავე თავბრუსხვევა ეწყებოდა.

სამმოსთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ხანდახან თავის თავს ეკითხებოდა:

„არჩევანი რომ მქონოდა და ადრევე მივმხვდარიყავი, ჩემი დღეები ერთფეროვანი მხოლოდ იმიტომ იყო, რომ თავად ვისურვე ასეთი ცხოვრება, მაშინ... იქნებ მაშინ...“

მაგრამ პასუხი მაინც უცვლელი რჩებოდა: არავითარი „მაშინ“ არ არსებობდა, რადგან არ არსებობდა არჩევანი. და ისევ შინაგანი სიმშვიდე უბრუნდებოდა. ყველაფერი წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

ბოლო დღეებში ზედკას დაუმეგობრდა - თუმცა ასეთ ურთიერთობას ძნელად თუ უწოდებდი მეგობრობას, რადგან მეგობრობისთვის გარკვეული დრო იყო საჭირო, შექმნილ სიტუაციაში კი სწორედ დრო არ ჰყოფნიდა. უბრალოდ, ერთად თამაშობდნენ ბანქოს - დროის გასაყვანად გამოცდილი საშუალებაა, - და ხანდახან ხმის ამოუღებლად დასეირნობდნენ ბაღში.

იმ საღამოს, საუზმის შემდეგ, წესისამებრ, ბაღში უნდა გასულიყვნენ „მზის აბაზანების“ მისაღებად, მაგრამ ზედკასთან სანიტარი მივიდა და შეახსენა, რომ პროცედურები ჰქონდა დანიშნული და პალატაში უნდა დაბრუნებულიყო.

ვერონიკა ზედკასთან ერთად საუზმობდა, მის სმენასაც მისწვდა ეს ლაპარაკი და ზედკას ჰკითხა:

- რა პროცედურებია?

- სამოციანი წლებიდან შემორჩენილი ძველი მეთოდია, მაგრამ ექიმებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცედურამ შეიძლება, ჩემი გამოჯანმრთელება დააჩქაროს. გინდა, ნახო?

- შენ ხომ თქვი, რომ დეპრესია გაქვს. არ შეიძლება წამლები სვა და ის ნივთიერება აღიდგინო, რომელიც გაკლია?

- გინდა, ნახო?

„ეს ისევ ცდუნებაა, - გაიფიქრა ვერონიკამ, - სულაც არ მჭირდება რაღაც ახლის გაგება. ახლა ერთადერთი, რაც უნდა შევძლო, მოთმინებაა“. თუმცა, ცნობისმოყვარეობამ გადასძლია და, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია.

- ხომ იცით, რომ ეს სპექტაკლი არ არის? - წინააღმდეგობის გაწევა სცადა სანიტარმა.

- რა მნიშვნელობა აქვს, მაინც მალე მოკვდება. ნება მიეცით, გამოგვყვეს.

* * *

და გაღიმებული ზედკა ვერონიკას თვალწინ საწოლზე მიაბეს.

- აუხსენით, რა ხდება, - სთხოვა ზედკამ ექთანს, - თორემ შეეშინდება.

ექთანი ვერონიკასკენ შებრუნდა და ინიექციისთვის გამზადებული შპრიცი დაანახა. ეტყობოდა, ესამოვნა, ექიმივით რომ ექცეოდნენ, რომელიც სტაჟიორებს უხსნის, რა უნდა გააკეთონ და როგორი პროცედურები ჩაატარონ.

- შპრიცში ინსულინის გარკვეული დოზაა, - საკუთარი ღირსების შეგრძნებით წარმოთქვა მან, - ამ წამალს დიაბეტით დაავადებულთათვის იყენებენ სისხლში შაქრის შემცველობის შესამცირებლად, მაგრამ თუ დოზას ჩვეულებრივზე ოდნავ გავზრდით, წამალი შაქრის დონის სწრაფ დაცემას და კომის მდგომარეობას გამოვიწვევთ.

ექთანმა შპრიციდან ჰაერი გამოტუმბა და ზედკას მარჯვენა ფეხზე, ვენაში დაარქო ნემსი.

- ახლაც ზუსტად ეს მოხდება. ავადმყოფი ხელოვნურ კომაში ჩავარდება. ოღონდ ნუ შეგეშინდებათ, თუ წამლის ზემოქმედებით თვალები გაუფართოვდება და ველარ გიცნობთ.

- ეს ხომ მხეცობაა. ადამიანები იმისთვის იბრძვიან, რომ კომიდან გამოვიდნენ, და არა იმისათვის, რომ კომაში ჩაცვივდნენ.

- ადამიანები იმისთვის იბრძვიან, რომ იცოცხლონ, და არა იმისათვის, რომ თვითმკვლელობით დაასრულონ სიცოცხლე, - უპასუხა ექთანმა, - შოკური მდგომარეობა ორგანიზმს დასვენების საშუალებას აძლევს. მას ფუნქციები უნელდება და დროებით ეხსნება ყველა წინააღმდეგობა.

ექთანს ნელა შეჰყავდა ვენაში წამალი და ზედკასაც თანდათანობით ეყინებოდა თვალები.

- დამშვიდდით, - ეუბნება ვერონიკა, - ყველაფერი წესრიგშია. ის ამბავი მეფეზე, თქვენ რომ მომიყევით...

- ტყუილად ელაპარაკებით, უკვე აღარაფერი ესმის.

საწოლზე იწვა ქალი, რომელიც წუთის წინ საღად აზროვნებდა და სიცოცხლით იყო სავსე, ახლა კი მისი თვალები ერთ წერტილს მიჰყინვოდა და პირიდან დუჟი გადმოსდიოდა.

- ეს რა ჩაიდინე?! - იყვირა ვერონიკამ.

- მე მხოლოდ ჩემს სამუშაოს ვასრულებ.

ვერონიკა ზედკას ეძახდა, ყვიროდა, ექთანს პოლიციით, გაზეთებითა და ადამიანის უფლებებით აშინებდა.

- დამშვიდდით. სულით ავადმყოფთა თავშესაფარში კი ხართ, მაგრამ მაინც გირჩევთ, საზღვრებს ნუ გადახვალთ.

ვერონიკა მიხვდა, რომ ექთანი არ ხუმრობდა, და შეშინდა. თუმცა, დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა, და ყვირილი მაინც განაგრძო.

* * *

იქიდან, სადაც ახლა იმყოფებოდა, ზედკას მთელი პალატის დანახვა შეეძლო. საწოლებზე არავინ იწვა, ერთზე კი თვითონ იყო ღვედებით მიბმული. საწოლის თავით ქალიშვილი იდგა და თავზარდაცემული დასცქეროდა.

ვერონიკა ვერ ხვდებოდა, რომ გახევებული ქალის ბიოლოგიური ფუნქციები სიცოცხლეს განაგრძობდა, დამშვიდებული სული კი ჰაერში ლივლივებდა, ლამის ჭერს შეხლოდა.

ზედკა უკვე მიჩვეული იყო იმას, რასაც ასტრალური მოგზაურობა ერქვა, მაგრამ თავიდან, როცა პირველად გაუკეთეს ინსულინი, მართლა გაოცდა. მაშინ ექიმისთვის არაფერი უთქვამს, ვილეთეში ხომ იმიტომაც იყო, რომ დეპრესიისაგან განეკურნათ, მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე კი თავშესაფრის დატოვებას აპირებდა. ვინმესთვის რომ მოეთხრო თავისი არასხეულებრივი მოგზაურობის ამბავი, იფიქრებდნენ, რომ უფრო შემლილი იყო, ვიდრე საავადმყოფოში მოყვანამდე ეგონათ. ასტრალური მოგზაურობის შემდეგ საკუთარ სხეულში დაბრუნებულმა, სცადა, ინსულინით გამოწვეული ხილვების შესახებ ლიტერატურა მოეძებნა და სივრცეში ფრენის ამ უცნაურ შეგრძნებაზეც ყველაფერი წაიკითხა, რის მოძებნაც შეეძლო.

თავად პროცედურის შესახებ მხოლოდ ის შეიტყო, რომ პირველად ეს მეთოდი, დაახლოებით, 1930 წელს გამოიყენეს, მაგრამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მისი გამოყენება მკაცრად იკრძალებოდა, რადგან შეიძლებოდა, გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა პაციენტებისათვის. ერთ-ერთი შოკური სეანსის დროს ზედკას ასტრალური სხეული ექიმ იგორის კაბინეტში აღმოჩნდა და ექიმისა და თავშესაფრის ერთ-ერთი მეპატრონის საუბარს შეესწრო.

„ეს ხომ დანაშაულია!“ - ამბობდა ექიმი.

„მაგრამ იაფია და სწრაფი! - უპასუხა მეპატრონემ, - ამას გარდა, ვის აინტერესებს გიჟების უფლებები? არავინ გიჩივლებთ“.

და მაინც, ზოგიერთი ექიმი ამტკიცებდა, რომ ეს მეთოდი ყველაზე ეფექტური იყო დეპრესიის სამკურნალოდ. ზედკამ თითქმის ყველაფერი წაიკითხა ინსულინით

გამოწვეული შოკის შესახებ და, უპირველესად, იმ პაციენტების მონათხრობით დაინტერესდა, ვისთვისაც უკვე ჩაეტარებინათ ასეთი მკურნალობა. ყველა მონათხრობი ერთმანეთს ჰგავდა - მხოლოდ საშინელებებს ხედავდნენ და არც ერთს არ ჰქონდა განცდილი ის, რასაც ზედკა შეიგრძნობდა.

ის იმ სრულიად ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა, რომ არავითარი კავშირი არ არსებობდა ინსულინსა და სხეულიდან ცნობიერების გასვლას შორის. პირიქით, ამგვარი პროცედურები სწორედ იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ პაციენტის გონებრივი შესაძლებლობები შეესუსტებინათ.

ის სულის არსებობის საკითხითაც დაინტერესდა, რამდენიმე წიგნი წაიკითხა ოკულტიზმზე და ერთხელ სრულიად შემთხვევით მიაგნო ლიტერატურას, სადაც სწორედ ის იყო აღწერილი, რასაც თვითონ განიცდიდა: ამას სხეულის გარეშე მოგზაურობა ან ასტრალური მოგზაურობა ერქვა, და, როგორც აღმოჩნდა, მრავალ სხვა ადამიანსაც განეცადა მსგავსი რამ. ზოგიერთები უბრალოდ ყვებოდნენ თავიანთ შეგრძნებებზე, სხვებს ამ მდგომარეობის მისაღწევად მეთოდურობაც კი ჰქონდათ შემუშავებული. ზედკამ უკვე ზეპირად იცოდა ყველა ეს გზა და ყოველდამე ახერხებდა იქ აღმოჩენილიყო, სადაც ისურვებდა.

შეგრძნებები და ხილვები სხვადასხვაგვარი იყო, მაგრამ ერთი რამ ჰქონდათ საერთო: უცნაური, გამაღიზიანებელი ხმაური, რომელიც სხეულისა და სულის გაყრას უსწრებდა წინ, ამ ხმაურს ბიძგი მოსდევდა, შემდეგ - ცნობიერების ხანმოკლე დაკარგვა, და ანაზღად ჰაერში ფრენით გამოწვეული სიხარულისა და სიმშვიდის შეგრძნება გეუფლებოდა, როცა ვერცხლისფერ ძაფზე ეკიდა სიფრიფანა სხეული, იმ ძაფზე, უსასრულოდ რომ შეიძლებოდა გაწელილიყო, თუმცა კი ზოგიერთი ავტორი იმასაც ამტკიცებდა (ცხადია, თეორიულად), რომ ვერცხლისფერი ძაფის გაწყვეტისთანავე ადამიანი კვდებოდა.

მაგრამ ზედკამ გამოცდილებით იცოდა, რომ მას უსასრულოდ შორს შეეძლო გაფრენა და ძაფი არასოდეს უწყდებოდა. წიგნებმა, მართლაც, მშვენიერი დახმარება გაუწია, იქიდან ისწავლა, როგორ ემართა საკუთარი თავი ასტრალური მოგზაურობების დროს. მაგალითად, წიგნებიდან შეიტყო, რომ ერთი ადგილიდან მეორეში გადასანაცვლებლად გონებაში მხოლოდ სასურველი ადგილის პროეცირება იყო საჭირო.

თვითმფრინავით მოგზაურობისგან განსხვავებით, ასტრალური მოგზაურობა იდუმალი გვირაბების გავლით ხდებოდა. საკუთარ წარმოსახვაში გარკვეული ადგილის წარმოდგენით, აუწერელი სისწრაფით შედიოდა ამგვარ გვირაბში და იქ აღმოჩნდებოდა, საითაც ისწრაფვოდა.

წიგნების წყალობით ამ სივრცეში მცხოვრები არსებების მიმართაც გაუქრა შიში. დღეს პალატაში არავინ იყო, მაგრამ როცა პირველად გავიდა საკუთარი სხეულიდან, უცებ

შენიშნა, რომ უამრავი ხალხი უცქეროდა, რომლებიც ღიმილს ვერ მალავდნენ მისი გაოცებული სახის შემხედვარე.

თავდაპირველად ეგონა, გარდაცვლილთა სულებს ხვდებოდა, იმ აჩრდილებს, რომლებიც საავადმყოფოში ცხოვრობდნენ. შემდეგ, წიგნებისა და საკუთარი გამოცდილების წყალობით, მიხვდა, რომ თუმცა იმ ადგილებში მართლაც არსებობდნენ ვიღაცის გარდასხეულებული სულები, მაგრამ მათ შორის მაინც მრავლად იყვნენ ისეთივე ცოცხალი ადამიანების სულები, როგორიც თვითონ იყო - იმ ადამიანების, ვისაც ან ნასწავლი ჰქონდა საკუთარი სხეულიდან გასვლის ტექნიკა, ანდა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ემართებოდა, უბრალოდ, სამყაროს რომელიღაც წერტილში თვითონ ღრმა ძილით ეძინათ, ამასობაში კი მათი სულები თავისუფლად დაფრინავდნენ.

დღეს უკანასკნელად შეეძლო ინსულინის დახმარებით ემოგზაურა, რადგან სულ ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა ექიმ იგორის კაბინეტში და იქ შეიტყო, რომ მის გაწერას აპირებდნენ. ამიტომ ვილეტეში გასეირნება ამჯობინა. აქედან წასული უკან აღარასოდეს მობრუნდებოდა, სულის სახითაც კი, და გამოთხოვება უნდოდა.

გამოთხოვება. ეს იყო ყველაზე ძნელი: თავშესაფარში აღმოჩენილი ადამიანი შეშლილთა სამყაროში არსებულ თავისუფლებას ეჩვეოდა და ნებივრდებოდა. მას აღარ სჭირდებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, აღარც ლუკმაპურისთვის ბრძოლა, არც იმ საკითხებზე ზრუნვა, ერთთავად რომ მეორდება ჩვენს ცხოვრებაში და თავს აბეზრებს ადამიანს. მათ შეეძლოთ, საათობით ეცქირათ სურათისათვის ან ყოვლად უაზრო ნახატები ეხატათ. ასეთ გამოვლინებებს ვილეტეში მშვიდად აღიქვამდნენ, რადგან სულით ავადმყოფთა ასეთი საქმიანობა უწყინარ მოვლენად ითვლებოდა.

ამაში თვითონაც შეეძლო, დარწმუნებულიყო. ავადმყოფთა მდგომარეობა კლინიკაში მოხვედრისთანავე საგრძნობლად უმჯობესდებოდა. აქ ხომ აღარ სჭირდებოდათ თავიანთი სიმპტომების დამალვა, ხოლო „ოჯახური“ ატმოსფერო საკუთარი ნევროზებისა და ფსიქოზების აღიარებას უწყობდა ხელს.

თავიდან ვილეტემ აღაფრთოვანა ზედკა და უკვე იმასაც ფიქრობდა, გამოჯანმრთელების შემდეგ სამმოს შეერთებოდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ თუ გონიერებას გამოიჩენდა, თავშესაფრიდან გასვლის შემდეგაც შეეძლო, ცხოვრებისეული სიმძიმეების მიუხედავად, ის ეკეთებინა, რასაც მოისურვებდა. როგორც ვიღაცამ თქვა, მხოლოდ „კონტროლირებადი შეშლილობის“ შენარჩუნება იყო აუცილებელი. ყველა დანარჩენი ნორმალური არსებებივით უნდა გეტირა, გენერვიულა, გაღიზიანებულიყავი - ამასთან, არ უნდა დაგვიწყებოდა, რომ იქ, მაღლა, შენი სული სიცილით იგუდებოდა ამა ქვეყნის ამოებათა შემხედვარე.

სულ მალე ის შინ, ბავშვებთან და ქმართან დაბრუნდება. იქაურ ცხოვრებასაც აქვს თავისი ხიზლი. ცხადია, სამსახურის შოვნა გაუჭირდება, ლუბლიანის მსგავს პატარა

ქალაქებში ხომ ჭორები სწრაფად ვრცელდება და უკვე ბევრს ეცოდინება, რომ ზედკა ვილეთში მკურნალობდა. მაგრამ ქმარს საკმაოდ დიდი ხელფასი აქვს, ოჯახს არაფერს მოაკლებს, თვითონ კი შეუძლია, თავისუფალი დრო იმისათვის გამოიყენოს, რომ ინსულინის საშიში ზემოქმედების გარეშე განაგრძოს ასტრალური მოგზაურობები.

ამქვეყნად მხოლოდ ერთი რამ არსებობდა, რის გამეორებასაც თავისი სიცოცხლის მანძილზე აღარასოდეს ისურვებდა, - ის, რამაც ვილეთმდე მოიყვანა.

დეპრესია.

ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი, რაც ადამიანის სულიერ აშლილობას განაპირობებდა, სულ ცოტა ხნის წინ აღმოჩენილი ნივთიერება იყო - სეროტონინი. სწორედ სეროტონინის უკმარისობა იწვევდა სამუშაოზე კონცენტრირების, ძილის, ჭამისა და სიცოცხლის სასიამოვნო წუთებით ტკბობის უნარის დაკარგვას. ორგანიზმში ამ ნივთიერების არარსებობის შედეგად ადამიანს უიმედობა, პესიმიზმი, საკუთარი არარაობის შეგრძნება, უკიდურესი დაქანცულობა, მტანჯველი შემფოთება, გადაწყვეტილების მიღების უუნარობა იპყრობდა, შემდეგ უსაშველო ნაღველი ეძალებოდა, რომელსაც სრულ აპათიამდე ან თვითმკვლელობამდე მიჰყავდა.

დანარჩენი, უფრო კონსერვატიული ექიმები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის ცხოვრებაში დეპრესიას ისეთი მკვეთრი ცვლილებები იწვევდა, როგორიც იყო სხვა ქვეყანაში გადასახლება, ძვირფასი ადამიანის დაკარგვა, განქორწინება, სამსახურში ზედმეტი გადატვირთვა ან ოჯახური უსიამოვნებები. ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარი კი, რომლებიც დისპანსერებში ავადმყოფთა შემოსვლას წელიწადის დროების მიხედვით აკვირდებოდნენ, დეპრესიის ერთ-ერთ მიზეზად მზის სინათლის ნაკლებობას ასახელებდნენ.

ზედკას დეპრესიას სულ სხვა მიზეზი ჰქონდა: მის წარსულში ჩამალული კაცი. ან, უკეთ რომ ვთქვათ, ფანტაზია, რომელშიც თვითონვე გაახვია ის ადამიანი, მრავალი წლის წინ რომ გაიცნო.

ყველაფერი ისეთი სისულელე იყო! დეპრესიაში ჩავარდნა და ჭკუიდან შეშლა იმ კაცის გამო, ვისი საცხოვრებელი ადგილიც კი არ იცოდა; იმ კაცის გამო, ვინც ახალგაზრდობაში სიგიჟემდე შეუყვარდა. მისი ასაკის ნორმალური გოგონების მსგავსად, ზედკასაც ძალიან უნდოდა, აუხდენილი სიყვარული განეცადა.

ოღონდ, მეგობრებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ოცნებობდნენ აუხდენელ სიყვარულზე, ზედკა ოცნებას არ დასჯერდა: ამ სიყვარულის შეგრძნება რეალურად მოისურვა.

მისი შეყვარებული ოკეანის გაღმა ცხოვრობდა და ზედკამ ყველაფერი გაყიდა, რომ თვითმფრინავის ბილეთი შეეძინა და მას შეხვედროდა. იმ კაცს ცოლი ჰყავდა. ზედკა საყვარლობაზე დათანხმდა, თუმცა გულისგულში მაინც იმედოვნებდა, რომ ოდესმე მისი ცოლი გახდებოდა. კაცს საკუთარი თავისთვისაც არ ჰყოფნიდა დრო და ზედკა უდრტვინველად იტანდა იაფფასიან სასტუმროში გატარებულ დღეებსა და ღამეებს და მოთმინებით ელოდა მის იშვიათ ტელეფონის ზარს.

და თუმცა სიყვარულის გამო ნებისმიერი დამცირება შეეძლო აეტანა, ყველაფერი მაინც ცუდად დამთავრდა. კაცს მისთვის არაფერი უთქვამს, უბრალოდ, ერთხელაც ზედკა მიხვდა, რომ უკვე აღარ იყო სასურველი, და სლოვენიაში დაბრუნდა.

რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის არაფერს ჰამდა, შეყვარებულთან გატარებულ დროს იხსენებდა, წარმოსახვით უბრუნდებოდა ერთად ყოფნის წუთებს, ერთად განცდილ სიხარულს თუ ლოგინში ერთობლივ ნეტარებას და იმას ცდილობდა, სულ უმნიშვნელო ნიშანი მაინც გაეხსენებინა, მათი ურთიერთობის გაგრძელების იმედს რომ ჩაუსახავდა. მეგობრები თანაუგრძნობდნენ და ყოველდღე ურეკავდნენ. მაგრამ მაშინ გულის სიღრმეში რაღაც კარნახობდა, რომ ყველაფერი გაივლიდა; რომ, ალბათ, ზრდასრულობის მისაღწევად შესაბამისი ხარკი უნდა გაეღო. ამიტომ ამ ხარკის გაღება უდრტვინველად გადაწყვიტა.

ასეც მოხდა: ერთ დილას ზედკამ ცხოვრების წყურვილის უზარმაზარი შეგრძნებით გაიღვიძა, ხარბად დააცხრა საუზმეს და სამუშაოს სამებნელად წავიდა.

და იშოვა კიდევ. არა მხოლოდ სამუშაო, არამედ სიმპათიური და ჰკვიანი ახალგაზრდა კაცის ყურადღებაც მიიპყრო, რომლის მოხიბვლასაც მანამდე მრავალი ქალი ცდილობდა. ერთი წლის შემდეგ ზედკა იმ კაცს ცოლად გაჰყვა.

მეგობრები აღტაცებულნი იყვნენ და შურითაც სკდებოდნენ. ზედკა და მისი ქმარი ლუბლიანაზე გამავალი მდინარის ნაპირას ერთ მყუდრო, ეზოიან სახლში დასახლდნენ, ბავშვები შეეძინათ, ზაფხულობით ავსტრიაში და იტალიაში მიემგზავრებოდნენ დასასვენებლად.

როცა სლოვენია იუგოსლავიისაგან გამოყოფა დააპირა, ქმარი ჯარში გაიწვიეს. ზედკა სერბი იყო, მაშასადამე - მტერი, და მის უშფოთველ ცხოვრებას საფრთხე დაემუქრა. მომდევნო ათი დღის მანძილზე დამაბულობა გრძელდებოდა, ჯარი მუდმივად საომარ მზადყოფნაში იყო, ზუსტად არავინ იცოდა, რა შედეგი მოჰყვებოდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას ან რამდენი სისხლი დაიღვრებოდა მის შესანარჩუნებლად. სწორედ მაშინ მიხვდა ზედკა, როგორ უყვარდა ქმარი. იმ დღეებში თავდავიწყებით ლოცულობდა, დახმარებას ევედრებოდა ღმერთს, რომელიც მანამდე საოცრად მიუწვდომელი იყო მისთვის, გაჭირვების ჟამს კი მის ერთადერთ მხსნელად იქცა; წმინდანებსა და ანგელოზებს რას არ ჰპირდებოდა, ოღონდ კი ქმარი შინ საღ-საღამათი დაჰბრუნებოდა.

ასეც მოხდა. ქმარი დაბრუნდა, ბავშვებს უკვე შეეძლოთ სკოლაში სიარული, სადაც ახლა სლოვენური ენაზე ასწავლიდნენ, ომის საშიშროებამ კი მეზობელ რესპუბლიკაში - ხორვატიაში - გადაინაცვლა.

სამი წლის შემდეგ ომი ბოსნიაში დაიწყო. მრავალი ინფორმაცია გაჩნდა იმ მხეცობაზე, რასაც სერბები სჩადიოდნენ. ზედკას დიდ უსამართლობად მიაჩნდა, რომ რამდენიმე შეშლილის გამო მთელ ერს დამნაშავეებად აცხადებდნენ. მოულოდნელად მისმა ცხოვრებამ აზრი შეიძინა: ის ამაყად და უშიშრად იცავდა თავის ხალხს - გაზეთებში სტატიებს აქვეყნებდა, ტელევიზიაში გამოდიოდა, კონფერენციებს აწყო, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა - უცხოელებს ხომ დღემდე მიაჩნიათ, რომ ჩადენილი მხეცობისათვის ყველა სერბს უნდა ეგო პასუხი. თუმცა ზედკა გრძნობდა, რომ აღასრულა თავისი ვალი და თავისი ხალხი მძიმე წუთებში არ მიატოვა. საკუთარი ხალხისთვის ბრძოლაში მას სლოვენიელი ქმარი და ორი შვილი უჭერდნენ მხარს, და ის ადამიანებიც, ვინც ორმხრივი პროპაგანდისტული მანქანის მანიპულაციებს არ იყვნენ აყოლილნი.

ერთ დღეს, როგორღაც, ნაშუადღევს, დიდი სლოვენიელი პოეტის, პრემერნის ძეგლს ჩაუარა და მის ცხოვრებაზე დაფიქრდა. ერთხელ ოცდათოთხმეტი წლის პოეტმა ეკლესიაში მოზარდი გოგონა - იულია პრიმიჩი - ნახა და სიგიჟემდე შეუყვარდა. გარდასულ დროთა მენესტრელების მსგავსად, ის ლექსებს უძღვნიდა თავის სატრფოს იმ იმედით, რომ გოგონა ოდესმე ცოლად გაჰყვებოდა.

იულია მსხვილი ბურჟუების ოჯახიდან იყო და თუ ეკლესიაში იმ წამიერ შეხვედრას არ ჩავთვლით, პრემერნმა ვეღარასოდეს შეძლო მასთან მიახლოება. მაგრამ იმ ერთი შეხვედრით იყო შთაგონებული ყველა მისი ბრწყინვალე ლექსი, რამაც პოეტი ლეგენდად აქცია. მისი ძეგლი ლუბლიანის ცენტრალურ პატარა მოედანზე იდგა და თუკი მის მზერას თვალს გააყოლებდი, მოედნის მოპირდაპირე მხარეს აღმართული ერთ-ერთი სახლის კედელზე ამოკვეთილ ქალის სახეს დაინახავდი. სწორედ იქ ცხოვრობდა იულია. პრემერნი სიკვდილის შემდეგაც გასცქეროდა თავის აუხდენელ სიყვარულს.

რა მოხდებოდა, პრემერნს თავისი სიყვარულისთვის რომ ებრძოლა?

და ზედკას გულმა რეჩხი უყო - ეს რაღაც ცუდს მოასწავებდა. ალბათ, ბავშვებს შეემთხვათ რაღაც. ის სახლისკენ გაიქცა: ბავშვები ტელევიზორს უყურებდნენ და პოპკორნს აკნატუნებდნენ.

თუმცა შფოთის შეგრძნება არ უნელდებოდა. ლოგინზე მიწვა, თითქმის თორმეტ საათს ეძინა და, გამოღვიძებულს, წამოდგომა აღარ მოუნდა. პრემერნის ისტორიამ ხსოვნაში ის ადამიანი გაუცოცხლა, მისი პირველი სიყვარული რომ იყო. მისი ბედის შესახებ დიდი ხანია, უკვე აღარაფერი იცოდა.

ზედკა დაჟინებით ეკითხებოდა თავის თავს: ნეტავ ყველაფერი თუ გავაკეთე, რომ მიზნისათვის მიმეღწია? საყვარლობაზე დავთანხმდი, მაგრამ იქნებ იმისთვის უნდა მებრძოლა, რომ ყველაფერი ჩემი სურვილისამებრ წარმართულიყო? განა ისეთივე თავგანწირვით ვიბრძოდი ჩემი პირველი სიყვარულისთვის, როგორც ჩემი ხალხისთვის ვიბრძოლე?

ზედკას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცდა არ დაუკლია, მაგრამ ეს ნაღველს მაინც არ უქარვებდა. ყველაფერი, რაც კი აქამდე სამოთხედ ერგენებოდა - სახლი მდინარის პირას, საყვარელი ქმარი, შვილები, ტელევიზორის წინ რომ ისხდნენ და პოპკორნს აკნატუნებდნენ - თანდათან ჯოჯოხეთად ექცა.

ახლა, ამდენი ასტრალური მოგზაურობისა და მაღალ არსებებთან ამდენი შეხვედრის შემდეგ, ზედკამ იცოდა, რომ ეს ყველაფერი სისულელე იყო. ამ აუხდენელი სიყვარულით ცდილობდა თავის გამართლებას და იმ კვანძის გაწყვეტის საბაზად გამოყენებას, საკუთარ ცხოვრებასთან რომ აკავშირებდა, რომელიც სულაც არ იყო ისეთი, როგორზეც ოცნებობდა.

მაგრამ მაშინ, თორმეტი თვის წინ, ყველაფერი სხვაგვარად ერგენებოდა: თავდავიწყებით ეძებდა იმ შორეულ კაცს და ლამის მთელი ქონება საერთაშორისო ზარებში დახარჯა. მაგრამ ის კაცი უკვე რომელიღაც სხვა ქალაქში გადასულიყო და მის კვალს ვეღარ მიაგნო. ექსპრეს-ფოსტით გაგზავნილი წერილები უკან უბრუნდებოდა, ყველა საერთო ნაცნობს უკავშირდებოდა, მაგრამ არავის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, სად შეიძლებოდა მისი პოვნა.

ქმარი ვერაფერს ხვდებოდა და ეს უფრო აგიჟებდა - რაღაცას მაინც ხომ უნდა დაეეჭვებინა, ან გაბრაზებულიყო, ენერვიულა, სახლიდან გაგდებით დამუქრებოდა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მის ქმარს ყველა საერთაშორისო სატელეფონო სადგური, ფოსტა და მეგობრები მოსყიდული ჰყავდა და ამიტომაც ვერ ახერხებდა სატრფოს პოვნას. ზედკამ საქორწინო ძვირფასეულობა გაყიდა და ბილეთი შეიძინა, გამგზავრებას აპირებდა, მაგრამ ბოლოს მეგობარმა დაარწმუნა, რომ ამერიკა უზარმაზარი ქვეყანა იყო და აზრი არ ჰქონდა იქ გამგზავრებას, თუკი ზუსტად არ იცოდა, სად უნდა ეძებნა ადამიანი.

ერთხელ, სადილის შემდეგ, წამოწოლა გადაწყვიტა, სიყვარული ისე ტანჯავდა, როგორც არასოდეს - მაშინაც კი, როცა ლუბლიანის მოსაწყენ ყოველდღიურობაში მოუწია დაბრუნება. იმ ღამეს და მომდევნო დღეს ოთახიდან არ გამოსულა. შემდეგ კიდევ ერთი დღე იყო ოთახში ჩაკეტილი. მესამე დღეს ქმარმა ექიმი გამოიძახა. ქმრის ზრუნვამ უფრო აღაშფოთა ზედკა. ნუთუ ვერ ხვდებოდა, რომ მის ცოლს სხვა უყვარდა, სხვასთან შეხვედრას ცდილობდა, ღალატს აპირებდა, მზად იყო, მთელი თავისი ცხოვრება ჩვეულებრივი საყვარლის ცხოვრებაზე გაეცვალა და სამუდამოდ მიეტოვებინა ლუბლიანა, სახლი, ბავშვები?

ექიმის მოსვლისთანავე ზედკას ნერვიული შეტევა დაემართა, კარი გასაღებით ჩაკეტა და მხოლოდ მისი წასვლის შემდეგ გააღო. ერთი კვირის თავზე ტუალეტში გასვლის სურვილიც გაუქრა და პირდაპირ საწოლში ისაქმებდა. უკვე აღარაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტ უნათლებოდა ხსოვნა ადამიანზე, რომელიც - ამაში ღრმად იყო დარწმუნებული - ასევე ეძებდა ზედკას, მაგრამ ვერ პოულობდა.

მისი საოცრად კეთილშობილი ქმარი კი თეთრეულს უცვლიდა, ეფერებოდა, ამშვიდებდა და არწმუნებდა, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. აღარც ბავშვები შემოდიოდნენ მის ოთახში, მას შემდეგ, რაც ერთ-ერთს ყოვლად უმიზეზოდ გააწნა სილა, მერე კი მუხლებზე დაეცა, შვილს ფეხებს უკოცნიდა, პატიებას სთხოვდა და სასოწარკვეთისა და მონანიების ნიშნად, ტანზე ღამის პერანგი შემოიხია.

კიდევ ერთი კვირაც გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მისთვის მიტანილ საჭმელს აფურთხებდა, მხოლოდ დროდადრო უბრუნდებოდა რეალობას, შემდეგ ისევ უკუნში ინთქმებოდა, მთელ დღეს ეძინა და ღამდამოებით დადიოდა. ერთხელ მის ოთახში კარზე დაუკაკუნებლად შევიდა ორი ადამიანი. ერთმა გააკავა, მეორემ ნემსი გაუკეთა და...

ზედკას ვილეტეში გაელვია.

- დეპრესიის მიზეზი ხანდახან ზედმეტად ბანალურია, - მის ქმარს უხსნიდა ექიმი, - შეიძლება, თქვენი მეუღლის ორგანიზმს ქიმიური ნივთიერება - სეროტონინი - აკლდეს.

* * *

ჭერიდან ზედკამ პალატაში შემოსული ექთანი დაინახა, ხელში შპრიცი ეჭირა. ის ქალიშვილიც ისევ გაუნძრევლად იჯდა მის საწოლთან და თავზარდაცემული დასცქეროდა მის გაქვავებულ სხეულს. ერთ წამს ზედკამ გაიფიქრა კიდევ, მისთვის მოეთხორო ყველაფერი, მაგრამ გადაიფიქრა. ადამიანებს არასოდეს სჯერათ მოყოლილი ამბებისა, ყველაფერი თვითონ უნდა გამოსცადონ.

ექთანმა გლუკოზის ინიექცია გაუკეთა ზედკას და თითქოს უზარმაზარ ხელს დამორჩილებული სული ჭერიდან გვირაბში აღმოჩნდა, მერე კი ისევ სხეულში დაბრუნდა.

- გამარჯობა, ვერონიკა.

ქალიშვილს შეშინებული სახე ჰქონდა.

- კარგად ხარ?

- ჰო, საბედნიეროდ, ეს უკანასკნელი პროცედურა იყო, მეტად აღარ დამჭირდება.

- რა იცი? აქ პაციენტის სურვილს არ ითვალისწინებენ.

ზედვამ ზუსტად იცოდა, რომ ამით დასრულდა მისი მკურნალობა, რადგან ასტრალური სხეულით ექიმ იგორის კაბინეტში იმოგზაურა.

- ვერ აგიხსნი, მაგრამ ვიცი. გახსოვს, ერთმანეთი რომ გავიცანით, რა გკითხე?

- შენ მკითხე, ვიცი თუ არა, რას ნიშნავს, იყო შემოღილი.

- მართალს ამბობ. ამჯერად არაკებს არ მოგიყვები, უბრალოდ, გეტყვი, რომ სიგიჟე ის არის, როცა უნარს კარგავ, შენი გრძნობები სხვებს გაუზიარო. ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს უცხო ქვეყანაში იმყოფები - ყველაფერს ხედავ, გესმის, რაც ირგვლივ ხდება, მაგრამ ვერავის ვერაფერს უხსნი და ვერც დახმარებას ითხოვ, რადან ის ენა არ გესმის, რომელზედაც იქ ლაპარაკობენ.

- ასეთი რამ ყველას გვიგრძნია.

- იმიტომ, რომ ყველანი მეტ-ნაკლებად შემოღილები ვართ.

ფანჯრის გისოსებს მიღმა ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მთებს უკნიდან კი ნამგალა მთვარე ამოდიოდა. პოეტებს, რატომღაც, სავსე მთვარე უყვართ და ათასობით ლექსს უძღვნიან, ვერონიკა კი ახალ მთვარეს ვერ სწყვეტდა ხოლმე თვალს, ის ხომ უნდა გაზრდილიყო, ნათლით გავსებულიყო, სანამ გარდაუვალ დაბერებას დაიწყებდა.

ვერონიკას მოუნდა, ჰოლში გასულიყო, პიანინოს მისჯდომოდა და ეს მშვენიერი სადამო კოლეჯში სწავლის დროიდან მეხსიერებაში შემორჩენილი სონატით საზვიამოდ აღენიშნა. ის ცას გასცქეროდა და ენით აუწერელ მადლს შეიგრძნობდა, თითქოს სამყაროს უსასრულოება უდასტურებდა, რომ თვითონაც მარადიული იყო. მაგრამ სურვილის ასრულებას რკინის კარი და ერთთავად წიგნს ჩაჩერებული ქალი აშორებდა. თუმცა ამ შუალამისას პიანინოს მაინც არავინ დააკვრევინებდა - დანარჩენ პაციენტებს ეძინათ.

ვერონიკას გაეცინა. ირგვლივ პალატები გიჟებით იყო სავსე, ეს გიჟები კი ტრანკვილიზატორებით იყვნენ გაჭყეპილები.

და მაინც, მადლის შეგრძნება არ გაჰქრობია. ვერონიკა წამოდგა და ზედვას საწოლს მიუახლოვდა. მას ღრმა ძილით ეძინა - ალბათ, არც ისე იოლი იყო ამ საშინელი პროცედურის შემდეგ გონს მოსვლა.

- საწოლში დაბრუნდით, - უთხრა ექთანმა, - კარგ გოგონებს უკვე რა ხანია, ანგელოზები და შეყვარებულები ესიზმრებათ.

- მე ბავშვი არა ვარ. არც წყნარი გიჟი, ყველაფრისა რომ ეშინია. მე გადარეული ვარ, ისტერიის შეტევები მაქვს ხოლმე და ასეთ დროს ჩემი თუ სხვისი სიცოცხლე ნაკლებად მადარდებს. დღეს სწორედ ასეთი დღეა. მთვარეს ვუცქეროდი და ახლა ვინმესთან მინდა დალაპარაკება.

გაოცებულმა ექთანმა ცერად გახედა.

- ჩემი გეშინიათ? - არ ეშვებოდა ვერონიკა, - სიკვდილამდე რაღაც ორი თუ სამი დღე დამრჩა, დასაკარგი აღარაფერი მაქვს.

- გოგონა, რატომ არ გინდა, გაისეირნო და წიგნის კითხვა დამაცადო?

- იმიტომ, რომ ციხეში ვარ და ახლა მის ზედამხედველს ველაპარაკები, რომელსაც წიგნი მოსაჩვენებლად უჭირავს, სხვებს რომ თავისი სიჭკვიანე დაანახოს, სინამდვილეში კი ყურადღებით აკვირდება პალატას და ჯიბეში ძვირფასი საგანძურივით ინახავს გასაღებს. ვიცი, რომ საავადმყოფოში პერსონალის ქცევის წესები არსებობს და ისიც ამ წესებს ემორჩილება, რადგან მხოლოდ ამგვარად შეუძლია საკუთარი ძალის დემონსტრირება, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ქმართან და შვილებთან, ვერ ახერხებს.

თავისდა გასაოცრად, ვერონიკა მთელი სხეულით ცახცახებდა.

- გასაღები გინდა? - ჩაეკითხა ექთანი, - კარი ყოველთვის ღიაა, როგორ გგონია, ამდენ გიჟთან მარტო ჩავიკეტები ოთახში?

„მაშასადამე, კარი ღიაა? ორი კვირის წინ აქედან გასვლა რომ მინდოდა, ეს ქალი თვალს არ მაშორებდა, ტუალეტშიც კი მითვალთვალებდა. ახლა რაღა დაემართა?“

- ჩემს სიტყვებს სერიოზულად ნუ მიიღებთ, - განაგრძო ექთანმა, - სინამდვილეში მკაცრი ზედამხედველობა სულაც არ გვჭირდება. ამისთვის საძილე წამლები გვაქვს. რატომ კანკალებთ, გცივათ?

- არ ვიცი, მგონი, გული მაქვს ცუდად.

- თუ ასე გინდათ, თქვენი ნებაა, შეგიძლიათ, გახვიდეთ და გაისეირნოთ.

- სიმართლე გითხრათ, პიანინოს დაკვრა მინდოდა.

- პალატები ჰოლიდან საკმაოდ შორსაა, ასე რომ, ვერავის შეაწუხებთ. თუ გინდათ, დაუკარით.

სხეულში გამჯდარი ცახცახი ვერონიკას ჩუმ, გაუბედავ, შეკავებულ ქვითინში გადაეზარდა. მან ჩაიმუხლა, ექთანს მკერდზე მიაყრდნო თავი და გულამოსკვნით ატირდა.

ექთანმა წიგნი გვერდზე გადადო, ვერონიკას მოეფერა, თმაზე ხელს უსვამდა და ალერსით ცდილობდა გაეფანტა მისი ნაღველი. დიდხანს ისხდნენ ასე: ერთი სულმოუთქმელად ტიროდა, მეორე კი ხმის ამოუღებლად ცდილობდა მის დამშვიდებას, ცრემლების მიზეზი არც უკითხავს.

ბოლოს ტირილი ჩაცხრა, ექთანმა ვერონიკა წამოაყენა და ხელმოხვეული მიიყვანა კართან.

- თქვენხელა შვილი მყავს. პირველად, აქ რომ მოგიყვანეს, გაოცებული გაკვირდებოდით, მინდოდა, გამეგო, რამ გაიძულათ ასეთი ლამაზი და ახალგაზრდა გოგონა, თავი მოგეკლათ? მერე ჭორები გავრცელდა, იმ წერილზეც მითხრეს, თქვენ რომ დატოვეთ. სიმართლე გითხრათ, დღესაც არ მჯერა, რომ ეს იყოს თქვენი თვითმკვლელობის მიზეზი. თქვენ რომ გიყურებთ, სულ ჩემი შვილი მახსენდება და იმაზე ვფიქრობ, ხომ შეიძლება, მანაც იგივე გააკეთოს?

მაინც საიდან მოდიან ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ბუნებრივ კანონს - თვითგადარჩენის კანონს - ეწინააღმდეგებიან?

- ამიტომაც ვტიროდი, - უპასუხა ვერონიკამ, - როცა წამალს ვსვამდი, მინდოდა, საკუთარ თავში ჩამეკლა ის, ვინც მეზიზღებოდა. მაშინ არც კი ვიცოდი, რომ ჩემში თურმე სხვა ვერონიკებიც ცოცხლობდნენ, რომელთა შეყვარებაც ვერ მოვასწარი.

- მითხარი ერთი, რა აიძულებს ადამიანს, საკუთარი თავი ეზიზღებოდეს?

- ალბათ, სილაჩრე. ან დამარცხების მუდმივი შიში. შიში იმისა, რომ ვერ გაამართლებ შენზე დაკისრებულ იმედებს. სულ ცოტა ხნის წინ ისეთი ბედნიერი ვიყავი, სასიკვდილო განაჩენიც გადამავიწყდა. მერე უცებ გამახსენდა, რაც ჩავიდინე და თავზარი დამეცა.

ექთანმა კარი გაუღო და ვერონიკა პალატიდან გავიდა.

„მაინც როგორ მკითხა? ნუთუ ის უნდოდა გაეგო, რატომ ვტიროდი? განა ძნელი მისახვედრია, რომ სრულიად ნორმალური ადამიანი ვარ, იგივე სურვილები და შიშები მაქვს, რაც სხვებს, და ასეთმა კითხვამ, სწორედ იმიტომ, რომ უიმედო მდგომარეობაში ვარ, შეიძლება, სასოწარკვეთამდე მიმიყვანოს?“

ვერონიკა საავადმყოფოს ბინდბუნდში ჩაძირულ დერეფანში მიაბიჯებდა და ფიქრობდა, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო: ამ შიშს ვეღარ მოერეოდა.

„მთავარია, საკუთარი თავის ფლობის უნარი არ დავკარგო, თუ გადავწყვიტე, ბოლომდეც უნდა მივიყვანო ყველაფერი“.

მთელი სიცოცხლე მიჩვეული იყო, დაწყებული საქმე დაემთავრებინა, მაგრამ, უმეტესად, უმნიშვნელო საკითხებში იყო ასეთი პრინციპული. უსასრულოდ ამტკიცებდა ხოლმე თავის სიმართლეს იქ, სადაც შეეძლო, ღიმილით მოეხადა

ბოდიში; ან საყვარელს აღარ ურეკავდა, როგორც კი მოეჩვენებოდა, რომ მათ ურთიერთობას მომავალი არ ჰქონდა. სწორედ წვრილმანებში იყო შეუდრეკელი, სწორედ წვრილმანებში ცდილობდა, თავისთვის დაემტკიცებინა საკუთარი ძალა და სამართლიანობა. სინამდვილეში, სუსტი იყო, არსად არასოდეს ბრწყინავდა - არც სწავლაში, არც სკოლის სპორტულ შეჯიბრებებში, არც სახლის დალაგებაში.

ყველა მეორეხარისხოვანი პრობლემა და ნაკლოვანება დაძლია, ძირითადად პრობლემამ კი დაამარცხა. ერთთავად ისე ეჭირა თავი, თითქოს დამოუკიდებელი ქალი იყო, გულის სიღრმეში კი საშინლად სჭირდებოდა ადამიანები. სადაც უნდა გამოჩენილიყო, ყურადღებას იქცევდა და მაინც, როგორც წესი, თავის სამონასტრო სენაკში მარტო წვებოდა, ჩართავდა ტელევიზორს, რომელსაც არხებიც კი არ ჰქონდა მოწესრიგებული, და ისე იძინებდა. მეგობრები მუდამ შურიტ უცქეროდნენ, თავად კი მთელ ენერგიასა და ძალას იმაზე ხარჯავდა, სხვების დასანახად შექმნილი სახე შეენარჩუნებინა.

ამიტომაც ძალა აღარასოდეს რჩებოდა იმისთვის, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილიყო, ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო - ადამიანი, რომელსაც ბედნიერებისათვის სხვა ადამიანები სჭირდებოდა. რადგან სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ძალიან ძნელია! ისინიც ხომ აკრძალვების გარემოცვაში ცხოვრობდნენ, ისინიც ვერონიკასავით იქცეოდნენ, თავი ისე ეჭირათ, თითქოს არაფერი ადარდებდათ, და ამიტომაც ძნელი იყო მათი ემოციებისა და რეაქციების წინასწარ განსაზღვრა. ხოლო თუ ვინმე უფრო უშუალო ან გულგახსნილი ადამიანი გამოჩნდებოდა, ან მაშინვე უარყოფდნენ, ანდა უმიზეზოდ დატანჯავდნენ - გულუბრყვილო და გონებაშეზღუდულ ადამიანად შერაცხავდნენ.

ჰოდა, ისე მოხდა, რომ ერთი მხრივ, ყველას აოცებდა თავისი ძლიერებითა და ნებისყოფით, მეორე მხრივ კი - რა შედეგი მიიღო, რას მიაღწია? სიცარიელეს. სრულ მარტოობას. ვილეტეს. სიკვდილის ზღვარს.

ისევ თვითმკვლელობის მცდელობით გამოწვეული სინდისის ქენჯნა მოეძალა, მაგრამ სასწრაფოდ მოიშორა. და იმავე წამს ის შეიგრძნო, რის უფლებასაც არასოდეს აძლევდა თავის თავს: სიძულვილი.

სიძულვილი. რომელიც ისეთი რეალური იყო, როგორც ეს კედლები, ჰოლში მდგარი პიანინო და აქაური მედპერსონალი. შეეძლო, ხელით შეხებოდა სხეულიდან ამოფრქვეულ ამ დამანგრეველ ენერგიას. მან გასაქანი მისცა ამ გრძნობას, აღარ უფიქრია, კარგი იყო თუ ცუდი. რაღა დროს თვითკონტროლი, ნიღბები და მოხერხებული პოზები იყო - ვერონიკას სამი თუ ოთხი დღე რჩებოდა სიცოცხლისათვის და უნდოდა, ახლა მაინც, პირობითობის გარეშე გაეტარებინა ეს დრო.

ჯერ თავისზე უფროს კაცს გააწნა სილა, მერე ექთნის მკერდზე იქვითინა, ისიც მოახერხა, ზედკასთან უხერხულობა დაედლია და ლაპარაკი არ გაეგრძელებინა, როცა მარტო დარჩენა სურდა, ახლა კი შეეძლო, სიძულვილის უფლებაც მიეცა თავისი თავისათვის, ოღონდ საღი აზრი უნდა შეენარჩუნებინა, რომ შემლილივით არ დაეღწა ირგვლივ ყველაფერი, თორემ დარჩენილ დღეებს დამამშვიდებელი პერანგით და ტრანკვილიზატორებით გაჟყეპილი გაატარებდა.

იმ წუთს ყველა და ყველაფერი სძულდა. თავისი თავი, მთელი სამყარო, მის წინ მდგარი სკამი, გახეთქილი რადიატორი ერთ-ერთ დერეფანში, ადამიანები - ცუდებიც და კარგებიც. ის ახლა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფებოდა და შეეძლო, ნებაზე მიეშვა თავისი თავი, ეგრძნო ის, რასაც ადამიანები, ჩვეულებრივ, მალავენ ხოლმე, რადგან ყველას ხომ ბავშვობიდან გვასწავლიან, გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი, არ განვიკითხოთ, დავუთმოთ და კონფლიქტებს თავი ავარიდოთ. ვერონიკას ყველაფერი სძულდა, მაგრამ, უპირველესად, ის, როგორც გაატარა მთელი ცხოვრება, როგორ ვერ ამჩნევდა შიგნით არსებულ ასობით სხვა ვერონიკას - საინტერესოს, გიჟმაჟს, ცნობისმოყვარეს, თამამს.

მას ახლა ის ადამიანიც სძულდა, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა ამქვეყნად - საკუთარი დედა. ქალი, რომელიც დღისით მუშაობდა, საღამოს სახლს უვლიდა; ქალი, რომელმაც მთელი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, რომ შვილისათვის კარგი განათლება მიეცა, ფორტეპიანოსა და ვიოლინოს დაკვრა ესწავლებინა, ძვირფასი ტანსაცმელი, უცხოური ჯინსები და ბოტასები ეყიდა, თვითონ კი ძველი, წლობით ნახმარი და დაკემსილი ტანსაცმლით კმაყოფილდებოდა.

„როგორ უნდა მძულდეს საკუთარი დედა, ის, ვისგანაც მხოლოდ სიყვარული მიგრძნია?“ - ფიქრობდა დაბნეული ვერონიკა. გულწრფელად სურდა, ისევ სიყვარულით ეფიქრა დედაზე, მაგრამ უკვე გვიანი იყო: სიძულვილს თვითონ გაუღო ჯოჯოხეთის კარი და ისიც თავისუფლად გარეთ გამოიჭრა. მას სძულდა დედის მიერ ნაბოძები სიყვარულიც - რადგან უანგარო იყო და სწორედ ეს უანგარობა ეწინააღმდეგებოდა ბუნების კანონს.

ასეთი სიყვარული, რომელიც არაფერს მოითხოვდა მისგან, დანაშაულის შეგრძნებით უვსებდა გულს და აიძულებდა, უარი ეთქვა იმაზე, რაც თვითონ სურდა, ოღონდ კი დედის იმედები გაემართლებინა. ეს იყო სიყვარული, წლობით რომ ცდილობდა, ამქვეყნიური საცდურისა და გარყვნილებისგან დაეცვა შვილი და იმას კი აღარ ფიქრობდა, რომ ერთხელაც ვერონიკას თვითონ მოუწევდა ყოველივე ამის პირისპირ დადგომა და მაშინ ველარავინ დაიცავდა.

მამამისი? ახლა ისიც სძულდა. იმიტომ, რომ მუდამ მუშაობაში ჩაფლული დედისაგან განსხვავებით, მას კარგად ჰქონდა ცხოვრება „აწყობილი“, შვილი ბარებსა და თეატრებში დაჰყავდა, ერთად ერთობოდნენ და ოდნავ წამოჩიტულ ვერონიკას არც მთლად შვილივით უყვარდა ახალგაზრდა მამა. იმიტომაც სძულდა, რომ ყოველთვის

მალიან სიმპათიური, ყველასთან გულგახსნილი და მხიარული იყო, გარდა საკუთარი ცოლისა, იმ ერთადერთი ადამიანისა, ვინც მართლა იყო უკეთესი ხვედრისა და სიყვარულის ღირსი.

ვერონიკას ყველაფერი სძულდა: წიგნებით სავსე ბიბლიოთეკა, ცხოვრებას რომ ასწავლიდა ადამიანებს; კოლეჯი, სადაც ღამეები უთენებია ალგებრის ამოცანების ამოხსნაში, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ მათემატიკის პროფესორების გარდა, სამყაროში არ არსებობდა ადამიანი, სრული ბედნიერებისთვის ალგებრა რომ დასჭირვებოდა. რატომ აიძულებდნენ მრავალი წლის მანძილზე ალგებრის ან გეომეტრიის ზუთხვას - ამ ყოველად უსარგებლო საგნების სწავლას?

ვერონიკამ ჰოლში შესასვლელ კარს ხელი ჰკრა, პიანინოსთან მივიდა, სახურავი ახადა და კლავიშებს მთელი ძალით დასცხო თითები. ეს გიჟური, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, გამაღიზიანებელი აკორდი ექოდ გაიფანტა ცარიელ დარბაზში, კედლებს მიეხალა, უკან მობრუნდა და სმენას გამაყრუებელი, სულის დამფლეთი გრუხუნით შეასკდა. მაგრამ იმ წუთებში სწორედ ეს აკორდი ასახავდა, ალბათ, ვერონიკას შინაგან მდგომარეობას.

მან კიდევ ერთხელ აიღო აკორდი და კვლავ ირგვლივ ყოველივე აავსო და გამსჭვალა სმენისათვის აუტანელმა კაკოფონიამ.

„მე გიჟი ვარ. და თუ გიჟი ვარ, ამის უფლებაც მაქვს. შემიძლია, უბრალოდ, მძულდეს. შემიძლია, ეს პიანინოც დავლეწო. სად გაგონილა, სულთ ავადმყოფი ნოტებით უკრავდეს?“

მან კიდევ ერთხელ დასცხო თითები კლავიშებს, მეხუთედ, მეათედ, მეოცედ. და ყოველ დარტყმასთან ერთად სიძულვილი ილეოდა, მქრქალდებოდა და ბოლოს სულ ჩაცხრა.

და ვერონიკა ერთიანად მოიცვა სიმშვიდემ, მან კვლავ ახედა ვარსკვლავებით მოჭედილ ცას და თავის საყვარელ ნამგალა მთვარეს, რბილი შუქით რომ ავსებდა ოთახს. კვლავ დაუბრუნდა იმის შეგრძნება, რომ უსასრულობა და მარადისობა ერთმანეთთან თანაარსებობდა, და საკმარისი იყო, ერთ მათგანს ჩაჰკვირვებოდი - უსაზღვრო სამყაროს, - მაშინვე შეიცნობდი მეორე სამყაროს არსებობასაც - დროს, რომელიც არასოდეს მთავრდება, არასოდეს გადის, უცვლელად მყოფობს აწმყოში და მასში ინახება ყოფიერების ყველა საიდუმლო.

სიძულვილი, რომელსაც პალატასა და დერეფანში შეიგრძნობდა, იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველი იყო, რომ ახლა გულში უბრალო წყენაც კი აღარ დარჩა. ბოლოს და ბოლოს, ვერონიკამ გამოსავალი მოუძებნა წლობით გულში დაგროვილ უარყოფით ემოციას, ძირისძირობამდე შეიგრძნო, გააცნობიერა და მისგან განთავისუფლება შეძლო.

უკიდევანო სიჩუმე იდგა და ვერონიკა თავის აწმყო ყოფიერებას შეიგრძნობდა, აწმყოს, რომელმაც გული გაუხსნა და სიძულვილისგან დაცარიელებული სული სიყვარულით აევსო. მან იგრძნო, რომ დრომ მოაწია, ღამეულ ცას გახედა და „მთვარის სონატა“ დაუკრა. მთელი არსებით შეიგრძნობდა, რომ მთვარე უსმენდა და ამაყოფიდა, ვარსკვლავებს კი შურდათ მისი. მაშინ ვერონიკამ ვარსკვლავებისთვისაც დაუკრა, შემდეგ - ბალისა და მთებისათვის. ღამით მთები არ ჩანდა, მაგრამ იცოდა, რომ იქ იყვნენ, უკუნში.

და როცა ბალისთვის უკრავდა, ჰოლში კიდევ ერთი პაციენტი გამოჩნდა - ედუარდი, განუკურნებელი შიზოფრენიკი. ვერონიკას არ შეშინებია, გაუღიმა კიდევ. მისდა გასაოცრად, ედუარდმაც ღიმილით უპასუხა.

მის შორეულ სამყაროშიც - უფრო შორეულში, ვიდრე ეს მთვარე და ვარსკვლავები იყო, - აღწევდა მუსიკა და სასწაულებს ახდენდა.

* * *

„ახალი ბრელოკი უნდა ვიყიდო“, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა, როცა ვილეტეში თავისი პატარა მისაღები ოთახის კარს აღებდა. ძველი ბრელოკი უკვე დაიხა და რკინის ემბლემა აი, ამწამს დაეცა იატაკზე.

ექიმი იგორი დაიხარა და იატაკიდან ემბლემა აიღო: ლუბლიანის გერბი იყო. რაში გამოეყენებინა? ალბათ, აჯობებდა, გადაეგდო. ცხადია, ისიც შეეძლო, სახელოსნოში მიეტანა - ორ წუთში შეუკერავდნენ ტყავის ახალ ბრელოკს, ან იქნებ, შვილიშვილისთვის ეჩუქებინა? ორივე არჩევანი ერთნაირად სულელური ჩანდა. ბრელოკი გროშები ღირდა, შვილიშვილს კი გერბები საერთოდ არ აინტერესებდა, დიდიდან სადამომდე ტელევიზორთან იჯდა ან იტალიიდან ჩამოტანილი ელექტრონული თამაშებით ერთობოდა. ექიმმა უგულისყუროდ ჩაიღო გერბი ჯიბეში, იქნებ, მოგვიანებით მაინც მოეფიქრებინა, რაში გამოიყენებდა.

ამიტომ იყო ექიმი იგორი კლინიკის დირექტორი და არა მისი პაციენტი: ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებამდე ყველა საკითხს გულმოდგინედ აწონ-დაწონიდა ხოლმე.

ექიმმა შუქი აანთო. უკვე ზამთარი იდგა და გვიან თენდებოდა. სინათლის ნაკლებობა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლასა და განქორწინებასთან ერთად, დეპრესიების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო. ექიმი იგორი მოუთმენლად ელოდა გაზაფხულს, რომელიც პრობლემებს მაინც გაუნახევრებდა.

მან ბლოკნოტში ჩაიხედა. დღეს აუცილებელი ზომები უნდა მიეღო, რომ ედუარდი შიმშილით არ მომკვდარიყო. შიზოფრენიამ მისი ქცევა არაკონტროლირებადი გახადა. ამ ბოლო დროს საერთოდ აკრძალა ჭამა. ცოტა ხნის წინ ექიმმა იგორმა ვენური კვება დაუნიშნა, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ედუარდი 28 წლის, საკმაოდ ძლიერი აღნაგობის ჭაბუკი იყო, მაგრამ მარტო გლუკოზა ვერაფერს უშვებოდა, სულ მალე ჩონჩხს დაემსგავსებოდა.

ნეტავ რას იტყოდა ედუარდის მამა, ახალგაზრდა სლოვენის ერთ-ერთი ცნობილი ელჩი, 90-იან წლებში იუგოსლავიასთან ყველაზე დელიკატური მოლაპარაკებების გმირი? ეს ადამიანი ხომ წლების მანძილზე ბელგრადში მუშაობდა, მრავალი ავისმთქმელი მოიგერია, ისეთებიც, სერბების სამსახურში ყოფნას რომ არ უვიწყებდნენ, მაინც დარჩა დიპლომატიურ კორპუსში, თუმცა, ამჯერად უკვე თავის ქვეყანას ემსახურებოდა. ძლიერი და გავლენიანი პიროვნება იყო და მისი ყველას ეშინოდა.

მეორე მხრივ კი, რა მნიშვნელობა ჰქონდა ელჩისათვის, კარგად გამოიყურებოდა მისი შვილი თუ ცუდად? ოფიციალურ მიღებებზე ხომ არ ატარებდა ანდა სხვადასხვა ქვეყანაში დანიშვნის დროს თან ხომ არ წაიყვანდა. ედუარდი ვილეთში იყო და აქ დარჩებოდა სამუდამოდ ან სანამ მამას მისი შენახვის შესაძლებლობა ექნებოდა.

ექიმმა გადაწყვიტა, ედუარდისთვის გლუკოზის ინიექცია შეეწყვიტა, ცოტა ხანს ეშიმშილებინა, იქნებ პაციენტს თვითონ დაეწყო ჭამა. იმ შემთხვევაში, თუ მდგომარეობა გაუარესდებოდა, მოხსენებით ბარათს დაწერდა და პასუხისმგებლობას ვილეთს მმართველ სამედიცინო საბჭოს დააკისრებდა. „თუკი გასურს, უბედურებას თავი აარიდო, პასუხისმგებლობა გადაანაწილე“, - ასწავლიდა მამა. ისიც ექიმი იყო და, ალბათ, არაერთი ადამიანის სიკვდილზე იყო პასუხისმგებელი, მაგრამ მთავრობასთან უსიამოვნებები არასოდეს ჰქონია.

ექიმმა იგორმა ედუარდისთვის დანიშნული პროცედურების შეწყვეტის ბრძანება გასცა და მომდევნო პაციენტზე დაფიქრდა: მოხსენებით ბარათში ნათქვამი იყო, რომ პაციენტმა ზედკა მენდელმა მკურნალობის კურსი დაასრულა და მისი გაწერა შეიძლებოდა. ექიმ იგორს სურდა, პირადად დარწმუნებულიყო: ძალიან არ უყვარდა ვილეთში ნამკურნალებ პაციენტთა ოჯახის წევრებისაგან საყვედურების მოსმენა. ასეთი რამ კი არცთუ იშვიათად ხდებოდა - სულლით ავადმყოფთა კლინიკაში მკურნალობის შემდეგ პაციენტები ხშირად ნორმალურ ცხოვრებაში ადაპტირებას ვეღარ ახერხებდნენ.

ამაში კლინიკა სულაც არ იყო დამნაშავე. იგივე ხდებოდა სხვა საავადმყოფოებშიც - მხოლოდ ღმერთმა იცოდა, რამდენი ასეთი კლინიკა იყო მთელ მსოფლიოში, - იქაც ასევე მწვავედ იდგა პაციენტების ხელახალი ადაპტაციის საკითხი. ზუსტად ისევე, როგორც ციხე ვერ ასწორებს დამნაშავეს და მხოლოდ ასწავლის, როგორ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ფსიქიატრიული კლინიკაც მხოლოდ არარეალურ გარემოში

ცხოვრებას ასწავლიდა ავადმყოფებს, სადაც ყველაფერი დაშვებულია და თავის საქციელზე პასუხს არავინ აგებს.

აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა: შეშლილობის სამკურნალოდ წამალი უნდა აღმოეჩინათ. ექიმი იგორი სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას აპირებდა და დარწმუნებული იყო, რომ მისი დისერტაცია, რომელზედაც ახლა მუშაობდა, რევოლუციას მოახდენდა ფსიქიატრიაში. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მრავალი წლის მუშაობა უმტკიცებდა, რომ განუკურნებელი ავადმყოფების გვერდით მყოფი დროებითი პაციენტები თანდათან კარგავდნენ სოციალურ კავშირს და ამ პროცესის შეჩერება თითქმის შეუძლებელი იყო. ამდენად, ეს ზედკა მენდელი, ალბათ, ისევ დაბრუნდებოდა საავადმყოფოში, ახლა უკვე თავისი ნებით და არარსებული ჩივილებით, ოღონდ კი ისევ იმ ადამიანთა გვერდით აღმოჩენილიყო, რომელთაც, მისი ღრმა რწმენით, უკეთ ეგუებოდა, ვიდრე ამ კედლებს მიღმა მცხოვრებ ადამიანებს.

რა ბედნიერება იქნებოდა, აჯასპის საწინააღმდეგო წამალი რომ აღმოეჩინა - ექიმ იგორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სწორედ ეს შხამი იყო შეშლილობის მიზეზი, - მაშინ მისი სახელი ისტორიაში შევიდოდა და სლოვენის არსებობის შესახებ მთელი მსოფლიო შეიტყობდა. წინა კვირას, თითქოს ღმერთის წყალობით, ერთი ავადმყოფი მოიყვანეს - ქალიშვილი, რომელმაც თავის მოკვლა სცადა. ამ შესაძლებლობას კი ხელიდან ნამდვილად არ გაუშვებდა.

ის კმაყოფილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ხანდახან იძულებული ხდებოდა, აკრძალული მეთოდები გამოეყენებინა, თუნდაც, მაგალითად, ინსულინის შოკით მკურნალობა, ახლა - ისევ ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, - ვილეტეში ავადმყოფების ახლებური მკურნალობა დაუშვეს. მას არა მარტო დრო და სახსრები ჰქონდა აჯასპის გამოკვლევისათვის, არამედ მფლობელთა მხარდაჭერაც იმ ჯგუფზე დაკვირვებისათვის, რომელსაც „სამმოს“ უწოდებდნენ.

აქციონერები ნებას რთავდნენ (კი არ ახალისებდნენ, სწორედაც ნებას რთავდნენ) კლინიკაში პაციენტები დროზე მეტხანს დარჩენილიყვნენ. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ ჰუმანური თვალსაზრისიდან გამომდინარე, გამოჯანმრთელებულ პაციენტს საშუალება უნდა ჰქონოდა, თვითონ აერჩია, როდის აჯობებდა მისი საზოგადოებაში დაბრუნება. ამის წყალობით, პაციენტების ერთმა ჯგუფმა ვილეტეში დარჩენა გადაწყვიტა, როგორც რჩეულთათვის განკუთვნილ სასტუმროში ან კლუბში, სადაც საერთო ინტერესების მქონე ადამიანები იკრიბებიან ხოლმე.

ამგვარად, ექიმი იგორი ახერხებდა, ერთდროულად ავადმყოფებიც ჰყოლოდა და ჯანმრთელებიც. თანაც ჯანმრთელები დადებით გავლენას ახდენდნენ ავადმყოფებზე. უკუპროცესის თავიდან ასაცილებლად, ე.ი. ავადმყოფებს რომ არ

ემოქმედათ გამოჯანმრთელებულებზე, სამმოს ყოველი წევრი დღეში ერთხელ მაინც უნდა გასულიყო კლინიკიდან.

ექიმმა იგორმა იცოდა, რომ გამოჯანმრთელებული ადამიანების საავადმყოფოში დატოვების მხარდასაჭერად აქციონერების მიერ გამოთქმული, როგორც თვითონ ამბობდნენ, „ჰუმანური მოსაზრებებიდან გამომდინარე“, თანხმობა მხოლოდ თვალის ახვევა იყო. მათ, უბრალოდ, ეშინოდათ, რომ სლოვენის ამ პატარა და მშვენიერ დედაქალაქში, ლუბლიანაში, არ მოიძებნებოდა მდიდარ სულით ავადმყოფთა საკმაო რაოდენობა, რათა ეს ძვირფასი და თანამედროვე კომპლექსი შეენახათ. ამას გარდა, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემასაც ჰქონდა თავისი პირველხარისხოვანი საავადმყოფოები, რაც ვილეტეს არასასურველ მდგომარეობაში აყენებდა.

თავდაპირველად, როცა ძველი ყაზარმები ფსიქიატრიულ კლინიკად გადააკეთეს, აქციონერები იმედოვნებდნენ, რომ საკმაოდ ბევრი პაციენტი ეყოლებოდათ - იუგოსლავიის ომის მსხვერპლთ ხომ მკურნალობა დასჭირდებოდათ, მაგრამ ომი სულ ცოტა ხანს გაგრძელდა და აქციონერებსაც მოლოდინი არ გაუმართლდათ.

სულ ახლახან ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ომის დროს ადამიანები შედარებით იშვიათად იშლებიან ჰკუიდან, ვიდრე სულიერი დამაბულობის, მოწყენილობის, თანდაყოლილი დაავადებების, მარტოობისა და გაუცხოების გამო. როცა საზოგადოებაში სერიოზული პრობლემა ჩნდება - ომი, ჰიპერინფლაცია ან ეპიდემია, - უმეტესად თვითმკვლელობის უმნიშვნელო ზრდა შეინიშნება, ხოლო დეპრესიის, პარანოიისა და ფსიქოზის შემთხვევები იკლებს. ეს დაავადებები ჩვეულებრივ მაჩვენებლებს მხოლოდ მას შემდეგ უბრუნდება, როცა მოცემული პრობლემა ქრება. ექიმ იგორის აზრით, ეს სწორედ იმის დამადასტურებელი იყო, რომ ადამიანი ჰკუიდან შემლის უფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს თავს, თუკი ამის პირობები არსებობს.

მაგიდაზე ცოტა ხნის წინანდელი გამოკვლევების ანგარიში ედო. ამჯერად ეს გამოკვლევები კანადაში იყო ჩატარებული. მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონის ეს ქვეყანა ამერიკის ერთ-ერთმა გაზეთმა ამოირჩია გამოკვლევების ჩასატარებლად. კანადის ფსიქიატრების სტატისტიკიდან გამომდინარე, 15-34 წლის ასაკის ადამიანთა 40%, 35-54 წლის ასაკის 33% და 55-64 წლის ასაკის 20% ამა თუ იმ ფსიქიკური დაავადებით იტანჯებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კანადაში ყოველი მეხუთე ადამიანი ფსიქიკურად იყო დაავადებული და ყოველი მერვე - სიცოცხლეში ერთხელ მაინც დაწვებოდა ფსიქიატრიულ კლინიკაში.

„მშვენიერი ბაზარია, ჩვენსას სჯობია, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა, - რაც უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ ადამიანებს, ბედნიერები იყვნენ, მით მეტად თვლიან თავს უბედურებად“.

ექიმმა იგორმა კიდევ რამდენიმე პაციენტის ისტორიაც გადაათვალიერა და იმაზე დაფიქრდა, რომელი მათგანი უნდა განეხილა საბჭოზე და რომელში - დამოუკიდებლად გარკვეულიყო. საქმეს რომ მორჩა, ფანჯრებში უკვე დღის სინათლემ შემოადგია და შუქი გამორთო.

შემდეგ პირველი მომსვლელი მიიღო - იმ პაციენტის დედა, თავის მოკვლა რომ სცადა.

- მე ვერონიკას დედა ვარ. ხომ ვერ მეტყვით, ახლა როგორ არის?

ექიმმა იგორმა გაიფიქრა, რომ სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად, იქნებ სიმართლე ეთქვა ამ ქალისათვის, სხვა თუ არაფერი, მის შვილსაც ხომ ვერონიკა ერქვა. თუმცა, მაშინვე გადაიფიქრა.

- ჯერ არ ვიცი, - იცრუა მან, - ერთი კვირა უნდა მოვიცადოთ.

- ვერ ვხვდები, ეს რატომ ჩაიდინა, - ცრემლმორეული ამბობდა მის წინ მჯდარი ქალი, - მე და ჩემს ქმარს ყოველთვის ძალიან გვიყვარდა შვილი, ყველაფერს ვიკლებდით და საუკეთესო განათლება მივეცით. ცოლქმრული პრობლემები კი გვქონდა, მაგრამ ოჯახი მაინც შევინარჩუნეთ. ვერონიკას კარგი სამსახური აქვს, შესახედავადაც მშვენიერი გოგოა და მაინც...

- და მაინც თავის მოკვლა სცადა, - სიტყვა გააწყვეტინა ექიმმა იგორმა, - ნუ გაგიკვირდებათ, ასეა. ადამიანებს ნაკლებად შესწევთ უნარი, გაიგონ, რა არის ბედნიერება. თუ გნებავთ, კანადის სტატისტიკას გაჩვენებთ.

- კანადის?

ქალმა გაოცებულმა შეხედა. ექიმმა იგორმა იგრძნო, რომ ქალი ისტერიული მდგომარეობიდან გამოიყვანა და განაგრძო:

- აბა, დაფიქრდით, თქვენ აქ იმიტომ კი არ მოხვედით, რომ თქვენი შვილის ჯანმრთელობის ამბავი შეგეტყვოდეს, არამედ იმიტომ, რომ მის ნაცვლად ბოდიში მოგეხდათ. რამდენი წლის არის?

- ოცდაოთხის.

- ესე იგი, უკვე დიდი ქალია, ცხოვრებისეული გამოცდილებაც აქვს, კარგად იცის, რა უნდა, და არჩევანის გაკეთების უნარიც შესწევს. აბა, რა შუაშია აქ თქვენი ცოლქმრული ურთიერთობები, ანდა მსხვერპლი, რომელიც თქვენ და თქვენმა ქმარმა გაიღეთ? რამდენი ხანია, მარტო ცხოვრობს?

- ექვსი წელია.

- ხედავთ? უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებასაც მიჩვეულა. მაგრამ იმიტომ, რომ ერთმა ავსტრიელმა მეცნიერმა ზიგმუნდ ფროიდმა - დარწმუნებული ვარ, გასმენიათ მისი

სახელი, - მშობლებისა და შვილების პათოლოგიური ურთიერთობები აღწერა, დღემდე ყველა მშობელი თავს იდანაშაულებს. როგორ ფიქრობთ, ინდუსები სინდისის ქენჯნას განიცდიან, თუ მათი შვილი მკვლელი გამოვა?

- წარმოდგენა არა მაქვს, - უპასუხა გაოცებულმა ქალმა.

- მე კი მაქვს, - განაგრძო ექიმმა იგორმა, - ინდუსებს მიაჩნიათ, რომ დამნაშავეა მკვლელი და არა საზოგადოება, მშობლები ან წინაპრები. არც იაპონელები იკლავენ თავს, თუ მათი შვილი ნარკოტიკებს მიეძალება ან ვინმეს მოკლავს. თუმცა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ იაპონელები უფრო უბრალო მიზეზითაც იკლავენ თავს. სულ რამდენიმე დღის წინ წავიკითხე, თურმე ერთმა ახალგაზრდა კაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით იმიტომ დაასრულა, რომ უნივერსიტეტში ჩასაბარებელ მოსამზადებელ კურსებზე ვერ ჩაირიცხა.

- შეიძლება, შვილს დაველაპარაკო? - ჰკითხა ქალმა, რომელსაც არც იაპონელები ადარებდა, არც ინდუსები და არც კანადელები.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - უპასუხა სიტყვის შეწყვეტინებით გაღიზიანებულმა ექიმმა იგორმა, - მაგრამ მანამდე მინდა, ერთი რამ დაიმახსოვროთ: ცალკეული მძიმე პათოლოგიების გარდა, ადამიანები, უმეტესად, მაშინ იშლებიან ჭკუიდან, როცა ცდილობენ, ყოველდღიურობას დააღწიონ თავი. გესმით ჩემი?

- მესმის და ძალიან კარგად, - უპასუხა ქალმა, - და თუ თქვენ გგონიათ, რომ მე ვერ შევძლებ მასზე ზრუნვას, შემიძლია, დაგამშვიდოთ: მე არასოდეს მიცდია ჩემი ცხოვრების შეცვლა.

- კარგი, - ექიმმა იგორმა ერთგვარი შვება იგრძნო, - თუ შეგიძლიათ ისეთი სამყარო წარმოიდგინოთ, სადაც იძულებულნი აღარ ვიქნებოდით, ყოველდღე ერთი და იგივე გვეკეთებინა? მაგალითად, გადაგვეწყვიტა, რომ მხოლოდ მაშინ გვეჭამა, როცა მოგვევივდებოდა? მაშინ ოჯახის დიასახლისს და რესტორნებს რაღა უნდა ექნათ?

„სწორედ მაშინ უნდა ჭამო, როცა გშია, ეს არის ნორმალური“, - გაიფიქრა ქალმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ეშინოდა, შვილთან შეხვედრა არ დაეშალათ.

- სრული არეულობა დაისადგურებდა, - უთხრა მან, - მე თვითონ დიასახლისი ვარ და ვხვდები, რასაც მეუბნებით.

- ამიტომაც ყოველდღე ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ. ყოველდღე გარკვეულ დროს ვიღვიძებთ და კვირაში ერთხელ ვისვენებთ. არის შობა, საჩუქრების მისატანად, და აღდგომა - სამი დღით ტბაზე გასასეირნებლად. მოგეწონებოდათ, მოულოდნელად ვნებით აღგზნებულმა თქვენმა ქმარმა პირდაპირ სასტუმრო ოთახში რომ დაგიპიროთ სექსუალური კავშირის დამყარება?

„ნეტავ ეს კაცი რაზე ლაპარაკობს? მე აქ ჩემი შვილის სანახავად მოვედი“.

- ძალიან დავიბნეოდი, - ფრთხილად თქვა ქალმა იმ იმედით, რომ სწორი პასუხი ამოიცნო.

- შესანიშნავია! - წამოიძახა ექიმმა, - სიყვარულით ტკბობის ადგილი ლოგინია. ასე რომ არ იყოს, ცუდ მაგალითს მივცემდით სხვებს და ანარქიასაც დავამკვიდრებდით.

- შეიძლება, შვილი ვნახო? - გაიმეორა ქალმა.

ექიმი იგორი დანებდა. ეს გლეხის ქალი, ცხადია, ვერ მიხვდებოდა, რაზე ელაპარაკებოდა ექიმი, მას სიგიჟის ფილოსოფიური ასპექტები არ აინტერესებდა, მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მისმა შვილმა, პირადი ღირსების დასაცავად თავის მოკვლა გადაწყვიტა.

ექიმმა ზარი დარეკა და მისი მდივანი შემოვიდა.

- ის გოგონა მომიყვანეთ, თავის მოკვლა რომ სცადა, - უთხრა მდივანს, - რომელმაც წერილი მისწერა ჟურნალისტს, რომ თავს იმიტომ იკლავდა, რათა ყველას გაეგო, სად იყო სლოვენია.

* * *

მისი ნახვა არ მინდა. მე უკვე გავწყვიტე ის ძაფები, სამყაროსთან რომ მაერთებდა.

ძნელი იყო, ყველას თანდასწრებით, ჰოლში ამის ხმამაღლა თქმა. მაგრამ სანიტარსაც არ გამოუჩენია დიდი ტაქტი, როცა ყველას გასაგონად გამოაცხადა, დედა გელოდებაო, თითქოს ეს ამბავი ვინმეს აღელვებდა.

ვერონიკას დედის ნახვა არ უნდოდა, იცოდა, რაოდენ მძიმე იქნებოდა ორივესთვის ეს შეხვედრა. აჯობებდა, ისევ მკვდარი ჰგონებოდა შვილი. ვერონიკას ყოველთვის ეჯავრებოდა გამომშვიდობება.

სანიტარი კარში გაუჩინარდა, მან კი ისევ მთების ცქერა განაგრძო. მთელი კვირა მზე არ გამოჩენილა და, როგორც იქნა, გამოანათა. ვერონიკამ ეს უკვე წინაღამეს იცოდა, რადგან წუხელ, პიანინოს დაკვრისას, მთვარემ უთხრა, გამოიდარებსო.

„ღმერთო, ეს უკვე სიგიჟეა, კონტროლს ვკარგავ. ვარსკვლავები არავის ელაპარაკებიან, გარდა იმ ადამიანებისა, ვინც თავის თავს ასტროლოგს უწოდებს. და კიდევ, ალბათ, იმ ბიჭის გარდა, შიზოფრენიით რომ არის ავად“.

უცებ საშინელი ტკივილი იგრძნო მკერდში, ხელი გაუბუჟდა და თვალწინ ჭერი დაუტრიალდა.

გულის შეტევა!

უჩვეულო შეგრძნება დაეუფლა - თითქოს სიკვდილი ათავისუფლებდა სიკვდილის შიშის აუცილებლობისაგან. მალე ყველაფერი დამთავრდებოდა, შეიძლებოდა, რაღაც ტკივილი ეგრძნო, მაგრამ განა ხუთწუთიანი აგონია შეედრებოდა მარადიულ სიმშვიდეს? მან სასწრაფოდ დახუჭა თვალები: ფილმებში ყველაზე მეტად თვალგახელილი მიცვალებულები აშინებდა.

თუმცა, გულის შეტევა ისეთი არ აღმოჩნდა, როგორსაც ელოდა. სულს ვეღარ ითქვამდა და, თავზარდაცემული, მიხვდა, რომ წუთი წუთზე ის უნდა განეცადა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა: სულის შეხუთვისა. მას ისეთი სიკვდილი ელოდა, თითქოს ცოცხლად მარხავდნენ ან ზღვაში იხრჩობოდა.

ვერონიკა წაბარბაცდა, დაეცა და სახეში ძლიერი დარტყმა იგრძნო. კვლავ არაადამიანურ ძალას ხარჯავდა, მაგრამ ფილტვებამდე ჰაერი ვერ აღწევდა. უფრო მეტიც - არც სიკვდილი მოდიოდა. ვერონიკა სრულიად აცნობიერებდა, რაც ირგვლივ ხდებოდა, იმავე ფერებსა და ფორმებს ხედავდა, მხოლოდ ხმა არ აღწევდა მის სმენამდე: შემახილები და ყვირილი სადღაც შორს, თითქოს სხვა სამყაროში ხმიანდებოდა. სხვა ყველაფერი რეალური იყო - ჰაერის ჩასუნთქვა არ შეეძლო, მაგრამ ისევ გონზე იყო.

ვიღაცამ წამოსწია და ზურგზე გადააბრუნა, მაგრამ ახლა თვალების მოძრაობას ვერ აკონტროლებდა, აქეთ-იქით თავისით უტრიალებდა, ასობით სხვადასხვა სახეს გზავნიდა ტვინში და სულის ხუთვას მხედველობის სრული დარღვევაც დაემატა.

მალე სახეებიც მოშორდა და როცა აგონიამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მოულოდნელად შეძლო ჩასუნთქვა, თან ისეთი ხმაურით, რომ ჰოლში მყოფნი ადგილზე გახევდნენ.

მერე გულისრევა დაეწყო. საშიშროებამ გადაიარა, ზოგიერთმა გიჟმა ხარხარი დაიწყო და ვერონიკამ საშინლად დამცირებულად და უსუსურად იგრძნო თავი.

ექთანმა მოირბინა და ხელში ნემსი გაუკეთა.

- დაწყნარდი, ყველაფერი დამთავრდა.

- არ მოვკვდი! - იყვირა ვერონიკამ და პაციენტებისკენ შებრუნდა, - ისევ ამ დამპალ თავშესაფარში უნდა ვეგდო თქვენთან ერთად! ყოველდღე და ყოველდღე ათასი სიკვდილით მოვკვდე და არავინ იყოს შემბრალებელი!

მან ექთანს შპრიცი ხელიდან გამოჰგლიჯა და ფანჯარაში მოისროლა.

- რა გინდათ ჩემგან? რატომ საწამლავს არ მომცემთ?! ხომ იცით, რომ მაინც ვკვდები? სულ აღარა გაქვთ გულმოწყალება?

ვერონიკამ უკვე სრულიად დაკარგა კონტროლი, ისევ იატაკზე ჩაიკეცა და ატირდა. თან ყვიროდა და ხმამალა ქვითინებდა, ზოგიერთები იცინოდნენ და დასვრილ ტანსაცმელზე უთითებდნენ.

- დამამშვიდებელი მიეცით! - იყვირა ჰოლში შემოვარდნილმა ექიმმა, - სიტუაციაზე კონტროლს ნუ კარგავთ!

ექთანი გახევებული იდგა. ექიმი ქალი უკან გაბრუნდა და ორი სანიტარი შემოიყვანა. სანიტრებმა ისტერიკით აცახცახებული ვერონიკა შუა ჰოლში გააკავეს და ექიმმა ვენაში შეუშხაპუნა წამალი.

* * *

ის ექიმ იგორის კაბინეტში, თეთრ ტახტზე გადაფარებულ თეთრ ზეწარზე იწვა.

ექიმი მის გულს უსმენდა. ვერონიკამ კვლავ მოიმძინარა თავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ექიმი მიუხვდა და მშვიდად უთხრა:

- დაწყნარდით, ასეთი ჯანმრთელობით ას წელს იცოცხლებთ.

ვერონიკამ თვალი გაახილა. ვიღაცას მისთვის ტანსაცმელი გამოეცვალა. ნუთუ ექიმმა იგორმა გახადა? ნუთუ შიშველი ნახა?

- რა მითხარით?

- გითხარით, რომ უნდა დაწყნარდეთ.

- არა, თქვენ თქვით, რომ ას წელს ვიცოცხლებ.

ექიმი მაგიდას მიუახლოვდა.

- თქვენ მითხარით, რომ ას წელს ვიცოცხლებ, - გაიმეორა ვერონიკამ.

- მედიცინაში ყველაფერი დასაშვებია, - პასუხს თავი აარიდა ექიმმა, - ვერაფერს გამოვრიცხავთ.

- გულზე რას მეტყვით?

- არაფერი შეცვლილა.

მეტის მოსმენა აღარ სჭირდებოდა. როცა ექიმები სათქმელს თავს არიდებენ, როგორც წესი, ყოველთვის ამბობდნენ: „ას წელს იცოცხლებთ“, ან: „არაფერი სერიოზული“, ანდა: „ბავშვით გული და წნევა გაქვთ“. ალბათ, ეშინიათ, რომ პაციენტები კაბინეტებს დაულეწავენ.

ვერონიკამ წამოდგომა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო: ოთახი ისევ დატრიალდა მის თვალწინ.

- ცოტა ხანს კიდევ იწექით, ვიდრე უკეთ არ იგრძნობთ თავს. ხელს არ მიშლით.

„რა კეთილია, - გაიფიქრა ვერონიკამ, - რომ ვუშლიდე?“

როგორც გამოცდილ ექიმს შეეფერებოდა, ექიმი იგორი ერთხანს ხმას არ იღებდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს ალაგებდა. ჩვენი თანდასწრებით მეორე ადამიანის დუმილი გვაღიზიანებს, გვძაზავს და სიჩუმეს აუტანელს ხდის. ექიმ იგორს იმედი ჰქონდა, რომ გოგონა პირველი დაიწყებდა ლაპარაკს და ამით ახალ მასალას მიაწვდიდა დისერტაციისათვის, რომლის თემაც სულით ავადმყოფთა მკურნალობის მეთოდები იყო.

მაგრამ ვერონიკას კრინტიც არ დაუძრავს. „ალბათ, აჯასპის მაღალი დოზის მოწამვლა აქვს“, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა და გადაწყვიტა, დუმილი დაერღვია, რომელიც უკვე აღიზიანებდა, ძაზავდა და აუტანელი ხდებოდა.

- როგორც გავიგე, პიანინოს დაკვრა გყვარებიათ, - უთხრა და ყოველნაირად სცადა, აბსოლუტური სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

- გიჟებს კი - მოსმენა. გუშინ ერთი მათგანი ველარ მოვიშორე.

- ედუარდი. ვიღაცისთვის უთქვამს, რომ აღფრთოვანებული იყო თქვენი დაკვრით. ვინ იცის, იქნებ თქვენი წყალობით ჭამაც დაიწყოს.

- ამ შიზოფრენიკს მუსიკა უყვარს? და ვიღაცებთან ლაპარაკობს კიდევ?

- დიახ. იცით, შემიძლია, სანაძლეო დაგიდოთ, რომ წარმოდგენაც არა გაქვთ, რაზე ლაპარაკობთ.

ეს შავად თმაშეღებილი ექიმი, უფრო პაციენტს რომ ჰგავდა, მართალს ამბობდა: ვერონიკას შიზოფრენიაზე მრავალი რამ სმენოდა, მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა დაავადება იყო.

- მისი განკურნების იმედი გაქვთ? - ჰკითხა ექიმს, სცადა, ამით მაინც შეეტყო რამე ამ დაავადების შესახებ.

- მისი კონტროლირება შეიძლება. ჩვენთვის ჯერ ბოლომდე არ არის ცნობილი, რა ხდება სულით ავადმყოფთა სამყაროში: ეს ერთიანად ახალი სფეროა და ყოველ ათწლეულში მკურნალობის მეთოდები იცვლება. შიზოფრენიკი ის ადამიანია, რომელსაც ამ სამყაროდან გამიჯვნის ბუნებრივი მოთხოვნილება აქვს, ვიდრე მძიმე, ან ნაკლებად მძიმე რაიმე მოვლენის წყალობით, თვითონ არ შექმნის იმ რეალობას, რომელიც მხოლოდ მისთვის იარსებებს. დაავადება შეიძლება, სრული გამიჯვნის ფორმით მიმდინარეობდეს, რომელსაც ჩვენ კატატონიას ვეძახით, მაგრამ

მდგომარეობის გაუმჯობესებაც არის შესაძლებელი, რაც ავადმყოფს საშუალებას მისცემს, იმუშაოს და ნორმალური ცხოვრებით იცხოვროს. ყველაფერი მხოლოდ ერთ რამეზეა დამოკიდებული - გარე ფაქტორებზე.

- ქმნის მხოლოდ მისთვის არსებულ რეალობას, - ექიმის სიტყვები გაიმეორა ვერონიკამ, - რა არის რეალობა?

- ის, რასაც აწესებს უმრავლესობა. არ არის აუცილებელი, უკეთესი იყოს ან ლოგიკური, მთავარია, ადამიანთა კოლექტიურ სურვილს ესადაგებოდეს. აბა, მითხარით, კისერზე რა მიკეთია?

- ჰალსტუხს გულისხმობთ?

- შესანიშნავია. თქვენ ლოგიკურად მიპასუხეთ. ეს არის თანამედროვე, ნორმალური ადამიანის ტიპური პასუხი - ჰალსტუხი! გიჟი კი მეტყოდა, რომ კისერზე ფერადი, სასაცილო და არაფრის მაქნისი ჭინჭი მკიდია, რომელიც საკმაოდ რთული შესაკრავია, კისერზე მიჭერს და სუნთქვაშიც ხელს მიშლის. შემთხვევით, ვენტილატორის გვერდით რომ აღმოვჩნდე, შეიძლება, დამახრჩოს კიდეც. გიჟმა რომ მკითხოს, რისთვის მჭირდება ეს ჰალსტუხი, იძულებული გავხდები, ვუპასუხო: აბსოლუტურად არაფრისათვის. არც ლამაზია, ჩვენს დროშიც ჰალსტუხი უკვე მონობისა და ძალაუფლების სიმბოლოდ იქცა. ამ ჰალსტუხს ერთადერთი სარგებლობა მოაქვს: შინდაბრუნებულმა, შეგიძლია, მოიხსნა და თავისუფლად იგრძნო თავი. მაგრამ თავისუფლების გრძნობა ვერ ამართლებს ჰალსტუხის არსებობას. და მაინც, ნორმალურ ადამიანს და გიჟს რომ დაუსვა ეს ერთი და იგივე კითხვა, ჯანმრთელად ის ჩაითვლება, ვინც თქვენსავით მიპასუხებს - „ჰალსტუხი“. სრულიად არა აქვს მნიშვნელობა, ვინ მიპასუხებს სწორად, მთავარია, ვინ იქნება მართალი.

- მაშასადამე, რადგანაც ფერად ჭინჭს სწორი სახელი დავარქვი, მიგაჩნიათ, რომ გიჟი არა ვარ, ასეა?

„ცხადია, არა ხარ“, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა, ის პროფესიონალი იყო და ამის დამადასტურებელი რამდენიმე დიპლომიც ეკიდა კედლებზე. საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა მხოლოდ ნორმალურ ადამიანს შეუძლია. ის მრავლად იცნობდა ადამიანებს, რომელთაც იგივე ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ მოხვედრილან. კეთილ, თავმდაბალ ადამიანებს ჰგავდნენ, სკანდალურად არ ამთავრებდნენ სიცოცხლეს - უბრალოდ, უჩუმრად იკლავდნენ თავს, იმით იწამლებოდნენ, რასაც ექიმი იგორი აჯასპის უწოდებდა.

აჯასპი ტოქსიკური ნივთიერება იყო, რომლის არსებობის სიპტომებიც არაერთხელ შეუნიშნავს თავის ნაცნობ ქალებთან თუ მამაკაცებთან საუბრისას. ახლა სწორედ ამ თემაზე წერდა დისერტაციას, რომელიც სლოვენის მეცნიერებათა აკადემიაში უნდა წარედგინა. ეს დისერტაცია ფსიქიატრიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა

იქნებოდა, რომლის მსგავსიც არ გაკეთებულა მას შემდეგ, რაც ექიმმა პინელმა ბრძანა, სულით ავადმყოფთათვის ბორკილები მოეხსნათ და სამედიცინო სამყარო გააოგნა იმის მტკიცებით, რომ ზოგიერთი მათგანის განკურნება შეიძლებოდა.

ფროიდის მიერ აღმოჩენილი ქიმიური რეაქციის, ლიბიდოს, მსგავსად, რომელიც სექსუალურ ლტოლვას განსაზღვრავდა და რომელიც დღემდე ვერც ერთ ლაბორატორიას ვერ დაეფიქსირებინა, აჯასპი შიშის დროს გამოიყოფოდა ადამიანის ორგანიზმში. თუმცა ამ ქიმიურ ნივთიერებას თვით თანამედროვე სპექტროგრაფიული გამოკვლევებიც ჯერ ვერ ადასტურებდა, მაგრამ თავისუფლად შეიძლებოდა მისი ამოცნობა გემოთი - ტკბილი ან მლაშე კი არა, მწარე გემოთი. ექიმმა იგორმა - ამ სასიკვდილო შხამის ჯერ აუღიარებელმა მკვლევარმა, - ამ ნივთიერებას იმ საწამლავის სახელი უწოდა, რომელსაც წარსულში ფართოდ იყენებდნენ იმპერატორები, მეფეები და საყვარლები, ვისაც კი სურვილი უჩნდებოდა, თავიდან მოეშორებინა ესა თუ ის არასასურველი პიროვნება.

მაშინ ოქროს ხანა იდგა, მეფეებისა და იმპერატორების ხანა! იმ პერიოდში ადამიანები რომანტიკულად ცხოვრობდნენ და რომანტიკულადვე იხოცებოდნენ. მკვლელი დიდებულ ვახშამზე იწვევდა მსხვერპლს, მსახური სასმელით სავსე ორ თასს შემოიტანდა, რომელთაგან ერთ-ერთში აჯასპი იყო გარეული. მსხვერპლი თასს იღებდა, რამდენიმე თავაზიან ან აგრესიულ სიტყვას წარმოთქვამდა, ღვინოს შესვამდა, შემდეგ გაოცებული მიაჩერდებოდა მასპინძელს და უსულოდ ეცემოდა იატაკზე.

უფრო მოგვიანებით ეს შხამი, რომელიც ძვირიც ღირდა და არც იშოვებოდა, ადამიანთა მოსპობის სხვა საიმედო საშუალებებით შეიცვალა: იარაღით, ბაქტერიებით და კიდევ ვინ იცის, რით. ექიმი იგორი ბუნებით რომანტიკოსი იყო და ამიტომაც იმ მივიწყებული საწამლავის სახელით მონათლა სულიერი დაავადების გამომწვევი შხამი, რომლის დიაგნოსტიკებაც შეძლო და ამ აღმოჩენით მალე მთელ მსოფლიოს შეძრავდა.

ისიც იყო აღსანიშნავი, რომ დღემდე აჯასპს არავინ უწოდებდა სასიკვდილო შხამს, თუმცა დაავადებულ ადამიანთა უმრავლესობა მის გემოს „ნალველად“ მოიხსენიებდა. ყოველი ადამიანის ორგანიზმში - მეტად თუ ნაკლებად - არსებობს ეს „ნალველი“, ისევე, როგორც ყოველი ადამიანის ორგანიზმშია ჭლექის ბაცილა. მაგრამ თუ ჭლექის დროს დაავადება მხოლოდ მაშინ იჩენს თავს, როცა ორგანიზმი სუსტდება, „ნალველის“ შემთხვევაში, დაავადებას შიში იწვევს. შიში ეგრეთ წოდებული „რეალობის“ წინაშე.

ზოგიერთ ადამიანს, ვისაც გარეშე საფრთხისაგან დაცული რეალობის შექმნა სურს, ჰიპერტროფირებული ხარისხით უვითარდება თავდაცვის უნარი - უცხო ადამიანების, უცნობი ადგილების, უჩვეულო შეგრძნებების მიმართ და მათი

შინაგანი სამყარო დაუცველი ხდება. სწორედ ამ ვითარებაში იწყებს „ნაღველი“ მოქმედებას.

„ნაღველისათვის“ (ან აჯასპისათვის, როგორც ექიმი იგორი უწოდებდა) ყველაზე მნიშვნელოვანი სამიზნე ნებისყოფაა. დაავადებულ ადამიანებს ყველაფრის სურვილი უქრებათ და რამდენიმე წლის შემდეგ ისინი უკვე ვეღარ ახერხებენ საკუთარი სამყაროდან გამოსვლას. მათ უდიდესი ენერგია აქვთ დახარჯული მათივე არჩევანით შექმნილი რეალობისათვის გალავნის შემოსავლებად.

ისინი იმდენად ცდილობენ გარე ზემოქმედებისაგან თავის დაცვას, რომ ვერც კი ამჩნევენ, როგორ ზღუდავენ საკუთარ სულიერ განვითარებას. სამსახურში სიარულს განაგრძობენ, უცქერენ ტელევიზორს, ტრანსპორტში ჰყლეტაზე წუწუნებენ, აჩენენ შვილებს, მაგრამ ამ ყველაფერს ავტომატურად აკეთებენ, ყოველგვარი ძლიერი განცდების გარეშე, რადგან, დარწმუნებულნი არიან, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი მათ კონტროლს ექვემდებარება.

ნაღველით მოწამვლის ყველაზე სერიოზული პრობლემა ის არის, რომ ვნებები - ზიზღი, სიყვარული, სასოწარკვეთა, აღფრთოვანება, ცნობისმოყვარეობა, - ქრება. დროთა განმავლობაში ნაღველით დაავადებულ ადამიანებს ყოველგვარი სურვილი ეკარგებათ. მათ აღარც სიცოცხლე სურთ და აღარც სიკვდილი და ეს არის ყველაზე რთული.

ამიტომაც ნაღველით დაავადებულთ ყოველთვის ხიბლავენ გიჟები და გმირები: მათ ხომ არც სიცოცხლე აშინებთ და არც სიკვდილი. გიჟებიც და გმირებიც საფრთხეს არ ერიდებიან და თუმცა ირგვლივ ყველა მათ შეჩერებას ლამობს, მაინც წინ მიიწევენ. გიჟი თავს იკლავს, ხოლო გმირი იდეის განსახორციელებლად ტანჯვა-წამებას იღებს. მაგრამ ერთნიც და მეორენიც იხოცებიან, ნაღველით დაავადებულნი კი დღედაღამ ლაპარაკობენ ერთის სისულელესა და მეორის გმირობაზე. ეს არის ერთადერთი მომენტი, როცა მათ ჰყოფნით ძალა, საკუთარი გალავნის კედლებზე აფორთხდნენ და გარეთ გამოიხედონ. თუმცა ძალა დიდხანს არ ჰყოფნით და ღონემიხდილები ისევ ყოველდღიურობას უბრუნდებიან.

ქრონიკული ნაღველით დაავადებულნი თავიანთ ავადმყოფობას კვირაში ერთხელ შეიგრძნობენ - კვირა საღამოს, ვახშმის შემდეგ, რადგანაც სწორედ ამ დროს მთავრდება სამუშაო და ყოველდღიური საქმიანობა, ჯოჯოხეთური სიმშვიდე ისადგურებს, დრო ჩერდება, გაღიზიანებაც უფრო იოლად მჟღავნდება და სწული ხვდება, რომ რაღაც ისე არ არის.

მაგრამ ისევ დგება ორშაბათი, ნაღველით დაავადებულს გაღიზიანება ავიწყდება, თუმცა კი მაინც ერთთავად წუწუნებს, რომ დასვენებისათვის დრო არასოდეს ჰყოფნის და უქმე დღეებიც ძალიან სწრაფად გადის.

ამ დაავადების ერთადერთი დადებითი მხარე ის გახლავთ, რომ სოციალური თვალსაზრისით, ის უკვე ნორმადაა ქცეული. ამიტომაც თავშესაფრებში ადამიანთა განთავსების საჭიროება აღარ არსებობს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როცა მოწამვლა იმდენად ძლიერია, რომ ავადმყოფთა ქცევა გარემოსათვის საშიში ხდება. და მაინც, ნაღველით დაავადებულთა უმეტესობა შინ რჩება, არც ადამიანებისა თუ საზოგადოებისათვის არ არიან საშიშნი, რადგან საკუთარი ხელით აღმართული გალავნის წყალობით ისინი სრულიად გამოყოფილნი არიან სამყაროსგან, თუმცა კი მისი ნაწილი ჰგონიათ თავი.

დოქტორმა ფროიდმა ლიბიდო და მისი მკურნალობის მეთოდი ფსიქოანალიზის წყალობით აღმოაჩინა. ექიმ იგორს არა მხოლოდ უნდა აღმოეჩინა აჯასპი, არამედ ისიც უნდა დაემტკიცებინა, რომ მისი მკურნალობა შესაძლებელი იყო. ძალიან უნდოდა, ამ აღმოჩენით შესულიყო მედიცინის ისტორიაში, თუმცა იმასაც აცნობიერებდა, რომ ადამიანებისათვის საკუთარი იდეის მიწვდენა ძალიან გაუჭირდებოდა, რადგან „ნორმალური“ ადამიანები თავიანთი ცხოვრებით კმაყოფილნი იყვნენ და არაფრით აღიარებდნენ სწეულებას, ავადმყოფები კი ფსიქიატრიული საავადმყოფოების, ლაბორატორიებისა და კონგრესების უზარმაზარი ინდუსტრიის საარსებო წყაროს წარმოადგენდნენ.

„დარწმუნებული ვარ, მსოფლიო არ აღიარებს ჩემს გამოკვლევებს“, - ეუბნებოდა თავის თავს და სიამაყით ევსებოდა გული. ბოლოს და ბოლოს, დაუფასებლობა ხომ ის საზღაური იყო, რასაც გენიოსები იხდიდნენ.

- რა გჭირთ? - ჰკითხა მის წინ მჯდარმა გოგონამ, - თქვენ, მგონი, პაციენტების სამყაროში გადასახლდით.

ექიმმა იგორმა უყურადღებოდ დატოვა შეურაცხმყოფელი ფრაზა.

- შეგიძლიათ, წახვიდეთ, - უთხრა მან.

* * *

ვერონიკამ არ იცოდა, დღე იყო თუ ღამე, ექიმ იგორის კაბინეტში შუქი ენთო, მაგრამ ასე იყო ყოველ დილას. თუმცა, დერეფანში რომ გავიდა, ფანჯრიდან მთვარეს მოჰკრა თვალი და მიხვდა, რომ უფრო მეტხანს ეძინა, ვიდრე ეგონა.

პალატისკენ მიმავალმა დერეფანში კედელზე დაკიდებული გაყვითლებული სურათი დაინახა: ლუბლიანის ცენტრალური მოედნის ხედი იყო - პრემერნის ქანდაკების დადგამდე. მოედანზე წყვილები სეირნობდნენ, ალბათ, კვირა დღე იქნებოდა.

სურათის თარიღს შეხედა: 1910 წლის ზაფხული.

1910 წლის ზაფხული. ფოტოსურათზე იმ ადამიანთა ცხოვრების ერთი წამი იყო აღბეჭდილი, ვისი შვილები და შვილიშვილებიც კი აღარ იყვნენ ამქვეყნად. ქალებს მოუხერხებელი კაბები ემოსათ, კაცებს შლაპები ეხურათ, პალტოები და გამაშები ეცვათ, ჰალსტუხები ეკეთათ (ან, როგორც გიჟები ეძახიან - ფერადი ჭინჭები) და ქოლგები ეჭირათ ხელში.

სიცხე? ალბათ, მაშინაც 35 გრადუსი იქნებოდა ჩრდილში. ნეტავ რას იფიქრებდა ეს ხალხი, სიცხეში ესოდენ მოსახერხებელ ვიწრო შორტებსა და ჟილეტში გამოწყობილი ვინმე ინგლისელი რომ გამოჩენილიყო?

მაშინვე გიჟად შერაცხავდნენ.

ის შესანიშნავად მიხვდა, რას გულისხმობდა ექიმი იგორი. იმასაც მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში ყოველთვის საკმარისად იყო სიყვარული, სინაზე, თანადგომა, მაგრამ ეს ყველაფერი ბედნიერებად რომ ექცია, მხოლოდ ერთი რამ აკლდა: ცოტა სიგიჟე.

როგორც უნდა მოქცეულიყო, მშობლებს მაინც ძველებურად ეყვარებოდათ, მაგრამ მათთვის ტკივილის მიყენების შიშით ვერასოდეს ბედავდა, ოდნავ მაინც გადაეხვია მათი რჩევებისგან და თავისი ოცნება აესრულებინა: ოცნება, რომელიც ღრმად ჰქონდა გულის სიღრმეში ჩამალული და მხოლოდ რომელიმე კონცერტი ან მუსიკალური ჩანაწერი გაუცოცხლებდა ხოლმე. ყოველთვის, როცა მისი ოცნება ხელახლა იღვიძებდა, ისეთი უიმედობის ყოვლისმომცველი გრძნობა ეუფლებოდა, რომ დაუყოვნებლივ თავიდან იშორებდა და აძინებდა. ბავშვობიდან იცოდა ვერონიკამ, რა იყო მისი დანიშნულება: ის პიანისტი უნდა გამხდარიყო.

ეს პირველივე გაკვეთილზე, თორმეტი წლის ასაკში იგრძნო. მასწავლებელი ძალიან ნიჭიერ გოგონად თვლიდა და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. მაგრამ ერთხელ, როცა კონკურსიდან გამარჯვებული და ბედნიერი დაბრუნდა და დედას გაანდო, რომ ყველაფერს დათმობდა ამქვეყნად, ოღონდ კი პიანისტი გამხდარიყო, მან ალერსიანად შეხედა შვილს და უთხრა:

„ძვირფასო, პიანინოს დაკვრით პურს ვერ შეჭამ“.

„შენ ხომ გინდოდა, რომ დაკვრა მესწავლა?!“

„მხოლოდ იმიტომ, რომ მუსიკალური მონაცემები გაგვევითარებინა. კაცებს უყვართ, ქალი რომ უკრავს, და შენც ყოველთვის შეგეძლება, იკვლევო. გირჩევ, პიანისტობაზე ფიქრს თავი გაანებო და იურიდიულზე ჩააბარო, ეს მომავლის პროფესიაა“.

ვერონიკაც ისე მოიქცა, როგორც დედამ ურჩია. დარწმუნებული იყო, რომ დედას ცხოვრებისეული გამოცდილება უმაგრებდა ზურგს და სწორი რჩევის მიცემა შეეძლო.

სკოლის დამთავრების შემდეგ იურიდიულზე ჩააბარა, უმაღლესი შეფასებებით დაამთავრა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბიბლიოთეკარი გახდა.

„ჰო, ცოტა სიგიჟე მაკლდა“.

მაგრამ, როგორც ადამიანთა უმრავლესობას ემართება ხოლმე, მან ეს ძალიან გვიან გააცნობიერა.

ვერონიკამ პალატისაკენ დააპირა გზის გაგრძელება, მაგრამ ვიღაც ფრთხილად შეეხო ხელზე. ის ჯერ ისევ დამამშვიდებლებით იყო გაბრუებული, ამიტომაც წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, როცა ედუარდმა სხვა მიმართულებით წაიყვანა - ჰოლისაკენ.

ისევ ახალი მთვარე მოჩანდა ფანჯრიდან და ედუარდის უსიტყვო ვედრებას დამორჩილებული ვერონიკა ის იყო, პიანინოს მიუჯდა, რომ უცებ სასადილოდან მამაკაცის ხმა შემოესმა. ვიღაცა უცხოური აქცენტით ლაპარაკობდა - ვილეთეში ასეთი საუბარი ჯერ არ მოესმინა.

ვერონიკა წამოდგა.

- ედუარდ, ახლა დაკვრა არ შემიძლია. მინდა, ვიცოდე, რა ხდება ამქვეყნად, რაზე ლაპარაკობენ გვერდით ოთახში და ვინ არის ეს უცხოელი.

ედუარდი იღიმებოდა, იქნებ არც კი ესმოდა ვერონიკას ნათქვამი. მას კი ექიმ იგორის სიტყვები გაახსენდა: შიზოფრენიკებს შეუძლიათ, თავიანთ განცალკევებულ რეალობაში ჩაიკეტონ და გამოვიდნენ კიდეც.

- მე მალე მოვკვდები, - განაგრძო ვერონიკამ. ედუარდს ესმოდა მისი, - დღეს სიკვდილი მხოლოდ ფრთით შემეხო სახეზე, ხვალ ან რამდენიმე დღეში კი უკვე კარზე მომიკაკუნებს. ამიტომაც არ ღირს, ყოველდღე მუსიკის მოსმენას მიეჩვიო. საერთოდ, მიჩვევა არაფრისადმი არ ღირს, ედუარდ. აბა, დააკვირდი: მე ისევ ვტკბებოდი მზით, მთებით და ცხოვრებისეული პრობლემებით... ისიც კი გავაცნობიერე, რომ მხოლოდ მე მიმიძღვოდა ბრალი ჩემი ცხოვრების უაზრობაში. მომინდა, ერთხელ კიდე მენახა ლუბლიანის მოედანი, შემეგრძნო სიყვარული და სიძულვილი, სასოწარკვეთა და დარდი, ყველა ის სისულელე, რის გარეშეც ცხოვრება ასეთი უაზრო და მოსაწყენი ხდება.

როგორმე აქედან თუ გავაღწიე, სიგიჟის ნებას მივცემდი თავს, რადგან შეშლილია მთელი სამყარო და ყველაზე უბედური სწორედ ის არის, ვინც ვერ ხვდება, რომ თვითონაც შეშლილია, თუკი მთელი სიცოცხლე მხოლოდ სხვის ნათქვამს და სხვის ქცევას იმეორებს.

მაგრამ ეს შეუძლებელია, გესმის? შენც არ უნდა გაატარო მთელი დღეები იმის მოლოდინში, როდის დადამდება და როდის დაუკრავს ვიღაც პაციენტი პიანინოს. ეს ყველაფერი მალე დამთავრდება, ჩემი და შენი სამყაროც მალე მოკვდება.

ვერონიკა წამოდგა, ედუარდს ნაზად მიეფერა ლოყაზე და სასადილოსკენ წავიდა.

კარი შეაღო და ოთახში უჩვეულო რამ დაინახა: სკამები და მაგიდები კედელთან იყო მიდგმული, ოთახის დაცარიელებულ შუაგულში, იატაკზე, ძმობის წევრები ისხდნენ და კოსტიუმთან კაცს უსმენდნენ.

- ...და აი, მაშინ, მათ სასაუბროდ ნასრედინი მიიწვიეს, სუფიური ტრადიციის დიდი მოძღვარი.

კარი რომ გაიღო, ყველამ ვერონიკასკენ მიიხედა. კოსტიუმთანმა კაცმაც მას შეხედა.

- დაბრძანდით.

ვერონიკა ქერათმიანი ქალის - მარის - გვერდით დაჯდა, პირველი შეხვედრისას ასე აგრესიულად რომ მოექცა, მაგრამ ამჯერად რატომღაც თბილად გაუღიმა.

კოსტიუმთანმა კაცმა განაგრძო:

- ნასრედინმა ლექცია დღის ორი საათისათვის დანიშნა და ამ ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. დარბაზი ლექციის მოსმენის მსურველთ ვერ იტევდა, ათასი ბილეთი გაიყიდა, გარეთ კი ექვსას კაცზე მეტი დარჩა, რომ თუნდაც, ტელეარხით მოესმინათ მოძღვრისათვის.

ზუსტად ორ საათზე დარბაზში ნასრედინის ასისტენტი გამოჩნდა და დამსწრეებს ამცნო, რომ ლექცია გადატანილი იყო. ზოგიერთები წამოდგნენ, ფულის დაბრუნება მოითხოვეს და აღშფოთებულები წავიდნენ. და მიუხედავად ამისა, დარბაზში და დარბაზს გარეთაც მაინც უამრავი ხალხი რჩებოდა.

დღის ოთხ საათზე სუფი მოძღვარი ჯერ არ გამოჩენილიყო, ხალხი თანდათან ტოვებდა დარბაზს და ფულსაც უკან ითხოვდა, სამუშაო დღე მთავრდებოდა და შინ დაბრუნების დრო მოახლოვდა. საღამოს ექვსი საათისათვის ადრე შეკრებილი 1700 ადამიანიდან ასიოდე კაცი თუ იქნებოდა დარჩენილი.

ამ დროს დარბაზში ბარბაციტ შემოვიდა ნასრედინი, მთვრალს ჰგავდა, მაშინვე პირველ რიგში მჯდარ ლამაზ გოგონას მიუცუცქდა და ლაზღანდარობა დაუწყო.

ხალხი ფეხზე წამოდგა და გაოცებულები და განრისხებულები უცქერდნენ მოძღვარს: ისინი ხომ ოთხ საათს ელოდნენ ამ ადამიანს, ის კი სრულიად აღმაშფოთებლად იქცეოდა. დარბაზი ახმაურდა, მაგრამ მოძღვარი არაფრად აგდებდა ჩოჩქოლს, ქალიშვილს ხმამაღლა ესაუბრებოდა, ხოტბას ასხამდა მის სექსუალურობას და სთხოვდა, საფრანგეთში გაჰყოლოდა.

„მაგარი მოძღვარი ყოფილა, - გაიფიქრა ვერონიკამ, - მაყურებლის ადგილზე, მეც ასევე მოვიქცეოდი“.

ნასრედინმა აყაყანებულ ხალხს შეაგინა, წამოდგომა დააპირა, მაგრამ იატაკზე გაიშლართა. აღშფოთებული მაყურებლები გასასვლელისკენ დაიძრნენ. თან გულმოსულები ამბობდნენ, რომ ასეთი შეურაცხყოფა მათთვის არავის არასოდეს მიუყენებია და ამის შესახებ აუცილებლად შეატყობინებდნენ პრესას.

დარბაზში ათიოდე ადამიანილა დარჩა. და როგორც კი გაბრაზებული ხალხი დარბაზიდან გავიდა, ნასრედინი ფეხზე წამოდგა. სრულიად ფხიზელი იყო, მისი თვალებიდან სიკეთე და სიბრძნე გამოსჴვიოდა.

„თქვენ, ვინც აქ სხედხართ, ხართ ის ადამიანები, ვისაც ჩემთვის უნდა მოესმინა, - თქვა მან, - სულიერი განვითარების გზაზე თქვენ ორ უმძიმეს განსაცდელს გაუძელით - მოთმინებით დაელოდეთ ჴემმარიტების მომენტს და განკიცხვისა და შეფასების გარეშე მიიღეთ არსებული“.

და ნასრედინმა სუფიური მოძღვრების საიდუმლოთა ახსნა დაიწყო.

კაცი დადუმდა და ჯიბიდან უცნაური ფლეიტა ამოიღო.

- ახლა ცოტა ხნით შევისვენოთ, შემდეგ კი მედიტაციას შევუდგეთ.

ყველა ფეხზე წამოდგა. ვერონიკამ აღარ იცოდა, რა ექნა.

- შენც ადექი, - უთხრა მარიმ და წამოსაყენებლად ხელი გაუწოდა, - ხუთწუთიანი შესვენება გვაქვს.

- წავალ, არ მინდა, ხელი შეგიშალოთ.

მარიმ კედლისკენ გაიყვანა.

- ნუთუ სიკვდილის პირას მაინც ვერაფერი ისწავლე? ნუ ფიქრობ იმაზე, ვის რა მოეწონება. თუ ვინმეს არ სიამოვნებს შენი აქ ყოფნა, თვითონ იტყვის, და თუ სითამამე არ ეყოფა, თავის თავს დააბრალოს.

- იმ დღეს პირველად რომ დაგელაპარაკეთ, ის გავაკეთე, რასაც ადრე ვერასოდეს გავბედავდი.

- და მერე ერთმა სულელურმა ხუმრობამ შეგაშფოთა, არა? რატომ არ განაგრძე, რაც დაიწყე? რა გქონდა დასაკარგი?

- საკუთარი ღირსება. არ მინდოდა, იქ დავრჩენილიყავი, სადაც ჩემი ყოფნა არ სიამოვნებდათ.

- რა არის ღირსება? მხოლოდ სწრაფვა, რომ შენ ირგვლივ მყოფებმა კეთილ, აღზრდილ და მოყვასისადმი სიყვარულით აღსავსე ადამიანად ჩაგთვალონ? ბუნება შეიყვარე, ცხოველებზე გადაღებული ფილმები ნახე და ყურადღება მიაქციე, როგორ იბრძვიან საკუთარი სივრცისათვის. ჩვენ ძალიან მოგვეწონა, იმ ბებერს სილა რომ გააწანი.

ვერონიკას დრო აღარ რჩებოდა, რაღაც საკუთარი სივრცისათვის ებრძოლა, ამიტომ საუბრის თემა შეცვალა. მარის ჰკითხა, ვინ იყო ეს კაცი.

- ეს უკვე უკეთესია, - გაიცინა მარიმ, - კითხვები დასვი და ნუ შეგეშინდება, თუ თავხედად ჩაგთვლიან. ეს კაცი მოძღვარი სუფიაა.

- სუფია რას ნიშნავს?

- ბეწვს.

ვერონიკა ვერაფერს მიხვდა.

- ბეწვს?

- სუფიზმი - დავრიშების სულიერი ტრადიციაა, სადაც მოძღვრები ბრძენის პოზაში არ სხედან, მოწაფეები ცეკვავენ, ბზრიალებენ, ტრანსში შედიან.

- ეს რაში გჭირდებათ?

- ზუსტად ვერ გეტყვი. მაგრამ ჩვენმა ჯგუფმა გადაწყვიტა, ყველა შესაძლებელი ემოცია განიცადოს. წლების მანძილზე ჩვენი მთავრობა გვასწავლიდა, რომ სულიერი ძიებები იმისთვის არსებობს, რომ ადამიანი თავის რეალურ პრობლემებს გაეცალოსო. ახლა კი მიპასუხე: არ გგონია, რომ ცხოვრების არსის წვდომა სწორედ რეალური პრობლემა?

დიახ, ეს რეალური პრობლემა იყო. გარდა ამისა, ვერონიკამ უკვე აღარ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „რეალობა“.

კოსტიუმთანმა კაცმა, - როგორც მარი ამბობდა, სუფია მოძღვარმა, - ყველას ისევ წრეში დაჯდომა სთხოვა. მან ერთ-ერთი მაგიდიდან ლარნაკი აიღო, ყვავილები ამოალაგა, შიგ მხოლოდ ერთი ლამაზი ვარდი დატოვა და იატაკზე, წრის შუაგულში დადგა.

- რა უცნაურია, - მარის მიმართა ვერონიკამ, - ერთხელ ვიღაც გიჟმა გადაწყვიტა, რომ ზამთარშიც შეიძლებოდა ვარდების გამოყვანა, და, აი, შედეგიც - დღეს ევროპაში მთელი წლის მანძილზე ყვავის ვარდები. როგორ გგონია, სუფია მოძღვარს, მთელი თავისი ცოდნის მიუხედავად, ოდესმე მსგავსი რამ მოაფიქრებოდა?

მარი მიუხვდა სათქმელს.

- კრიტიკა მომავლისათვის გადადე.

- ვეცდები. მაგრამ მე მხოლოდ აწმყო მაქვს და ისიც ძალიან სწრაფად გადის.

- ყველა ადამიანს ამქვეყნად მხოლოდ აწმყო აქვს და ყველას აწმყო სწრაფად გადის, თუმცა ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ აქვთ წარსული, სადაც ნივთები დააგროვეს, და აქვთ მომავალი, სადაც უფრო მეტ ნივთს მოაგროვებენ. მართლა, თუკი აწმყოზე ვლაპარაკობთ, ხშირად მასტურბირებ?

თუმცა დამამშვიდებელი კიდეც მოქმედებდა, ვერონიკას მაშინვე გაახსენდა ვილეტეში მოსმენილი ის პირველი ფრაზა.

- ვილეტეში რომ გამოვფხიზლდი და თავით ფეხამდე სასუნთქი მიღებითა და წვეთოვანებით ვიყავი შემობლანდული, მახსოვს, იგივე მკითხა ვიღაცამ. ეს რას ნიშნავს? აქ რა, ასეთი აკვიატებული იდეა გაქვთ?

- აქაც და იქაც. ოღონდ აქ ამის დაფარვის აუცილებლობა არ არსებობს.

- მაშასადამე, მაშინაც თქვენ მკითხეთ?

- არა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანმა უნდა იცოდეს, სიამოვნების შეგრძნებისას სადამდე შეუძლია მისვლა. შემდეგ კი, დროთა განმავლობაში, ცოტა მოთმინებას თუ გამოიჩენ, პარტნიორსაც იქვე მიიყვან, ნაცვლად იმისა, რომ მორჩილად ელოდო მის ცდებს. მე მაინც მგონია, თუნდაც ორი დღის სიცოცხლე გქონდეს დარჩენილი, არ ღირს ამ ქვეყნიდან ისე წასვლა, თუკი ამას ვერ ჩასწვდები.

- იმ შიზოფრენიკთან ერთად ხომ არა, ჰოლში რომ მელოდება?

- ყოველ შემთხვევაში, ლამაზი ბიჭი მაინც არის.

კოსტიუმთანმა კაცმა ყველას სთხოვა, სიჩუმე დაეცვათ და ვარდზე მოეხდინათ კონცენტრაცია.

- ფიქრი ხელს შეგიშლით, მაგრამ ეცადეთ, მოიშორეთ. თქვენ არჩევანის წინაშე დგახართ: ან თქვენ უნდა ფლობდეთ საკუთარ გონებას, ან ის უნდა გფლობდეთ თქვენ. მეორე ვარიანტით თქვენ მრავალი წელი იცხოვრეთ. საკუთარ თავს უფლებას აძლევდით, დამორჩილებოდით შიშს, ნევროზს, ეჭვს, რადგან ადამიანს თვითდამანგრეველი მიდრეკილებებისკენ სწრაფვა ახასიათებს.

სცადეთ, სიგიჟე კონტროლის დაკარგვაში არ აგერიოთ.

მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ სუფისტურ ტრადიციაში უმაღლესი მოძღვარი ნასრედინია, რომელსაც ყველა შეშლილს უწოდებს. და სწორედ იმიტომ, რომ მას გიჟად თვლიან, ნასრედინს შეეძლო, ეთქვა და გაეკეთებინა, რაც სურდა. შუა საუკუნეებში ასევე იქცეოდნენ კარის მასხარები. მათ შეეძლოთ, მეფე ყველა

მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გაეფრთხილებინათ, რასაც მინისტრები, საკუთარი თანამდებობის დაკარგვის შიშით, ვერ ბედავდნენ.

თქვენც მათ მიბაძეთ, დარჩით გიჟებად, მაგრამ ნორმალური ადამიანებისგან იმოქმედეთ. არ უნდა შეგეშინდეთ, იყოთ სხვებისაგან გამორჩეულნი, მაგრამ ეს ისე უნდა გააკეთოთ, რომ ზედმეტი ყურადღება არ მიიქცეოდ. უცქირეთ ამ ყვავილს, მასზე იფიქრეთ და სცადეთ, გამოავლინოთ თქვენი საკუთარი, ჭეშმარიტი „მე“.

- რა არის ჭეშმარიტი „მე“? - სიტყვა შეაწყვეტინა ვერონიკამ.

ალბათ, იქ მყოფთაგან ყველამ იცოდა ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ ვერონიკას ამისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია, მას აინტერესებდა და იკითხა კიდეც.

როგორც ჩანდა, კაცს გაუკვირდა, სიტყვა რომ შეაწყვეტინეს, მაგრამ მაინც უპასუხა:

- „მე“ არის ის, რაც ნამდვილად ხარო, და არა ის, რადაც გაქცეის.

ვერონიკამ მთელი ძალისხმევით სცადა, ვარჯიში შეესრულებინა. ძალიან უნდოდა, გაერკვია, ვინ იყო სინამდვილეში. ამ ბოლო დღეებში ისეთი უცნაური შეგრძნებები ეუფლებოდა, მანამდე ასეთი სიმძლავრით რომ არასოდეს განეცადა - სიძულვილი, სიყვარული, სიცოცხლისადმი ლტოლვა, შიში, ცნობისმოყვარეობა. ალბათ, მარი მართლაც ეუბნებოდა: ორგანიზმი კი მთელი სისრულით არასოდეს განუცდია. მხოლოდ იმ ზღვრამდე მიდიოდა, სადამდეც მამაკაცებს მიჰყავდათ.

კოსტიუმთან კაცმა ფლეიტის დაკვრა დაიწყო. მუსიკამ მალე დაუწყწარა ვერონიკას სული და ბოლოს ვარდზე კონცენტრირება მოახერხა. უცნაური იყო, მაგრამ ექიმ იგორის კაბინეტიდან გამოსვლის შემდეგ თავს შესანიშნავად გრძნობდა.

მან იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა. რაღას უშველიდა შიში ან როგორ დაიცავდა გულის შეტევისაგან? ამიტომ ჯობდა, დარჩენილი დღეები და საათები იმის შესაცნობად გამოეყენებინა, რაც აქამდე ვერ მოასწრო.

ფლეიტის ნაზი ტემბრი და ბინდბუნდი თითქმის რელიგიურ განწყობას ქმნიდა.

რელიგია... იქნებ ეცადა და თავის თავში ჩაღრმავებულიყო, რათა დაენახა, რა დარჩა ძველი აზრებისა და რწმენისაგან?

მაგრამ მუსიკას სხვა მიმართულებით მიჰყავდა: ტვინი უნდა გაეთავისუფლებინა, ფიქრისთვის დაენებებინა თავი და მხოლოდ - ყოფილიყო. ვერონიკაც მინებდა, ვარდს აკვირდებოდა და თითქოს შეიცნო კიდეც, ვინ იყო თვითონ, ეს შეცნობილი მოეწონა და დაენანა, ასე წინდაუხედავად რომ მოიქცა.

* * *

როცა მედიტაცია დამთავრდა და სუფია მოძღვარიც წავიდა, მარი სასადილოში დარჩა, საძმოს წევრებთან განაგრძობდა საუბარს. ვერონიკამ დაღლილობა მოიმიზეზა და ოთახიდან გამოვიდა. იმ დილას, მართლაც, იმდენად ძლიერი დამამშვიდებელი ჰქონდა მიღებული, რომ ხარსაც კი წააქცევდა. ვერონიკა თავს უძალიანდებოდა და მაინც ფეხზე იდგა.

ახალგაზრდებს ასე სჩვევიათ: საკუთარ საზღვრებს აწესებენ და არც კი კითხულობენ, გაუძლებს თუ არა ორგანიზმი. და ორგანიზმიც ყოველთვის უძლებს.

მარის არ ეძინებოდა. დღეს გვიანობამდე არ წამომდგარა ლოგინიდან. მერე ლუბლიანაში გაისეირნა: ექიმი იგორი ითხოვდა, რომ საძმოს წევრები ყოველდღე ქალაქში გასულიყვნენ. მარი კინოში შევიდა და იქ, სავარძელში, ისევ ჩაეძინა - მოსაწყენი ფილმი გადიოდა ცოლქმრულ კონფლიქტებზე. საინტერესოა, რატომ იმეორებენ ერთსა და იმავე სიუჟეტებს - ქმარი საყვარელთან ერთად, ქმარი - ცოლთან და ავადმყოფ ბავშვთან, ქმარი - ცოლთან, საყვარელთან და ავადმყოფ ბავშვთან. თითქოს ამქვეყნად სხვა, უფრო საინტერესო რამ არ არსებობს.

საუბარი სასადილოში დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მედიტაციამ ყველა მოთენთა და პალატებში დაბრუნება ამჯობინეს, მარი კი ეზოში გავიდა სასეირნოდ. ჰოლში გავლისას დაინახა, რომ ვერონიკას პალატამდე ვერ მიეღწია, პიანინოსთან იჯდა და შიზოფრენიკი ედუარდისთვის უკრავდა, რომელიც, ალბათ, მთელი ამ ხნის მანძილზე ფეხმოუცვლელად ელოდა პიანინოსთან. შემოიღებინა ბავშვებივით არიან - თავს მხოლოდ მაშინ განებებენ, თუ სურვილს შეუსრულებ.

საკმაოდ ციოდა. მარი პალატაში შებრუნდა, მოსასხამი აიღო და ისევ ბაღში გავიდა. იქ, სხვებისაგან მოშორებით, სიგარეტს მოუკიდა. აუჩქარებლად ეწეოდა და პიანინოსთან მჯდარ გოგონაზე, მუსიკასა და იმ სიცოცხლეზე ფიქრობდა, ვილეტეს კედლებს მიღმა რომ იყო დარჩენილი და თანდათან ყველასთვის აუტანელი ხდებოდა.

მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ამის მიზეზი სიძნელეები, უწესრიგობა, არაორგანიზებულობა ან ანარქია კი არ იყო, არამედ სწორედ ზედმეტი წესრიგი. საზოგადოება ახალ-ახალ წესებს იგონებს, ამ წესების საწინააღმდეგო კანონებს იღებს, შემდეგ ისევ ახალ წესებს ადგენს, რომლებიც იმ კანონს ეწინააღმდეგება. ადამიანებსაც სულ უფრო უძლიერდებათ შიში და ნაბიჯს ვეღარ დგამენ იმ საზღვრების მიღმა, რასაც უხილავი განაწესი ადგენს და ყველა ადამიანის სიცოცხლეს იქვემდებარებს.

ამ საკითხებში მარი კარგად ერკვეოდა. თავისი ცხოვრების ორმოცი წელი, სანამ ავადმყოფობა ვილეტეში მიიყვანდა, ადვოკატად მუშაობდა. კარიერის დასაწყისშივე გაუქრა გულუბრყვილო წარმოდგენები მართლმსაჯულებაზე და მიხვდა, რომ

კანონები პრობლემების გადასაწყვეტად კი არა, უსასრულო სასამართლო განხილვებში ამ პრობლემების ასაბურდად იყო შექმნილი.

საწყენია, რომ ალაპი, იეჰოვა, ღმერთი - რაც გინდათ, ის უწოდეთ - ჩვენს დროში არ ცხოვრობს. ასე რომ ყოფილიყო, დღემდე ყველანი სამოთხეში ვიცხოვრებდით და მხოლოდ მას მოუწევდა, პასუხი გაეცა შუამდგომლობებზე, აპელაციებზე, თხოვნებსა თუ წინასწარ განკარგულებებზე, მასვე მოუწევდა სხვადასხვა ინსტანციებისათვის აეხსნა, რატომ გამოაძევა სამოთხიდან ადამი და ევა, რომელთაც კანონი კი არ დაურღვევიათ, მხოლოდ ერთ აკრძალვას გადაუხვიეს - ნაყოფი იგემეს სიკეთისა და ბოროტების ხიდან.

თუ არ სურდა, ეს მომხდარიყო, რაღა მაინცადამაინც ბალის შუაგულში მოათავსა ხე და არა სამოთხის კედლებს მიღმა? ადამიანთა მოდგმის წინაპართა დაცვა რომ შემდეგობდა მარის, ღმერთს აუცილებლად დაადანაშაულებდა „ადმინისტრაციულ გულგრილობაში“, მან ხომ არა მარტო უადგილო ადგილას დარგო ხე, არამედ არავითარი გამაფრთხილებელი ნიშნები და ღობეც კი არ გაუკეთა უსაფრთხოების მინიმალური ზომების დასაცავად.

შეეძლო, „დანაშაულისაკენ წაქეზებაშიც“ დაედანაშაულებინა, რადგან ღმერთმა ადამსა და ევას თვითონ მიაპყრობინა ყურადღება იმ ადგილისაკენ, სადაც ხე იდგა. მას რომ არაფერი ეთქვა, მრავალი თაობა შეიცვლებოდა ამ დედამიწაზე და ვერაფერს შეიტყობდნენ აკრძალული ხილის შესახებ, რადგან ის ხე, ალბათ, ჩვეულებრივ ტყეში სხვა ხეებს შორის გაიზრდებოდა და ვერავინ მიხვდებოდა მის განსაკუთრებულობას.

მაგრამ ღმერთი სხვაგვარად მოიქცა. მან დაუდო წესი და თვითონვე მოძებნა გზა, როგორ წაექეზებინა კანონის დარღვევისაკენ - მხოლოდ იმიტომ, რომ შეექმნა სასჯელი. ცხადია, იცოდა, რომ ადამსა და ევას მობეზრდებოდათ ირგვლივ გამეფებული სრულყოფილება და, ადრე თუ გვიან, მისი მოთმინების შემოწმება მოუწებოდათ. თვითონაც ამას ელოდა. ალბათ, მასაც - ყოვლისშემძლე ღმერთსაც, - მობეზრებული ჰქონდა სრულყოფილებამდე მიყვანილი სამყარო: ევას ვაშლი რომ არ შეექაბა, რით უნდა გართულიყვნენ ამ მილიარდობით წლის მანძილზე?

არაფრით.

და როცა, ბოლოს და ბოლოს, კანონი დაირღვა, ღმერთმა - უზენაესმა მსაჯულმა - დევნაც კი გაითამაშა, თითქოს ვინმეს მართლა შეეძლო, დამალვოდა მის ყოვლისმხედველ თვალს. ამ წარმოდგენას ანგელოზები მხიარულად უთვალთვალებდნენ (ისინიც ხომ მას შემდეგ მოწყენილები იყვნენ, რაც ლუციფერმა ცა მიატოვა). მარიმ წარმოიდგინა, როგორ იქცეოდა ბიბლიის ეს ნაწყვეტი ფილმი-ტრილერის ეფექტურ სცენად: ღმერთის ნაბიჯის ხმა ახლოვდება, ცოლ-ქმარი

შეშინებული ეკვრის ერთმანეთს და უცებ, მათი სამალავის წინ, მისი ფეხები შეჩერდება.

„აღამ, სადა ხარ?“ - დაუძახა ღმერთმა.

„შენი ხმა მომესმა ბაღში, შემეშინდა, შიშველი რომ ვარ, და დავიმაღლე,“ - პასუხობს ადამი და ვერც კი ხვდება, რომ ამ სიტყვებით თავად აღიარებს დანაშაულს და ბოროტმოქმედი ხდება.

აღსრულდა. უბრალო თვალთმაქცობით, მხოლოდ იმით, რომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ იცოდა, სად იყო ადამი ან რა იყო მისი გაქცევის მიზეზი, ღმერთი საწადელს აღწევს. და ამიტომაც, ყურადღებით მოთვალთვალე ანგელოზთა დასს ექვი რომ გაუფანტოს, განაგრძობს:

„ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? - ეკითხება ადამს, თუმცა წინასწარ იცის, რომ ამ კითხვაზე ერთადერთი სწორი პასუხი არსებობს, - იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?“

ამ კითხვით ღმერთმა თავის ანგელოზებს მიანიშნა, რომ სამართლიანად იყო აღშფოთებული და ცოლ-ქმარს სრულიად კანონიერად სჯიდა. იმ წუთიდან უკვე აღარც პატიების თხოვნას ჰქონდა აზრი და არც იმის გარკვევას, დამნაშავე იყო თუ არა ევა. ღმერთს ერთი მაგალითი სჭირდებოდა, რომ ამ ამბის შემდეგ ვერც ერთ არსებას, - მიწიერსა თუ ზეციურს, - ვერ გაეხედა მისი დადგენილებების დარღვევა.

ღმერთმა ადამი და ევა სამოთხიდან გამოაძევა და მათ შვილებს მოუწიათ პასუხისგება მშობლების ცოდვებზე (როგორც დღემდე აგებენ პასუხს დამნაშავეთა შვილები), შეიქმნა მართლმსაჯულების სისტემა: კანონი, კანონის დარღვევა (ლოგიკური თუ აბსურდული - ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა), სასამართლო (სადაც უფრო გამოცდილი უფრო გულუბრყვილოს ამარცხებდა) და სასჯელი.

და რადგან მთელ კაცობრიობას განაჩენის გასაჩივრების უფლების გარეშე მიესაჯა სასჯელი, ადამიანებმა თავდაცვის საშუალებები მოიფიქრეს იმ შემთხვევისათვის, თუ ღმერთი კვლავ თვითნებობას დააპირებდა. თუმცა ათასწლეულების მანძილზე იმდენი ასეთი საშუალება დაგროვდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ზღვარს გასცდნენ და მართლმსაჯულება დებულებების, მუხლებისა და შესწორებების აბსურდულ კრებულად იქცა, რომელშიც უკვე ვეღარავინ გარკვეულა.

ამის შემდეგ კი სავალალო აღმოჩნდა, როცა ღმერთმა რისხვა დაიცხრო და სამყაროს გადასარჩენად საკუთარი შვილი მოავლინა, ის სწორედ მამის მიერ შექმნილი მართლმსაჯულების მახეში გაება.

კანონები ისე იყო აბსურდული, რომ შვილი ჯვარზე აღმოჩნდა გაკრული. ურთულესი სასამართლო პროცესი გაიმართა: ანადან - კაიაფასთან, მღვდელმთავრებისგან - პილატესთან, რომელმაც განაცხადა, რომ იესოს მსჯავრს ვერ დასდებდა. პილატესგან

- ჰეროდესთან, მაშინვე რომ იუდეველთა კანონი აიფარა, რომელიც სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა. ჰეროდესგან - ისევ პილატესთან, რომელმაც აპელაციის შეტანა სცადა და კანონმდებლობით დაშვებული კომპრომისები მოიშველია: იესოს გაროზგვა და თავზე ეკლის გვირგვინის დადგმა ბრძანა, მაგრამ ამან არ გაჭრა.

თანამედროვე პროკურორთა მსგავსად, პილატემაც მსჯავრდებულის ხარჯზე გადაწყვიტა კარიერის გაკეთება: იესოს ბარაბაზე გაცვლა შესთავაზა მსჯავრდებულთ, რადგან უკვე მაშინ იცოდა, რომ მართლმსაჯულება დიდი სპექტაკლი იყო, ფინალში აუცილებელი აპოთეოზით - დამნაშავეს დასჯით.

და ბოლოს, პილატემ ის მუხლი გამოიყენა, რომელიც მოსამართლეს - და არა მსჯავრდებულს, - ეჭვის უფლებას უტოვებდა: ხელები დაიბანა, რაც არც „ჰოს“ ნიშნავდა და არც - „არას“. ესეც მორიგი ეშმაკობა იყო, რომაული მართლმსაჯულების სისტემის სახელისა და ადგილობრივ მოსამართლეებთან კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, რაც იმის საშუალებასაც აძლევდა, გადაწყვეტილების ტვირთი ხალხზე გადაეტანა - ასეთი განაჩენი ხომ არავითარ უხერხულობას არ შექმნიდა, თუნდაც იმპერიის დედაქალაქიდან რომელიმე ინსპექტორი ჩამოსულიყო და განაჩენის სისწორე პირადად შეემოწმებინა.

მართლმსაჯულება და სამართალი. თუმცა ორივე უდანაშაულოთა დასახმარებლად შეიქმნა, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში უდანაშაულოთა წინააღმდეგ გამოიყენებოდა. მარის უხაროდა, ამ საშინელ აბსურდს რომ გამოერიდა. მაგრამ წუხელ, ფორტეპიანოს დაკვრას რომ უსმენდა, უცებ ეჭვი შეეპარა, იყო კი ვილეთე ის ადგილი, სადაც თავი უნდა შეეფარებინა?

„თუკი ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვეტ აქაურობის მიტოვებას, აღარასოდეს დავბრუნდები მართლმსაჯულების სამსახურში, აღარც შეშლილების გვერდით ვიცხოვრებ, რომლებიც საკუთარ თავს უაღრესად მნიშვნელოვან პიროვნებად მიიჩნევენ, თუმცა კი მათი ერთადერთი დანიშნულება, სხვებისთვის ცხოვრების გართულებაა. კერვას დავიწყებ ან ხილს გავყიდი თეატრის წინ. საკმარისია. მე უკვე ბოლომდე შევასრულე არაფრისმაქნისი გიჟის როლი“.

ვილეთეში სიგარეტის მოწევა დასაშვები იყო, მაგრამ მიწაზე ნაძწვის დაგდება იკრძალებოდა. მარიმ სიამოვნებით დაარღვია აკრძალვა, რადგან აქ ყოფნის ძირითადი უპირატესობა სწორედ ის იყო, რომ შეიძლებოდა, წესებს არ დამორჩილებოდი და ამას დიდი უსიამოვნება არ მოჰყვებოდა.

ჭიშკართან იდგა. მორიგე - იქ, წესისამებრ, ყოველთვის იდგა მორიგე, - მიესალმა და კარი გაუღო.

- არ გავდივარ, - უთხრა მარიმ.

- რა მშვენიერი მუსიკაა, - თავი გადაიქნია მორიგემ, - ყოველდამე უკრავს.

- ესეც მალე დამთავრდება, - თქვა მარიმ და სწრაფად გაეცალა, არაფრის ახსნა არ უნდოდა.

ის შემზარავი შეგრძნება გაახსენდა, სასადილოში შემოსული გოგონას თვალებში რომ ამოიკითხა: შიში.

შიში. უცხო გარემოში აღმოჩენილ ვერონიკას შეიძლებოდა, გაურკვევლობა, უხერხულობა ან დაბნეულობა ეგრძნო, მაგრამ რატომ იყო შიშით შეპყრობილი? ეს გრძნობა მხოლოდ კონკრეტული საფრთხის წინაშე ჩნდება - ნადირის, შეიარაღებული ადამიანების ან სტიქიური უბედურების პირისპირ, მაგრამ არა - სასადილოში შეკრებილ პაციენტებთან შეხვედრისას.

„ასეთია ადამიანის ბუნება, - თავს იმშვიდებდა მარი, - საკუთარი ემოციების დიდ ნაწილს შიშით ცვლის.“

მარის ეს უკვე გამოცდილი ჰქონდა: ამან მოიყვანა ვილეთეში - პანიკის შეტევამ.

თავის ოთახში მარის პანიკის სინდრომის შესახებ დაწერილი უამრავი სტატია ჰქონდა მოგროვილი. დღეს უკვე ამ დაავადებაზე ღიად ლაპარაკობდნენ, ცოტა ხნის წინ გერმანულმა ტელევიზიამ უზარმაზარი გადაცემაც კი მიუძღვნა, სადაც ადამიანები ყვებოდნენ საკუთარ განცდებზე. იმავე პროგრამაში განიხილეს გამოკვლევების შედეგებიც, რომელთა თანახმადაც, კაცობრიობის უმეტესი ნაწილი პანიკის სინდრომით იყო დაავადებული, თუმცა, იმის შიშით, რომ სულით ავადმყოფად შერაცხავდნენ, უმეტესობა მალავდა თავის განცდებს.

იმ დროს კი, როცა მარის პირველი შეტევა დაემართა, ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

„ეს ჯოჯოხეთი იყო. ნამდვილი ჯოჯოხეთი,“ - გაახსენდა და სიგარეტს მოუკიდა.

შორიდან ისევ ისმოდა ფორტეპიანოს ხმა: ვერონიკა ისეთი ვნებით უკრავდა, რომ, ალბათ, დილამდე გაჰყვებოდა აღმაფრენა.

ამ ქალიშვილის საავადმყოფოში გამოჩენამ მრავალ პაციენტზე იმოქმედა და მათ შორის - მარიზეც. თავიდან ცდილობდა, ახლოს არ მოეშვა, ეშინოდა, კვლავ სიცოცხლის წყურვილი არ გაეღვიძებინა მისთვის. უკეთესი იქნებოდა, თუ გოგონას ისევ სიკვდილის სურვილი შერჩებოდა, განწირული იყო. ექიმ იგორს არ დაუმალავს, რომ ყოველდღიური ინიექციების მიუხედავად, ვერონიკას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო.

ეს ხმა მალე პაციენტებსაც მისწვდა და განწირულ გოგონას ყველა ერიდებოდა. მაგრამ მოულოდნელად ვერონიკამ სიცოცხლისათვის დაიწყო ბრძოლა და ორ ადამიანს

დაუახლოვდა - ზედკას, რომელსაც ხვალ გაწერდნენ და დიდად არ გამოირჩეოდა ლაპარაკის სიყვარულით, და ედუარდს.

ალბათ, აჯობებდა, ედუარდს დალაპარაკებოდა: ედუარდი მარის უჯერებდა და კარგი იქნებოდა, აეხსნა მისთვის, რომ თავისი ქცევით ვერონიკას სიცოცხლისაკენ აბრუნებდა: ამაზე უარესი რა უნდა ყოფილიყო იმ ადამიანისათვის, ვისაც განაჩენი ჰქონდა გამოტანილი.

ათასწიერად სწონიდა სათქმელს, მაგრამ, როგორც უნდა განემარტა ედუარდისთვის ის, რაც ხდებოდა, ყველა შემთხვევაში მაინც დამნაშავედ აგრძნობინებდა თავს, ეს კი მარის არამც და არამც არ უნდოდა. ამიტომ გადაწყვიტა, ყველაფერი ნებაზე მიეშვა. თვითონ უკვე აღარ იყო ადვოკატი და არც ის უნდოდა, ცუდი მაგალითი დაემკვიდრებინა - ქცევის ახალი ნორმა დაეკანონებინა იქ, სადაც, წესით, ქაოსი უნდა ყოფილიყო გამეფებული.

მაგრამ ვერონიკას საავადმყოფოში ყოფნამ ბევრზე იმოქმედა და ზოგიერთები საკუთარი ცხოვრების გაანალიზებასაც იწყებდნენ. სამშოს ერთ-ერთ შეხვედრაზე ვილცამ სცადა კიდეც ამის ახსნა: ვილეტეში სიკვდილი ან მოულოდნელად მოდიოდა და ფიქრისთვის დროს არავის უტოვებდა, ანდა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ასეთ შემთხვევაში კი სიკვდილი ყოველთვის მაღლია.

ამ გოგონას საშინელი ხვედრი ერგო - ახალგაზრდა იყო, ისევ გაუჩნდა სიცოცხლის სურვილი, მაგრამ ირგვლივ ყველამ იცოდა, რომ დიდი დღე არ ეწერა. ზოგიერთები თავს ეკითხებოდნენ: „მეც რომ ასეთი რამ დამმართნოდა? მე ხომ შემოიძლია, ვიცოცხლო?! რატომ არ ვაკეთებ არაფერს?“

პაციენტების ნაწილს კი ეს კითხვები საერთოდ არ ადარდებდა. დიდი ხნის წინ ჰქონდათ უარი ნათქვამი ყოველგვარ ცდაზე და იმ სამყაროში ცხოვრობდნენ, სადაც არ იყო არც სიცოცხლე, არც სიკვდილი, არც სივრცე და არც დრო.

მაგრამ უმეტესობა სერიოზულად დაფიქრდა და მარი ერთი იმათგანი იყო.

* * *

ვერონიკამ დაკვრა დაასრულა და ფანჯარაში გაიხედა. ბაღში მარი დასეირნობდა თხელი მოსასხამის ამარა. „ხომ არ გაგიჟდა, სიკვდილი უნდა?“

„არა, ეს მე მინდოდა სიკვდილი“.

ვერონიკამ ისევ დაკვრა განაგრძო. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მაინც აისრულა თავისი ოცნება: მთელი სულითა და გულით მისცემოდა მუსიკას, დაეკრა, რამდენიც

უნდოდა და როცა უნდოდა. რა მოხდა მერე, თუ ერთადერთი მსმენელი ჰყავდა, შიზოფრენიკი. ედუარდსაც უყვარდა მუსიკა და ეს იყო მთავარი.

მარის თვითმკვლელობაზე არასოდეს უფიქრია. პირიქით, როცა ხუთიოდე წლის წინ იმავე კინოთეატრში, სადაც დღეს იმყოფებოდა, სალვადორის საშინელ სილატაკეზე ნანახმა ფილმმა გულის სიღრმემდე შეძრა, პირველად დაფიქრდა - რა აუწონავი მადლით იყო მისი ცხოვრება სავსე. მაშინ გაიფიქრა, რომ შვილები დაიზარდნენ, პროფესიაც ჰქონდათ, აჯობებდა, ადვოკატის მომაბეზრებელი საქმიანობა მიეტოვებინა და რომელიმე ჰუმანიტარულ ორგანიზაციაში დაეწყო მუშაობა. ქვეყანაში სულ უფრო ძლიერდებოდა სამოქალაქო ომის საფრთხე, მაგრამ მარის სჯეროდა, ევროპული თანამეგობრობა არ დაუშვებდა შუაგულ ევროპაში ახალი ომის დაწყებას.

ქვეყნიერების მეორე მხარეს კი იმდენი უბედურება ტრიალებდა, ვერ მოთვლიდი. ერთ-ერთი ასეთი ადგილი სალვადორი იყო, სადაც ბავშვები შიმშილით იხოცებოდნენ ან იძულებულნი იყვნენ, პროსტიტუციით ერჩინათ თავი.

- რა საშინელებაა, - უთხრა გვერდით სავარძელში მჯდარ ქმარს.

მან თავი დაუქნია.

რა ხანია, სწორედ ამ საკითხზე აპირებდა მასთან დალაპარაკებას და სწორედ ახლა იყო შესაფერისი მომენტი.

მათ ყველაფერი ჰქონდათ, რაც კი ცხოვრებისგან შეიძლებოდა, მიეღოთ: განათლება, მშვენიერი სახლი, მაღალანაზღაურებადი სამუშაო, არაჩვეულებრივი შვილები. ახლა, ალბათ, მოყვასზეც უნდა ეზრუნათ. მარის ბევრი ნაცნობი ჰყავდა „წითელ ჯვარში“ და იცოდა, დედამიწის ყველა კუთხეში როგორ სჭირდებოდათ მოხალისეები. მარი დაღალა ბიუროკრატიასთან და სასამართლო სარჩელებთან ბრძოლამ, თუმცა მაინც ვერ ახერხებდა იმ ადამიანთა დახმარებას, რომელთა დიდი ნაწილიც თავიანთი ცხოვრების შესანიშნავ წლებს სხვების მიერ შექმნილი პრობლემების მოგვარებაში ხარჯავდა. „წითელ ჯვარში“ მუშაობა კი უშუალო და თვალისა და ხელის დახმარებას შეაძლებინებდა.

ამიტომ გადაწყვიტა, კინოფილმის დამთავრებისთანავე, კაფეში შეეყვანა ქმარი და იქ ეთქვა მისთვის, რის გაკეთებასაც აპირებდა.

ეკრანზე ვიდაც სალვადორელ სამთავრობო ჩინოვნიკს აჩვენებდნენ, რომელიც მორჩილად ინანიებდა დაშვებულ შეცდომებს, და უცებ მარიმ იგრძნო, რომ გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

მაშინვე თავი დაიმშვიდა: გამივლის, ალბათ, დარბაზის ჩახუთულმა ჰაერმა იმოქმედა. თუ გულისცემა არ დამიწყნარდება, ვისტიბიულში, სუფთა ჰაერზე გავალო.

ეკრანზე ფილმი გრძელდებოდა, გულისცემა კი უფრო უძლიერდებოდა და ცივმა ოფლმაც დაასხა.

უკვე ძალიან შეშინდა და სცადა, ფილმზე გადაეტანა ყურადღება, იქნებ ამით მაინც მორეოდა თავს. მაგრამ ეკრანზე მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნებას ვეღარ ახერხებდა. ეჩვენებოდა, რომ სრულიად სხვა რეალობაში აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი უცხო, უაზრო და უადგილო იყო - რეალობაში, სადაც ადრე არასოდეს ყოფილა.

- ცუდად ვარ, - უთხრა ქმარს.

ამ სიტყვების წარმოთქმა ძლივს გაბედა, რადგან ეს ხომ იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ მართლაც რაღაც სჭირდა. მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

- იქნებ გავიდეთ, - უთხრა ქმარმა, - მოდი, წავიდეთ.

და წამოსაყენებლად ხელი რომ მიაშველა, ქმარს მარის ყინულისფერით ცივი თითები შეეხო.

- გასასვლელამდე ვერ მივალ. ძალიან გთხოვ, მითხარი, რა მჭირს?

ქმარმა მის გაოფლილ სახეს და ანთებულ თვალებს შეხედა და შეეშინდა.

- დამშვიდდი, ახლავე ექიმს გამოვიძახებ.

მარი აუტანელმა პანიკამ მოიცვა. სიტყვებს ჯერ კიდევ შერჩენოდა აზრი, მაგრამ სხვა ყველაფერმა - ბინდში ჩაძირულმა კინოთეატრმა, გვერდიგვერდ მსხდარმა და ეკრანს მიჩერებულმა მაყურებელმა - ყველაფერმა რაღაც ავისმომასწავებელი ქვეტექსტი შეიძინა. იცოდა, რომ ცოცხალი იყო, შეეძლო კიდევ, სიცოცხლეს ხელით შეხებოდა, თითქოს სიცოცხლე რაღაც განყენებული და მკვრივი რამ იყო. ადრე მსგავსი არაფერი დამართნია.

- მარტო არ დამტოვო. ახლავე ავდგები და გარეთ გამიყვანე. ოღონდ ცოტა ნელა იარე.

სავარძლიდან წამოდგნენ და გასასვლელისკენ წავიდნენ. ახლა გული ისე უცემდა, თითქოს სადაცაა, მკერდიდან ამოუვარდებოდა და მარის უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ, აი აქ, ახლავე, ამ დარბაზში დასრულდებოდა მისი სიცოცხლე. ხელის ყოველი განძრევა ან ნაბიჯის გადადგმა, ყველაფერი, რასაც კი აკეთებდა - წინ მიიწევდა, ბოდიშს იხდიდა, ქმრის სახელოს ებლაუჭებოდა თუ ჰაერს ყლაპავდა - ყველაფერს მექანიკურად აკეთებდა და ეს ზარავდა.

თავის სიცოცხლეში ასეთი შიში არასოდეს განეცადა.

„აი, აქ მოგვკვდები, ამ დარბაზში“.

გონებაში ერთადერთი აზრი უტრიალებდა - საშინელი მოგონება: მრავალი წლის წინ მისი ერთ-ერთი მეგობარი სწორედ კინოდარბაზში მოკვდა ინსულტით.

ტვინის ანევრიზმა შენელებული მოქმედების ბომბს ჰგავს. შეუმჩნევლად ფართოვდება სისხლძარღვი, იმის მსგავსად, გაცვეთილ საბურავზე რომ წარმოიქმნება ხოლმე ჰაერის პარკუჭები. ადამიანს მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება, არც აწუხებდეს არაფერი, არც კი ეჭვობდეს დაავადების შესახებ, ვიდრე დაავადება შემთხვევით არ გამოემჟღავნება ტვინის რენტგენის ან უკვე გასკდომის დროს. მაშინ მთელი ტვინი სისხლით იფარება, ადამიანი კომაში ვარდება და, როგორც წესი, მალევე კვდება.

სანამ მარი მთვარეულივით მიაბიჯებდა გასასვლელისკენ, გონებიდან არ სცილდებოდა გარდაცვლილ მეგობარზე ფიქრი. იმავდროულად, გასაოცარი ის იყო, როგორ იმოქმედა შეტევამ აღქმაზე: ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს რომელიღაც სხვა პლანეტაზე აღმოჩნდა და აქამდე ჩვეულ საგნებს ახლა პირველად ხედავდა.

და - გაუცნობიერებელი, აუტანელი შიში, პანიკა იმისა, რომ მარტო ხარ ამ უცხო პლანეტაზე და სიკვდილი გელის.

„სასწრაფოდ უნდა დავმშვიდდე, უბრალოდ, ისე მოვიქცე, თითქოს ყველაფერი კარგადაა და კარგად იქნება“.

ნებისყოფის ძალისხმევით სცადა, დამშვიდებულიყო. და მიტოვებულობისა და უცხო, შემზარავი სამყაროს შეგრძნებამ თითქოს უკან დაიხია. ეს რამდენიმე წუთი მისი ცხოვრების ყველაზე საშინელი წუთები იყო.

მაგრამ როცა მზით გაჩახჩახებულ ფოიეში გააღწიეს, ისევ შიშმა მოიცვა. ირგვლივ გასაოცრად მკვეთრი ფერები იყო, ქუჩის ხმაურისგან ყურები უსკდებოდა და ყველაფერი სრულიად არარეალური ეჩვენებოდა. მარიმ მექანიკურად აღნიშნა ერთი უცნაურობა: მხედველობის არე მტკივნეულად მკვეთრ ცენტრამდე შემცირებულიყო, ირგვლივ დანარჩენს კი თითქოს ბურუსი ფარავდა.

მან იცოდა: ყველაფერი, რასაც ირგვლივ ხედავდა, მხოლოდ მხედველობითი მოჩვენება იყო - თვით პირობითობა, ილუზია, რომელიც თვალეზად წოდებულ ორ მინადქცეულ ბურთულაში აირეკლებოდა და სინათლის იმპულსის ელექტრონული სიგნალებით მიეწოდებოდა მის ტვინს.

არა, ამაზე არ უნდა ეფიქრა. ასეთ აზრებს თუ აჰყვებოდა, შეიძლებოდა, ჭკუიდანაც შემლილიყო.

ამასობაში ანევრიზმის შიშმა გაუარა. მარიმ მაინც ცოცხალმა გამოაღწია კინოდარბაზიდან, მისმა მეგობარმა კი სავარძლიდან წამოდგომაც ვერ მოასწრო.

- სასწრაფოს გამოვიძახებ, - უთხრა ქმარმა, რომელიც შეშინებული უცქეროდა ცოლის გაფითრებულ სახეს და სისხლისგან დაწრეტილ, გალურჯებულ ტუჩებს.

- ტაქსი აჯობებს, - სთხოვა მარიმ. თავისი ხმაც სადღაც შორიდან ჩაესმოდა და სახმო სიმების ყოველ ვიბრაციას შეიგრძნობდა.

საავადმყოფოში მისვლა იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ მისი საქმე მართლაც ცუდად იყო, მას კი გადაწყვეტილი ჰქონდა, ბოლო წუთამდე ებრძოლა, რომ ყველაფერი ისევ ძველ ადგილზე დაებრუნებინა.

ისინი ქუჩაში გავიდნენ. ცივმა ჰაერმა თანდათან გონს მოიყვანა, მაგრამ აუხსნელი, პანიკური შიში მაინც ვერ მოიშორა. სანამ დაფეთებული ქმარი ტაქსის აჩერებდა, მარი ბორდიურზე ჩამოჯდა, თან ცდილობდა, ირგვლივ არ ეცქირა, რადგან ჩავლილი ავტობუსიც, ქვაფენილზე მოთამაშე ბიჭებიც და მუსიკაც, იქვე ახლოს, ატრაქციონების პარკიდან რომ ისმოდა, - ყველაფერი ირეალური იყო, შემზარავი, კომმარული და უცხო.

ბოლოს ტაქსიც გამოჩნდა.

- საავადმყოფოში, - მძღოლს უთხრა ქმარმა და ცოლი მანქანაში ჩასვა.

- არა, ღვთის გულისათვის, შინ მიმიყვანე, - შეევედრა მარი. იმის გაფიქრებაც კი ზარავდა, ისევ სრულიად უცხო გარემოში აღმოჩენილიყო. ნაცნობ, მშობლიურ ატმოსფეროში დაბრუნება ერჩივნა. სანამ მანქანა სახლისკენ მიქროდა, ტაქიკარდია თანადათან ჩაცხრა და სხეულის ტემპერატურაც თითქმის ნორმალურს მიუახლოვდა.

- უკეთ ვარ, - უთხრა ქმარს, - ალბათ, რაღაცამ მომწამლა.

შინ რომ მივიდნენ, სამყარო კვლავ ისეთი გახდა, ბავშვობიდან რომ იცნობდა. მარიმ დაინახა, რომ ქმარმა ტელეფონის ყურმილი აიღო და ჰკითხა, სად აპირებდა დარეკვას.

- ექიმს გამოვიძახებ.

- არ გინდა. შემომხედე, მართლა უკეთ ვარ.

ისევ ნორმალური ფერი დაუბრუნდა, გულიც ჩვეულებრივ უფეთქავდა და ცოტა ხნის წინანდელი შიშისაგან კვალიც აღარ დარჩენილიყო.

ძილში მთელ ღამეს შფოთავდა და იმ რწმენით გაიღვიძა, რომ ყავაში, კინოში შესვლამდე რომ დალიეს, ვიღაცამ ნარკოტიკი შეურია. ეს ყველაფერი, ალბათ, ვიდაცის სულელური და ბოროტი ხუმრობა იყო, ამიტომ გადაწყვიტა, სამუშაო დღის ბოლოს პოლიციაში დაერეკა, მათთან ერთად მისულიყო იმ ბარში და დამნაშავე ეპოვა.

სამსახურში მარის რამდენიმე დაუმთავრებელი საქმე ელოდა და შუადღემდე თავაულებლად იმუშავა - სულის სიღრმეში ჯერ კიდევ ჩარჩენოდა გუშინდელი შიშის გამოძახილი, ამიტომ საკუთარი თავისთვის უნდოდა დაემტკიცებინა, რომ რაც მოხდა, აღარ გამეორდებოდა.

ერთ თავის კოლეგასთან გუშინდელ ფილმზე დაიწყო მსჯელობა და სხვათა შორის ისიც ახსენა, როგორ მობეზრდა ყოველდღე ერთი და იმავე საქმის კეთება.

- ალბათ, დროა, პენსიაზე გავიდე.

- ერთ-ერთი საუკეთესო ადვოკატი ხარო, - უთხრა კოლეგამ, - იურისპრუდენცია კი იმ იშვიათ პროფესიათაგანია, რომელშიც ასაკი მხოლოდ ცოდნასა და გამოცდილებას გმატებს. იქნებ ხანგრძლივი შვებულება აგელოთ? დარწმუნებული ვარ, დაისვენებთ და ახალი ენერგიით დაუბრუნდებით სამუშაოს.

- საერთოდ მინდა ცხოვრების შეცვლა. მინდა, ნამდვილი საფრთხე ვიგრძნო, ადამიანებს დავეხმარო და ის ვაკეთო, რაც აქამდე არ გამიკეთებია.

ამით დასრულდა ლაპარაკი. მარი ქუჩაში გავიდა, უფრო ძვირ რესტორანში ისადილა, ვიდრე ჩვეულებრივ სადილობდა ხოლმე, და ისევ სამსახურში დაბრუნდა.

სწორედ ეს მომენტი გახდა მისი გაუცხოების დასაწყისი.

დანარჩენი თანამშრომლები ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ და მარიმ გადაწყვიტა, იმ საქმისათვის გადაეხედა, აქამდე მაგიდაზე რომ ედო. კალმისტრის ამოსაღებად უჯრა გამოაღო, მაგრამ კალმისტარი იქ არ დახვდა. გაიფიქრა, რომ მართლა რაღაც უცნაური ემართებოდა, თუკი კალმისტარი, ჩვეულებისამებრ, თავის ადგილას არ დადო.

გულმაც იმავე წამს შეშლილივით დაუწყო ცემა და გუშინდელი საღამოს მთელი საშინელება ხელახლა განმეორდა.

მარი ადგილზე გახევდა. ფანჯრიდან შემოჭრილ მზის სხივებში ირგვლივ ყველაფერს სულ სხვა ელფერი დაედო - უფრო მკვეთრი, თვალისმომჭრელი, და მთლიანად მოიცვა შეგრძნებამ, რომ ამწუთას მოკვდებოდა. ყველაფერი წამიერად გაუცხოვდა, იმასაც ვეღარ ხვდებოდა, რას აკეთებდა ამ ოთახში.

„ღმერთო, თუკი არსებობ, გევედრები, დამეხმარე“.

მთელ სხეულზე ცივმა ოფლმა დაასხა: შიშის ტალღამ გადაფარა, რომლის გაკონტროლებაც შეუძლებელი იყო. იმ წუთებში ოთახში ვინმე რომ შემოსულიყო და მისი შიშით აღვსილი თვალები დაენახა, სამუდამოდ დაიღუპებოდა.

სიცივე!

გუშინ სწორედ სიცივემ გამოაფხიზლა, მაგრამ ქუჩაში როგორღა გასულიყო? კვლავ ავადმყოფური სიცხადით შეიგრძნობდა ყველა წვრილმანს, რაც ხდებოდა - სუნთქვის

რიტმს (დროდადრო ეჩვენებოდა, გაცნობიერებულად რომ არ ესუნთქა, ორგანიზმი თვითონ ვეღარ შეძლებდა სუნთქვას), თავის ყოველ გატოკებას (საგნები ადგილიდან ადგილზე ინაცვლებდნენ, თითქოს ტელეკამერა მუშაობსო), გული კი სულ უფრო ძალუმად უცემდა და სხეული ცივ ოფლში იძირებოდა.

და - შიში. აუხსნელი, არანორმალური შიში ყველაფრისადმი - ხელის განძრევისა თუ ამ ოთახიდან გასასვლელად ნაბიჯის გადადგმისადმი.

„გამივლის“.

გუშინ ხომ გაუარა. მაგრამ ახლა სამსახურში იყო და დანამდვილებით ვერ იტყოდა, გაუვლიდა თუ არა. მარიმ საათს დახედა - საათიც უცებ უაზრო მექანიზმად იქცა, რომელსაც ერთ ღერძზე მბრუნავი ორი სულელური ისარი ჰქონდა და დროს აჩვენებდა, თუმცა ვერავინ ვერასოდეს აუხსნიდა, ციფერბლატი რატომ იყო თორმეტად დაყოფილი და არა - ათად, როგორც ადამიანთა მიერ დადგენილ სხვა დანარჩენ სკალებზე.

„ოღონდ ასეთ რაღაცეებზე არ უნდა ვიფიქრო, თორემ სადაცაა ჭკუიდან შევიშლები“.

ჭკუიდან შეშლა, ალბათ, ზუსტი სახელი იყო იმისა, რაც მას ემართებოდა. მარიმ მთელი ნებისყოფა მოიკრიბა, წამოდგა და ტუალეტისკენ წავიდა. საბედნიეროდ, დერეფანი ცარიელი იყო და ტუალეტამდე სულ ერთ წუთში მიაღწია, თუმცა კი მთელ საუკუნედ ეჩვენა. პირი ცივი წყლით დაიბანა და სრულიად უცხო და მტრულ სამყაროში მიტოვებულობის გრძნობა გაუქრა, მაგრამ შიში დარჩა.

„გაივლის, - თავს ირწმუნებდა მარი, - გუშინ ხომ გამიარა“.

მარის ახსოვდა, რომ გუშინდელი შეტევა, დაახლოებით, ოცდაათ წუთს გრძელდებოდა. ტუალეტის ერთ-ერთ კაბინაში ჩაიკეტა, უნიტაზის სახურავზე ჩამოჯდა და თავი მუხლებში ჩარგო. ახალშობილის პოზაში გულმა უარესად დაუწყწო ფეთქვა და ისიც იმავე წამს გასწორდა.

„გამივლის!“

ისევ ტუალეტში იჯდა, საკუთარი თავისადმი სრულიად გაუცხოებული და იმ უსაშველო ხაფანგით დადამბლავებული, რომელშიც მოხვდა. იჯდა და აყურადებდა, რა ხდებოდა კაბინის კარს მიღმა. ესმოდა ტუალეტში შემოსულ და გასულ ადამიანთა ნაბიჯების, გაღებული და დაკეტილი ონკანების ხმა, ბანალურ თემებზე საუბრები. არაერთხელ მოსიჯნეს მისი კაბინის კარის სახელური, მაგრამ მარი რაღაცას წაიბუტბუტებდა და კარს თავს ანებებდნენ. განსაკუთრებით მრისხანედ და ავის მომასწავებლად უნიტაზის ჩარეცხვის ხმა ჩაესმოდა - თითქოს ჩაშვებული წყალი სადაცაა შენობას წაღეკავდა და ყველას ჯოჯოხეთში შთანთქავდა.

მაგრამ შიშმა თანდათან გაიარა და გულისცემაც ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა. კიდევ კარგი, მისი მდივანი გოგონა დიდი ყურადღებულობით არ გამოირჩეოდა და, ალბათ, არც დაინტერესებულა თავისი უფროსის დაგვიანებით, თორემ ტუალეტში უკვე თანამშრომლები მოიყრიდნენ თავს და იმის გარკვევას შეეცდებოდნენ, რა დაემართა.

ცოტა ხანში იგრძნო, რომ კვლავ შეეძლო საკუთარი თავის გაკონტროლება, კაბინიდან გამოვიდა, დიდხანს იბანდა ხელ-პირს და ოთახში დაბრუნდა.

- თვალებიდან ტუში გადაგვლიათ, - უთხრა ერთ-ერთმა სტაჟიორმა გოგონამ, - ხომ არ გათხოვოთ?

მარის პასუხის ღირსადაც არ გაუხდია, თავის კაბინეტში შევიდა, ჩანთა აიღო და მდივანს უთხრა, შინ მივდივარო.

- დღეისათვის ხომ ბევრი შეხვედრა გაქვთ დანიშნული? - გაუკვირდა მდივანს.

- აქ განკარგულებებს თქვენ არ იძლევიტ, მხოლოდ იღებტ. ამიტომ, კეთილი ინებებტ და ისე მოიქეცით, როგორც გეუბნებიან: შეხვედრები გააუქმებტ.

მდივანმა გაოცებული მზერა გააყოლა უფროსს, რომლისგანაც სამი წლის მუშაობის მანძილზე ერთი უხეში სიტყვაც არ გაეგო. რაღაც სერიოზული უნდა მომხდარიყო: იქნებ სწორედ ახლა შეატყობინეს, რომ ქმარს საყვარელი შინ ჰყავდა მიყვანილი და იმიტომ გაიქცა თავქუდმოგლეჯილი?

„კარგი ადვოკატია და იცის, რასაც აკეთებს, - გაიფიქრა მდივანმა, - ხვალ, ალბათ, თვითონ მთხოვს პატიებას“.

მაგრამ „ხვალ“ აღარ დამდგარა. იმ ღამეს მარი დიდხანს ელაპარაკებოდა ქმარს და დაწვრილებით აუხსნა, რაც ემართებოდა. ორივე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გაძლიერებული გულისცემა, ცივი ოფლი, გაუცხოება, უსუსურობის შეგრძნება და თვითკონტროლის დაკარგვა - ყველაფერი ერთი სიტყვით გამოითქმებოდა; ეს იყო „შიში“.

მარიმ სცადა, ქმრის დახმარებით გაენალიზებინა სიტუაცია. ქმარმა გულში გაიფიქრა, იქნებ ტვინის კიბოაო, - მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს. მარის კი სულ უფრო უძლიერდებოდა ეჭვი, რომ ის, რაც მას სჭირდა, რაღაც საშინელის დასაწყისი იყო, და მასაც არაფერი უთქვამს. როგორც ჭკვიან და ზრდასრულ ადამიანებს შეეფერებოდათ, საუბრის დასასრულს ერთიან დასკვნამდე სცადეს მისვლა.

- ალბათ, აჯობებს, გამოკვლევები ჩაიტარო.

მარი დათანხმა, ოღონდ ერთი პირობით: არავის არაფერი უნდა სცოდნოდა, მათ შვილებსაც კი.

მეორე დღეს სამსახურიდან 30 დღიანი შვებულება ითხოვა. ქმარს მისი ავსტრიაში წაყვანა უნდოდა, იქ ეგულებოდა თავის ტვინის საუკეთესო სპეციალისტები, მაგრამ მარიმ სახლიდან გასვლაზე უარი თქვა, რადგან შეტევები უფრო გაუხშირდა და უფრო გაუხანგრძლივდა.

დიდი ძალისხმევით - ძირითადად, დამამშვიდებლების წყალობით, - ძლივს მიაღწიეს უახლოეს საავადმყოფომდე და ყოველმხრივი გამოკვლევები ჩაიტარა. ვერავითარი პათოლოგია ვერ აღმოუჩინეს, ანევრიზმაც კი, და ამან ოდნავი სიმშვიდე მოჰგვარა.

მაგრამ უმიზეზო და დაუძლეველი პანიკის შეტევები არ უქრებოდა. ქმარი მაღაზიებში დადიოდა და სადილს ამზადებდა, მარი კი, გულის გადასაყოლებლად, სახლს ალაგებდა, თავაუღებლად კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ფსიქიატრიის შესახებ შეეძლო ემოვა, მაგრამ მალე ამასაც თავი მიანება: ეჩვენებოდა, რომ წიგნებში აღწერილი ნებისმიერი დაავადება თვითონ სჭირდა.

ყველაზე საშინელი ის იყო, რომ შეტევები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად ექცა, მაგრამ იმ შიშს მაინც ვერ მიეჩვია, ყოველი მორიგი შეტევის დროს სრულიად უცხო გარემოში მოხვედრისას რომ ეუფლებოდა და ვერაფრით ახერხებდა საკუთარი ქმედებებისთვის კონტროლი გაეწია. ამას სინდისის ქენჯნაც დაემატა - ქმარი ახლა ორი ადამიანის საქმეს აკეთებდა, რადგან მარი ვეღარც ოჯახის საქმეებში ეხმარებოდა.

დრო გადიოდა, მისი მდგომარეობა კი არა და არ უმჯობესდებოდა. მარი სულ უფრო ცხადლივ შეიგრძნობდა - და უკვე ამჟღავნებდა კიდეც, - უკიდურეს გაღიზიანებას. უმნიშვნელო მიზეზიც კი წონასწორობას აკარგვინებდა, შეეძლო, ქმრისთვის ან ნებისმერი ადამიანისთვის დაეყვირა, ეჩხუბა, შემდეგ კი ისტერიკული ტირილი აუტყდებოდა ხოლმე.

შვებულების დამთავრების შემდეგ სამსახურში რომ არ გავიდა, ერთ-ერთი თანამშრომელი მამაკაცი ესტუმრა. მანამდეც ხშირად ურეკავდა, მისი ჯანმრთელობის ამბებს კითხულობდა, მაგრამ მარი ტელეფონთან არ მიდიოდა ან ქმარს სთხოვდა, გადაეცა, რომ დაკავებული იყო. იმ დღეს კი გაუფრთხილებლად ესტუმრა და იმდენ ხანს რეკა კარზე, ვიდრე არ გაუღეს.

იმ დილას მარი შედარებით მშვიდად იყო. ჩაი მოამზადა, ერთხანს სამსახურზე ილაპარაკეს, შემდეგ კი სტუმარმა ჰკითხა, როდის აპირებდა სამუშაოზე დაბრუნებას.

- არასოდეს.

თანამშრომელს ის საუბარი გაახსენდა, საღვადოროზე რომ უყვებოდა მარი.

- რას ვიზამთ, ცხადია, უფლება გაქვთ, ისე მოიქცეთ, როგორც გსურთ, მაგრამ მგონია, რომ სამუშაო ყველაზე უკეთესი ფსიქოთერაპიაა. სადაც უნდა იყოთ და სადაც უნდა

იმუშაოთ, მუდამ გახსოვდეთ, რომ ჩვენი ფირმის კარი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის. თუ გადაიფიქრებთ, ჩვენთან დაბრუნდით.

მარის გული აუჩუყდა და ატირდა - ასეთი რამ ხშირად ემართებოდა.

მის კოლეგას ხმა არ ამოუღია, დაწყნარება აცადა. გამოცდილი ადვოკატი იყო და კარგად იცოდა, რომ ზოგჯერ კითხვებზე მეტად დუმილით შეიძლებოდა პასუხის მიღება.

ასეც მოხდა. მარის არაფერი დაუმაღავს, გულახდილად მოუყვა კინოთეატრში მომხდარი ამბიდან დაწყებული და სულ ახლახან ქმართან მოწყობილი ისტერიკის ჩათვლით.

- მგონი, ჭკუიდან შევიშალე, - დასძინა ბოლოს.

- ეგ შეუძლებელია, - მცოდნე ადამიანივით, მაგრამ ალერსიანად უთხრა მეგობარმა, - და მაინც, რაც უნდა გჭირდეთ, ორი გამოსავალი არსებობს: ან უნდა იმკურნალოთ, ანდა ავადმყოფობა განაგრძოთ.

- ჩემი მდგომარეობა მკურნალობას არ ექვემდებარება. სრულიად საღად ვაზროვნებ, მხოლოდ ის მაღიზიანებს, რომ შიში არ მშორდება. სიგიჟის ჩვეულებრივი სიმპტომები - რეალობის შეგრძნების დაკარგვა, გულგრილობა ან გაუმართლებელი აგრესიულობა - არა მაქვს.

- ყველა გიჟი ამბობს, რომ ნორმალურია.

ორივეს გაეცინა და მარიმ ისევ ჩაი დაუსხა სტუმარს. ამინდზე ლაპარაკობდნენ, სლოვენის დამოუკიდებლობასა და იმ დამაბულობაზე, ხორვატიასა და იუგოსლავიას შორის რომ არსებობდა. მარი მთელი დღეები ტელევიზორს უცქეროდა და კარგად იყო ინფორმირებული.

გამომშვიდობებისას კოლეგამ უთხრა:

- ცოტა ხნის წინ ქალაქში ერთი სანატორიუმი გაიხსნა. უცხოური კაპიტალი ჩაიდო და პირველხარისხოვანი მკურნალობაა.

- რას მკურნალობენ?

- მოდი, ასე ვთქვათ - გაუწონასწორებლობას. ზედმეტი შიში ხომ, ისევე, როგორც ყველა ზედმეტობა, გაუწონასწორებლობაა.

მარი შეჰპირდა, ამაზე ვიფიქრებო, მაგრამ მაინც ვერაფერი გადაწყვიტა. კიდევ ერთი თვე გავიდა. პანიკის შეტევები ისევ გრძელდებოდა და ბოლოს მიხვდა, რომ მხოლოდ ცხოვრება კი არა, ოჯახიც ენგრეოდა. ისევ დამამშვიდებლები დალია და სახლიდან გასვლა გახდა - ამ სამოცი დღის განმავლობაში - მეორედ.

ტაქსი გააჩერა და ახალ სანატორიუმში წაყვანა სთხოვა. გზად მძღოლი გამოელაპარაკა:

- ამბობენ, კარგი საავადმყოფოაო, მაგრამ იმასაც ამბობენ, შეშლილებს ელექტროშოკით მკურნალობენო.

- ნაცნობის სანახავად მივდივარ, - უპასუხა მარიმ.

ერთსაათიანი საუბარი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მარის ორთვიანი ტანჯვა დასრულებულიყო. დაწესებულების ხელმძღვანელმა - შავად თმაშეღებილმა მაღალმა კაცმა, რომელსაც ექიმ იგორს ეძახდნენ, - აუხსნა, რომ იმას, რაც მარის ემართებოდა, პანიკის სინდრომი ერქვა - დაავადება, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შევიდა მსოფლიო ფსიქიატრიულ ანალებში.

- თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი დაავადებაა, - განუმარტა მან და სცადა, მაქსიმალურად გასაგებად ელაპარაკა, - ხშირად ამ სინდრომით დაავადებული ადამიანები მაღავენ თავიანთ განცდებს, რომ გიჟებად არ ჩათვალონ. ეს დაავადება კი, დეპრესიის მსგავსად, ორგანიზმის ქიმიური წონასწორობის დარღვევის შედეგია.

ექიმმა იგორმა რეცეპტი გამოუწერა და შინ დაბრუნება ურჩია.

- მირჩევნია, საავადმყოფოში დავრჩე, - უპასუხა მარიმ, - მიუხედავად იმისა, რაც მითხარით, ქუჩაში გასვლისა მაინც მეშინია. ოჯახური ცხოვრებაც ჯოჯოხეთად მექცა, მინდა, ამ ორი თვის წვალების შემდეგ ჩემმა ქმარმაც დაისვენოს.

და როგორც ასეთ შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე, ექიმი იგორი ჰოსპიტალიზაციაზე დათანხმდა იმის გათვალისწინებით, რომ აქციონერები მუდამ მიესალმებოდნენ ავადმყოფების სიმრავლეს, თუმცა ისიც ცხადად აგრძნობინა, რომ მისი საავადმყოფოში დარჩენის აუცილებლობას ვერ ხედავდა.

მარის საჭირო მკურნალობა და ფსიქოლოგიური დახმარება ჩაუტარდა და ავადმყოფობის სინდრომები შეუსუსტდა, შემდეგ კი საერთოდ გაუქრა.

მაგრამ უკვე ამ დროისათვის მისი საავადმყოფოში მოთავსების ამბავი მთელ ლუბლიანას მოედო. მისი კოლეგა მამაკაცი, რომელთანაც წლების მანძილზე მეგობრობდა და ბედნიერებისა თუ უბედურების მრავალი საათი ჰქონდათ ერთად გატარებული, მის სანახავად მივიდა ვილეტეში. შეაქო, მისი რჩევა რომ ყურად იღო და ეყო ძალა, მკურნალობა დაეწყო. შემდეგ მოსვლის მიზეზიც აუხსნა:

- ალბათ, ახლა პენსიაზე გასვლა მოგიწევთ.

მარი მიხვდა, რა იდგა ამ სიტყვებს მიღმა: არავის ენდომებოდა იმ ადვოკატთან ჰქონოდა საქმე, ვინც ფსიქიატრიულში მკურნალობდა.

- თქვენ ხომ მეუბნებოდით, რომ მუშაობა საუკეთესო თერაპია იქნებოდა. დროებით მაინც უნდა დავბრუნდე სამსახურში.

მარი მეგობრისაგან პასუხს ელოდა, მაგრამ მას ხმა არ ამოუღია. მარიმ განაგრძო:

- თქვენ თვითონ მირჩიეთ, მემკურნალა. როცა სამსახურიდან წასვლას ვაპირებდი, მინდოდა, წარმატებისათვის მიმეღწია, საკუთარი თავის რეალიზაცია მომეხდინა, ჩემი ნებით წავსულიყავი. ძალიან გამიჭირდება იმის ატანა, რომ დავმარცხდი და ამიტომ მომიწია სამსახურის მიტოვება. მომეცით იმის საშუალება, რომ საკუთარი თავის პატივისცემა დავიბრუნო და თვითონვე გავიდე პენსიაში.

ადვოკატმა ჩაახველა.

- მე თქვენ მკურნალობა გირჩიეთ და არა ფსიქიატრიულში დაწოლა.

- სხვაგვარად ვერ გადავრჩებოდი. უბრალოდ, ქუჩაში გასვლაც აღარ შემიძლო, ოჯახიც მენგრეოდა.

მარიმ იცოდა, რომ ჰაერში ისროდა სიტყვებს. რაც უნდა ეთქვა, ის არ გადაიფიქრებდა - ფირმის ავტორიტეტს საფრთხის ქვეშ ვერ დააყენებდა. მაგრამ მაინც ერთხელ კიდეც სცადა გაბრძოლება:

- მე აქ ორი სახის ადამიანებს შევხვდი: იმათ, ვისაც საერთოდ არა აქვთ საზოგადოებაში დაბრუნების შესაძლებლობა, და იმათ, ვინც სრულიად ჯანმრთელები არიან, მაგრამ თავს იგიჟიანებენ, რათა საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა აიცილონ, ჩემთვის აუცილებელია, ძალიან მჭირდება, ისევ დავიბრუნო საკუთარი თავის პატივისცემა. უნდა დავრწმუნდე, რომ დამოუკიდებლად შემიძლია გადაწყვეტილებების მიღება. დაუშვებელია იმის გაკეთება მაიმულოთ, რაც მე არ ამირჩევია.

- ამქვეყნად ბევრი შეცდომის დაშვება შეიძლება, - უთხრა ადვოკატმა, - გარდა იმ შეცდომისა, რომელიც გაგვანადგურებს.

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა: კოლეგა დარწმუნებული იყო, რომ მარიმ საბედისწერო შეცდომა დაუშვა.

ორი დღის შემდეგ მეორე ადვოკატი ესტუმრა: მისი, აწ უკვე ყოფილი ფირმის, კონკურენტი ფირმიდან. მარის იმედი მიეცა: ალბათ, შეიტყვეს, რომ სამსახურიდან წამოვედი, და მათთან გადასვლას შემომთავაზებდნენ. კიდეც ერთი საშუალება ეძლეოდა ამქვეყნად საკუთარი ადგილის აღსადგენად.

ადვოკატი ჰოლში შემოვიდა, მის პირისპირ, სკამზე დაჯდა, გაუღიმა, მოიკითხა და ჩანთიდან რამდენიმე ქაღალდი ამოიღო.

- თქვენი მეუღლის დავალებით მოვედი, - უთხრა მან, - ეს განქორწინების განცხადებაა. ცხადია, თქვენი აქ ყოფნის მანძილზე ქმარი გადაგიხდით მკურნალობის თანხებს.

ამჯერად მარის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. ყველა საბუთს ხელი მოაწერა, თუმცა, კანონის თანახმად, განქორწინების უსასრულოდ გაჭიანურება შეეძლო. ადვოკატის წასვლისთანავე მივიდა ექიმ იგორთან და უთხრა, რომ კვლავ პანიკის შეტევები დაეწყო.

ექიმი იგორი მიხვდა, რომ მარი ატყუებდა, მაგრამ ჰოსპიტალიზაციის პერიოდი განუსაზღვრელი ვადით გაუგრძელა.

* * *

ვერონიკამ დასაძინებლად წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ედუარდი ისევ პიანინოსთან იდგა.

- დავიღალე, ედუარდ, თვალებს ვეღარ ვახელ.

კიდევ სიამოვნებით დაუკრავდა და თავისი ანესთეზირებული გონებიდან სონატებს, რეკვიემებსა და ადაჯოებს ამოკრებდა - ამ ჭაბუკს ხომ აღფრთოვანების უნარი შესწევდა და სანაცვლოდ მისგან არაფერს ითხოვდა. მაგრამ დაღლილობას ვეღარ ერეოდა.

რა ლამაზი იყო! ერთი წუთით მაინც რომ გამოედწია თავისი სამყაროდან და მისთვის, როგორც ქალისთვის, ისე შეეხედა, იქნებ ამქვეყნად დარჩენილი უკანასკნელი ღამეები ვერონიკასთვის უმშვენიერეს მოგონებად ქცეულიყო, რადგან ეს ვაჟი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ჩასწვდა ვერონიკას არტისტულ სულს. ვერონიკა მასთან ისეთ უცნაურ კავშირს შეიგრძნობდა, რომლის მსგავსიც ჯერ არც ერთ ადამიანთან არ უგრძნია - მათი ურთიერთობა ხომ სონატებისა და მენუეტების უმწიკვლო ვნებით დაიწყო.

ედუარდი მამაკაცის მისეულ იდეალს ჰგავდა. მგრძნობიარე, განათლებული, რომელმაც შეძლო, ეს გულგრილი სამყარო დაენგრია და ხელახლა აღედგინა საკუთარ გონებაში - ამჯერად უკვე ახალი შეფერილობით, ახალი მოქმედი პირებითა და სიუჟეტებით. და ამ ახალ სამყაროში იყო ქალი, პიანინო და ნამგალა მთვარე, შევსებას რომ განაგრძობდა.

- მე შეიძლება, შემყვარებოდი კიდევ, ყველაფერი მომეძღვნა შენთვის, რაც გამაჩნია, - უთხრა ვერონიკამ, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ედუარდს არ ესმოდა მისი, - შენ

მხოლოდ მუსიკას ითხოვ ჩემგან, თუმცა მე უფრო მეტი ვარ, ვიდრე შენ გგონია, და ამიტომაც მინდა, შენც გაგინაწილო ის, რასაც ახლა განვიცდი.

ედუარდმა გაუღიმა. ნუთუ გაიგო? ვერონიკას შეეშინდა: კარგი ყოფაქცევის წესებით, სიყვარულზე ასე ღიად არ უნდა ლაპარაკობდეს და, მით უმეტეს, იმ კაცთან, ვინც სულ რამდენჯერმე ჰყავს ნანახი. მაგრამ მაინც განაგრძო, აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი.

- შენ ხარ ერთადერთი ადამიანი ამქვეყნად, ვინც შეიძლება, მყვარებოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ როცა მოვკვდები, ვერც კი იგრძნობ ჩემს არყოფნას. არ ვიცი, რას გრძნობენ შიზოფრენიკები, მაგრამ არა მგონია, ვინმე ენატრებოდეთ. თავიდან, ალბათ, უცნაურად მოგეჩვენება, რომ ღამდამოხდით აღარავინ დაუკრავს. მაგრამ მთვარე ივსება და ყოველთვის მოიძებნება ვიღაცა, ვისაც სონატების დაკვრა მოუწდება, განსაკუთრებით - საავადმყოფოში - ჩვენ ხომ აქ ყველანი „მთვარეულები“ ვართ.

ვერონიკას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა კავშირი არსებობდა შეშლილებსა და მთვარეს შორის, მაგრამ ეტყობა, რაღაც კავშირი მაინც არსებობდა, თუკი ამ სიტყვას იყენებდნენ სულით ავადმყოფთათვის.

- არც მე მომენატრები, ედუარდ, მე ხომ მოვკვდები და აქედან შორს ვიქნები. რადგან მე არ მეშინია შენი დაკარგვისა, უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, რას იფიქრებ ჩემზე და, საერთოდ, იფიქრებ თუ არა. დღეს მე შეყვარებული ქალივით ვუკრავდი შენთვის და ეს მშვენიერი იყო - ეს იყო, ალბათ, ყველაზე მშვენიერი წუთები ჩემს ცხოვრებაში.

მან კვლავ გახედა ეზოში მდგარ მარის და მისი სიტყვები გაახსენდა.

შემდეგ ისევ თავის სიახლოვეს მდგარ კაცს შეავლო თვალი.

ვერონიკამ სვითერი გაიხადა, ედუარდს მიუახლოვდა - თუ რამის გაკეთებას აპირებდა, ახლავე უნდა დაეწყო. მარი დიდხანს ვერ გაუძლებდა სიცივეს და ჰოლში დაბრუნდებოდა.

ედუარდმა უკან დაიხია. თვალებში ერთი კითხვა ედგა: როდის დაბრუნდებოდა პიანინოსთან, როდის დაუკრავდა ახალ მელიოდias და იმ შეშლილ კომპოზიტორთა ფერებით, ტანჯვით, ტკივილითა და სიხარულით აუვსებდა სულს, რომლებმაც ამდენ საუკუნეს გაუძლეს თავიანთი ქმნილებებით.

„ის ქალი, ბაღში რომ სეირნობს, მეუბნებოდა: „მასტურბაცია სცადე, გაიგე, რომელ ზღვრამდე შეგიძლია მიღწევა.“ ნუთუ უფრო შორს წასვლას შევძლებ, ვიდრე დღემდე განმიცდია?“

მან ედუარდს ხელი მოჰკიდა და ტახტისკენ დაუპირა წაყვანა, მაგრამ ედუარდმა ნაზად გააშვებინა ხელი. მან იქ დარჩენა ამჯობინა, სადაც იდგა - პიანინოსთან, და ისევ მოთმინებით აპირებდა ლოდინს, როდის დაუკრავდა ვერონიკა.

ვერონიკა შეცბა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ უკან არ უნდა დაეხია. ის უკვე მკვდარი იყო და რაღა აზრი ჰქონდა შიშსა და ცრურწმენებს, მუდამ რომ უზღუდავდა ცხოვრებას? მან ბლუზა, შარვალი, ლიფი და ქვედა საცვალი გაიხადა და შიშველი დარჩა.

ედუარდს გაეცინა. ვერონიკამ შენიშნა მისი სიცილი, მაგრამ მიზეზს ვერ მიუხვდა. ედუარდის ხელს ნაზად მისწვდა და მუცელზე მიიდო. ხელი არ განძრეულა. ვერონიკამ ცდებს თავი ანება და ხელი მოიშორა.

ამ კაცთან ფიზიკურ კონტაქტზე მეტად ის აღაგზნებდა, რომ საზღვრები დაარღვია და ვერც ვერავინ შეუშლიდა ხელს, იმ ქალის გარდა, ბაღში რომ დასეირნობდა, დანარჩენ პაციენტებს უკვე ეძინათ.

სისხლი აუჩქროლდა და ტანსაცმლის გახდისას განცდილი სიცივე სულ უფრო ნაკლებად საგრძნობი გახდა. ისინი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ, ვერონიკა - შიშველი, ედუარდი კი - თავით ფეხამდე ჩაცმული. ვერონიკამ ხელები მუცელზე ჩაისრიალა და ტანში ჟრუნატელმა დაუარა. მას ადრეც გაეკეთებინა ეს, მარტოს ან პარტნიორთან ერთად, მაგრამ ასეთ სიტუაციაში არასოდეს ყოფილა, როცა მამაკაცს ოდნავადაც არ აინტერესებდა, რა ხდებოდა.

და ეს უფრო მეტად აღაგზნებდა. ფეხებგაშლილი იდგა, საკუთარ სხეულს ეფერებოდა, ისე ეძლეოდა ვნებას, როგორც არასოდეს, და მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ სურდა, ენახა, როგორ გამოაღწევდა ეს ვაჟი საკუთარი განყენებული სამყაროდან; მას არასოდეს განეცადა მსგავსი რამ.

ვერონიკამ ლაპარაკი დაიწყო, წარმოუდგენელ სიტყვებს ამბობდა, იმას, რასაც მისი მშობლები, მეგობრები ან წინაპრები უწმაწურობის უმაღლეს დონედ მიიჩნევდნენ. მერე პირველი ორგაზმი დადგა და ვერონიკა ტუჩებს იკვნეტდა, რომ კმაყოფილებისაგან არ ეკივლა.

ედუარდი თვალებში უცქეროდა. თვალები ახლა მას სულ სხვაგვარად უელავდა, თითქოს რაღაცას ხვდებოდა - თუნდაც ვერონიკას სხეულიდან მონადენ ენერგიას, მხურვალეებას, ოფლსა და სუნს. თუმცა ვერონიკა ჯერ კიდევ ვერ შეიგრძნობდა სრულ კმაყოფილებას. ის მუხლებზე დაეცა და კვლავ განაგრძო მასტურბაცია.

მას კივილი მოუწია იმ ტკბობანარევ ნეტარებაში, როცა შეეძლო, ეფიქრა და განეხორციელებინა ყველაფერი, რასაც აქამდე თავს უკრძალავდა: ის ევედრებოდა კაცს, შეხებოდა, დაემორჩილებინა და ისე მოჰქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. მოუწია, ზედკაც იქ ყოფილიყო, რადგან ქალს შეეძლო, მეორე ქალის სხეულს ისე

შეხებოდა, როგორც ვერც ერთი მამაკაცი ვერ მოახერხებდა - ქალმა იცის ქალის საიდუმლო.

უძრავად მდგარი კაცის წინ მუხლებზე დაცემული ვერონიკა გრძნობდა, როგორ ეალერსებოდნენ, ფლობდნენ და თვითონაც მოურიდებლად აკეთებდა იმას, რაც უნდოდა. ხელახალი ორგაზმი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე უგრძნია, თითქოს ყველაფერი აფეთქდა ირგვლივ. მას დილანდელი გულის შეტევა გაახსენდა და გაეცინა, თუ ახლა ეწერა სიკვდილი - ის ტკბობითა და აფეთქებებით მოკვდებოდა. დიდი სურვილი გაუჩნდა, ედუარდს შეხებოდა, მაგრამ შეეშინდა, ნეტარება არ გაექრო. ის შორს წავიდა, ძალიან შორს, ზუსტად ისე, როგორც მარიმ ურჩია.

მონაც იყო და დედოფალიც, მბრძანებელიც და მსახურიც და მის წარმოსახვაში ყველა ეს ქალი თეთრკანიანებთან, ზანგებთან, ყვითელკანიანებთან, ჰომოსექსუალისტებთან, მეფეებთან და ლატაკებთან იწვა. ის ყველას ეძლეოდა და ყველას შეეძლო, ისე მოჰქცეოდა, როგორც ეწადა. ვერონიკამ ზედიზედ შეიგრძნო რამდენიმე ორგაზმი, წარმოიდგინა ყველაფერი, რის წარმოდგენასაც ადრე ვერაფრით დაუშვებდა, და სიამოვნებით მიეცა ყველას - ყოვლად დამცირებულს და ყოვლად სუფთასაც. და ბოლოს, როცა ნეტარებამ ერთიანად მოიცვა მისი სხეული, მთელი ხმით იკივლა კმაყოფილებისა და იმ ტკივილისაგან, ყველა იმ ქალთან და კაცთან ტრფობით გამოწვეულმა, ზედიზედ განმეორებულმა ორგაზმმა რომ მოჰგვარა, რომლებიც მასში შედიოდნენ და გონების გავლით ტოვებდნენ მის სხეულს.

გაოფლილი, ერთიანად დაცლილი ვერონიკა იატაკზე გაწვა და გაიტრუნა. მიხვდა, რომ აქამდე თავს უმაღლავდა საკუთარ იდუმალ ზრახვებს, თვითონაც ვერ ხვდებოდა, დღემდე რატომ არ მონდომებოდა საკუთარი თავის სიღრმეებში ჩახედვა. ალბათ, დიდი ხნის წინ უნდა გაეკეთებინა ის, რაც ამ საღამოს გაბედა - ვნებას მინებებოდა.

სამყარო თანდათან დაუბრუნდა თავის ორბიტას და ვერონიკა იატაკიდან წამოდგა. მთელი ეს დრო ედუარდი გაუნძრევლად იდგა, მაგრამ თითქოს რაღაცით შეიცვალა - მის თვალებში ამ სამყაროსეული სინაზე კრთოდა.

„იმდენად კარგად ვიგრძენი თავი, რომ ყველაფერში სიყვარული მეღანდება, შიზოფრენიკის თვალებშიც კი“.

მან ჩაცმა დაიწყო და იგრძნო, რომ ჰოლში კიდევ ვიღაც იყო.

მარი იდგა. ვერონიკამ არ იცოდა, როდის შემოვიდა მარი ან რა ნახა და მოისმინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სირცხვილსა და შიშს ვერ შეიგრძნობდა. მხოლოდ ერთხელ გახედა, როგორც ახლობელს შეხედავენ ხოლმე.

- ისე მოვიქეცი, როგორც მირჩიე, - უთხრა ვერონიკამ, - შორი, ძალიან შორი გზა გავიარე.

მარი ხმას არ იღებდა. სულ ცოტა ხნის წინ გონებაში თავისი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთი აღიდგინა და ახლა ოდნავ უხერხულობას გრძნობდა. ალბათ, დრო მოვიდა, ქვეყნიერებას დაბრუნებოდა, პირისპირ შეჯახებოდა იქაურობას და ეთქვა, რომ ყველას შეეძლო, გამხდარიყო დიადი სამშოს წევრი და ამისთვის სულაც არ იყო აუცილებელი ფსიქიატრიულში მოხვედრა.

როგორც, თუნდაც, ამ გოგონას, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოათავსეს ვილეთში, რომ თავის მოკვლა სურდა. მისთვის უცნობი იყო პანიკა, დეპრესია, მისტიკური ხილვები, ფსიქოზები თუ შეზღუდვები, რაც თრგუნავს ადამიანის გონებას. და თუმცა მრავალ კაცთან წოლილა, არასოდეს ჩასწვდენია საკუთარ ლტოლვათაგან ყველაზე დაფარულს, ამიტომ სანახევროდაც არ იცნობდა თავის თავს. ო, ყველას რომ შეეძლოს, შეიცნოს და გააცნობიეროს საკუთარი შინაგანი სიგიჟე! განა ამით გაუარესდებოდა სამყარო? პირიქით, ადამიანები უფრო სამართლიანები და ბედნიერები გახდებოდნენ.

- ადრე ამას რატომ არ ვაკეთებდი?

- ედუარდს უნდა, რომ კიდეც დაუკრა, - უთხრა მარიმ, - მგონი, დაიმსახურა.

- დავუკრავ, მაგრამ ჯერ მიპასუხე: ადრე ამას რატომ არ ვაკეთებდი? თუ თავისუფალი ვარ და შემიძლია, ყველაფერზე ვიფიქრო, რატომ გავუბრბოდი აკრძალულ სიტუაციებს?

- აკრძალულს? მომისმინე: მე ადვოკატი ვიყავი და კანონები კარგად ვიცი. ვარ კათოლიკე და ბიბლიაც ზეპირად მახსოვს. შენ რას უწოდებ აკრძალულს?

მარი ვერონიკასთან მივიდა და სვიტერის ჩაცმაში დაეხმარა.

- ყურადღებით შემომხედე თვალებში და არ დაივიწყო, რასაც გეტყვი. არსებობს მხოლოდ ორი აკრძალული რამ, ერთი - ადამიანური, მეორე კი - ღვთიური კანონით. ნურასოდეს ნურავის აიძულებ კავშირზე, ეს გაუპატიურებასა და ძალადობას ნიშნავს. და ნურასოდეს დაამყარებ კავშირს ბავშვებთან, ეს ყველაზე დიდი ცოდვაა. ყველა დანარჩენი სიტუაციაში თავისუფალი ხარ. ყოველთვის არსებობს ვიღაც, ვისაც ზუსტად იგივე ენდომება, რაც შენ.

მარის მოთმინება არ ჰყოფნიდა, უმნიშვნელოვანესი საკითხები აეხსნა იმ ადამიანისთვის, ვინც მალე უნდა მომკვდარიყო. მან ვერონიკას გუდიმა, ღამე მშვიდობისა უსურვა და წავიდა.

ედუარდი გაუნძრევლად იდგა და მუსიკას ელოდა. ვერონიკას მადლობა უნდა გადაეხადა, ედუარდმა ხომ შიშისა და ზიზღის გარეშე უყურა მის სიგიჟეს და ამით უდიდესი ბედნიერება მიანიჭა. ის პიანინოს მიუჯდა და დაკვრა დაიწყო.

სული განთავისუფლებული ჰქონდა და სიკვდილის შიშიც აღარ ტანჯავდა. მან ახლახან განიცადა ის, რასაც მუდამ მაღავდა საკუთარ თავში. განიცადა ქალწულისა და მეძავის, მონისა და დედოფლის - თუმცა, უფრო - მონის, ვიდრე დედოფლის - ნეტარება.

იმ ღამეს, თითქოს სასწაულით, ყველა მელოდია გაახსენდა და ყველაფერი გააკეთა, რომ ედუარდისთვისაც თითქმის ისეთივე სიამოვნება მიენიჭებინა, როგორიც თვითონ განიცადა.

* * *

ექიმმა იგორმა მისაღებში შუქი აანთო და გაოცდა, როცა დაინახა, რომ მას ვერონიკა ელოდა.

- ჯერ ძალიან ადრეა. თან მთელ დღეს მიღებები მაქვს.

- ვიცი, რომ ადრეა, - უპასუხა ვერონიკამ, - დღე არც კი დაწყებულა. თქვენთან სალაპარაკო მაქვს და დიდხანს არ შეგაყოვნებთ. დახმარება მჭირდება.

ვერონიკას თვალები ამოღამებული ჰქონდა, თმა - აბურდული, ეტყობოდა, მთელ ღამეს არ ეძინა.

ექიმმა იგორმა კაბინეტში შეიყვანა.

სკამი შესთავაზა, შუქი აანთო და ფარდები გადასწია. გათენებამდე კიდევ ერთი საათი რჩებოდა, მერე კი შუქს გამორთავდა - ელექტროენერგიას უნდა გაფრთხილებოდა. აქციონერები ხარჯის უმნიშვნელო გადამეტებასაც ვერ იტანდნენ.

საავადმყოფოს ჟურნალს ცალი თვალთ ჩახედა: ზედკას უკვე ჩასტარებია უკანასკნელი ინსულინური შოკი და რეაქცია დადებითი იყო, უფრო სწორად, კარგად გადაუტანია ეს საშინელი თერაპია. ღვთის მადლით, ექიმმა იგორმა თავი დაიზღვია და ვილეტეს ადმინისტრაციისაგან ხელმოწერილი საბუთი მოიპოვა, რომლის თანახმადაც, შესაძლებელ შედეგებზე პასუხისმგებლობას ადმინისტრაცია კისრულობდა.

რამდენიმე ბოლო ჩანაწერსაც ჩახედა. ექთნების მონაცემებით, ორი თუ სამი ავადმყოფი აგრესიულად იქცეოდა, მათ შორის - ედუარდიც, რომელიც პალატაში მხოლოდ დილის ოთხ საათზე დაბრუნებულა და ძილის წამალზე უარი უთქვამს. მამასადამე, ზომები უნდა მიიღოს. ვილეტეში, რაოდენ ლიბერალურიც უნდა იყოს რეჟიმი, საავადმყოფოს რეპუტაციის შელახვას ვერავის აპატიებენ, რადგან აქ ტრადიციული მედიცინის მოთხოვნებს იცავენ.

- ერთი რამ მინდა, გთხოვოთ, - უთხრა ქალიშვილმა.

ექიმა იგორმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ნათქვამი ვერ გაიგო, სტეტოსკოპი აიღო და ვერონიკას ფილტვებსა და გულს მოუსმინა. შემდეგ რეფლექსები შეუმოწმა და სპეციალური პორტატული ფარნით თვალებში ჩახედა. საოცარი იყო, მაგრამ აჯასპით მოწამვლის სიმპტომები თითქმის გამქრალიყო.

მაშინვე ტელეფონს მისწვდა და ექთანს უბრძანა, წამალი შემოეტანა.

- როგორც ვატყობ, გუშინ საღამოს თქვენთვის ნემსი არ გაუკეთებიათ, - უთხრა ვერონიკას.

- არა, მაგრამ თავს უკეთ ვგრძნობ.

- ნეტავ თქვენი სახე დაგანახათ: ჩალურჯებული უბეები, დაღლილობა, მოდუნებული მიმიკა. თუ გინდათ, დარჩენილი დრო აზრიანად გამოიყენოთ, კეთილი ინებეთ და ჩემი დანიშნულებები შეასრულოთ.

- ამიტომაც მოვედი თქვენთან. სწორედაც აზრიანად მინდა გამოვიყენო დარჩენილი დრო, ოღონდ - ჩემებურად. რამდენი დღე დამრჩა?

ექიმი იგორი სათვალის ზემოდან დააკვირდა.

- შეგიძლიათ, მითხრათ, - დაიჟინა ვერონიკამ, - უკვე აღარც შიში მაქვს, აღარც გულგრილობა, აღარაფერი. მხოლოდ სიცოცხლე მინდა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მარტო სურვილი არ კმარა, ამიტომაც ბედს ვეგუები.

- მაინც, რა გნებავთ?

ექთანი შემოვიდა და შპრიცი შემოიტანა. ექიმა იგორმა ვერონიკაზე ანიშნა და ექთანმაც ფრთხილად აუწია სახელო.

- კიდევ რამდენი დამრჩა? - ჰკითხა ვერონიკამ, სანამ ექთანი ნემსს უკეთებდა.

- ერთი დღე. ოცდაოთხი საათი. ან იქნებ ნაკლებიც.

ვერონიკამ თავი დახარა და ტუჩი მოიკვნითა, მაგრამ წონასწორობა არ დაუკარგავს.

- თუ ასეა, თხოვნა შემისრულოთ. ჯერ ერთი, რამე წამალი მომეცით ან ნემსი გამიკეთეთ, რაც გნებავთ, ოღონდ არ დამეძინოს და შევძლო, დარჩენილი სიცოცხლის ყოველი წუთი გამოვიყენო. ძალიან მეძინება, მაგრამ ძილის დრო არ მაქვს, უამრავი რამ უნდა მოვასწრო. ყოველთვის ყველაფერს სამომავლოდ ვდებდი, რადგან მეგონა, რომ მუდამ ბევრი დრო მქონდა და ამიტომ დავკარგე ინტერესი, ამიტომ მივედი იმ დასკვნამდე, რომ სიცოცხლე აღარ ღირდა.

- მეორე?

- აქედან მინდა წასვლა, რომ თავისუფლად მოგვკდე. აუცილებლად უნდა ავიდე ლუბლიანის ციხესიმაგრეზე, რომლის ახლოდან ნახვაც ვერასოდეს მოვახერხე. მინდა, ერთ ქალს დაველაპარაკო, რომელიც ზამთარში წაბლს ყიდის, გაზაფხულზე კი - ყვავილებს. რამდენჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს და ერთხელაც არ მიკითხავს, რა აწუხებს. მინდა, ყინვაში უქურთუკოდ გავისეირნო და გამყინავი სიცივე ვიგრძნო - მთელი სიცოცხლე გაცივებისა მეშინოდა და ვიფუთნებოდი.

იქნებ ეკლესიაშიც შევიდე, ხატებს შევხედო, რომლებიც არასოდეს არაფერს მეუბნებოდნენ, ახლა კი აუცილებლად მეტყვიან რაღაცას. თუ რომელიმე კაცი მომეწონება და ღამის კლუბში დამპატიჟებს, მთელ ღამეს ვიცეკვებ. მერე მასთან ერთად ჩავწვები ლოგინში, მაგრამ არა ისე, როგორც ადრე, სხვებთან - ხან მოგონილი გულგრილობით და ხანაც მოგონილი ვნებით. მე მინდა, მივეცე კაცს, ქალაქს, სიცოცხლეს და ბოლოს - სიკვდილს.

ვერონიკა დადუმდა და კაბინეტში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ექიმი და პაციენტი ერთმანეთს თვალებში უცქეროდნენ და ერთმანეთის აზრებს კითხულობდნენ იმ გამაოგნებელი შესაძლებლობების შესახებ, რაც ამ ოცდაოთხ საათს შეემლო მოეტანა.

- რაიმე სტიმულატორს მოგცემთ, მაგრამ მაინც არ გირჩევდით მის მიღებას, - უთხრა ექიმმა იგორმა, - ის წამალი ძილის სურვილს მოგიხსნით, მაგრამ იმ შინაგან წონასწორობას დაგაკარგვინებთ, რაც ამ ყველაფრის შესაგრძნობად დაგჭირდებათ.

ვერონიკას ისევ დაეწყო თავბრუსხვევა. ნემსის გაკეთების შემდეგ ყოველთვის ცუდად გრძნობდა ხოლმე თავს.

- ფერი დაკარგეთ, ვფიქრობ, ჯობია, ახლა დაიძინოთ. ხვალ ვილაპარაკოთ.

ვერონიკას ისევ ცრემლები მოადგა თვალებზე, მაგრამ თავი შეიკავა.

- „ხვალ“ აღარ იქნება და თქვენ ეს ჩემზე უკეთ იცით. დავიღალე, ექიმო, საშინლად დავიღალე. ამიტომ მოგმართეთ. მთელ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, ნახევრად სასოწარკვეთით, ნახევრად - მორჩილებით ველოდი გათენებას. შეიძლებოდა, გუმინდელივით, ისტერიკის შეტევა დამმართნოდა, მაგრამ რა აზრი აქვს ცრემლებს? თუ ერთი დღეა დამრჩა, წინ კი ამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი, მაშინ, როგორღაც, სასოწარკვეთასაც უნდა მოვერიო. გეხვეწებით, ექიმო, მომეცით ნება, ნორმალურად გავატარო დარჩენილი დრო. ჩვენ ხომ ორივემ ვიცით, რომ ხვალ შეიძლება, უკვე გვიანი იყოს.

- წადით, დაიძინეთ, - არ ეშვებოდა ექიმი, - შუადღისას მოდით და ვილაპარაკოთ.

ვერონიკა მიხვდა, რომ სხვა გზა აღარ რჩებოდა.

- კარგი. ოღონდ ძალიან ცოტა ხნით დავიძინებ. შეგიძლიათ, კიდევ რამდენიმე წუთი მომისმინოთ?

- სულ რამდენიმე წუთი. დღეს ძალიან დაკავებული ვარ.

- სრულიად გულწრფელად მინდა, გელაპარაკოთ. წუხელ, ყოვლად უსირცხვილოდ, პირველად ვცადე მასტურბაცია. ვფიქრობდი ყველაფერზე, რაზედაც აქამდე ვერ ვბედავდი ფიქრს, და სიამოვნებას იმით ვეძლეოდი, რაც ადრე მაშინებდა ან ვიშორებდი.

ექიმმა მაშინვე მეტისმეტად პროფესიული გამომეტყველება მიიღო. წარმოდგენაც არ ჰქონდა, რით დამთავრდებოდა ეს საუბარი, და უფროსობასთან უსიამოვნებები სულაც არ სჭირდებოდა.

- იცით, ექიმო, წუხელ აღმოვაჩინე, რომ გარყვნილი ვარ. იქნებ ეს არის ჩემი თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზი? მივხვდი, რომ ბევრი რამ არ მცოდნია საკუთარ თავზე.

„ჰო-ო, აქ, ალბათ, შეიძლება, სულ უბრალო პასუხითაც შემოვიფარგლო, - გაიფიქრა ექიმმა, - და არც ექთნის გამოძახება დამჭირდება, რომ სექსუალურ ძალადობაზე ბრალდებისაგან თავის დასაცავად მოწმე მყავდეს“.

- ყველას უჩნდება ხოლმე სურვილი, ხანდახან ძალზე უცნაური რაღაც გააკეთოს, - უპასუხა ექიმმა, - იგივე სურვილი შეიძლება გაუჩნდეთ ჩვენს სექსუალურ პარტნიორებსაც. რა არის ამაში არაბუნებრივი?

- თქვენ როგორ ფიქრობთ?

- მე მგონი, საკითხი თავიდანვე არასწორად არის დასმული. იმიტომ რომ, როცა ყველა ეგრეთ წოდებულ აკრძალულ ხილზე ოცნებობს და მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია ოცნების ასრულება, დანარჩენები საკუთარ თავს ლაჩრებად მიიჩნევენ.

- თუნდაც ის ცოტანი მართლეს იყვნენ?

- მართალია ის, ვინც ძლიერია. მოცემულ შემთხვევაში კი, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, ლაჩრები ყველაზე ძლიერები აღმოჩნდებიან ხოლმე და შეუძლიათ, თავიანთი იდეები სხვებს მოახვიონ თავზე.

ექიმს ლაპარაკის გაგრძელება აღარ უნდოდა.

- ძალიან გთხოვთ, პალატაში წადით, ცოტა ხნით დაისვენეთ. მეც ძალიან ბევრი საქმე მაქვს. თუ დამიჯერებთ, ნამდვილად ვიფიქრებ, რით შემიძლია, დაგეხმაროთ მეორე თხოვნის შესასრულებლად.

ვერონიკა კაბინეტიდან გამოვიდა. ექიმ იგორს ახლა ზედკა უნდა მიეღო და გაეწერა, მაგრამ ცოტა ხნით მოცდა სთხოვა. აუცილებლად უნდა ჩაეწერა ვერონიკასთან ახლახან დასრულებული საუბარი.

ალბათ, დისერტაციაში ერთი დიდი თავი უნდა დაეთმო სექსისათვის. ბოლოს და ბოლოს, ფსიქოპათოლოგიების დიდი ნაწილი ხომ სწორედ სექსთან იყო დაკავშირებული. ექიმ იგორის აზრით, ფანტაზიები ტვინის ელექტრული იმპულსები იყო, რომლებიც, დათრგუნვის შემთხვევაში, სხვა სასიცოცხლო სფეროებში გზავნიდა ენერგიას.

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს წაიკითხა საინტერესო ტრაქტატი სექსუალური უმცირესობების შესახებ: სადიზმი, მაზოხიზმი, ჰომოსექსუალიზმი, ტრანსვესტიზმი, ვუაიერიზმი, კოპროფაგია, კოპროფალია - სია საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. თავიდან ექიმ იგორს მიაჩნდა, რომ ამგვარი ფსიქიური გადახრები მხოლოდ იმათთვის იყო დამახასიათებელი, ვინც პარტნიორთან ჯანსაღი ურთიერთობის დამყარებას ვერ ახერხებდა. თუმცა ფსიქიატრიაში გამოცდილების შემენისა და პაციენტებთან წლობით ურთიერთობის შედეგად დარწმუნდა, რომ ყოველი მათგანი სრულიად ინდივიდუალურ შეგრძნებებზე ყვებოდა. კაბინეტში შემოსვლისთანავე ისინი მოხერხებულად სხდებოდნენ სავარძელში, თვალს არიდებდნენ და ხანგრძლივ მსჯელობას იწყებდნენ იმაზე, რასაც „ავადმყოფობას“ (თითქოს ექიმს არ ელაპარაკებოდნენ!) ან „გარყვნილებას“ უწოდებდნენ, გეგონებოდათ, ფსიქიატრთან არ იყვნენ მოსულები, ვინც ვალდებული იყო, თვითონ გარკვეულიყო ყველაფერში.

ერთი შეხედვით, ნორმალური ადამიანები იმ ფანტაზიების შესახებ უყვებოდნენ, რომლებიც სექსუალურ უმცირესობებზე გამოცემულ იმ წიგნში ჰქონდათ ამოკითხული, რომელიც ყველა ადამიანის უფლებას იცავდა: თავისი შეხედულებებისამებრ მიედწია ორგანიზმისათვის, ოღონდ ისე, რომ პარტნიორის უფლებები არ დაერღვია.

ქალები, რომლებიც სამონასტრო კოლეჯებში სწავლობდნენ, დაფარულად ოცნებობდნენ, სექსის დროს პარტნიორს დაემცირებინა; კოსტიუმიან-ჰალსტუხიანი, მაღალი სახელმწიფო ჩინოვნიკები აღიარებდნენ, რომ მთელ თავიანთ ქონებას რუმინელ მეძავეებში ფლანგავდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის ფეხები აელოკათ; ბიჭებზე შეყვარებული ყმაწვილები; თანაკლასელ გოგონებზე შეყვარებული გოგონები; ქმრები, რომლებსაც სურდათ, სხვა კაცთან ენახათ ცოლი; ქალები, რომლებიც სექსუალურ კმაყოფილებას განიცდიდნენ, ქმრის ღალატის კვალს თუ აღმოაჩენდნენ; დედები, რომლებიც ნებისმიერ კაცთან დაწოლის სურვილს იკლავდნენ საკუთარ თავში; მამები, ტრანსვესტიტებთან საიდუმლო შეხვედრებზე რომ დარბოდნენ...

...და - ორგიები. იმ წიგნის მიხედვით, ყველა ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უჩნდება სურვილი, ჯგუფურ სექსში მიიღოს მონაწილეობა.

ექიმმა იგორმა კალმისტარი ცოტა ხნით გვერდზე გადადო და საკუთარ თავზე დაფიქრდა: ნუთუ თვითონაც? ჰო, თვითონაც არ იტყოდა უარს. მისი წარმოდგენით,

ორგია რაღაც სრულიად უწესრიგო, მხიარული რამ უნდა იყოს, სადაც აღარ არსებობს ფლობის შეგრძნება - მხოლოდ თავისუფლების ქაოსი და ტკბობაა.

საინტერესოა, ამაში ხომ არ იმალება ადამიანთა უმრავლესობის „ნაღველით“ დაავადების მიზეზი? მონოთეიზმმა საქორწინო კავშირს უამრავი არაბუნებრივი შეზღუდვა დაუწესა. როგორც ექიმ იგორის არქივებში გულმოდგინედ შენახული გამოკვლევები ადასტურებდა, ცოლ-ქმარს შორის სექსუალური ლტოლვა ერთად ცხოვრების მესამე თუ მეოთხე წელს ქრება. ამ პირობებში ქალი მიტოვებულად შეიგრძნობს თავს, კაცი - ქორწინების ტყვედ, და კუპორისი თუ ნაღველი ყველას და ყველაფრის ნგრევას იწყებს ირგვლივ.

როგორც წესი, ფსიქიატრთან ადამიანები უფრო გულახდილად ლაპარაკობენ, ვიდრე მღვდელთან, რადგან ექიმი ჯოჯოხეთით არ ემუქრება. ფსიქიატრის ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ექიმ იგორს პრაქტიკულად უკვე ყველაფერი ჰქონდა მოსმენილი, რაც კი ადამიანებს შეეძლოთ, მოეთხროთ.

მოეთხროთ. უფრო იშვიათად - გაეკეთებინათ.

თავისი სპეციალობით მრავალი წლის მუშაობის შემდეგაც ხშირად ეკითხებოდა ხოლმე თავს: ასე რატომ ეშინიათ ადამიანებს საკუთარი ინდივიდუალობისა?

და როცა ამის მიზეზში სურდა ჩაღრმავება, უმეტესად ერთსა და იმავე პასუხს იღებდა: „ქმარი იფიქრებს, რომ მეძავი ვარ“, ანდა მის წინ მჯდარი პაციენტი აუცილებლად სთხოვდა: „ცოლმა არაფერი არ უნდა იცოდეს“.

ამით მთავრდებოდა საუბარი. აღარ ღირდა იმაზე ლაპარაკი, რომ ყოველ ადამიანს თავისი განუმეორებელი სექსუალური პროფილი ჰქონდა, ისევე, როგორც თითოის ანაბეჭდი. თუმცა ამის დაჯერება არავის უნდოდა. ძალზე სახიფათო იყო ლოგინში თავისუფლების შენარჩუნება, რადგან შეიძლებოდა, მეორე საკუთარი ცრურწმენების მონა ყოფილიყო.

„მე ამ ქვეყანას ვერ შევცვლი, - დაასკვნა ბოლოს ექიმმა იგორმა და ბედს შეურიგდა. ექთანს უბრძანა, გამოჯანმრთელებული პაციენტი ზედკა შემოეშვა, - ბოლოს და ბოლოს, დისერტაციაში დავწერ ყველაფერს, რასაც ამ საკითხზე ვფიქრობ“.

ედუარდმა დაინახა, რომ ვერონიკა ექიმ იგორის კაბინეტიდან გამოვიდა და პალატისაკენ აპირებდა წასვლას. ედუარდს უნდოდა, თავისი საიდუმლო გაემხილა ვერონიკასთვის, ისევე გადაეხსნა გული, როგორც წინაღამით გოგონამ გადაუხსნა თავისი სხეული.

ვილეტეში „შიზოფრენიის“ დიაგნოზით აღმოჩენის შემდეგ მისთვის ეს ყველაზე დიდი გამოცდა იყო და უხაროდა, რომ გაუძლო, მაგრამ ახლა ყველაზე მეტად ამქვეყნად დაბრუნების კვლავგაჩენილი სურვილი აშინებდა.

„აქ ყველამ იცის, რომ ეს გოგონა კვირის ბოლომდეც ვერ იცოცხლებს. რაღა აზრი აქვს?“

ანდა იქნებ ამიტომაც ღირდა, მისთვის გაენდო თავისი საიდუმლო. ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ის მხოლოდ მარის ელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ მარის ბოლომდე ესმოდა მისი. მარი დედა იყო და, ალბათ, თვლიდა, რომ მისი მშობლები მართლები იყვნენ, მისთვის მხოლოდ სიკეთე სურდათ და სამოთხისეული ხილვები რეალობას დაშორებული, სულელური, ყმაწვილური ოცნება იყო მხოლოდ.

სამოთხისეული ხილვები. სწორედ ამან მიიყვანა ჯოჯოხეთამდე, ოჯახთან დაუსრულებელ კამათამდე და დანაშაულის იმდენად ძლიერ შეგრძნებამდე, რომ უკვე წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო და სხვა სამყაროს შეაფარა თავი. მარი რომ არა, დღემდე ამ განყენებულ რეალობაში იცხოვრებდა.

მარიმ საავადმყოფოში მისვლისთანავე დაიწყო მასზე ზრუნვა და სიყვარული აგრძნობინა. მისი წყალობით, ედუარდს ჯერ კიდევ შეეძლო გაეცნობიერებინა, რა ხდებოდა ირგვლივ.

რამდენიმე დღის წინ კი მისი თანატოლი გოგონა პიანინოს მიუჯდა და „მთვარის სონატა“ დაუკრა. ედუარდი ვერ ხვდებოდა, მუსიკის ბრაღი იყო, გოგონასი, მთვარისა თუ ვილეთეში გატარებული წლებისა, მაგრამ ისევ მოეძალა სამოთხისეული ხილვები.

ედუარდმა ქალთა პალატამდე მიაცილა ვერონიკა და სანიტარმა შეაჩერა.

- აქეთ არ შეიძლება, ედუარდ. ბაღში დაბრუნდი. უკვე თენდება და მშვენიერი ამინდია.

ვერონიკამ უკან მიიხედა.

- ცოტა ხნით დავიძინებ, - ალერსიანად უთხრა ედუარდს, - გავიღვიძებ და მერე დავუკრავ.

ვერონიკა ვერ მიხვდა, რატომ, მაგრამ ეს ვაჟი მისი სამყაროს ნაწილი გახდა, ან, უფრო სწორად, იმ მცირე მონაკვეთის ნაწილი, რაც ამ სამყაროდან შემორჩა. ვერონიკა დარწმუნებული იყო, რომ ედუარდს შეეძლო მისი მუსიკის შეცნობა და მისი ნიჭით აღფრთოვანება. და თუმცა სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა, მისი თვალები ლაპარაკობდნენ.

ახლაც, პალატის კართან, ედუარდის თვალები იმაზე ესაუბრებოდნენ, რისი მოსმენაც ვერონიკას არ სურდა:

სიყვარულსა და სინაზეზე.

„სულით ავადმყოფებთან ცხოვრებამ მეც ჭკუიდან შემშალა. შიზოფრენიკები ჯანმრთელი ადამიანებისადმი ასეთ გრძნობებს ვერ განიცდიან“.

ვერონიკას ძალიან მოუნდა, უკან დაბრუნებულიყო და ედუარდისთვის ეკოცნა, მაგრამ თავი შეიკავა. სანიტარი დაინახავდა, ექიმ იგორს ეტყოდა, მაშინ კი ექიმი ნამდვილად არ დართავდა ვილეტედან გასვლის ნებას.

ედუარდმა სანიტარს თვალეში შეხედა. ამ გოგონასადმი ლტოლვა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე თვითონ წარმოედგინა, მაგრამ თავი უნდა შეეკავებინა და მარისთვის ეკითხა რჩევა - ამ ერთადერთ ადამიანს უზიარებდა თავის საიდუმლოებებს. ცხადია, მარი ეტყოდა, რომ ის, რის შეგრძნებაც მას უნდოდა - სიყვარულისა, - ამ შემთხვევაში საშიში და უაზრო იქნებოდა. მარი, ალბათ, ედუარდს სთხოვდა, სისულელეებისთვის თავი დაენებებინა და კვლავ ნორმალური შიზოფრენიკი გამხდარიყო (მერე კი გულიანად გაიცინებდა ამ ფრაზის უაზრობაზე).

ედუარდი სასადილოში მყოფ სხვა პაციენტებს შეუერთდა, შეჭამა ყველაფერი, რაც მიუტანეს, და სავალდებულო სეირნობისთვის ბაღში გავიდა. სცადა, „მზის აბაზანების“ დროს მარის მიახლოებოდა, მაგრამ მარი მარტო დასეირნობდა და ედუარდი მიხვდა, რომ ახლა არ ღირდა მასთან დალაპარაკება. ედუარდმა კარგად იცოდა მარტოობის ფასი და პატივს სცემდა მას.

სანამ მარის ელოდა, ახალი პაციენტი მიუახლოვდა. ეტყობოდა, ვიღაცასთან უნდოდა დალაპარაკება.

- ღმერთმა კაცობრიობა დასაჯა და შავი ჭირი მოუვლინა. მე ხშირად ვნახულობდი ღმერთს სიზმარში და მან მიბრძანა, სლოვენია გადამერჩინა.

ედუარდი პაციენტს მოშორდა, კაცი კი უყვიროდა:

- თქვენ გგონიათ, გიჟი ვარ? სახარება წაიკითხეთ! ღმერთმა ქვეყნიერებას თავისი შვილი მოუვლინა და ღვთის ძე ისევ დაბრუნდება!

მაგრამ ედუარდი აღარ უსმენდა. ის მთებს გასცქეროდა ფანჯრებს მიღმა და ვერ გაერკვია, რა ემართებოდა. რატომ მოუნდა აქედან გასვლა, თუკი ძლივს იპოვა ესოდენ სასურველი სიმშვიდე? რაში სჭირდებოდა თავის კვლავ საფრთხეში ჩაგდება, მშობლების შერცხვენა, ოჯახური პრობლემის ხელახალი გამწვავება? თანდათან ნერვიულობამ აიტანა, ბოლთის ცემას მოჰყვა, მოუთმენლად ელოდა, როდის დაარღვევდა მარი დუმილს და შეძლებდა მასთან დალაპარაკებას.

მაგრამ მარი ისე იყო გაუცხოებული, როგორც არასოდეს.

ედუარდმა იცოდა, როგორ შეიძლებოდა ვილეტედან გაქცევა. მიუხედავად შეუვალი დაცვისა, გასაძრომი მაინც ბევრი იყო. უბრალოდ, ვილეტეში მოხვედრილთ აქედან გასვლის დიდი სურვილი არ უჩნდებოდათ. დასავლეთის მხრიდან ერთი

დაბზარული კედელი იყო და მასზე ასვლა სირთულეს არ წარმოადგენდა. ამ კედელზე გადამრომის შემდეგ პირდაპირ მინდორში აღმოჩნდებოდი და თუ ჩრდილოეთის მიმართულებით ივლიდი, ხუთ წუთში მიაღწევდი ხორვატიისკენ მიმავალ გზამდე. ომი უკვე დამთავრებული იყო და აღარც საზღვრებს იცავდნენ ადრინდელი გულმოდგინებით. ცოტა თუ ბედიც გაუღიმებდა, ექვს საათში ბელგრადამდეც შეეძლო ჩასვლა.

ედუარდმა უკვე რამდენჯერმე გაიარა ეს გზა, მაგრამ ყოველთვის უკან ბრუნდებოდა, გზის გასაგრძელებლად ჯერ ნიშანს ვერ ხედავდა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა: ნიშანი გამოჩნდა - ეს წაბლისფერთმიანი, მწვანეთვალება გოგონა, რომელიც მთელი ძალით ცდილობდა სულის სიმტკიცის შენარჩუნებას.

ედუარდი უკან მიბრუნდა და „მზის აბაზანების“ შემდეგ ჰოლში შეკრებილ სამშოს წევრებს მიუახლოვდა.

- ამ გიჟს აქ რა უნდა? - იკითხა ყველაზე უფროსმა.

- დაწყნარდით, - უპასუხა მარიმ, - ჩვენც გიჟები ვართ.

ყველას გაეცინა და ისევ გუშინდელ შეხვედრაზე განაგრძეს ლაპარაკი. იმაზე მსჯელობდნენ, შეეძლო თუ არა სუფიურ მედიტაციას სამყარო შეეცვალა. ათასნაირი აზრი, შესწორება და მოსაზრება გამოთქვას ლექტორის მიმართ, რომელიც საუკუნეების გამოცდილებაში ცდილობდა სრულყოფილების შეტანას.

ედუარდს, უბრალოდ, გული ერეოდა ასეთ საუბრებზე. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოკეტილი ადამიანები მსოფლიოს გადარჩენაზე მსჯელობდნენ, აქ იოლი იყო ამაზე ლაპარაკი, რადგან იქ, გარეთ, რაგინდ კონკრეტული იდეებიც უნდა ექადაგათ, ყველა სასაცილოდ აიგდებდა. ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული თეორია ჰქონდა და ღრმად სწამდა, რომ მისი ჭეშმარიტება იყო ერთადერთი და ღირებული. ისინი დღეებსა და ღამეებს, კვირებსა და წლებს ატარებდნენ ამგვარ საუბრებში და უმთავრესს ვერ აცნობიერებდნენ: ჭეშმარიტი იდეა, კარგია ის თუ ცუდი, რეალური მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მისი პრაქტიკაში განხორციელება შესაძლებელი.

რას წარმოადგენს სუფიური მედიტაცია? რა არის ღმერთი? რა არის ხსნა, თუკი სამყაროს მართლა სჭირდება გადარჩენა? არაფერი. თუკი ყოველი ადამიანი, აქაც და გარეთაც, თავისი ცხოვრებით იცხოვრებს და სხვებსაც უფლებას მისცემს, ასევე იცხოვროს, ღმერთი გამოვლინდება ყოველ წამს, ყოველ მდოგვის მარცვალსა თუ ღრუბლის ფთილაში, რომელიც ცაზე ჩნდება და ქრება იმავე წამს. ღმერთი აქ იყო, ყველგან, მაგრამ ეს ადამიანები, რატომღაც, აუცილებლობად მიიჩნევდნენ, დაუსრულებლად ეძებნათ იგი, რადგან ძალიან მარტივ გზად ეჩვენებოდათ - თავად ცხოვრება მიეღოთ, როგორც რწმენის აქტი.

ის უმარტივესი ვარჯიში გაახსენდა, რაც სუფიელმა მოძღვარმა დაავალა მსმენელთ, სანამ თვითონ ვერონიკას ელოდა პიანინოსთან: ვარდისთვის ეცქირათ. კიდევ რა იყო საჭირო?

და თუმცა ეს ადამიანები ღრმა მედიტაციის გამოცდილებას ეზიარნენ, თითქმის მიუახლოვდნენ სამოთხისეულ ხილვებს, მაინც რაღაცაზე მსჯელობდნენ, არგუმენტებს იშველიებდნენ, აკრიტიკებდნენ და ათასგვარ თეორიას აგებდნენ.

ბოლოს და ბოლოს, ედუარდმა მოახერხა, მარის მზერა დაეჭირა. ქალმა მაშინვე თვალი აარიდა, მაგრამ ედუარდი უკან დახევას არ აპირებდა - მიუახლოვდა და ხელზე მოჰკიდა ხელი.

- გეყოფა, ედუარდ.

მას შეეძლო, ეთქვა: „გამომყევი“, მაგრამ სხვების თანდასწრებით ხმის ამოღებას მოერიდა, არ უნდოდა, თავისი ხმის სიმტკიცით გაეოცებინა ისინი. ამიტომ ამჯობინა, მუხლებზე დაცემულიყო და მავედრებელი მზერა მიეპყრო მარისთვის.

ყველას გაეცინა.

- ედუარდმა წმინდანად შეგრაცხა, - გაიხუმრა ვილაცამ, - გუშინდელი მედიტაციის შედეგია.

უსიტყვოდ გატარებულმა წლებმა ედუარდს თვალებით ლაპარაკი ასწავლა. მზერით შეეძლო, მთელი თავისი ენერგია გადმოეცა. ზუსტად ისევე, როგორც დარწმუნებული იყო, რომ ვერონიკამ იგრძნო მისი სინაზე და სიყვარული, ახლაც იცოდა, მარი მიუხვდებოდა სასოწარკვეთას, მას ხომ ასე სჭირდებოდა დახმარება.

მარი ერთხანს კიდევ ყოყმანობდა. შემდეგ ედუარდი წამოაყენა და ხელი ჩაჰკიდა.

- მოდი, გავისეირნოთ. ნუ ნერვიულობ.

და ისინი ბაღში გავიდნენ. როცა იმდენად გასცილდნენ შენობებს, რომ მათი საუბრის ხმა ველარავის მისწვდებოდა, ედუარდმა ლაპარაკი დაიწყო:

- რა ხანია, აქ ვარ, ვილეტეში, და უკვე აღარ ვარცხვენ მშობლებს, აღარც ჩემი თავმოყვარეობა მადარდებს, ოღონდ სამოთხისეული ხილვები ისევ დამრჩა.

- ვიცი, - უთხრა მარიმ, - ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია ამის შესახებ და ისიც ვიცი, რისთვის დაიწყე ეს ლაპარაკი: წასვლის დროა.

ედუარდმა ცას ახედა. ნუთუ მარიც იმავეს გრძნობდა?

- ამის მიზეზი კი ის გოგონაა, - განაგრძო მარიმ, - აქ ბევრი სიკვდილი გვინახავს, ყოველთვის მოულოდნელად ან მაშინ, როცა ადამიანს სიცოცხლე ჰქონდა მოზეზრებული. მაგრამ პირველად შევეჩახეთ ლამაზი, სიცოცხლით სავსე გოგონას

სიკვდილს. ვერონიკა ის ერთადერთი ადამიანია, ვისაც ვილეთეში დარჩენა არ სურს. და ჩვენ ყველას ერთი და იგივე კითხვა გაგვიჩნდა: ჩვენ რაღა დაგვემართა? აქ რას ვაკეთებთ?

ედუარდმა თავი დაუქნია.

- მეც წუხელ ვკითხე ჩემს თავს: რა მინდა ამ სანატორიუმში? და მივხვდი, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა, წავსულიყავი მოედანზე, სამ ხიდზე, ბაზარში, თეატრის პირდაპირ რომ არის, მეყიდა ვაშლი და ამინდზე მელაპარაკა. ცხადია, ისევ დამაწვებოდა მივიწყებული საზრუნავები - გადასახადები, პრობლემები მეზობლებთან, მარტოობა, შვილების წუწუნი და იმათი ირონიული მზერა, ვისაც ჩემი არ ესმის, მაგრამ მაინც მგონია, რომ სწორედ ეს არის ცხოვრება და ის საფასური, რასაც იხდი იმ წვრილმანი პრობლემების გადასაწყვეტად, გაცილებით მცირეა, ვიდრე ის, რადაც გვიჯდება თავის ისე დაჭერა, თითქოს ეს ყველაფერი საერთოდ არ გვადარდებდეს. დღეს მინდა, სახლში მივიდე, ქმართან, და უბრალოდ მადლობა ვუთხრა. ამაზე რას მეტყვი?

- არ ვიცი. იქნებ მეც მივსულიყავი სახლში და მშობლებისათვის მეც მადლობა მეთქვა?

- ურიგო არ იქნებოდა. სინამდვილეში, მხოლოდ ჩვენ ვართ დამნაშავენი ჩვენსავე უბედურებაში. ალბათ, ბევრს ჰქონია იგივე სიძნელეები, რაც ჩვენ, მაგრამ ისინი სხვანაირად ერეოდნენ ამ სიძნელეებს. ჩვენ კი უბრალო გამოსავალი მოვძებნეთ: სხვა რეალობას შევაფარეთ თავი.

ედუარდმა იცოდა, რომ მარი მართალი იყო.

- ახლა მინდა, ახლებურად ვიცხოვრო. მინდა, შეცდომები ჩავიდინო, რის გაკეთებასაც ყოველთვის ვაპირებდი, მაგრამ ვერასოდეს ვბედავდი. უშიშრად დავუხვდე პანიკას, რომელიც შეიძლება, კიდევ მეწვიოს, მაგრამ ჩემში უკვე მხოლოდ მოწყენილობას გამოიწვევს, რადგან ვიცი, რომ ამით არ მოვკვდები და არც გული წამივა. მინდა, ახალი მეგობრები გავიჩინო და ვასწავლო სიგიჟე, რომ სიბრძნე შეიძინონ. მე მათ ვეტყვი, რომ ეტიკეტის სახელმძღვანელოს მიხედვით კი არ უნდა იცხოვრონ, არამედ უნდა ჩასწვდნენ საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ სურვილებს, თავგადასავლებს და - იცხოვრონ. ვეცდები, კათოლიკეებს ეკლესიასტე მოვუყვანო მაგალითად, მუსულმანებს - ყურანი, იუდეველებს - თორა, ათეისტებს - არისტოტელე. აღარ მინდა, ადვოკატი ვიყო, მაგრამ ჩემი გამოცდილების გამოყენება შემიძლია იმისათვის, რომ იმ ადამიანებზე მოვუთხრო, ვინც ჩვენამდე ჩასწვდა ჩვენი არსებობის აზრს და მათი შემოქმედება ერთადერთი სიტყვით შეიძლება გამოიხატოს: იცოცხლეთ! თუ შენ ცოცხლობ, ღმერთიც ცოცხლობს შენში. მაგრამ თუ უარს იტყვი საკუთარ სიცოცხლეზე და ნაბიჯის წინ გადადგმისა შეგეშინდება - ღმერთი ცას დაუბრუნდება და მხოლოდ ფილოსოფიური მსჯელობის თემად იქცევა. ეს ყველამ

იცის ამქვეყნად, მაგრამ პირველ ნაბიჯს ვერავინ დგამს. ალბათ, იმის შიშით, რომ ასეთ ადამიანს გიჟად შერაცხავენ. ჩვენ კი, ედუარდ, არა მგონია, ამის გვეშინოდეს. ჩვენ ვილეთე გავიარეთ.

- ჩვენ მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობას ვერ შევძლებთ და ვერც ქვეყნის პრეზიდენტად წარვადგენთ თავს. საარჩევნო კომისიები მაშინვე წარსულს გაგვიხსენებენ.

მარის გაეცინა და უთხრა

- დამალა ასეთმა ცხოვრებამ. არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა შიშის დაძლევას, მაგრამ სამშოს, ამ ბაღს და ვილეთეს ველარ ვიტან. საერთოდ, მომბეზრდა თავის მოგიჟიანება.

- შენც წახვალ, მე თუ წავედი?

- შენ არ წახვალ.

- სულ რამდენიმე წუთის წინ კინაღამ წავედი, - უთხრა ედუარდმა.

- არ ვიცი. დამალა ამ ყველაფერმა, მაგრამ ძალიანაც მივეჩვიე.

- როცა აქ მომიყვანეს შიზოფრენიის დიაგნოზით, შენ დღედაღამ მივლიდი და ისე მექცეოდი, როგორც ადამიანს. მე უკვე თითქმის მიჩვეული ვიყავი იმ რეალობას, თვითონ რომ შევექმენი, მაგრამ შენ არ მომეცი ამის უფლება. მაშინ მეზიზღებოდი, ახლა კი მიყვარხარ. ამიტომ მინდა, ვილეთედან წახვიდე, ისევე, როგორც მე გამოვედი ჩემი სამყაროდან.

მარიმ არაფერი უპასუხა, შებრუნდა და წავიდა.

ვილეთეს პატარა ბიბლიოთეკაში თითქმის არავინ შედიოდა და ედუარდმა იქ ვერც ყურანი იპოვა, ვერც არისტოტელე თუ სხვა ფილოსოფოსები, მარიმ რომ ახსენა. მაგრამ ერთ-ერთ წიგნში ლექსს წააწყდა:

გულს ვუთხარ მაშინ:

მეც უგუნურის ბედი მეწევა.

წადი, ხალისით შეჭამე პური

და სიხარულით შესვი სასმისი,

რადგან უფალმა მოიწონა ნამოქმედარი.

მუდამ სპეტაკი გქონდეს სამოსი

და არ მოაკლო ზეთი თმებს შენსას.

დატკბი სიცოცხლით ქალთან ერთად,

რომელიც გიყვარს და მოგცა ღმერთმა,
რადგან ესაა შენი ხვედრი ამ სიცოცხლეში
და იმ შრომაში, რასაც შენ მზის ქვეშ ეწეოდი.
მიჰყევ შენს გულს და თვალის მზერას,
ოღონდ იცოდე, ყველაფრის გამო
სამსჯავროზე წარგადგენს ღმერთი.

- „ყველაფრის გამო სამსჯავროზე წარგადგენს ღმერთი“, - ხმამაღლა გაიმეორა ედუარდმა, - მე კი ვეტყვი: „მოხდა ისე, რომ ქარს გავაყოლე ჩემი მზერა და დამავიწყდა, რომ დრო იყო თესვის. მე არ დავმტკბარვარ ჩემი სიცოცხლით და არც ის ღვინო დამილევია, რომ მთავაზობდნენ. და, აი, ერთხელ მივხვდი, რომ მზად ვიყავი, და დავუბრუნდი ჩემს სამუშაოს. მე მოვუყევი ადამიანებს სამოთხისეულ ჩემს ხილვებზე, როგორც ჩემამდე ეს გააკეთეს სხვა შეშლილებმა - ბოსხმა, ვან გოგმა, ვაგნერმა, ბეთჰოვენმა და აინშტაინმა“. ცხადია, ის მეტყვის, რომ თავშესაფრიდან მხოლოდ იმიტომ წავედი, არ მენახა, როგორ კვდებოდა ეს გოგონა, მაგრამ ვერონიკა უკვე ზეცაში იქნება და იქიდან დამიფარავს.

- რას ამბობთ? - ჰკითხა ბიბლიოთეკარმა.

- ახლავე უნდა წავიდე ვილეტედან, - მთელი ხმით, მტკიცედ უპასუხა ედუარდმა, - საქმე მაქვს.

ბიბლიოთეკარმა ზარი დარეკა და ოთახში ორი სანიტარი შემოვიდა.

- წასვლა მინდა, - ამბობდა აღელვებული ედუარდი, - მე სრულიად ჯანმრთელი ვარ, ექიმ იგორს უნდა დაველაპარაკო.

სანიტრებმა უკვე გააკავეს, ედუარდი გათავისუფლებას ცდილობდა, თუმცა იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო.

- დაწყნარდით, გაღიზიანებული ხართ, - უთხრა ერთ-ერთმა სანიტარმა, - ახლავე მოგხედავთ.

ედუარდი წინააღმდეგობას უწევდა.

- ექიმთან დამალაპარაკეთ! ბევრი რამე მაქვს სათქმელი და დარწმუნებული ვარ, გამიგებს!

სანიტრები მას უკვე პალატისაკენ მიათრევდნენ.

- ხელი გამიშვით! - ყვიროდა ედუარდი, - ექიმს უნდა დაველაპარაკო, სულ ერთი წუთით დამაცადეთ!

გზად ჰოლში უნდა გაევიდეთ. იქ ამ დროს პაციენტები ისხდნენ. ედუარდი სანიტრებს ხელიდან უსხლტებოდა და ამან უფრო დამაბა ვითარება.

- გაუშვით! ეგეც ისეთივე გიჟია, როგორც ჩვენ!

ზოგიერთები იცინოდნენ, სხვები მაგიდებსა და სკამებს აბრაზუნებდნენ.

- აქ ფსიქიატრიულია! არავინ არის ვალდებული, ისე მოიქცეს, როგორც თქვენ მოგეწონებათ!

ერთმა სანიტარმა მეორეს გადაულაპარაკა:

- უნდა შევაშინოთ, თორემ მალე სიტუაციას ვეღარ გავაკონტროლებთ.

- სხვა გზა არა გვაქვს.

- ექიმი გაგვიბრაზდება.

- უარესი არ იქნება, აქაურობა რომ დალეწონ?

ვერონიკა შიშმა გააღვიძა, ცივ ოფლში ცურავდა. იქ, დერეფანში, საშინელი ხმაური იდგა, მას კი ძილი მხოლოდ სიჩუმეში შეეძლო. კარს მიღმა წარმოუდგენელი რაღაც ხდებოდა.

ლასლასით გავიდა ჰოლში და დაინახა, როგორ მიათრევდნენ სანიტრები ედუარდს. კიდევ ორი სანიტარიც მორბოდა შპრიცებით ხელში.

- რას შვრებით! - იყვირა ვერონიკამ.

- ვერონიკა!

შიზოფრენიკმა ხმა ამოიღო! სახელი დაუმახა!

ვერონიკამ სირცხვილისა და გაოცების გრძნობა დაძლია და ედუარდისკენ გაიწია, მაგრამ ერთ-ერთმა სანიტარმა გზა გადაუღობა.

- რა ხდება? მე გიჟი არ ვარ! რა უფლება გაქვთ, ასე რომ მექცევით! - იყვირა ვერონიკამ, მოახერხა, სანიტრისათვის ხელი ეკრა, დანარჩენი პაციენტები კი ყვიროდნენ, იცინოდნენ - სწორედ ეს იყო ის გამაყრუებელი ხმაური, რამაც შეაშინა.

ალბათ, სასწრაფოდ უნდა მოემძებნა ექიმი იგორი და ვილეტედან წასულიყო.

- ვერონიკა!

ედუარდმა ისევ სახელით მიმართა, კიდევ გაიბრძოლა, თავი გაითავისუფლა და, ნაცვლად იმისა, რომ გაქცეულიყო, ადგილზე დარჩა, როგორც წინა ღამეს. თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, ყველა გახევდა, უხმოდ ელოდნენ, რა მოხდებოდა.

ერთი სანიტარი ისევ მიუახლოვდა ედუარდს, მაგრამ მან ისეთი მზერა მიაპყრო, რომელშიც მთელი თავისი ენერგია იყო თავმოყრილი, და უთხრა:

- წამოგყვებით. ვიცი კიდეც, სადაც მიგყავართ. ისიც ვიცი, გინდათ, რომ ყველამ იცოდეს ამის შესახებ. ერთი წუთით დამაცადეთ.

სანიტარი მიხვდა, რომ ჯობდა, მოეცადა. პაციენტი ხომ არსად გარბოდა.

- მე მგონი... მგონი, შენი არსებობა ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის, - უთხრა ედუარდმა ვერონიკას.

- ასე ნუ ლაპარაკობ. შენ სულ სხვა სამყაროში ცხოვრობ და ისიც არ იცი, რომ ვერონიკა მქვია. შენ წუხელ ჩემთან არ ყოფილხარ, გეხვეწები, მითხარი, რომ არ ყოფილხარ!

- არა, ვიყავი.

ვერონიკამ ედუარდს ხელი ჩაჰკიდა. საშინელი ხმაური იდგა - ვიღაც იცინოდა, ვიღაც ტაშს უკრავდა, ვიღაც უწმაწურ სიტყვებს გაჰყვიროდა.

- სად მიჰყავხარ?

- პროცედურაზე.

- მეც წამოვალ.

- არ ღირს. ძალიან შეგეშინდება, თუმცა, შემძლია, დაგარწმუნო, რომ სულაც არ არის მტკივნეული და საერთოდ ვერაფერს გრძნობ. ეს პროცედურა დამამშვიდებელს სჯობია, უფრო სწრაფად გიბრუნებს სად აზროვნებას.

ვერონიკა ვერ ხვდებოდა, რაზე ელაპარაკებოდა ედუარდი. უკვე ნანობდა, ხელი რომ მოჰკიდა, უნდოდა, სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას, თავისი სირცხვილი დაემაღლა და აღარასოდეს ენახა ეს ვაჟი, ვის წინაშეც გააშიშვლა თავისი ყველა დაფარული და სამარცხვინო რამ და რომელიც, მიუხედავად ამისა, მაინც ნაზად უცქეროდა.

და უცებ მარის სიტყვები გაახსენდა. „სულაც არა ვარ ვალდებული, ვინმეს ანგარიში ჩავაბარო ჩემს ქცევაზე, თუნდაც ამ ვაჟს“.

- მეც წამოვალ.

სანიტრები მიხვდნენ, რომ აჯობებდა, ვერონიკაც გაჰყოლოდათ: ძალის გამოყენება აღარ დასჭირდებოდათ.

ედუარდი მორჩილად დაწვა საწოლზე. პალატაში ორი ექთანი ელოდა, რაღაც უცნაური აპარატი და ჭრელი ზონრებით სავსე ჩანთა ეჭირათ ხელში.

ედუარდმა ვერონიკას სთხოვა, მის გვერდით დამჯდარიყო.

- რამდენიმე წუთში მთელი ვილეტე გაიგებს იმას, რაც აქ მოხდება, და ყველა დაწყნარდება. ასეთი მკურნალობა ყველაზე აგრესიულებსაც კი შიშის ზარს სცემს. მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც გამოუცდია ეს პროცედურა, კარგად იციან, რომ არც ისეთი საშინელებაა, როგორც ამბობენ.

სანიტრებს გაოცება გამოეხატათ სახეზე. წესით, ავადმყოფს აუტანელი ტკივილი უნდა ეგრძნო, მაგრამ გიჟებს რას გაუგებ. ის კი მართალი იყო, რომ შიში დაისადგურებდა ვილეტეში და მალე ყველა დაწყნარდებოდა.

- ძალიან იჩქარე დაწოლა, - უთხრა ერთმა სანიტარმა.

ედუარდი წამოდგა და სანიტრებმა რაღაც რეზინისმაგვარი ზეწარი გადააფარეს საწოლს.

- აი, ახლა დაწექი.

ედუარდი მშვიდად დაემორჩილა, თითქოს ყველაფერი, რაც ხდებოდა, ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის.

სანიტრებმა ჭრელი ზონრებით მიაბეს საწოლზე და პირში ალიკაპი ჩაუდეს.

- ეს იმიტომ არის საჭირო, რომ ენა არ მოიკვნითოს, - ვერონიკას აუხსნა სანიტარმა, რომელიც საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა, ტექნიკურ ინფორმაციას რომ გასცემდა და თან აფრთხილებდა.

საწოლთან, სკამზე, უცნაური აპარატი დადგეს - ფეხსაცმლის ყუთზე ცოტა მოზრდილი იყო, რაღაც ტუმბლერები და სამი ინდიკატორი ჰქონდა. აპარატიდან ორი მავთული გამოდიოდა, რომელთა ბოლოებზეც პატარა შავი ბურთულები იყო მიმაგრებული.

ერთმა სანიტარმა ეს ბურთულები საფეთქლებზე დაუმაგრა ედუარდს. მეორე, როგორც ეტყობოდა, აპარატს აწყობდა და ტუმბლერს აქეთ-იქით ატრიალებდა. პირში ალიკაპჩადგმული ედუარდი ვერონიკას თვალს არ აშორებდა, თითქოს ამშვიდებდა და ეუბნებოდა: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო.

- ოცდაათწამიან ას ოც ვოლტზე დავაყენე, - თქვა მან, ვინც ყუთს ეჯახირებოდა, - დავიწყეთ.

მან ღილაკს თითი დააჭირა და ყუთი აზუზუნდა. იმავე წამს ედუარდს თვალები გაეყინა, სხეული ისე დაეკლავნა, საწოლზე მიბმული რომ არ ყოფილიყო, ხერხემალში გადატყდებოდა.

- შეწყვიტეთ! - იყვირა ვერონიკამ.

- უკვე მორჩა, - უპასუხა სანიტარმა და ედუარდს შუბლიდან ბურთულები მოხსნა.

თუმცა, ედუარდს მაინც ეკრუნჩხებოდა სხეული, თავს ისე ძალუმად აქანავებდა, რომ ერთ-ერთმა სანიტარმა ხელი სტაცა და ადგილზე გაუმაგრა. მეორემ აპარატი ჩანთაში ჩადო და მოსაწევად ჩამოჯდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ედუარდი დაწყნარდა და სპაზმები დაეწყო. თანდათან ესეც ჩაცხრა. მეორე სანიტარი წამოდგა და ედუარდს ღიად დარჩენილი თვალები დაეხუჭა - როგორც მიცვალებულს უხუჭავენ ხოლმე.

შემდეგ პირიდან ალიკაპი ამოუღო, ჭრელი ზონრები შეხსნა და იმ ჩანთაში ჩაალაგა, რომელშიც აპარატი იდო.

- ელექტროშოკის მოქმედება ერთ საათს გაგრძელდება, - უთხრა ვერონიკას, რომელიც უკვე აღარ ყვიროდა და გახევებული, წყნარად იჯდა, - ყველაფერი წესრიგშია, მალე გონს მოვა და მშვიდად იქნება.

ელექტროშოკის პირველსავე წუთებში ედუარდს უკვე ნაცნობი შეგრძნება დაეუფლა: მხედველობა გაუქრა, თითქოს ფარდა ჩამოაფარესო, და უკუნმა დაისადგურა. არაფერი სტკიოდა და არც იტანჯებოდა. მას სხვებზე ჰქონდა ნანახი ელექტროშოკის შედეგი და იცოდა, რა საშინელი სანახავი იქნებოდა ვერონიკასთვის.

საოცარ სიმშვიდეს შეიგრძნობდა. თუკი მანამდე გული რაღაც ახალი შეგრძნებით ევსებოდა და თანდათან იმის გააზრებაც დაიწყო, რომ სიყვარული მხოლოდ ის არ იყო, რასაც მშობლებისგან შეიგრძნობდა, ელექტროშოკის შემდეგ, ალბათ, „ნორმალურ მდგომარეობას“ დაუბრუნდებოდა.

ელექტროშოკის ძირითადი ეფექტი ხომ უახლოესი მოგონებების წაშლა იყო. ოცნებები და ფანტაზიები ქრებოდა. პაციენტის ფიქრი წარსულისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, რათა ცხოვრებაში დაბრუნების სურვილს არ აეფორიაქებინა მისი სული.

ელექტროშოკიდან ერთი საათი იყო გასული, როცა ზედკა თითქმის ცარიელ პალატაში შევიდა. იქ, ერთადერთ საწოლზე, ედუარდი იწვა, მის გვერდით კი, სკამზე, ვერონიკა იჯდა.

როცა მიუახლოვდა, მიხვდა, რომ გოგონას ისევ გული არეოდა და თავი უღონოდ ჰქონდა მხარზე გადაგდებული.

ზედკას უნდოდა, ვინმესთვის დაეძახა, მაგრამ ვერონიკამ თვალი გაახლა და უთხრა:

- ნუ გეშინია, ერთი შეტევაც მქონდა, მაგრამ უკვე გამიარა.

ზედკამ ალერსიანად მოჰკიდა ხელი და ტუალეტისკენ წაიყვანა.

- ეს კაცების ტუალეტია, - უთხრა ვერონიკამ.

- რა მნიშვნელობა აქვს, ცარიელია.

ზედკამ დასვრილი სვიტერი გახადა, გარეცხა და რადიატორზე გადაფინა. მერე შალის კოფთა გაიხადა და ვერონიკას ჩააცვა.

- შენ გკონდეს. გამოსამშვიდობებლად მოვედი.

გოგონა საოცრად გაუცხოებული ჩანდა, თითქოს აღარაფერი აინტერესებდა ამქვეყნად.

ზედკამ ისევ პალატაში შეიყვანა და იმავე სკამზე დასვა, სადაც მანამდე იჯდა.

- ედუარდი მალე მოვა გონს. შეიძლება, ცოტა ხნის წინანდელი მოვლენები ვერც გაიხსენოს, მაგრამ მეხსიერება საკმაოდ მალე დაუბრუნდება. ნუ შეგეშინდება, თუ პირველ ხანებში ვერ გიცნობს.

- არ შემეშინდება, - უპასუხა ვერონიკამ, - მეც ვერ ვცნობ საკუთარ თავს.

ზედკამ სკამი მიიწია და გვერდით მიუჯდა. ის უკვე იმდენ ხანს იმყოფებოდა ვილეტეში, რომ ვერონიკას დასახმარებლად კიდევ რამდენიმე წუთით დარჩენა აღარაფერს შეცვლიდა.

- გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? მაშინ იმ მეფეზე მოგიყევი, რომელიც ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სამყარო ზუსტად ისეთია, როგორსაც ჩვენ ვხედავთ. მაგრამ ხელქვეითებმა მეფე გიჟად შერაცხეს, რადგან მის მიერ დამყარებულ წესრიგს ხალხი ვეღარ იგებდა.

მაგრამ ამქვეყნად არის ისეთი ღირებულებებიც, რომლებიც, რა კუთხიდანაც უნდა შეხედო, მაინც უცვლელია და ყველა ადამიანისათვის ერთნაირად ფასეული. მაგალითად, სიყვარული.

ზედკამ შენიშნა, რომ ვერონიკას თვალების გამომეტყველება შეეცვალა, და ლაპარაკის გაგრძელება გადაწყვიტა.

- მე მაინც მგონია, რომ რაკი რამდენიმე წუთის სიცოცხლე დაგრჩა და ამ დროსაც ედუარდის საწოლთან ატარებ, ამაში რაღაც არის სიყვარულისა. მეტსაც გეტყვი: თუკი ამ ხნის მანძილზე გულის შეტევაც დაგემართა და მაინც ხმის ამოუღებლად იჯექი მხოლოდ იმიტომ, რომ მის გვერდით დარჩენილიყავი, მაშასადამე, ამ სიყვარულს სიკვდილი არ უწერია.

- იქნებ ეგ სიყვარული კი არა, სასოწარკვეთაა, - უთხრა ვერონიკამ, - ბედთან შეგუება, რადგან აზრი არა აქვს ამ მზისქვეშეთში საკუთარი ადგილისათვის ბრძოლას. მე არ შემიძლია, მიყვარდეს კაცი, რომელიც სხვა სამყაროში ცხოვრობს.

- ყველა თავის სამყაროში ცხოვრობს, მაგრამ თუ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედავ, დაინახავ, რომ ყველა სამყარო ერთდება, თანავარსკვლავედებს, მზის სისტემებსა და გალაქტიკებს ქმნის.

ვერონიკა ედუარდს მიუახლოვდა, თმაზე მიეფერა. უხაროდა, რომ ამ წუთებში ვიღაცასთან შეეძლო ლაპარაკი.

- მრავალი წლის წინ, როცა ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და დედა ფორტეპიანოს დაკვრას მაიძულებდა, თავს ვიმშვიდებდი, რომ მხოლოდ მაშინ შევძლებდი კარგად დაკვრას, როცა ვინმე შემიყვარებოდა. წუხელ ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიგრძენი, რომ ბგერები თავისით იზადებოდა ჩემი თითებიდან. რაღაც ძალა მეღვრებოდა თითებში და ისეთ მელოდიებსა და აკორდებს ქმნიდა, რომელთა დაკვრასაც ვერასოდეს შევძლებდი. მე პიანინოს მივნივდი, რადგან მანამდე, რამდენიმე წუთით ადრე, ამ კაცს დავნივდი - თუმცა, თმაზედაც კი არ შემხებია. გუშინ საკუთარ თავს აღარ ვგავდი - არც სექსში და არც პიანინოს დაკვრისას. და მაინც, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ სწორედ გუშინ ვიყავი ის, რაც სინამდვილეში ვარ.

მან თავი გაიქნია.

- ალბათ, უაზრობას ვამბობ.

ზედკას თავისი კოსმოსური შეხვედრები გაახსენდა, შეხვედრები იმ არსებებთან, სხვადასხვა განზომილებებში რომ დაცურავდნენ. უნდოდა, ვერონიკასათვის მოეთხრო ამის შესახებ, მაგრამ მის ზედმეტად ალელვებას მოერიდა.

- სანამ ისევ იტყოდე, რომ სიკვდილს აპირებ, მინდა, ერთი რამ იცოდე: არიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლე ეძებენ იმ შეგრძნებებს, რაც შენ გუშინ განიცადე, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომაც, თუკი ამწუთს გიწერია სიკვდილი, ისევ ჯობია, სიყვარულით გულავსებული მოკვდე.

ზედკა წამოდგა.

- დასაკარგი არაფერი გაქვს. როგორც წესი, ადამიანები თავს სიყვარულის უფლებას იმიტომ არ აძლევენ, რომ ბევრი რამ სათუო ხდება - წარსულიც და მომავალიც. აქ კი მხოლოდ აწმყო არსებობს.

ის დაიხარა და ვერონიკას აკოცა.

- ცოტა ხანსაც რომ დავრჩე, წასვლა აღარ მომინდება. მე დეპრესიისგან განმკურნეს, მაგრამ აქ, ვილეტეში, სხვა უამრავი სულიერი დაავადება აღმოვაჩინე. ძალიან მინდა, ეს გამოცდილება თან გავიყოლო და ცხოვრებას საკუთარი თვალით შევხედო.

აქ რომ მოვედი, დეპრესიის ერთი ჩვეულებრივი მსხვერპლი ვიყავი. დღეს კი ერთი იმათგანი ვარ, ვისაც გიჟებს ეძახიან, და ძალიან ვამაყობ ამით. იქ, გარეთ, ზუსტად ისევე მოვიქცევი, როგორც სხვები. საყიდლებზე ვივლი სუპერმარკეტებში, მეგობრებთან ათას წვრილმანზე ვილაპარაკებ, საათობით ვიჯდები ტელევიზორთან, მაგრამ მეცოდინება, რომ სულიერად თავისუფალი ვარ, შემიძლია, ვიოცნებო,

შემიძლია, სხვა სამყაროებს ველაპარაკო, რომელთა არსებობის შესახებაც აქ მოსვლამდე არაფერი ვიცოდი.

ამიერიდან თავს ნებას მივცემ, ვიგიჟო, მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებმა თქვან: ეგ ვილეთეში მკურნალობდა. მაგრამ ჩემი სული გამთლიანებული იქნება, რადგან ჩემმა სიცოცხლემ აზრი შეიძინა. შემიძლია, მზის ჩასვლას ვუყურო და მჯეროდეს, რომ მის მიღმა ღმერთი არსებობს. თუკი ვინმე ზედმეტად მომაბეზრებს თავს, მოურიდებლად შევაგინებ და ისიც არ შემაწუხებს, ვინ რას იფიქრებს, რადგან მაინც ყველას ეცოდინება, რომ მე ვილეთეში ვმკურნალობდი!

ქუჩაში პირდაპირ თვალებში შევხედავ კაცებს და არ შემრცხვება, თუ მათ თვალებში სურვილს შევნიშნავ. მაღაზიაში ძვირად ღირებულსაუკეთესო ღვინოს ვიყიდი, მერე კი ქმართან ერთად დავლევ - მხოლოდ იმიტომ, რომ მასთან ერთად ვიგიჟო, მე ხომ ის ძალიან მიყვარს.

ის გაიცინებს და მეტყვის: ჭკუიდან შეიშალე? მე კი ვუპასუხებ: ცხადია, მე ხომ ვილეთეში ვიწექი. და სიგიჟე თავისუფლებას მომანიჭებს. ახლა ჩემს საყვარელ ქმარს ყოველ წელიწადს მოუწევს შვებულების აღება და ჩემთან ერთად სადმე მთებში გამგზავრება, იქ ხომ ათასი თავგადასავალია ჩასაფრებული: იმიტომ რომ, თუკი გინდა, ნამდვილად იცხოვრო, საფრთხეც უნდა შეიგრძნო.

ხალხი ჩემზე იტყვის: ის არ იკმარა, თვითონ რომ ვილეთეში მკურნალობდა, ახლა ქმარსაც ტვინს ურევსო! ჩემი ქმარიც მიხვდება, რომ ტვინს ვურევ, და ღმერთს მადლობას შესწირავს, რომ ჩვენი ცოლქმრული ცხოვრება ახლა იწყება და ჩვენ გიჟები ვართ, როგორც გიჟია ყველა, ვინც საკუთარ თავში აღმოაჩინა სიყვარული.

ზედკა უცნაური მელოდიის ღიღინით გავიდა პალატიდან. ეს მელოდია ვერონიკას არასოდეს მოესმინა.

* * *

მძიმე დღე იყო, მაგრამ უაზროდ არ ჩაუვლია. ექიმი იგორი ცდილობდა, სიმშვიდე და მეცნიერული გულგრილობა შეენარჩუნებინა, მაგრამ ძლივს იოკებდა აღტაცებას: აჯასპით მოწამვლის გამოკვლევებს საოცარი შედეგი ჰქონდა!

- დღეს ჩვენ შეხვედრა არ გვქონდა დანიშნული, - უთხრა კარზე დაუკაკუნებლად შესულ მარის.

- სულ ცოტა ხნით შეგაწუხებთ. სიმართლე გითხრათ, მე მხოლოდ თქვენი აზრის მოსმენა მაინტერესებს.

„დღეს, რატომღაც, ყველას ჩემი აზრის მოსმენა უნდა“, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა და ვერონიკა და მისი სექსუალური პრობლემები გაახსენდა.

- ედუარდს სულ ახლახან ელექტროშოკი ჩაუტარეს.

- ელექტროკონვულსიური თერაპია. ძალიან გთხოვთ, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვათ, თორემ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბარბაროსები ვიყოთ.

ექიმმა იგორმა გაოცების დაფარვა მოახერხა, მაგრამ სასწრაფოდ უნდა გაერკვია, მისი ნებართვის გარეშე ვინ გაზედა ამ გადაწყვეტილების მიღება.

- თუკი ჩემი აზრი გაინტერესებთ, ისიც შემთხვევითია, გითხრათ, რომ დღევანდელი ელექტროკონვულსიური თერაპია ძველებურს არ ჰგავს.

- მაგრამ მაინც საშიშია.

- ადრე იყო საშიში. მაშინ ზუსტად არ იცოდნენ, რა რაოდენობის ძაბვა უნდა გაეტარებინათ, სად მიეერთებინათ ელექტროდები, ამიტომაც, ზოგი პაციენტი ტვინში სისხლის ჩაქცევით კვდებოდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა: თერაპია მაღალი სიზუსტით გამოიყენება და ის უპირატესობა აქვს, რომ გვერდითი მოვლენების გარეშე იწვევს დროებით ამნეზიას, მაშინ, როცა, ხანგრძლივ მედიკამენტოზურ მკურნალობაზე დამყარებულ მეთოდებს ხშირად ორგანიზმის ქიმიურ მოწამვლამდე მიჰყავს პაციენტი. კეთილშინებულ, რამდენიმე ფსიქიატრიული ჟურნალი წაიკითხეთ და მაშინ შეძლებთ ელექტროკონვულსიისა და სამხრეთამერიკელ მწვანელებელთა ელექტროშოკის ერთმანეთისაგან გარჩევას. საკმარისია. ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ, ახლა კი სამუშაო მაქვს.

მარი არც განძრეულა.

- თქვენი აზრი ამ საკითხზე არ მაინტერესებდა. მინდოდა, გამეგო, შემთხვევით თუ არა აქედან წასვლა.

- თქვენ ხომ, როცა გნებავთ, მაშინ მიდიხართ და უკან ბრუნდებით, რადგან თვითონ გსურთ დაბრუნება და თქვენს მეუღლესაც აქვს ფული, ასეთ ძვირადღირებულ დაწესებულებაში გიმკურნალოთ. იქნებ გინდოდათ, გეკითხათ, განიკურნეთ თუ არა? მაშინ კითხვაზე კითხვით გიპასუხებთ: რისგან უნდა განკურნებულიყავით? თქვენ მეტყვით: შიშისა და პანიკური სინდრომისგანო. მე კი გიპასუხებთ: ცხადია, მარი, თქვენ ხომ უკვე სამი წელია, აღარაფერი გაწუხებთ.

- მაშასადამე, ჯანმრთელი ვარ.

- რა თქმა უნდა, არა, თქვენი დაავადების მიზეზი სხვაგან იმალება. დისერტაციაში, რომელსაც სულ მალე სლოვენის მეცნიერებათა აკადემიაში წარვადგენ (ექიმ იგორს არ უნდოდა, დაწვრილებით მოეთხრო კუპორისით მოწამვლის შესახებ), ვცდილობ, ადამიანთა ის ქცევა შევისწავლო, რომელსაც „ნორმალურს“ უწოდებენ. ასეთი

გამოკვლევები ჩემამდე ბევრს ჩაუტარებია და იმ დასკვნამდე მისულან, რომ ნორმა მხოლოდ შეთანხმების საკითხია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი ადამიანთა დიდი რაოდენობა რაღაცას მიიჩნევს ნორმად, ის ხდება სწორედ ნორმალური. არის ისეთი რამ, რაც საღ აზრს ემყარება: თუნდაც ის, რომ პერანგზე ღილები წინ არის დამაგრებული და არა - უკან, ანდა, თუნდაც, გვერდით - ეს ლოგიკაა, რადგან, სხვაგვარად, ღილების შეკვრა გაგვიჭირდებოდა.

ზოგი რამ კი ნორმალურად იმიტომ ითვლება, რომ ადამიანთა უმეტესობა ამას ნორმად მიიჩნევს. ორ მაგალითს მოგიყვანთ. არასოდეს დაფიქრებულხართ, რატომ არის საბეჭდი მანქანის კლავიატურაზე ასოები ამგვარი წყობით განლაგებული?

- არა.

- მოდით, ამ კლავიატურას QWERTY დავარქვათ, რადგან პირველი რიგის ასოები სწორედ ამ თანმიმდევრობით არის დალაგებული. დიდხანს მიკვირდა და ბოლოს გავიგე, რომ პირველი საბეჭდი მანქანა 1873 წელს ქრისტოფერ სქოულზმა გამოიგონა, კალიგრაფიის გასაუმჯობესებლად. მაგრამ მაშინ ერთი ძირითადი პრობლემა არსებობდა: თუ ადამიანი სწრაფად ბეჭდავდა, კლავიშები ერთმანეთს ეჯახებოდა და იჭედებოდა. მაშინ სქოულზმა ისეთი წყობის კლავიატურა მოიგონა, რაც მემანქანეებს აიძულებდა, ნელა ებეჭდათ.

- ვერ დავიჯერებ.

- დაუჯერებელია, მაგრამ ასეა. და რემინგტონმაც, - მაშინ ის საკერავ მანქანებს უშვებდა, - თავის პირველ საბეჭდ მანქანებში QWERTY-ს კლავიატურა გამოიყენა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წლების მანძილზე სულ უფრო მეტი ადამიანი სწავლობდა ამ კლავიატურაზე ბეჭდვას და ქარხნებიც ამ კლავიატურით უშვებდნენ მანქანებს, სანამ კლავიატურის ეს წყობა ეტალონად არ იქცა. გიმეორებთ: საბეჭდი მანქანებისა და კომპიუტერების კლავიატურის წყობა იმისთვის არის მოგონილი, რომ ნელა ბეჭდოთ და არა სწრაფად, გესმით? მაგრამ აბა, სცადეთ და, ადგილმდებარეობა შეუცვალეთ ასოებს - თქვენს პროდუქციას არავინ იყიდის.

მართლაც, პირველად რომ ნახა მარიმ კლავიატურა, გაუკვირდა, რატომ არ იყო ანბანის მიხედვით დაწყობილი, მაგრამ შემდეგ ამით აღარასოდეს დაინტერესებულა, ფიქრობდა, რომ ეს იყო სწრაფი ბეჭდვისთვის საჭირო საუკეთესო სქემა.

- ოდესმე ფლორენციაში ყოფილხართ? - ჰკითხა ექიმმა იგორმა.

- არა.

- ისე კი, ღირდა. არც ისე შორსაა და მასთან არის დაკავშირებული ჩემი მეორე მაგალითი. ფლორენციის კათედრალურ ტაძარში ერთი ულამაზესი საათია, რომელიც 1443 წელს გააკეთა პაოლო უჩელომ. იმ საათს ერთი უცნაურობა სჭირს:

თუმცა ყველა სხვა საათივით, დროს უჩვენებს, მაგრამ ისრები უკუდმა ტრიალებს - ესე იგი, არა იმ მიმართულებით, რომელსაც ჩვენ ვართ მიჩვეული.

- რასაც მიყვებით, რა კავშირი აქვს ჩემს დაავადებასთან?

- ახლავე გაიგებთ. ამ საათის გაკეთებისას უჩელო ორიგინალობას არ აპირებდა: იმ დროს ასეთი საათებიც იყო და ისეთებიც, ზოგის ისრები იქით ტრიალებდა, ზოგისა - აქეთ. გაუგებარ მიზეზთა გამო, ალბათ, იმიტომ, რომ ჰერცოგს ისეთი საათი ჰქონდა, რომლის ისრებიც ჩვენთვის ჩვეული მიმართულებით ბრუნავს - საბოლოოდ ამგვარციფერბლაციანი საათი იქცა ნორმად, უჩელოს საათი კი არანორმალურ, გიჟურ იდეად დარჩა.

ექიმი იგორი ერთხანს დადუმდა, დარწმუნებული იყო, მარი სწვდებოდა მისი მსჯელობის არსს.

- ასე და ამგვარად, ახლა თქვენს ავადმყოფობას მივუბრუნდეთ. ყოველი ადამიანური არსი უნიკალურია თავისი გამოვლინებებით, ინსტინქტებით, კმაყოფილების მიღების გზებითა და თავგადასავლებისკენ სწრაფვით. მაგრამ საზოგადოება მაინც ახერხებს, თავს მოახვიოს კოლექტიური ქცევის ნორმა და ადამიანებს კითხვაც კი არ უჩნდებათ, რატომ უნდა მოიქცნენ ასე და არა სხვაგვარად. ისინი თანხმობას აცხადებენ ამ ნორმაზე, ზუსტად ისევე, როგორც მემანქანეები თანხმდებიან, რომ QWERTY საუკეთესო კლიავიატურაა. ოდესმე თუ უკითხავს თქვენთვის ვინმეს, რატომ ბრუნავს საათის ისრები ამ მიმართულებით და არა პირიქით?

- არა.

- ვინმეს ასეთი რამ რომ ეკითხა, ალბათ, მაშინვე ეტყოდნენ, ხომ არ გაგიჟდითო?! ხელმეორედ რომ ეკითხა, ადამიანები შეეცდებოდნენ, ჯერ ლოგიკური პასუხი მოეძებნათ, შემდეგ კი საუბრის თემა შეეცვალათ, რადგან ამის ლოგიკური ახსნა არ არსებობს. ერთი სიტყვით, მე ისევ თქვენს საკითხს ვუბრუნდები. თუ შეიძლება, კითხვა გამიმეორეთ.

- მე განვიკუთრნე?

- არა, რადგან თქვენ სხვანაირი ადამიანი ხართ, რომელსაც სურს, ისეთი იყოს, როგორიც ყველაა. აი, ეს არის, ჩემი აზრით, საშიში დაავადება.

- საშიშია, სხვანაირი იყო?

- არა, საშიშია, ცდილობდე, იყო ისეთი, როგორიც ყველაა: ეს იწვევს ნევროზებს, ფსიქოზებს, პარანოიას. საშიშია, იყო ყველასნაირი, რადგან სწორედ ეს ნიშნავს - ძალადობა იხმარო ბუნებაზე და ღვთის კანონების წინააღმდეგ წახვიდე, რომელსაც ერთმანეთის მსგავსი ორი ფოთოლიც კი არ შეუქმნია. მაგრამ თქვენ მიგაჩნიათ, რომ

სიგიჟე სწორედ ისაა, იყო განსხვავებული, და ამიტომ დარჩით ვილეტეში. აქ ყველა ერთმანეთისაგან განსხვავდება და თქვენც ყველასნაირი ხდებით. გესმით ჩემი?

მარიმ თავი დაუქნია.

- ადამიანებს არ ჰყოფნით სითამამე, გამორჩეულები იყვნენ, ამიტომაც საკუთარ თავში კლავენ ბუნებას და ორგანიზმი აჯასპის გამომუშავებას იწყებს, ან ნაღველის, როგორც ხალხში უწოდებენ ამ შხამს.

- აჯასპი რა არის?

ექიმი იგორი მიხვდა, რომ ზედმეტი წამოსცდა, და თემა შეცვალა.

- ეს არ არის მთავარი. მე მინდა, ერთი რამ გითხრათ: ყველაფერი იმას ადასტურებს, რომ თქვენ არ გამოჯანმრთელებულხართ.

მარის სასამართლოში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება ჰქონდა და გადაწყვიტა, ეს გამოცდილება ამწუთს გამოეყენებინა. პირველი ტაქტიკური ილეთი იყო, თავი ისე დაეჭირა, თითქოს ეთანხმებოდა ოპონენტს, და ამით მისი მსჯელობის მიმართულება შეეცვალა.

- გეთანხმებით, მე აქ საკმაოდ კონკრეტული მიზეზის გამო მოვხვდი - პანიკური სინდრომით, მაგრამ სრულიად აბსტრაქტული მიზეზით დავრჩი: იმის გამო, რომ ცხოვრების ახლებური ფორმის მიღება ვერ შევძელი - ჩვეული სამსახურისა და ქმრის გარეშე. გეთანხმებით, მე ნებისყოფა არ მეყო, ახალი ცხოვრება დამეწყო, რომელსაც თავიდან უნდა შევჩვეოდი. მეტსაც გეტყვით: გეთანხმებით, რომ სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, თავისი ელექტრომოკებით - ბოდიშს გიხდით, ელექტროკონვულსიით, როგორც თქვენ უწოდებთ, და ზოგიერთი პაციენტის ისტერიით, დღის განაწესის დაცვა უფრო იოლია, ვიდრე ამქვეყნიური წესრიგისა, რომელიც, როგორც ბრძანებთ, „ყველაფერს აკეთებს, რომ ყველა დაიმორჩილოს“.

მაგრამ ისე მოხდა, რომ წუხელ შემთხვევით მოვისმინე, როგორ უკრავდა ერთი პაციენტი პიანინოს. ბრწყინვალედ უკრავდა, ასეთ დაკვრას იშვიათად თუ მოისმენ. მუსიკას ვუსმენდი და იმათზე ვფიქრობდი, ვინც ამ სონატების, პრელიუდიებისა და ადაჯოების შექმნისას იტანჯებოდა: იმ დაცინვაზე, რისი ატანაც მათ მოუწიათ, როცა იმ სხვებს, მუსიკის სამყაროს რომ მართავდნენ, ამ ნაწარმოებებს წარუდგენდნენ; იმ სირთულეებსა და დამცირებებზე, რასაც განიცდიდნენ ორკესტრის დამფინანსებლების ძეგნაში; ახალ ჰარმონიას ყურმიუჩვეველი მაყურებლის დაცინვაზე.

და იმასაც ვფიქრობდი, რომ ამჟამად საშინელებას ამ კომპოზიტორთა ტანჯვის გამო კი არ შევიგრძნობდი, არამედ იმიტომ, რომ გოგონა მთელი არსებით ეძლეოდა მუსიკას, თუმცა იცოდა მოახლოებული სიკვდილის ამბავი. მეც ხომ ადრე თუ გვიან

მოვკვდები? ჰოდა, სად დავტოვე ჩემი სული, რომელიც ასეთივე ძალითა და ალტაცებით მაკვრევინებს ჩემი ცხოვრების მუსიკას?

ექიმი იგორი ხმის ამოუღებლად უსმენდა. ეტყობოდა, იმან, რაც ჩაიფიქრა, ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ჯერ ამის მტკიცება ნაადრევი იყო.

- სად დავტოვე ჩემი სული? - გაიმეორა მარიმ, - წარსულში. იმ წარსულში, რომელიც ვერაფრით შეერწყა მომავალს, საითკენაც მივისწრაფოდი. მე მაშინ ვულაღატე ჩემს სულს, როცა ჯერ კიდევ მქონდა სახლი, სამუშაო და მყავდა ქმარი... როცა მინდოდა ყოველივე ამის მიტოვება და ვერ გავბედე.

ჩემი სული ჩემს წარსულში ჩარჩა. მაგრამ დღეს ისევ დამიბრუნდა და, აღფრთოვანებული, ისევ შევიგრძნობ მის არსებობას ჩემს სხეულში. არ ვიცი, რა უნდა გავაკეთო. ვიცი მხოლოდ, რომ სამი წელი დამჭირდა, რათა გამეგო: ცხოვრება გზის შეცვლისაკენ მიბიძგებდა, მე კი ვეწინააღმდეგებოდი.

- მე მგონი, გამოჯანმრთელების სიმპტომებს გამჩნევთ, - უთხრა ექიმმა იგორმა.

- მე არ ვიყავი ვალდებული, ვილეთედან წასვლის ნებართვა მეთხოვა. შემეძლო, ჭიშკარში გავსულიყავი და აღარასოდეს დავბრუნებულიყავი. მაგრამ აუცილებლად ჩავთვალე, ვიღაცისთვის მეთქვა ეს ყველაფერი და ახლა თქვენ გეუბნებით. ამ გოგონას მოახლოებულმა სიკვდილმა მაიძულა, ჩემს ცხოვრებას ჩავწვდომოდი.

- მე მგონი, გამოჯანმრთელების სიმპტომები სასწაულებრივ გამოჯანმრთელებად იქცა, - გაიცინა ექიმმა იგორმა, - რის გაკეთებას აპირებთ?

- სალვადორში მინდა გავემგზავრო და ბავშვებზე ვიზრუნო.

- ამსიშორეზე წასვლა არ დაგჭირდებათ: ორას კილომეტრში სარაევოა. იქ ომი დამთავრდა, მაგრამ პრობლემები რჩება.

- მაშინ, სარაევოში გავემგზავრები.

ექიმმა იგორმა მაგიდის უჯრიდან ბლანკი ამოიღო და გულმოდგინედ შეავსო. შემდეგ ადგა და მარი კარამდე მიაცილა.

- ღმერთი იყოს თქვენი შემწე, - უთხრა, კარი მიხურა და მაგიდასთან მიბრუნდა; არ უყვარდა, პაციენტებს რომ ეჩვეოდა; იცოდა, მარი ძალიან დააკლდებოდა ვილეთეს.

* * *

როცა ედუარდმა თვალი გაახილა, გოგონა ისევ მის საწოლთან იჯდა. ადრე, ელექტროშოკის პირველი სეანსების შემდეგ, კარგა ხანს ვეღარ იხსენებდა, რაც

სეანსის წინ ხდებოდა. სწორედ ეს იყო ამ მეთოდის თერაპიული ეფექტი: მეხსიერების ნაწილობრივი დაკარგვა გამოეწვია, ავადმყოფისთვის დაევიწყებინა აღმამფოთებული იმპულსი და დაეწყნარებინა.

მაგრამ ედუარდს ისე ხშირად უკეთებდნენ ელექტროშოკს, რომ მის ზემოქმედებას მიეჩვია. და მან მაშინვე იცნო გოგონა.

- ძილში სამოთხის ხილვებზე ლაპარაკობდი, - უთხრა ვერონიკამ და თმაზე ხელი გადაუსვა.

სამოთხის ხილვებზე? ჰო, სამოთხის ხილვები. ედუარდმა ვერონიკას შეხედა. უნდოდა, ყველაფერი მოეთხრო მისთვის. მაგრამ სწორედ ამ დროს ექთანი შემოვიდა.

- ნემსი უნდა გაგიკეთოთ, - მიმართა ვერონიკას, - ექიმ იგორის განკარგულებაა.

- დღეს უკვე გამიკეთეს და, საერთოდ, წამლების მიღება აღარ მინდა, - უთხრა გოგონამ, - არც აქედან წასვლას ვაპირებ. დღეიდან უარს ვამბობ, რომელიმე ბრძანებას ან წესს დავემორჩილო, უარს ვამბობ ყველაფერზე, რის გაკეთებასაც მაიძულებენ.

ექთანი, ეტყობა, მიჩვეული იყო ასეთ გამოხდომებს.

- მაშინ, სამწუხაროდ, იძულებული გავხდები, დამამშვიდებელი გაგიკეთოთ.

- შენთან სალაპარაკო მაქვს, - უთხრა ედუარდმა, - გააკეთებინე ნემსი.

ვერონიკამ სვიტერის სახელო აიწია და ექთანს ხელი მიუშვირა.

- კარგი გოგო ხარ, - შეაქო ექთანმა, - ახლა კი ორივეს გირჩევთ, ამ ნაღვლიანი პალატიდან გახვიდეთ და ცოტა გაისეირნოთ.

- შენი წუხანდელი საქციელის გრცხვენია, - უთხრა ედუარდმა, როცა ბაღში დასეირნობდნენ.

- არა, უკვე აღარ მრცხვენია. ახლა ვამაყობ კიდეც. სამოთხის ხილვებზე მომიყევი. ერთ-ერთ ასეთ ხილვას ხომ მეც მივუახლოვდი?

- მე უფრო შორს მინდა, თვალი გავაწვდინო, ვილეტეს მიღმა, - უთხრა ედუარდმა.

- ეგ შენი ნებაა.

ედუარდმა უკან მიიხედა - ოღონდ არა პალატებისა და ბაღისაკენ, სადაც უხმოდ დასეირნობდნენ პაციენტები, - მან ტროპიკული წვიმებისა და გავარვარებული მზის ქვეყნის ერთ-ერთ ქუჩას გახედა.

* * *

ედუარდი მიწის სურნელს შეიგრძნობდა. მშრალი სეზონი იდგა, ნესტოები მტვრით ევსებოდა, ის კი ბედნიერი იყო. მიწის შეგრძნება ხომ სიცოცხლის შეგრძნებას უდრიდა. ის იმპორტულ ველოსიპედს მიაქროლებდა, ჩვიდმეტი წლისა იყო, იმ დღეს დაამთავრა სემესტრი ბრაზილიის ამერიკულ კოლეჯში, სადაც სხვა დიპლომატთა შვილებთან ერთად სწავლობდა.

ედუარდი დედაქალაქს ვერ იტანდა, მაგრამ ბრაზილიელები უყვარდა. ორი წლის წინ, როცა ჯერ სიზმრადაც არავის მოელანდებოდა ქვეყნის სისხლიანი გაყოფა, მამა იუგოსლავიის ელჩად დაინიშნა ბრაზილიაში. მაშინ ხელისუფლების სათავეში ჯერ კიდევ მილოშევიჩი იყო. რელიგიური კონფლიქტებისა და განსხვავებულობის მიუხედავად, ხალხი გვერდიგვერდ ცხოვრობდა და ცდილობდა, ერთმანეთთან კავშირი არ გაეწყვიტა.

მამამისი პირველად სწორედ ბრაზილიაში გაგზავნეს. ედუარდი პლაჟებზე, კარნავალებზე, ფეხბურთის მატჩებსა და მუსიკაზე ოცნებობდა, სინამდვილეში კი დედაქალაქში მოუწია ცხოვრება, პლაჟებისაგან მოშორებით, ქალაქში, რომელიც აგებული იყო პოლიტიკოსების, ბიუროკრატების, დიპლომატებისა და მათი შვილებისათვის, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდათ, რა უნდა ეკეთებინათ ამ დიდებულ გარემოში.

ედუარდი ასეთ ცხოვრებას ვერ იტანდა. ცდილობდა, გული სწავლისთვის გადაეყოლებინა; უშედეგოდ ცდილობდა, თანაკლასელებს დაახლოებოდა; ან ავტომობილებით, მოდური ბოტასებითა და ტანსაცმლით დაინტერესებულიყო - მისი თანატოლები ხომ მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდნენ.

დროდადრო სადამოებიც იმართებოდა, სადაც დარბაზის ერთ ბოლოში შეზარხოშებული ბიჭები ისხდნენ, მეორე ბოლოში კი - მოჩვენებითი გულგრილობით გადაპრანჭული გოგონები. მათ წრეში ნარკოტიკები ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და ედუარდმა ყველა არსებულ ნარკოტიკს გაუსინჯა გემო, მაგრამ ვერც ერთს ვერ შეეგუა. ხან ზედმეტად აღიგზნებოდა, ხანაც ზედმეტად ითენთებდა და სწრაფად ეკარგებოდა გარემოსადმი ინტერესი.

ოჯახი შფოთავდა. მას დიპლომატიური კარიერისთვის ამზადებდნენ, მშობლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ედუარდი მამის კვალს გაჰყვებოდა. და თუმცა ამ პროფესიისათვის აუცილებელი ნიჭი გააჩნდა - კარგად სწავლობდა, კარგი გემოვნება ჰქონდა, ენები იცოდა და პოლიტიკაც აინტერესებდა, - დიპლომატიისათვის აუცილებელი ერთი არსებითი თვისება აკლდა - ადამიანებთან ურთიერთობა უჭირდა.

მშობლებს ხშირად დაჰყავდათ მიღებებზე, მის თანაკლასელებსაც ხშირად ეპატიჟებოდნენ ოჯახში, მაგრამ ედუარდი მაინც არავისთან მეგობრობდა. ერთხელ დედამ ჰკითხა კიდეც, შენს მეგობრებს რატომ სადილად ან ვახშმად არ ეპატიჟებო.

- ყველა მოდური ბოტასის სახელი ვიცი და იმ გოგოებისაც, ვისთანაც სასიყვარულო ურთიერთობები შეიძლება გააბა. ესენი სხვა თემებზე მაინც არ ლაპარაკობენ.

და უცებ, ერთი ბრაზილიელი გოგონა გამოჩნდა. ელჩი და მისი მეუღლე დამშვიდდნენ - შვილი საღამოობით სახლიდან გადიოდა და გვიან ბრუნდებოდა. დანამდვილებით არავინ იცოდა, საიდან გაჩნდა ეს გოგო, მაგრამ ერთხელ ედუარდმა ვახშმად მიიწვია. გოგონა კარგად იყო აღზრდილი და მშობლებმაც გაიხარეს: მათი შვილი, ბოლოს და ბოლოს, კომპლექსებისგან განთავისუფლდა. ამას გარდა, ხმამაღლა არ უთქვამთ, მაგრამ ამ გოგონას გამოჩენამ ნერვიულობის ერთი მიზეზიც მოხსნა: ედუარდი ჰომოსექსუალისტი არ იყო!

მარიას (ასე ერქვა გოგონას) მომავალი დედამთილ-მამამთილის სტუმართმოყვარეობით მასპინძლობდნენ, თუმცა კი იცოდნენ, რომ ორი წლის შემდეგ სხვა ქვეყანაში უწევდათ გამგზავრება და, ცხადია, არც აპირებდნენ, მათ შვილს ასეთი ეგზოტიკური ქვეყნიდან მოეყვანა ცოლი. ედუარდის საცოლედ ისინი საფრანგეთის ან გერმანიის წესიერ ოჯახში აღზრდილ ქალიშვილს გეგმავდნენ, რომელიც მომავალი დიპლომატის ღირსეულ ცოლობას შეძლებდა.

ამასობაში, ედუარდი უკვე თავდავიწყებით იყო შეყვარებული და შემფოთებულმა დედამ ქმართან მოლაპარაკება გადაწყვიტა.

- დიპლომატიის ხელოვნება ისაა, რომ მოწინააღმდეგე აიძულო, დაგელოდოს, - უთხრა ქმარმა, - პირველი სიყვარული ყველას ახსოვს, მაგრამ მაინც ქრება.

ედუარდი იმდენად შეიცვალა, ვერც კი ცნობდნენ. შინ უცნაური წიგნები მოჰქონდა, თავის ოთახში პირამიდა დადგა, ყოველ საღამოს მარიასთან ერთად ანთებდა სურნელოვან სანთლებს და კედელზე მიმაგრებულ უცნაურ გამოსახულებებზე კონცენტრაციას ახდენდა. თანდათან სწავლასაც უკლო.

დედამ პორტუგალიური არ იცოდა, მაგრამ წიგნების ყდებს ხედავდა: ჯვრები, კოცონები, ჩამოხრჩობილი ჯადოქრები, ეგზოტიკური სიმბოლოები.

- ჩვენი შვილი საშიშ ლიტერატურას კითხულობს.

- საშიში ის არის, რაც ახლა ბალკანებზე ხდება, - უპასუხა ელჩმა, - დადის ჭორი, რომ სლოვენია დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებს, ეს კი ომამდე მიგვიყვანს.

დედას პოლიტიკა არ ადარდებდა, იმის გაგება უნდოდა, რა ემართებოდა მის შვილს.

- საკმევლის კმევა რაღა აკვიატებაა?

- მარიხუანას სუნი რომ გააქრონ, - უპასუხა ელჩმა, - ჩვენი შვილი განათლებული ბიჭია და არა მგონია, სჯეროდეს, რომ ეს სუნიანი ჯოხები სულელებს იზიდავს.

- ჩემი ბიჭი ნარკოტიკებს მიეჩვია?

- ეგ გაუვლის. ახალგაზრდობაში მეც ვეწეოდი მარიხუანას, მერე კი გული მერეოდა.

ქალმა სიამაყე იგრძნო და დამშვიდდა: მისი ქმარი გამოცდილი ადამიანი იყო, თავის დროზე ნარკოტიკებსაც ეტანებოდა და ნარკომანი არ გამხდარა! ასეთი კაცი ნებისმიერი სიტუაციის გაკონტროლებას მოახერხებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ედუარდმა მშობლებს სთხოვა, ველოსიპედი ეყიდათ.

- შენ „მერსედეს ბენცი“ გემსახურება. ველოსიპედი რაში გჭირდება?

- ბუნებასთან ახლოს მინდა ყოფნა. მე და მარია ათი დღით მივდივართ სამოგზაუროდ, - თქვა მან, - აქვე ახლოს ერთი ადგილია, სადაც განსაკუთრებული კრისტალები გვხვდება. მარიამ მითხრა, კარგ ენერგიას ასხივებენო.

დედ-მამას კომუნისტური რეჟიმის დროს ჰქონდა განათლება მიღებული: კრისტალები მათთვის მხოლოდ ატომების გარკვეული წყობის მინერალები იყო და არავითარ ენერგიას არ გამოასხივებდნენ - არც დადებითს და არც უარყოფითს. მათ ნაცნობებში გაიკითხ-გამოიკითხეს და გაარკვიეს, რომ „კრისტალების ვიბრაციის“ იდეა უკვე მოდაში იყო შემოსული.

მათ შვილს ოფიციალურ მიღებაზე რომ დაეწყო კრისტალებზე ლაპარაკი, ყველა სასაცილოდ აიგდებდა. და ელჩმა პირველად აღიარა, რომ სიტუაცია არასასურველი ხდებოდა. ბრაზილიის დედაქალაქში ჭორებით ცოცხლობდნენ და სულ მალე ყველა გაიგებდა, რომ ედუარდი პრიმიტიული ცრურწმენებისკენ იყო მიდრეკილი. საელჩოში მამის კონკურენტებს ისიც შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ეს ყველაფერი ყმაწვილმა ოჯახში ისწავლა. დიპლომატია კი მხოლოდ ლოდინის ხელოვნება კი არ იყო, არამედ იმის უნარიც, ყველგან, ნებისმიერ ვითარებაში პირობითობა და განაწესი დაგეცვა.

- შვილო, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, - უთხრა მამამ, - უამრავი მეგობარი მყავს იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროში. დარწმუნებული ვარ, შენგან შესანიშნავი დიპლომატი დადგება, ამისათვის კი უნდა ისწავლო სამყაროს ისეთად მიღება, როგორიც არის.

ედუარდი სახლიდან წავიდა და იმ საღამოს შინ აღარ დაბრუნებულა. მშობლები ხან მარიასთან რეკავდნენ, ხან ქალაქის მორგში, საავადმყოფოებში, მაგრამ შვილს მაინც ვერ მიაგნეს. დედა დარწმუნდა, რომ თუმცა მის ქმარს უცხოებთან მშვენივრად შეეძლო მოლაპარაკებები, საკუთარ ოჯახში მაინც ვერ ახერხებდა სიტუაციის გაკონტროლებას.

მეორე დღეს ედუარდი შინ მშიერი და უძინარი დაბრუნდა. საჭმელი შეჭამა, თავის ოთახში შევიდა, სანთლები აანთო, მანტრები წარმოთქვა და მთელი დღე და ღამე ეძინა. გაღვიძებულს, კართან ახალთახალი ველოსიპედი დახვდა.

- თუ ასე გინდა, წადი კრისტალების სამეზნელად, - უთხრა დედამ, - მამას მე ავუხსნი ყველაფერს.

იმ მტვრიან და ცხელ დღეს ედუარდი მზიარულად მიქროდა მარიას სახლისკენ. ქალაქი იმდენად კარგად იყო დაგეგმარებული (არქიტექტორთა აზრით), ან იმდენად ცუდად (ედუარდის აზრით), რომ კუთხეები თითქმის არ ჰქონდა. ედუარდი სწრაფმავალი ტრასის მარჯვენა რიგში იდგა და თეთრი ღრუბლებით გადაპენტილ ცას უცქეროდა, როცა უეცრად ცისკენ აფრინდა და რამდენიმე წამში ასფალტს დაასკდა.

„ავარიაში მოვყევი“.

ასფალტში სახეარგულს ზურგზე გადაბრუნება უნდოდა, მაგრამ მიხვდა, რომ სხეულს ვეღარ იმორჩილებდა. მერე მანქანების მუხრუჭის ღრჭიალი შემოესმა, ვიღაცეები ყვიროდნენ, ისიც იგრძნო, ვიღაც მიუახლოვდა და დახმარება სცადა, მაგრამ სხვებმა გააფრთხილეს: „არ მიეკაროთ! ხელი არავინ ახლოს, თორემ შეიძლება, მთელი სიცოცხლე ინვალიდი დარჩეს!“

დრო საშინლად გაიწელა და ედუარდს შიში შეეპარა გულში. თავისი მშობლებისაგან განსხვავებით, ის მორწმუნე იყო და სწამდა, სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც არსებობდა, თუმცა მაინც უსამართლოდ ეჩვენა, 17 წლის ასაკში, ასფალტზე პირდამხობილი, უცხო მიწაზე მომკვდარიყო.

- როგორ ხარ? - ჩაესმა ვიღაცის ხმა.

ცხადია, ცუდად იყო, ხელის განძრევას და ხმის ამოღებასაც ვერ ახერხებდა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ გრძნობა არ დაუკარგავს, საღად აცნობიერებდა, რა ხდებოდა ირგვლივ და რა მოხდა. ნუთუ გრძნობასაც არ დაკარგავდა? ნუთუ ღმერთი სწორედ მაშინ არ მოუვლენდა მადლს, როცა, მიუხედავად ყველაფრისა, თვითონ ასეთი დამაბულობით ელოდა მისგან შევლას?

- ექიმები უკვე მოდიან, - უთხრა ვიღაც კაცმა და ხელი მოჰკიდა, - არ ვიცი, გესმის თუ არა, მაგრამ ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება.

დიახ, ედუარდს ესმოდა და ძალიან უნდოდა, ამ ადამიანს - ამ კაცს - ლაპარაკი გაეგრძელებინა, დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, თუმცა საკმაოდ დიდი იყო და ცხადია, ხვდებოდა, რომ ასე მაშინ ამშვიდებენ ადამიანს, როცა მდგომარეობა ძალიან სერიოზულია. მას მარია გაახსენდა, გაახსენდა ის რაიონი, სადაც კრისტალების მთები იდგა და დადებით ენერგიას გამოასხივებდნენ, თუმცა

ბრაზილიის დედაქალაქი ყველა იმ უარყოფითის უზარმაზარი ნაკრები იყო, რის წვდომაც შეეძლო თავის მედიტაციებში.

წამები წუთებად იწელებოდა, ადამიანები ისევ მის დამშვიდებას ცდილობდნენ. და უცებ, პირველად შეიგრძნო ტკივილი. ეგონა, თავი ნამსხვრევებად ექცეოდა. მწვავე ტკივილი მთელ სხეულს ედებოდა.

- „სასწრაფო“ მოვიდა, - უთხრა იმ კაცმა, მისი ხელი რომ ეჭირა, - ხვალ ისევ დაჯდები ველოსიპედზე.

„ხვალ“ ედუარდი საავადმყოფოში იწვა, ცალ ხელსა და ორივე ფეხზე თაბაშირი ედო და უახლოეს ოცდაათ დღეს ვერც მოიხსნიდა. იძულებული იყო, დედის უსასრულო სლუკუნი და მამის ნერვიული სატელეფონო ზარები აეტანა. ექიმები ყოველ ხუთ წუთში ერთხელ იმეორებდნენ, რომ ყველაზე მძიმე ოცდაოთხი საათი უკვე გავიდა და თავის ქალისა და ტვინის ტრავმა არ აღნიშნულა.

ოჯახი ამერიკის საელჩოს დაუკავშირდა, რადგან ისინი ადგილობრივი სახელმწიფო საავადმყოფოების დიაგნოზებს არ ენდობოდნენ, საკუთარი სამედიცინო სამსახური ჰქონდათ და ამერიკელი დიპლომატების სამკურნალოდ ღირსეულ და მცოდნე ექიმებს იწვევდნენ. კეთილმეზობლობის პოლიტიკის წყალობით, ისინი არც სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ეუბნებოდნენ უარს, მათი სამედიცინო სამსახურით ესარგებლათ.

ამერიკელებმა უახლესი აპარატურა მოიტანეს, ბევრად მეტი ანალიზი და გამოკვლევა ჩაუტარეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სახელმწიფო საავადმყოფოს ექიმებს სწორი დიაგნოზი ჰქონდათ დასმული და მკურნალობაც სწორად ჰქონდათ დანიშნული.

სახელმწიფო საავადმყოფოების ექიმები, შეიძლება, კარგებიც იყვნენ, მაგრამ ბრაზილიის ტელევიზიის პროგრამები ისეთივე საშინელება იყო, როგორიც მთელს მსოფლიოში და ედუარდი ლამის ჭკუიდან შეშლილიყო მოწყენილობისაგან. მარია საავადმყოფოში სულ უფრო იშვიათად მოდიოდა, ეტყობა, სხვა მეგობრები გაიჩინა და კრისტალების საძებნელად მათთან ერთად დადიოდა მთებში.

მშობლები კი ყოველდღე აკითხავდნენ, მაგრამ სახლიდან პორტუგალიური წიგნების მოტანაზე უარს ეუბნებოდნენ და ამას იმით ხსნიდნენ, რომ სულ მალე სხვა ქვეყანაში მოუწევდათ გადასახლება და რაღა აზრი ჰქონდა, ის ენა შეესწავლა, თავის სიცოცხლეში რომ აღარ გამოადგებოდა. ედუარდს ისლა რჩებოდა, სხვა ავადმყოფებთან ესაუბრა, სანიტრებთან ფეხბურთის ახალ ამბებზე ეკამათა და დროდადრო ხელში ჩავარდნილი ჟურნალები გადაეკითხა.

ერთხელ კი სანიტარმა იმ დღეს ნაყიდი წიგნი მოუტანა, რომელიც წასაკითხად „ძალზე სქლად“ მოეჩვენა. სწორედ ამ დღეს იცვალა გეზი ედუარდის ცხოვრებამ და

იმ გზას დაადგა, რამაც შემდეგ ვილეთემდე მიიყვანა: რეალობის გრძნობა დააკარგვინა და სრულიად დააშორა ყოველივეს, რასაც მომავალ წლებში მისი თანატოლები გააკეთებდნენ.

წიგნი მისტიკოსებსა და მეოცნებეებზე იყო, რომელთაც შეძრეს სამყარო. ეს ის ადამიანები იყვნენ, ვისაც თავისებური ხედვა ჰქონდათ მიწიერ სამოთხეზე და სიცოცხლეს არ იშურებდნენ, თავიანთი ცოდნის სხვებისთვის გასაზიარებლად. მათ შორის იყო იესო ქრისტე, მაგრამ იყო დარვინიც, მაიმუნისგან ადამიანის წარმოშობის თეორიით; ფროიდი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სიზმრებს დიდი მნიშვნელობა აქვს; კოლუმბი, დედოფლის ძვირფასეულობა რომ დააგირავა ახალი კონტინენტის აღმოსაჩენად; მარქსი, თავისი იდეით, რომ ყველა იმსახურებს თანაბარ შესაძლებლობებს.

იყვნენ ისეთი წმინდანებიც, როგორიც იყო იგნატუს ლოაიოლა - ბასკი, რომელსაც ქალი არ გაუშვია, მასთან რომ არ დაწოლილიყო, უამრავი მტერი გაენადგურებინა და ერთხელაც, როცა პამპლონაში მიღებული ჭრილობების მოსაშუშებლად ლოგინში იწვა, ანაზღად ჩასწვდა სამყაროს არსს; ანდა ავილიელი ტერეზა, რომელიც მთელი სიცოცხლე ღმერთთან მისასვლელ გზას ეძებდა, ერთხელ კი, დერეფანში გავლისას, სრულიად შემთხვევით შეავლო თვალი სურათს და ღმერთი იპოვა; ანტონიუსი - საკუთარი ცხოვრება რომ მოხეზრდა, უდაბნოში განმარტოვდა, დემონებით გარემოცულმა იცხოვრა იქ ათ წელიწადს და ათას საცდურს გაუძლო; ფრანცისკ ასიზელი - მისნაირი ყმაწვილი, - ჩიტებთან ლაპარაკი რომ გადაწყვიტა და ყველაფერი მიატოვა, რაც კი მშობლებმა დაუგეგმეს.

იმავე საღამოს, სხვა რომ აღარაფერი ჰქონდა გულის გადასაყოლებელი, კითხვა დაიწყო. შუაღამისას ექთანმა პალატის კარი შემოუღო და ჰკითხა, დახმარება ხომ არ სჭირდებოდა, რადგან მხოლოდ მის პალატაში ენთო შუქი. ედუარდმა ხელი გაიქნია უარის ნიშნად და კითხვა განაგრძო.

ამ ქალებმა და კაცებმა მსოფლიო შეძრეს, თუმცა ისეთივე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, როგორებიც თვითონ, მამამისი და მისი შეყვარებული, რომელსაც სადაცაა დაკარგავდა. მათაც იგივე ეჭვები უღრღნიდათ სულს და იგივე საზრუნავი ჰქონდათ, რაც ყველა ადამიანს ამქვეყნად. ეს იყო ხალხი, რომელთაც დიდად არ ადარდებდათ რელიგია, ღმერთი, ტვინის შესაძლებლობების საზღვრების გაზრდა, ცნობიერების სხვა დონის მიღწევა, ვიდრე ერთხელ... მოკლედ, ვიდრე ერთხელ ყველაფრის შეცვლა არ გადაწყვიტეს. წიგნი იმით უფრო საინტერესო ეჩვენა, რომ მასში იმ ჯადოსნურ მომენტებზე იყო ლაპარაკი, რომლებიც ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება და გაიძულებს, სამოთხის საკუთარი ხილვის საძებნელად გასწიო.

ამ ადამიანებმა საკუთარი ცხოვრება შეცვალეს და მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდნენ - მათხოვრობდნენ ან მეფეებს ემსახურებოდნენ, ყველა გაბატონებულ კანონს არღვევდნენ, რისხვას იტყებდნენ თავზე, დიპლომატიას ან ძალას იყენებდნენ,

მაგრამ უკან არასოდეს იხევდნენ, ყოველთვის ჰყოფნიდათ უნარი, ნებისმიერი საზღვარი და ჯებირი გადაელახათ.

მეორე დღეს ედუარდმა თავისი ოქროს საათი მისცა სანიტარს, სთხოვა, გაეყიდა და ყველა წიგნი ეყიდა, რაც კი ამ თემაზე იქნებოდა დაწერილი. მაგრამ მეტი ველარაფერი იპოვეს. ისიც სცადა, ამ ადამიანთა ბიოგრაფიები წაეკითხა, მაგრამ ამ წიგნებში მათ ჩვეულებრივ ადამიანებად კი არ მოიხსენიებდნენ, არამედ როგორც რჩეულთ, რომელთაც, სხვა ადამიანთა მსგავსად, საკუთარი იდეის დასამკვიდრებლად ბრძოლა უწევდათ.

წაკითხულმა ედუარდზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სერიოზულად დაფიქრდა, წმინდანი გამხდარიყო, ეს უბედური შემთხვევა გამოეყენებინა და თავისი ცხოვრების გზა შეეცვალა. მაგრამ მას ფეხები ჰქონდა გადამტვრეული, საავადმყოფოში ხილვები არ ჰქონდა, არც რაიმე სურათისთვის მოუკრავს თვალი, რათა ღმერთი ეპოვა; არც მეგობრები ჰყავდა, რომ მათთან ერთად ეკლესია აეშენებინა ბრაზილიის მთებში; უდაბნოც ძალიან შორს იყო - იქ, სადაც ათასი პოლიტიკური პრობლემა ტრიალებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რაღაცის გაკეთება მაინც შეეძლო; შეეძლო, ფერწერა ესწავლა და მსოფლიოსათვის მოეთხრო ამ ადამიანთა ხილვებზე.

როცა თაბაშირი მოხსნეს და საელჩოში დაბრუნდა, დანარჩენი დიპლომატები ალერსით შეხვდნენ ელჩის შვილს, ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ. მან დედას სთხოვა, ფერწერის კურსებზე ჩაეწერა.

დედამ შეახსენა, რომ კოლეჯში ისედაც ბევრი დრო ჰქონდა გაცდენილი და პროგრამას უნდა დასწოდა, მაგრამ ედუარდისაგან მტკიცე უარი მიიღო: ის სულაც აღარ აპირებდა, გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება ესწავლა, მხატვარი უნდა გამხდარიყო.

ხელსაყრელ მომენტში კი მიზეზიც უთხრა:

- მინდა, სამოთხის ხილვები დავხატო.

დედას არაფერი უთქვამს, მხოლოდ იმას შეჰპირდა, რომ ახლობლებში გაიკითხავდა, სად იყო ქალაქში ფერწერის საუკეთესო კურსები. სალამოს სამსახურიდან დაბრუნებულ ელჩს ცოლი ატირებული დახვდა.

- ჩვენი შვილი ჭკუიდან შეიშალა, - ცრემლებს აფრქვევდა ცოლი, - ავარიის შემდეგ სულ შეიცვალა, ეტყობა, ტვინი მაინც დაუზიანდა.

- შეუძლებელია! - უპასუხა აღშფოთებულმა ელჩმა, - ამერიკელმა ექიმებმა გამოიკვლიეს.

ცოლმა უამბო შვილთან საუბრის შესახებ.

- მოზარდებისთვის ეგ ჩვეულებრივი სისულელეებია. მოიცადე, თვითონ დარწმუნდები, რომ ყველაფერი მოგვარდება.

ამჯერად ლოდინს შედეგი არ გამოუღია, რადგან ედუარდს ახალი ცხოვრების დაწყება ეჩქარებოდა. ორი დღის შემდეგ, რაკი დედის მეგობრებისაგან პასუხს ვერ ეღირსა, თვითონ ჩაეწერა ფერწერის კურსებზე. მან ფერისა და პერსპექტივის შესწავლა დაიწყო და ის ადამიანებიც გაიცნო, რომლებიც მოდურ ბოტასებსა და ავტომობილის მარკებზე არასოდეს ლაპარაკობდნენ.

- ედუარდი მხატვრებთან მეგობრობს! - ელჩს შესჩივლა ცრემლმორეულმა ცოლმა.

- თავი გაანებე, - უპასუხა ელჩმა, - მალე ესეც მობეზრდება, როგორც ის გოგო, კრისტალები, პირამიდები და მარიხუანა მობეზრდა.

დრო გადიოდა, ედუარდის ოთახი თანდათან იმპროვიზებულ სტუდიად იქცა, სადაც კედლებზე ისეთი სურათები ეკიდა, მშობლები რომ ვერაფერს უგებდნენ; იქ იყო წრეები, ფერების ეგზოტიკური შეხამებები, მლოცველები და პრიმიტიული სიმბოლოები.

ედუარდს, ვისაც ცოტა ხნის წინ ასე უყვარდა მარტოობა და ბრაზილიაში ცხოვრების ორი წლის მანძილზე შინ ერთხელაც არ მიუყვანია მეგობრები, ახლა უამრავი სტუმარი დაუდიოდა. ყველანი ცუდად იყვნენ ჩაცმულები, თმაგაჩეჩილები საშინელ მუსიკას უსმენდნენ, უზომოდ სვამდნენ და ეწეოდნენ და საერთოდ არ ადარდებდათ წესიერი ქცევის ნორმები. ერთხელ ამერიკული კოლეჯის დირექტორმა ელჩის მეუღლე სასაუბროდ დაიბარა.

- ძალიან მწყინს, მაგრამ მგონია, რომ თქვენი შვილი ნარკოტიკებს მიეძალა, - უთხრა დირექტორმა, - ძალიან ცუდი ნიშნები აქვს და თუ ასე გაგრძელდა, იძულებული გავხდებით, კოლეჯიდან გავრიცხოთ.

ცოლი ქმრის კაბინეტში შეიჭრა და დირექტორის ნათქვამი გადასცა.

- გაუთავებლად მიმტკიცებ, რომ ყველაფერი მოწესრიგდება! - ისტერიკულად ყვიროდა დედა, - შენი შვილი ნარკოტიკებს ეწევა, ჭკუიდან იშლება, რაღაც სერიოზული პრობლემები აქვს ტვინში, შენ კი მხოლოდ კოქტეილები და თათბირები გადარდებს!

- ჩუმად ილაპარაკე, - სთხოვა ელჩმა.

- ჩუმად აღარასოდეს ვილაპარაკებ, არასოდეს, სანამ შვილზე ზრუნვას არ დაიწყებ! ბავშვს დახმარება სჭირდება, გესმის? სამედიცინო დახმარება! რამე გააკეთე!

ელჩი შეწუხდა, ცოლის მიერ მოწყობილ სცენას მისი ავტორიტეტის შელახვა შეეძლო. ცხადია, თვითონაც ადარდებდა, რომ ედუარდის მხატვრობით გატაცება უფრო

ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა, ამიტომ, მუდამ წესრიგის მოყვარულმა, პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგია შეიმუშავა.

უპირველესად, თავის კოლეგას - ამერიკის ელჩს - დაურეკა და ხელახალი გამოკვლევებისათვის აპარატურის გამოყენების ნებართვა სთხოვა. ელჩმა თანხმობა განუცხადა.

კვლავ მოძებნა რეკომენდებული ექიმები, შვილის მდგომარეობა აუხსნა და ჩატარებული გამოკვლევების შედეგების გადამოწმება სთხოვა. ექიმებმა, იმის შიშით, რომ მათ წინააღმდეგ შეიძლება დაიწყო, საქმე აღძრულიყო, ხელახლა გულმოდგინედ გამოიკვლიეს ყველაფერი და ისევ დაასკვნეს, რომ ედუარდს ავარიის შედეგად ტვინის დაზიანება არ ჰქონდა მიღებული. ამიტომ, წასვლამდე, ელჩს სთხოვეს, ხელი მოეწერა საბუთზე, რომ ამერიკის საელჩოს პასუხისმგებლობას არ დააკისრებდა.

შემდეგი საფეხური ის საავადმყოფო იყო, სადაც ედუარდი მკურნალობდა. ელჩი დირექტორს ელაპარაკა, აუხსნა შვილის მდგომარეობა და სთხოვა, ჩვეულებრივი გამოკვლევების სახით სისხლის ანალიზი გაეკეთებინა და ორგანიზმში ნარკოტიკის შემცველობა შეემოწმებინა.

ასეც მოიქცნენ. სისხლში ნარკოტიკის შემცველობა არ აღმოჩნდა.

დარჩა სტრატეგიის მესამე და ბოლო ეტაპი: ედუარდს უნდა დალაპარაკებოდა და მისგან შეეტყო, რა ხდებოდა. ელჩს სრული ინფორმაცია სჭირდებოდა, რომ გადაწყვეტილების მიღება შესძლებოდა.

მამა და შვილი სასტუმრო ოთახში ისხდნენ.

- დედა ძალიან ღელავს, - უთხრა ელჩმა, - ცუდი ნიშნები გაქვს, კოლეჯიდან შენს გარიცხვას აპირებენ.

- სამაგიეროდ, ფერწერის კურსებზე მაქვს კარგი ნიშნები.

- ხელოვნებით დაინტერესება სანაქებო საქმეა, მაგრამ ამისთვის წინ მთელი ცხოვრება გაქვს. ახლა კი სკოლა უნდა დაამთავრო, რომ მომავალში შენს დიპლომატიურ კარიერაზე ზრუნვა შევძლოთ.

პასუხის გაცემამდე ედუარდი დიდხანს დუმდა. მას კვლავ ის უბედური შემთხვევა გაახსენდა, გაახსენდა მისტიკოსებზე დაწერილი წიგნი, რომელმაც მხოლოდ ბიძგი მისცა საკუთარი ჭეშმარიტი მოწოდების აღმოსაჩენად; გაახსენდა მარია, რომლის შესახებაც აღარაფერი სმენოდა. ის დიდხანს ყოყმანობდა და ბოლოს უთხრა:

- არ მინდა დიპლომატობა. მხატვარი უნდა გამოვიდე.

მამა თითქმის მზად იყო ამგვარი პასუხისათვის და ისიც იცოდა, როგორ შეჰკამათებოდა.

- კი ბატონო, იყავი მხატვარი, მაგრამ ჯერ სწავლა დაამთავრე. მერე შეგეძლება, ბელგრადში, ზაგრებში, ლუბლიანასა და სარაევოში მოაწყო გამოფენები. ბევრ რამეში შემძლია, დაგეხმარო, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა განათლებას მიიღებ.

- შენ თუ დაგიჯერებ, მაშინ იოლი გზის არჩევა მომიწევს. უნდა ჩავაბარო რაღაც ინსტიტუტში, ვისწავლო რაღაც ისეთი, რაც არ მაინტერესებს, მაგრამ ფულს მომიტანს. ფერწერა თანდათან უკანა პლანზე გადაიწევს და ბოლოს დავივიწყებ კიდევ ჩემს მოწოდებას. მე ფერწერით უნდა ვისწავლო ფულის შოვნა.

ელჩს ბრაზი მოერია.

- შენ ყველაფერი გაქვს: ოჯახი, რომელსაც უყვარხარ, სახლი, ფული, საზოგადოებრივი მდგომარეობა. ალბათ, ხვდები, რომ ჩვენი ქვეყანა ახლა მძიმე მდგომარეობაშია, ჭორები დადის, რომ სამოქალაქო ომი იწყება. იქნებ ხვალ აქ აღარც კი ვიყო და ვეღარც შენი დახმარება შევძლო!

- მე თვითონ შევძლებ საკუთარი თავის დახმარებას. ძალიან გთხოვ, მამა, დამიჯერე. ერთხელ მე დავხატავ ტილოების ციკლს, რომელსაც „სამოთხისეული ხილვები“ ერქმევა. მასში აისახება კაცობრიობის მთელი ისტორია; ის, რასაც ადამიანები აქამდე მხოლოდ გულით ატარებდნენ.

ელჩმა შვილს მიზნისკენ სწრაფვა შეუქო, საუბარი ღიმილით დაასრულა და გადაწყვიტა, ერთი თვეც მოეცადა. ბოლოს და ბოლოს, დიპლომატია ხომ იმის უნარიცაა, გადაწყვეტილების მიღება გადაავადო, სანამ პრობლემა თავისით არ გაქრება.

ერთი თვეც გავიდა. ედუარდი ისევ ხატავდა, ისევ მთელ დროს უცნაურ მეგობრებსა და მუსიკას უთმობდა, რომელიც, ალბათ, რაღაცნაირად არღვევდა მის ფსიქიკურ წონასწორობას. ამასობაში ამერიკული კოლეჯიდან გარიცხეს პედაგოგთან წმინდანთა ცხოვრებაზე შეკამათების გამო.

ელჩმა კიდევ ერთხელ სცადა შვილთან დალაპარაკება, მაგრამ ამჯერად აუცილებელი იყო გადაწყვეტილების მიღება.

- შენ ახლა ისეთ ასაკში ხარ, როცა პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდო საკუთარ ცხოვრებას. მე და დედაშენი შეძლებისდაგვარად ვითმენდით, მაგრამ, ალბათ, დადგა დრო, თავი გაანებო ამ სულელურ იდეას და პროფესიის შესაძენად მოემზადო.

- მე იმიტომ ვსწავლობ, რომ მხატვრის პროფესია შევიძინო.

- ვერც კი წარმოგიდგენია, როგორ გვიყვარხარ და რა ძალას ვხარჯავთ, რომ კარგი განათლება მოგცეთ. აქამდე ასე არასოდეს მოქცეულხარ, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ეს ყველაფერი მხოლოდ უბედური შემთხვევის შედეგია.

- გაიგე, მამა, რომ მეც ამქვეყნად ყველაზე მეტად თქვენ მიყვარხართ.

შეცბუნებულმა ელჩმა ჩაახველა, სინაზის ასეთ უშუალო გამოვლინებას არ იყო მიჩვეული.

- თუ ასეა, მაშინ ამ სიყვარულის გამო ისე მოიქეცი, როგორც დედა გთხოვს. ცოტა ხნით თავი გაანებე ამ ფერწერას, ჩვენი წრის მეგობრები მოძებნე და სწავლას დაუბრუნდი.

- შენ თუ გიყვარვარ, მამა, მაშინ ეს არ უნდა მთხოვო. შენ თვითონ არ მასწავლიდი, რომ ადამიანმა მიზნის მისაღწევად უნდა იბრძოლოს? არა მგონია, გინდოდეს, რომ უნებისყოფო ადამიანი ვიყო.

- მე გთხოვე, სიყვარულის გამო მოიქეცე ასე. ადრე არასოდეს მითქვამს ასეთი რამ, მაგრამ ახლა გთხოვ, შვილო, ჩვენდამი შენი სიყვარულისა და შენდამი ჩვენი სიყვარულის გამო სახლში დაბრუნდი, ფიზიკურად კი არა, რეალურად. შენ რეალობას გაურბიხარ და თავს იტყუებ.

შენი გაჩენის დღიდან ყველა იმედი შენზე დავამყარეთ. შენ ყველაფერი ხარ ჩვენთვის - ჩვენი მომავალიც და ჩვენი წარსულიც. შენი პაპები სახელმწიფო მოღვაწეები იყვნენ, მეც ლომივით ვიბრძოდი, რომ დიპლომატიური კარიერისთვის მიმეღწია და წინ წავსულიყავი. და ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებდი, რომ შენთვის გამეხსნა გზა და შენთვის გამეიოლებინა ცხოვრება. მე დღემდე ვინახავ იმ კალმისტარს, რომლითაც ელჩად დანიშვნის შემდეგ პირველ დოკუმენტს მოვაწერე ხელი და შენ გადმოგცემ, ელჩი რომ გახდები.

იმედს ნუ გაგვიცრუებ, შვილო. ჩვენ ვბერდებით, გვინდა, მშვიდად დავიხოცოთ, ვიცოდეთ, რომ სწორ გზას ადგახარ.

თუ მართლა გიყვარს შენი მშობლები, ისე მოიქეცი, როგორც გთხოვთ, თუ არადა, შენი ნებაა, ძალას ვერავინ დაგატანს.

ედუარდი დიდხანს გასცქეროდა ბრაზილიის ცას და ღრუბლებს თვალს აყოლებდა - ლამაზი ღრუბლები იყო, მაგრამ წვიმით ვერ დანამავდა ცენტრალური ბრაზილიის ამ გვალვით გადამხმარ ზეგანს. თვითონაც ხომ ამ ღრუბლებივით იყო გამოფიტული.

თუკი თავისი არჩევანის ერთგული დარჩებოდა, დედას ლოგინად ჩავარდნა ეწერა, მამაც გულს აიყრიდა კარიერაზე და ორივე თავს დაიდანაშაულებდა, რომ საყვარელი შვილი ვერ აღზარდეს. მაგრამ თუ მხატვრობაზე იტყოდა უარს, სამოთხისეული ხილვები მზის სინათლეს ვედარასოდეს იხილავდა და ამქვეყნად ვედარაფერი მიანიჭებდა სიხარულსა და აღტკინებას.

მან თავის ნახატებს გახედა, გაახსენდა, რა სიყვარულსა და სინაზეს ატანდა ფუნჯის ყოველ მოსმას... და უნიჭობად ერჩენა ყველაფერი. ცხადია, თავს იტყუებდა. სურდა, ის გამხდარიყო, რისთვისაც არ ყოფილა მოწოდებული და ამის საფასურად მშობლების იმედგაცრუებას ითხოვდა.

სამოთხისეული ხილვები მხოლოდ რჩეულთა ხვედრად რჩებოდა; იმ რჩეულების, თავისი რწმენისათვის თავდადებულ გმირებად და ტანჯულებად რომ მოიხსენიებდნენ წიგნებში და რომელთაც ბავშვობიდანვე იცოდნენ, რომ სამყაროს სჭირდებოდა მათი იდეები. მაგრამ წიგნებში ასახული მხოლოდ რომანისტების მონაგონი იყო.

ვახშმობისას მშობლებს განუცხადა, რომ მართლა ცდებოდა: მხატვრობა ყმაწვილური ოცნება იყო მხოლოდ და ინტერესი მხატვრობისადმი თანდათან უნელდებოდა. მშობლების ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. დედამ სიხარულისგან ტირილიც კი დაიწყო და შვილს მოეხვია.

ლამით ელჩმა მალულად იზეიმა გამარჯვება, ღვინის ბოთლი გახსნა და მარტომ დალია. საძინებელში შესულმა კი დაინახა, რომ მის ცოლს - უკანასკნელი თვეების მანძილზე პირველად, - მშვიდად ეძინა.

მეორე დღეს ედუარდის ოთახი თავდაყირა დახვდათ, დაჭრილი ნახატები იატაკზე ეყარა, თვითონ კი კუთხეში იჯდა და ცას გასცქეროდა. დედა მოეხვია, უთხრა, რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ ედუარდი არ შერხეულა.

სიყვარულის გაგონებაც აღარ უნდოდა - ყელამდე იყო სავსე. გუშინ საღამოს ჯერ კიდევ ეგონა, რომ შეეძლო ყველაფერი მიეტოვებინა და მამის რჩევას დაჰყოლოდა, მაგრამ თავის ძიებებში უკვე იმდენად შორს იყო წასული, იმდენად ჰქონდა გადაღახული ის უფსკრული, რომელიც ადამიანს თავისი ოცნებისაგან აშორებს, რომ უკან დასაბრუნებელი გზა აღარ დარჩენოდა.

მას უკვე აღარც წინ შეეძლო წასვლა და აღარც უკან დაბრუნება. უფრო იოლი იქნებოდა, სცენიდან ჩამოსულიყო.

ედუარდი კიდევ ხუთ თვეს დარჩა ბრაზილიაში, მას ექიმები უვლიდნენ, მათვე დაუდგინეს დიაგნოზიც - შიზოფრენიის იშვიათი ფორმა, რომელიც ავარიის შედეგებით იყო გამოწვეული. მალე იუგოსლავიაში სამოქალაქო ომი დაიწყო, ელჩი სასწრაფოდ უკან გაიწვიეს, პრობლემები ძალიან სწრაფად გროვდებოდა და ოჯახმა ვეღარ შეძლო მასზე ზრუნვა. ერთადერთი გზაღა რჩებოდა - ცოტა ხნის წინ გახსნილ ვილეტეს სანატორიუმში მოათავსეს.

* * *

ედუარდმა თხრობა რომ დაამთავრა, უკვე გვიანი ღამე იყო და ორივე სიცივით კანკალებდა.

- შენობაში შევიდეთ, - უთხრა ედუარდმა, - ვახშამიც გაშლილია.

- ბავშვობაში, ბებიასთან სტუმრობისას, ხშირად ვუყურებდი ხოლმე კედელზე დაკიდებულ ერთ სურათს. ქალის სურათი იყო - მადონასი, როგორც კათოლიკეები უწოდებენ. ის სამყაროს თავზე ლივლივებდა და დედამიწისკენ გამოწვდილი ხელებიდან სხივებს აფრქვევდა.

მაგრამ ამ სურათში ყველაზე მეტად ის მხიბლავდა, რომ მადონა ფეხებით გველზე იდგა. ერთხელ ვკითხე კიდეც ბებიას: „ნუთუ გველისა არ ეშინია? ხომ შეიძლება, ფეხზე უკბინოს და მოკვდეს-მეთქი!“

ბებია კი მიპასუხა:

„ბიბლია გვასწავლის, რომ გველმა მოიტანა კეთილი და ბოროტი ამქვეყნად. ღვთისმშობელი კი თავისი სიყვარულის ძალით მართავს კეთილს და სძლევს ბოროტს“.

- ამას ჩემს ამბავთან რა კავშირი აქვს?

- მე მხოლოდ ერთი კვირაა, გიცნობ, ამიტომ ძალიან ნაადრევი იქნება, გითხრა „მე შენ მიყვარხარ“. მაგრამ რადგანაც გათენებამდე ვეღარ ვიცოცხლებ, ამის თქმა გვიანიც კი არის. სიყვარულია სწორედ ქალებისა და კაცების უდიდესი სიგიჟე.

შენ სიყვარულის ისტორია მომიყევი. გულახდილად გეტყვი, მე ვფიქრობ, რომ მშობლებს შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდოდათ, მაგრამ ამ სიყვარულმა ლამის დაანგრია შენი სიცოცხლე. ბებიაჩემის სურათზე მადონა ფეხებით სრესს გველს და ეს მიანიშნებს, რომ ამ სიყვარულს ორი მხარე აქვს.

- მესმის, რასაც ამბობ, - უთხრა ედუარდმა, - დღეს ყველაფერი გავაკეთე, რომ ჩემთვის ელექტროშოკი ჩაეტარებინათ, რადგან უკვე ვეღარ ვარკვევდი, რა მემართებოდა. მეშინია იმის, რასაც ვგრძნობ, რადგან სიყვარულმა ერთხელ უკვე გამანადგურა.

- ნუ გეშინია. დღეს ექიმ იგორს აქედან გასვლის ნებართვა ვთხოვე, რათა თვითონ შემერჩია ადგილი, სადაც ვისურვებდი უკანასკნელად დამეხუჭა თვალი. მაგრამ როცა დავინახე, როგორ მიგატრევდნენ სანიტრები, მივხვდი, რომ შენი სახე იყო ის ერთადერთი, რის დანახვასაც სიკვდილის წინ ვისურვებდი. და ამიტომ დარჩენა ვამჯობინე.

შენ ისევ შოკის მდგომარეობაში იყავი, როცა შეტევა დამემართა და ვიფიქრე, რომ დადგა ჩემი აღსასრული. სახეზე გაკვირდებოდი, მინდოდა, წარმომედგინა შენი ცხოვრება და ბედნიერი აღსასრულისთვის მოვემზადე. მაგრამ სიკვდილი ისევ არ მოვიდა - გულმა გაუძლო, ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ.

ედუარდმა თვალი აარიდა.

- სიყვარულისა ნუ გეშინია. ოღონდ ნება მომეცი, მიყვარდე, მეტს ხომ არაფერს გთხოვ. და თუ ძალა მეყოფა, კიდეც ერთ ღამეს დავუკრავ შენთვის. ამის სანაცვლოდ, გეხვეწები, თუკი გაიგებ, რომ კვდები, ჩემთან შემოდი, პალატაში, და უკანასკნელი სურვილი ამისრულე.

ედუარდი დიდხანს დუმდა. ვერონიკამ ისიც კი იფიქრა, ალბათ, კვლავ თავის განყენებულ სამყაროს დაუბრუნდაო.

შემდეგ ედუარდმა ვილეტეს გაღმა აზიდულ მთებს გახედა და ვერონიკას უთხრა:

- თუ აქედან წასვლა გინდა, გაგიყვან. ოღონდ ცოტა დრო მომეცი, პალტოს და ფულის ავიღებ და მაშინვე წავალთ.

- ეს დიდხანს არ გაგრძელდება, ედუარდ, ხომ იცი.

ედუარდმა არ უპასუხა. შენობაში შევიდა და პალტო გამოიტანა.

- ცდები. სამარადისოდ გაგრძელდება, ბევრად უფრო დიდხანს, ვიდრე ეს ერთმანეთის მსგავსი დღეები და ღამეები, აქ რომ გავატარე და სამოთხისეული ხილვების დავიწყებას ვცდილობდი. თითქმის მოვახერხე კიდეც, მაგრამ ახლა, მგონი, უკან ბრუნდებიან.

- წავიდეთ, გიჟებს გაუმარჯოს!

* * *

როცა იმ საღამოს პაციენტები სავახშმოდ დასხდნენ, ოთხი ადამიანი მოისაკლისეს.

არ იყო ზედკა - ოღონდ ყველამ იცოდა, რომ ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, დღეს გაწერეს; მარი, რომელიც ალბათ კინოში იყო წასული, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე; ედუარდი, შეიძლებოდა ელექტროშოკის შემდეგ ჯერ გონს ვერ მოსულიყო. ამ პროცედურის გახსენებამ ავადმყოფებს შიში მოჰგვარა და უფრო ჩუმად განაგრძეს ჭამა.

და რაც მთავარი იყო - არ ჩანდა წაბლისფერთმიანი, მწვანეთვალეა გოგონა, ის, ვის შესახებაც ყველამ იცოდა, რომ კვირის ბოლომდე ვერ გაატანდა.

ვილეტეში სიკვდილზე ღიად არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ თუ ვინმე გაქრებოდა, ყველა ამჩნევდა, ოღონდ თავს ისე იჭერდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

ჭორმა ყველა მაგიდა შემოიარა. ზოგი ატირდა, ყველას შეებრაღა ეს სიცოცხლით სავსე გოგონა, ახლა რომ, ალბათ, საავადმყოფოს უკან მდებარე მორგში იწვა. მორგის გვერდზე ჩავლას, დღისითაც კი, მხოლოდ ყველაზე უშიშარნი თუ ბედავდნენ. იქ

სამი მარმარილოს მაგიდა იდგა და, როგორც წესი, ერთ-ერთზე ზეწარგადაფარებული ახალი მიცვალებული ესვენა ხოლმე.

უკვე ყველა ხვდებოდა, რომ ამ სადამოს იმ მაგიდაზე ვერონიკა უნდა ყოფილიყო. იმ პაციენტებმა, ვინც მართლა სულით ავადმყოფი იყო, მალე დაივიწყეს ერთი კვირის წინ მოყვანილი ახალი ავადმყოფი, რომელიც ღამდამობით ძილს არავის აცლიდა პიანინოს დაკვრით.

ზოგიერთებს ამ ამბავმა სევდა მოჰგვარა, განსაკუთრებით იმ ექთნებს, რომლებიც ინტენსიური თერაპიის პალატაში ღამეებს უთევდნენ ვერონიკას, მაგრამ თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ პაციენტებთან ზედმეტად ახლო ურთიერთობა არ უნდა დაემყარებინათ - ერთნი ეწერებოდნენ, მეორენი კვდებოდნენ, უმეტესობის მდგომარეობა კი უარესდებოდა. ექთნების სევდა ავადმყოფთა დარდზე მეტხანს გაგრძელდა, მაგრამ მათაც მალე მიივიწყეს.

და მაინც, პაციენტების უმეტესობამ სევდისა და შიშის მიღმა, გულის სიღრმეში, თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან უკვე მერამდენედ ჩაუქროლა ვილეტეს სიკვდილის ანგელოზმა და მათ ფრთა ვერ შეახო.

* * *

როცა ნავახშმევს საძმომ თავი მოიყარა, ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ყველას აცნობა, რომ მარი კინოში არ იყო. ის საბოლოოდ წასულა ვილეტედან და გამოსამშვიდობებელი წერილიც დაუტოვებია.

თავდაპირველად ამ ამბავს ყურადღება არავინ მიაქცია. მარი ყოველთვის გამოირჩეოდა დანარჩენთაგან, დაუდგრომელი ხასიათი ჰქონდა და ვერაფრით ეგუებოდა ვილეტეში გამეფებულ სიმშვიდეს.

- მარი მაინც ვერ მიხვდა, რა ბედნიერად ვცხოვრობთ ვილეტეში, - თქვა საძმოს ერთ-ერთმა წევრმა, - ყველანი მეგობრები ვართ, გვაქვს საერთო ინტერესები, თავისუფლად მივდი-მოვდივართ, ყოველთვის შეგვიძლია ლექტორების მოწვევა. ჩვენს ცხოვრებაში აბსოლუტური ჰარმონია სუფევს. ვინ იცის, იქ, ვილეტეს კედლებს მიღმა, რამდენ ადამიანს სურს, ასეთ ჰარმონიას მიაღწიოს.

- იმაზედაც თუ არაფერს ვიტყვით, რომ ვილეტეში უმუშევრობის, ბოსნიის ომის შედეგების, ეკონომიკური სირთულეებისა და ძალადობისაგან ვართ დაზღვეული, - Dდასძინა კიდეც ვილაცამ, - ჩვენ აქ ჰარმონიას მივაღწიეთ.

- მინდა, მარის წერილი წაგიკითხოთ, - თქვა იმან, ვინც მისი წასვლის ამბავი მოიტანა, - მან მთხოვა, ხმამაღლა წაგვეკითხა მისი გამოსამშვიდობებელი სიტყვები.

დამსწრეთაგან უზუცესმა კონვერტი გახსნა და კითხვა დაიწყო. შუამდე რომ მიაღწია, შეჩერდა, ეტყობოდა, აღარ უნდოდა კითხვის გაგრძელება, მაგრამ მერე გადაიფიქრა და განაგრძო:

„ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ერთი ინგლისელი პოეტის ფრაზა მომეწონა: „იყავი ნაპირებს გადასული შადრევანი და არა ავზში ჩაგუბებული წყალი“. მე ყოველთვის ვთვლიდი, რომ პოეტი ცდებოდა. ნაპირების გადასვლა საშიში იყო, ხომ შეიძლებოდა, ის ადგილები დაგეტბორა, სადაც საყვარელი ადამიანები ცხოვრობდნენ და ისინი დაგეხრჩო სიყვარულითა და ენთუზიაზმით. ამიტომ მთელი სიცოცხლე ვცდილობდი, ავზში ჩაგუბებული წყალივით მეცხოვრა და არასოდეს დამერღვია ჩემი შინაგანი კედლებით შემოფარგლული ნაპირები.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემთვის ყოვლად გაუგებარ მიზეზთა გამო, პანიკის სინდრომით გავხდი ავად. იმად ვიქეცი, რასაც მთელი სიცოცხლე გავურბოდი: შადრევნად, რომელიც ნაპირებიდან გადავიდა და ირგვლივ ყველაფერი დატბორა. ამიტომ აღმოვჩნდი ვილეტეში.

გამოჯანმრთელებული, ისევ ავზში დავბრუნდი და თქვენ გაგიცანით. დიდი მადლობა მეგობრობისთვის, თანადგომისთვის, ერთად გატარებული ამდენი ბედნიერი წუთისათვის. ჩვენ აკვარიუმში მოთავსებული თევზებივით გვერდიგვერდ ვცხოვრობდით და ბედნიერები ვიყავით, რომ დანიშნულ დროს ვიღაც საკვებს გვიყრიდა და, თუკი მოვისურვებდით, ისიც შეგვეძლო, მინის კედლებს გავცილებოდით და სამყაროსათვის შეგვეხედა.

მაგრამ გუშინ მუსიკისა და ერთი გოგონას წყალობით, რომელიც დღეს, ალბათ უკვე ცოცხალი აღარ არის, ძალზე მნიშვნელოვანი რამ გავაცნობიერე: ცხოვრება აქ, ამ კედლებს შიგნითაც ისეთივეა, როგორიც ამ კედლებს გარეთ. აქაც და იქაც ადამიანები ჯგუფებად იკრიბებიან, საკუთარ კედლებს აგებენ და სხვას არავის რთავენ ნებას, მათი უშფოთველი არსებობა დაარღვიოს. ისინი იმიტომ მოქმედებენ, რომ მიეჩვივნენ ამ ქმედებებს, სწავლობენ გამოუსადეგარ საგნებს, მხოლოდ იმიტომ ერთობიან, რომ ასეა მიღებული, დანარჩენ სამყაროს კი, რაც უნდა ის მოსვლია. უკეთეს შემთხვევაში, - ეს კი ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია, - ტელევიზორში ერთად ნახავენ ახალ ამბებს და ამასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, რაოდენ ბედნიერები არიან პრობლემებითა და უსამართლობით სავსე სამყაროში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამმოც, არსებითად, ისევე ცხოვრობს, როგორც ყველა სხვა ადამიანი ამ კედლებს მიღმა - არავის სურს, იცოდეს რა ხდება აკვარიუმის კედლებს იქით. დიდი ხნის განმავლობაში ეს მამშვიდებდა და კეთილ გავლენას ახდენდა ჩემზე. მაგრამ ყველანი ვიცვლებით და მეც თავგადასავლების სამებნელად მომინდა წასვლა, თუმცა უკვე 65 წლისა ვარ და ვიცი, რამდენ წინააღმდეგობას შემიქმნის ჩემი ასაკი. მე ბოსნიაში მივემგზავრები: იქ ადამიანები მელიან, რომელთაც ჯერ არაფერი იციან ჩემ შესახებ და არც მე ვიცნობ მათ. მხოლოდ ის ვიცი, რომ მათ მე ვჭირდები და

ისიც მწამს, რომ ერთი თავგანწირვა სჯობს კეთილდღეობისა და კომფორტის ათასობით დღეს.“

წერილის წაკითხვის შემდეგ სამმოს წევრები ხმის ამოუღებლად შევიდნენ თავიანთ ოთახებსა და პალატებში, ყველა მიხვდა, რომ მარი საბოლოოდ შეიშალა ჭკუიდან.

* * *

ედუარდი და ვერონიკა ლუბლიანის ყველაზე ძვირ რესტორანში შევიდნენ, საუკეთესო საჭმელი შეუკვეთეს, ამ საუკუნეში ერთ-ერთი საუკეთესო, 88 წლის მოსავლის სამი ბოთლი ღვინო დალიეს და სანამ ვახშმობდნენ, სიტყვაც არ დასცდენიათ ვილეტეზე, წარსულსა თუ მომავალზე.

- ძალიან მომეწონა გველის ამბავი, - უთხრა ედუარდმა, როცა უკვე მერამდენედ ავსებდა ჭიქას, - მაგრამ ბეზიაშენი ძალიან ხნიერი იყო და ამიტომ ამ სურათის მნიშვნელობას ვერ აგიხსნიდა.

- ძალიან გთხოვ, ბეზიაჩემი პატივისცემით მოიხსენიო, - ისე ხმამაღლა წამოიძახა შეზარხოშებულმა ვერონიკამ, რომ ყველამ მას შეხედა.

- მოდიტ, ამ გოგონას ბეზიის სადღეგრძელო დავლიოთ! - იყვირა სკამიდან წამომდგარმა ედუარდმა, ამ გიჟის ბეზიას გაუმარჯოს! აბა, შეხედეთ, ხომ ჰგავს ეს გოგო ვილეტედან გამოქცეულს?!

რესტორნის სტუმრებმა ისევ თავიანთ თეფშებს დახედეს და თავი ისე დაიჭირეს, თითქოს უჩვეულო არაფერი ხდებოდა.

- ჩემს ბეზიას გაუმარჯოს! - გაიმეორა ვერონიკამ.

მაგიდას რესტორნის პატრონი მიუახლოვდა.

- ბოდიშს გიხდით, მაგრამ გთხოვთ, წესრიგი დაიცვათ.

ედუარდი და ვერონიკა ერთხანს დაწყნარდნენ, მაგრამ მალე ისევ მთელი ხმით ალაპარაკდნენ და შეუფერებლად დაიწყეს ქცევა.

რესტორნის პატრონი ისევ მიუახლოვდა მათ მაგიდას და თავაზიანად გაუმეორა, თუკი სასწრაფოდ დატოვებდნენ რესტორანს, პატრონი დანახარჯის გადახდას აღარ მოითხოვდა.

- ო-ო, ამას რა სჯობია, მშვენიერ ეკონომიას გავაკეთებთ! - წამოიძახა ედუარდმა, - დროა, აქედან გავასწროთ, ვიდრე ამ ტიპს არ გადაუფიქრებია!

მაგრამ „ის ტიპი“ გადაფიქრებას არც აპირებდა. ვერონიკას მოწიწებით გაუწია სკამი, თითქოს წამოდგომაში ეხმარებოდა, სინამდვილეში კი იმას ცდილობდა, შემღებისდაგვარად, სწრაფად გაეცილებინა აბეზარი სტუმრები.

ისინი ქალაქის ცენტრში, პატარა მოედანზე გავიდნენ. ვერონიკამ თავისი ოთახის ფანჯარას მოჰკრა თვალი და იმავწამს გამოფხიზლდა. ისევ გაახსენდა, რომ კვდებოდა.

- მოდი, კიდევ ვიყიდოთ ღვინო! - სთხოვა ედუარდს.

ედუარდმა უახლოესი ბარიდან გამოიტანა ორი ბოთლი, გვერდიგვერდ დასხდნენ და სმა განაგრძეს.

- აბა, მითხარი, რა არ მოგეწონა ბებიაჩემის განმარტებაში? - ჰკითხა ვერონიკამ.

ედუარდი გვარიანად მთვრალი იყო და საკმაოდ დრო დასჭირდა იმის გასახსენებლად, რაზე ლაპარაკობდა რესტორანში, მაგრამ მაინც გაიხსენა.

- ბებიაშენი გეუბნებოდა, რომ გველზე მდგარი ქალი ბოროტსა და კეთილს სიყვარულით მართავდა. ეს ლამაზი და რომანტიკული განმარტებაა, მაგრამ არასწორი. ეს ხილვა ადრეც მაქვს ნანახი, ერთ-ერთია იმ სამოთხისეული ხილვებიდან, რომლებიც ჩემს წარმოსახვაში მაქვს დახატული. ადრე ბევრჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის, სწორედ ამგვარად რატომ ხატავენ მადონას.

- რატომ?

- იმიტომ, რომ მადონა - ქალური ენერგია - არის გველის - სიბრძნის - დიადი მბრძანებელი. თუ ექიმ იგორის ბეჭედს დაჰკვირვებოდა, შეამჩნევდი, რომ ეს ექიმების სიმბოლოცაა: კვეთხს შემოხვეული ორი გველი. სიყვარული სიბრძნეზე მაღლა დგას, როგორც ქალწული - გველზე. მისთვის ყველაფერი შთაგონებაა. ის არ მსჯელობს კეთილსა და ბოროტზე.

- იცი, რას გეტყვი? - უთხრა ვერონიკამ, - ღვთისმშობელს არასოდეს ადარდებდა, სხვები რას იტყოდნენ. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, ყველასათვის რომ მოეთხრო სულიწმინდასთან შეხვედრის ამბავი. მან მხოლოდ თქვა: „ასე იყო“. და ალბათ, ხვდები, სხვები რასაც იტყოდნენ.

- ცხადია, ვიცი: იტყოდნენ, რომ ჭკუიდან შეიშალა.

ორივეს გაეცინა.

ვერონიკამ ჭიქა ასწია.

- ამდენ ლაპარაკს, აჯობებდა, შენი სამოთხისეული ხილვები დაგეხატა.

- შენგან დავიწყებ, - უპასუხა ედუარდმა.

პატარა მოედნის გვერდით პატარა გორა იყო, ზედ ციხესიმაგრე იდგა. ვერონიკას და ედუარდს ყინულზე ფეხი უსხლტებოდათ, ყასიდად წუწუნებდნენ დაღლილობაზე და მაინც სიცილ-ხარხარით აბობლდნენ ფერდობზე.

ციხესიმაგრის გვერდით უზარმაზარი ყვითელი ამწე იდგა. ლუბლიანაში ჩამოსულ ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა, თითქოს ციხესიმაგრეს არემონტებდნენ და მისი რესტავრაცია მალე დასრულდებოდა. მხოლოდ ლუბლიანელებმა იცოდნენ, რომ ამწე იქ უხსოვარი დროიდან იყო შემორჩენილი, მაგრამ რისთვის, დანამდვილებით ვერავინ იტყოდა. ვერონიკამ ედუარდს ისიც უამბო, რომ ლუბლიანის ციხის დახატვისას საბავშვო ბაღის ბავშვები აუცილებლად ამწესაც ხატავდნენ.

- ხედავ, ამწე უკეთ შენახულა, ვიდრე ციხესიმაგრე.

ედუარდს გაეცინა.

- შენ ახლა უკვე მკვდარი უნდა იყო, - უთხრა მან. ჯერ ისევ მთვრალი იყო, მაგრამ ხმაში მაინც შიში შეეპარა, - შენს გულს, წესით, ასეთ აღმართზე ამოსვლა ვერ უნდა აეტანა.

ვერონიკამ აკოცა. კოცნა ხანგრძლივი და ტკბილი გამოვიდა.

- ყურადღებით დააკვირდი ჩემს სახეს, - უთხრა ედუარდს, - შენი სულის თვალებით დაიხსომე, რომ შემდეგ შეძლო მისი გახსენება. თუ გინდა, ხატვა ჩემგან დაიწყე, მაგრამ ხატე. ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა. შენ გწამს ღმერთი?

- მწამს.

- მაშინ, ღმერთი დაიფიცე, რომ აუცილებლად დამხატავ.

- გეფიცები.

- მერე კი ხატვას განაგრძობ.

- არ ვიცი, რამდენად შემძლია ამის დაფიცება.

- შეგიძლია. მეტსაც გეტყვი: მადლობა იმისთვის, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი შესძინე. ახლა ვხვდები, ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ ისე მეცხოვრა, როგორც ვიცხოვრე, მერე თავის მოკვლა მეცადა, საკუთარი გული მომესპო, შენ შეგხვედროდი, ამ ციხესიმაგრესთან ამოვსულიყავი და შენს სულში აღმებეჭდა ჩემი სახე. აი, ერთადერთი მიზეზი, რისთვისაც გავჩნდი. ეტყობა, გავჩნდი იმიტომ, რომ იძულებული გამეხადე, იმავე გზას დაბრუნებოდი, საიდანაც გადაუხვია. გემუდარები, ნუ მაფიქრებინებ, რომ უაზროდ მიცხოვრია.

- იქნებ ეს ძალიან ადრეა ან ძალიან გვიან, მაგრამ შენსავით, მეც მინდა, გითხრა: მე შენ მიყვარხარ. შენ შეიძლება, არ დაიჯერო, სისულელედ ან ბოდვად გეჩვენოს, მაგრამ მიყვარხარ.

ვერონიკა ედუარდს მოეხვია და ღმერთს, რომელიც არ სწამდა, შეევედრა, ახლა, აი, ამ წუთს დაესრულებინა მისი სიცოცხლე.

მან თვალები დახუჭა და იგრძნო, რომ ედუარდიც იმავეს აკეთებდა. მოვიდა ძილი - ღრმა და უსიზმრო. სიკვდილი ალერსიანი იყო, მას ღვინის სუნი უდიოდა და ვერონიკას თმაზე ეფერებოდა.

* * *

ედუარდს ვიღაც შეეხო მხარზე. მან თვალი გაახილა. თენდებოდა.

- შეგიძლიათ, პრეფექტურაში შეხვიდეთ გასათბობად, - უთხრა პოლიციელმა, - ცოტაც და, ორივე გაიყინებოდით.

ედუარდს წამიერად გაახსენდა წუხანდელი ამბავი და მკლავებში მომწყვდეულ, მოკუნტულ გოგონას დახედა.

- ვერონიკა... მოკვდა.

მაგრამ ვერონიკა შეინძრა და თვალი გაახილა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ედუარდს.

- არაფერი, - უპასუხა მან და წამოაყენა, - უფრო სწორად, მოხდა სასწაული: სიცოცხლემ კიდევ ერთი დღე გვაჩუქა.

* * *

ექიმმა იგორმა ჩამრთველი გაატკაცუნა - ისევ გვიან თენდებოდა, ზამთარი არა და არ გაილია. კაბინეტის კარზე დააკაკუნეს. სანიტარი შემოვიდა.

„დაიწყო“, - გაიფიქრა ექიმმა იგორმა.

წინ საკმაოდ მძიმე დღე ელოდა - ჯერ მარტო ვერონიკასთან მოსალოდნელი ლაპარაკი რად ღირდა. ამ საუბრისთვის მთელ კვირას ემზადებოდა და წუხელ იმდენი ინერვიულა, დილამდე თვალი არ მოუხუჭავს.

- ცუდი ამბავი უნდა გითხრათ, - დაიწყო სანიტარმა, - საავადმყოფოდან ორი პაციენტი გაიპარა: ელჩის შვილი და ის გოგონა, გული რომ აწუხებდა.

- ღმერთო, რა იდიოტები ხართ! ამ საავადმყოფოს დაცვისათვის დიდი ხნის წინ უნდა მიმეხედა.

- ადრე არავის უცდია გაქცევა, - უპასუხა შეშინებულმა სანიტარმა, - ვერც კი წარმოვიდგენდით, ამას თუ ვინმე მოახერხებდა.

- მომწყდი თავიდან! ახლა მეპატრონეებისათვის მოხსენება უნდა დავწერო, პოლიციას შევატყობინო და სასწრაფო ზომები მივიღო. ყველა გააფრთხილეთ, არავინ შემაწუხოს. თქვენი წყალობით, დღეს უამრავი საქმე მექნება.

ფერდაკარგული სანიტარი კაბინეტიდან გავიდა. კარგად ხვდებოდა, რომ პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი მას დააწევბოდა მხრებზე, რადგან, როგორც წესი, უფროსები ქვეშევრდომებს ადანაშაულებენ ხოლმე. ალბათ, სადამომდე სამსახურიდანაც დაითხოვდნენ.

ექიმმა იგორმა ბლოკნოტი ამოიღო, მაგიდაზე დადო, წერა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

მერე შუქი გამორთო, დიდხანს იჯდა გაუნძრევლად ზამთრის ახლად ამოწვერილი მზით განათებულ მაგიდასთან და ილიმებოდა. გაამართლა!

ის წინასწარ ტკვებოდა ნეტარებით, რომ სულ რამდენიმე წუთში დისერტაციის წერას დაიწყებდა იმ ერთადერთ საშუალებაზე, რომელიც კუპოროსის მოწამვლის წინააღმდეგ შეიძლებოდა გამოეყენებინათ - ეს საშუალება ცხოვრების გაცნობიერება იყო. დაწერდა იმაზეც, რა მეთოდი გამოიყენა თავის პირველ და წარმატებულ ექსპერიმენტში - მან სიკვდილი გააცნობიერებინა პაციენტს.

ცხადია, ალბათ, მკურნალობის სხვა გზებიც არსებობდა, მაგრამ ექიმ იგორს თავისი დისერტაცია იმ ერთადერთ ექსპერიმენტზე უნდა აეგო, რომლის ყოველმხრივ შემოწმების საშუალებაც ერთი გოგონას მეშვეობით ჰქონდა. გოგონა, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში - სერიოზული მოწამვლითა და კომის საწყისი სტადიით - მიიყვანეს კლინიკაში. მაშინ ექიმი ვერც კი წარმოიდგენდა, როგორ შეერწყმებოდა მათი ბედი ერთმანეთს.

პაციენტი ერთი კვირის მანძილზე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებოდა და ეს დრო სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ექიმ იგორს ექსპერიმენტის ჩატარების ბრწყინვალე იდეა გასჩენოდა.

ყველაფერი მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული - გადარჩებოდა თუ არა.

და გოგონა გადარჩა. ისე, რომ კვალიც არ დარჩენია სერიოზული პროცესებისგან, მის ორგანიზმში რომ მიმდინარეობდა. თავს თუ მოუვლიდა, იმდენივე ხანს იცოცხლებდა, რამდენსაც ექიმი იგორი, ან უფრო მეტსაც.

მაგრამ სწორედ ექიმი იგორი იყო ის ერთადერთი ადამიანი, ვინც ამის შესახებ უწყობდა, რადგან მან ისიც ხომ კარგად იცოდა, რომ ერთი წარუმატებელი თვითმკვლელობის შემდეგ, ადამიანები კიდევ და კიდევ იმეორებენ იმავეს. რატომ არ შეიძლებოდა, ამ გოგონას ზღვის გოჭივით დაჰკვირვებოდა და შეემოწმებინა, შესაძლებელია თუ არა, მისი ორგანიზმიდან კუპორისის ანუ „ნალველის“ გამოდევნა.

და ექიმმა იგორმა მოქმედების გეგმა შეიმუშავა.

თავს ნება მისცა, ფენოტალი გამოეყენებინა, რომელიც გულის შეტევის ეფექტს იწვევდა. მთელი კვირის განმავლობაში პაციენტს ამ პრეპარატის ინიექციებს უკეთებდნენ და, როგორც ჩანდა, გოგონა მართლა შეშინდა - მას ხომ საკმაოდ დრო ჰქონდა, სიკვდილზე ეფიქრა და საკუთარ ცხოვრებას ჩაჰკვირვებოდა. ამგვარად დამტკიცდა ექიმ იგორის თეზა - „სიკვდილის გაცნობიერება გვაძლევს ძალას, ვიცოცხლოთ“ (ასეთი სათაური ექნება მისი დისერტაციის ბოლო თავს). გოგონამ თავისი ორგანიზმიდან კუპორისი განდევნა და თვითმკვლელობაზე ალბათ აღარასოდეს იფიქრებდა.

ექიმი იგორი დღეს აპირებდა მასთან შეხვედრას, რათა მორიგი ტყუილი ეთქვა, რომ ინიექციების წყალობით, შესაძლებელი გახდა მისი განკურნება. ვერონიკას გაქცევამ ეს ტვირთიც მოხსნა. ახლა შეეძლო, აღარ ეცრუა.

თუმცა ამ ექსპერიმენტის დაწყებისას ვერაფრით წარმოიდგენდა, თუ „ნალველისგან“ გამოჯანმრთელების პროცესი გადამდები აღმოჩნდებოდა. ვილეტეში ბევრი დააფრთხო ნელი და უცილობელი სიკვდილის შეცნობამ, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე დააფიქრა და საკუთარი ცხოვრება გადააფასებინა.

პირველად მარი მივიდა და ვილეტედან გაწერა სთხოვა. რამდენიმე პაციენტსაც გაუჩნდა დიაგნოზის გადახედვის სურვილი. განსაკუთრებით სახიფათო ელჩის შვილის გაუჩინარება იყო - ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ვერონიკას სწორედ ის დაეხმარა გაქცევაში.

„ალბათ, ახლაც ერთად არიან“, - გაიფიქრა მან.

ასე იყო თუ ისე, ელჩის შვილმა ვილეტეს მისამართი იცოდა - იმ შემთხვევისათვის, თუ უკან დაბრუნებას დააპირებდა. ექიმი იგორი იმდენად აღფრთოვანებულ იყო ექსპერიმენტის შედეგებით, რომ ასეთ უმნიშვნელო დეტალებზე ფიქრის თავი აღარ ჰქონდა.

წამით ეჭვმა გაკენწლა: ადრე თუ გვიან, ვერონიკა, ალბათ, მიხვდებოდა, რომ სასიკვდილო არაფერი სჭირდა, სპეციალისტებს მიმართავდა და ისინი ეტყოდნენ

სიმართლეს. მაშინ ვილეტეში მკურნალ ექიმს არაკომპეტენტურად ჩათვლიდა. მაგრამ განა ყველა მეცნიერს, ვინც აკრძალული თემების კვლევას ბედავდა, არ სჭირდებოდა გარკვეული სითამამე და, თავდაპირველად, განა ყველას არ ელოდა დაცინვა?

მაგრამ სანამ ვერონიკა ამ დასკვნამდე მივიდოდა, მას ხომ სიკვდილის შიშით მოუწევდა ცხოვრება?

ექიმ იგორს სწორედ ეს ადარდებდა, მაგრამ ანაზღად მიხვდა: იქნებ ასეც სჯობდა. ყოველი ახალი დღე ვერონიკასთვის სასწაულის ტოლფასი გახდებოდა, სინამდვილეში ხომ ასეც არის, თუკი მივხვდებით, რაოდენ ღირებული და სისხლსავსე შეიძლება იყოს ჩვენი მყიფე არსებობის ყოველი წამი.

ფანჯრიდან შემოჭრილი შუქი გაძლიერდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პაციენტები უკვე საუზმობდნენ. მალე მის კაბინეტში ერთიმეორის მიყოლებით შემოვიდოდნენ მომსვლელები, ისევ ყოველდღიურ პრობლემებზე მოუწევდა ფიქრი, ამიტომ ჯობდა, ახლავე დაეწყო მუშაობა.

მას უნდოდა, მოესწრო და დაწვრილებით აღეწერა ვერონიკაზე ჩატარებული ექსპერიმენტი. ის მოხსენება კი - ვილეტეს დაცვის სისტემის არასრულფასოვნების შესახებ, - ცოტას კიდევ მოიცდიდა.

წმ. ბერნადეტას დღე, 1998.

